

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2012, №5

ვალდებულებითი სამართალი

საძიებელი

1. ვალდებულების ჯეროვნად შესრულება

- ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა ვალის აღიარების გამო
- სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობა
- ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის წინაპირობები
- ხანდაზმულობის ვადის ათვლა
- ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია
- ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების კანონიერება
- არასაცხოვრებელი ფართის იჯარა-გამოსყიდვის უფლების გამოყენების ვადა
- ამხანაგობის მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა
- პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობისას მხარის კანონიერი ინტერესის არსებობის საკითხი
- მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება

2. ზიანის ანაზღაურება

- ზიანის ანაზღაურებისათვის სავალდებულო პირობები
- ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო ზიანის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს დაკისრება
- ვალდებულების შეუსრულებლობისათვის საჯარიმო სანქციების გამოყენების საფუძველი
- ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება
- მატერიალური ზიანის კომპენსაციის ოდენობა
- მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საფუძველი

3. კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო

სამხედრო მოსამსახურისათვის თანხის დაკისრება

- სამხედრო კონტრაქტის შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძველი
- კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო სამხედრო მოსამსახურისთვის თანხის დაკისრების წესი
- სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება
- ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის ერთჯერადი დახმარების ანაზღაურება
- სამხედრო მოსამსახურის მიერ ხელშეკრულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება

4. დელიქტი

- პროფესიული დაავადებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება
- ზიანის ანაზღაურება მიღებული სხეულის დაზიანების გამო

1. ვალდებულების ჯეროვნად შესრულება

ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა ვალის აღიარების გამო

განჩინება

18ს-1266-1210(კ-09)

25 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: სახელფასო დავალიანებისა და ბინის ქირის თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 2 მარტს ზ. ნ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს პარლამენტის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1999-2004 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. მოპასუხეს მის მიმართ გააჩნდა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისა და ბინის ქირის დავალიანება – 1365 ლარის ოდენობით, მათ შორის 765 ლარი სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხა იყო, ხოლო 600 ლარი – ბინის ქირა. მოსარჩელემ აღნიშნული მოთხოვნით მიმართა მოპასუხეს, მაგრამ უშედეგოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ არსებული დავალიანების – 1365 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით ზ. ნ-იას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს პარლამენტს ზ. ნ-იას სასარგებლოდ დაეკისრა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისა და ბინის ქირის დავალიანების ანაზღაურების გადახდა 1201.20 ლარის ოდენობით; მოსარჩელე ზ. ნ-იას უარი ეთქვა საშემოსავლო გადასახადის მოპასუხისათვის დაკისრებაზე, რაც შეადგენდა 163.80 ლარს.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რაზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა თუ შესაგებელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, ასევე გარემოებების დადასტურება შესაძლებელია თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 27 იანვრის წერილით დასტურდებოდა, რომ საქართველოს პარლამენტს მოსარჩელე ზ. ნ-იას მიმართ გააჩნდა დავალიანება 1201.20 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 24-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, პარლამენტის წევრის ხელფასი განისაზღვრებოდა კანონით. პარლამენტის წევრს ეძლეოდა მისი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურებაც. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხელფასის გაცემა იწყებოდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდებოდა შესაბამისი მოწვევის პარლამენტის ან მისი, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების შეწყვეტის-თანავე. «საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პარლამენტის წევრის სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ანაზღაურება მოიცავდა ისეთ ხარჯებს, როგორც იყო საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით ქ. თბილისში სასტუმროში ცხოვრების ან საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის, სამსახურებრივი მიზნით ქ. თბილისის ფარგლებში ტრანსპორტით მგზავრობისათვის და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. ნ-იას მოთხოვნა საფუძვლიანი იყო და საქართველოს პარლამენტს უნდა დაკისრებოდა მის სასარგებლოდ სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის მიუღებელი დავალიანებისა და ბინის ქირის დავალიანების ანაზღაურება 1201.20 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადის მოპასუხეზე დაკისრების ფაქტს, საქალაქო სასამართლოს განმარტებით მოსარჩელეს ეთქვა უარი, რადგან საგადასახადი კოდექსში ცვლილებების შეტანამდე მოსარჩელის მიერ სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისას ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადი იბეგრებოდა 12 პროცენტით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს პარლამენტმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა.

აპელანტმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ზინის ქირის ანაზღაურების ნაწილში იყო ხანდაზმული, კერძოდ, აღნიშნულ მოთხოვნაზე უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა საქართველოს შრომის კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. ასევე განმარტა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრების მიმართ წარმოქმნილი დავალიანების დაგროვება გამოწვეული იყო საბიუჯეტო დეფიციტით და შესაბამისი თანხების მიუღებლობით. აპელანტმა მიუთითა, რომ საქართველოს პარლამენტის აპარატის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ცნობით მოსარჩელეზე გასაცემი თანხა აღიარებული იყო, მაგრამ აღნიშნული თანხის გადახდა პირდაპირ და უშუალო კავშირში იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მხრიდან პარლამენტის ანგარიშზე ამ თანხების ჩარიცხვასთან, რაც საქართველოს პარლამენტის განცხადებით არ მომხდარა, მათი მრავალჯეროვანი მოთხოვნის მიუხედავად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივლისის განჩინებით საქართველოს პარლამენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მოსარჩელისათვის ხელზე გასაცემი თანხა შეადგენდა 1201.10 ლარს. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმეში იყო «წინა პერიოდის კრედიტორული დავალიანების ნუსხა», რომელშიც დაანგარიშებულ იქნა კრედიტორული დავალიანებების, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის დეპუტატებზე გადასაცემი თანხების საერთო ოდენობა, ხოლო იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ აღნიშნული თანხა არ მოიცავდა ზ. ნ-აიაზე გასაცემ თანხებს, მათ შორის – 600 ლარს, აპელანტის მიერ წარმოდგენილი არ იყო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ზ. ნ-იასადმი მისი 2009 წლის 9 იანვრის 1320 განცხადების პასუხად საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ გაგზავნილ, 2009 წლის 27 იანვრის, 1855/3-6 წერილში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს პარლამენტის აპარატმა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 21 ივნისის 1281 განკარგულების მოთხოვნის შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს დროულად, 2006 წლის 8 აგვისტოს 112530/3-19 წერილით წარუდგინა რეგისტრირებული კრედიტორების სია, მათ შორის, მისი დავალიანება – 1365 ლარი, საიდანაც 765 ლარი 2003 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის თვეების სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელ თანხას, ხოლო 600 ლარი – 2003 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეების ზინის ქირის თანხის დავალიანებას წარმოადგენდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს პარლამენტმა სხვაგვარად აღიარა მოთხოვნის არსებობა, რითაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა. ამასთან, მოპასუხე საქართველოს პარლამენტმა ზ. ნ-იას სარჩელზე წარადგინა შესაგებელი, რომელშიც აღიარა მოსარჩელეზე გასაცემი თანხა და მიუთითა, რომ როგორც კი მოხდებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შესაბამისი ასიგნებების გამოყოფა, საქართველოს პარლამენტი დაუყოვნებლივ მოახდენდა ზ. ნ-აიაზე რიცხული დავალიანების გასტუმრებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს პარლამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ მიუხედავად საქართველოს პარლამენტის ბალანსზე ზ. ნ-იას სახელზე დავალიანების არსებობისა (საქართველოს პარლამენტის წევრის სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა 2003 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვის – 765 ლარი და 2003 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვის ზინის ქირა – 600 ლარი) საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან იგი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იყო ხანდაზმული. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის წევრის სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა და ზინის ქირა წარმოადგენდა სახელმწიფო ურთიერთობას და მასზე მოქმედებდა საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო მოთხოვნის ხანდაზმულობა შეადგენს სამ წელს. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ მოთხოვნაზე უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი პირდაპირ უთითებდა ხანდაზმულობის ვადის დაწყებას, ანუ ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. ამასთან, მოთხოვნის უფლება წარმოიშვა იმ დღეს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო მისი უფლების დარღვევის შესახებ. ამავე კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად კი, მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დღიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება. მოცემულ შემთხვევაში კასატორმა განმარტა, ზ. ნ-იასათვის ცნობილი იყო, რომ მოპასუხე არ აუნაზღაურებდა თანხებს, აღნიშნულიდან გამომდინარე მას მოპასუხის მიმართ თანხის ანაზღაურების მოთხოვნით უნდა მიემართა სასამართლოსათვის, რაც არ განხორციელებულა 2009 წლის 27 თებერვლამდე.

კასატორმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ის ფაქტი, რომ ზ. ნ-იას გაშვებული ჰქონდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა და გამოიტანა ისეთი განჩინება, რაც იყო დაუსაბუთებელი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად და შესაბამისად, უნდა გაუქმებულიყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის განჩინებით საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი ზ. ნ-აიასათვის სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივლისის განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში, რომლითაც საქართველოს პარლამენტს ზ. ნ-აიას სასარგებლოდ დაეკისრა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხა – 765 ლარი; საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი ზ. ნ-აიასათვის ბინის ქირის – 600 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2010 წლის 14 იანვარს, 11.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის განჩინებით საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი ზ. ნ-აიასათვის სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხის – 765 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი ზ. ნ-აიასათვის ბინის ქირის – 600 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს ზ. ნ-აიასათვის მხოლოდ ბინის ქირის კომპენსაციის თანხის ანაზღაურების საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს პარლამენტის დავალიანება ზ. ნ-აიასადმი შეადგენს – 1365 ლარს, საიდანაც 765 ლარია 2003 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეების სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა, 600 ლარი – 2003 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეების ბინის ქირა. აქედან საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 163.80 ლარს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საქართველოს პარლამენტის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე პარლამენტის წევრს ხელფასის გარდა ეძლევა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურება, რაც ასევე მოიცავს ხარჯებს ქ. თბილისში სასტუმროში ცხოვრების ან საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის. აქედან გამომდინარე, არსებული დავალიანება მთლიანობაში წარმოადგენდა მითითებული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ, საქართველოს პარლამენტის წევრის სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რაც ანაზღაურებული უნდა ყოფილიყო მოპასუხის მიერ, ვინაიდან მის მოვალეობას შეადგენდა აღნიშნული დავალიანების შესრულება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული კრედიტორული დავალიანებების დაზუსტებისა» და «საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დავალების შესრულების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს პირველად საბუღალტრო დოკუმენტებზე დაყრდნობით უნდა უზრუნველყოთ კრედიტორულ დავალიანებათა ინვენტარიზაცია და დაზუსტება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია «წინა პერიოდის კრედიტორული დავალიანების ნუსხა», რომელშიც დაანგარიშებულ იქნა კრედიტორული დავალიანებების, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის დეპუტატებზე გადასაცემი თანხების საერთო ოდენობა, ხოლო იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ აღნიშნული თანხა არ მოიცავს ზ. ნ-აიასზე გასაცემ თანხებს, მათ შორის – 600 ლარს, საქართველოს პარლამენტის მიერ წარმოდგენილი არ იყო. ამასთან, ზ. ნ-აიასადმი მისი 2009 წლის 9 იანვრის 1320 განცხადების პასუხად საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ გაგზავნილ, 2009 წლის 27 იანვრის, 1855/3-6 წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს პარლამენტის აპარატმა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 21 ივნისის 1281 განკარგულების მოთხოვნის შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს დროულად, 2006 წლის 8 აგვისტოს 112530/3-19 წერილით წარუდგინა რეგისტრირებული კრედიტორების სია, მათ შორის, მისი დავალიანება – 1365 ლარი, საიდანაც 765 ლარი 2003 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის თვეების სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელ თანხას, ხოლო 600 ლარი – 2003 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეების ბინის ქირას წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლზე (ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა), რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებულებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის

არსებობას. ამავე კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება, მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით რეგლამენტირებული, ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე მოთხოვნის არსებობის აღიარება, რაც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველია, სახეზეა ხსენებული კოდექსის 144-ე მუხლის (ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას) მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულების შემთხვევაში. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ მოვალეობის შესრულებას უთანაბრდება მოვალის დაპირება – ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე ვალის არსებობის აღიარება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ანუ თუ ვალდებულმა პირმა კონკრეტული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ აღიარა ხსენებული მოთხოვნის არსებობა, ხანდაზმულობის ვადის გასვლის ფაქტს, სამართლებრივად, აღარ აქვს არავითარი მნიშვნელობა მხარის შესაბამისი მატერიალური უფლების სასამართლო წესით რეალიზაციისათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტმა აღიარა ზ. ნ-აიას წინაშე არსებული დავალიანება ბინის ქირის ნაწილშიც, მას შემდეგ, რაც ხსენებული დავალიანების მოთხოვნის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა გავიდა, რითაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებელი განჩინების ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივლისის განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში, საქართველოს პარლამენტისათვის ზ. ნ-აიას სასარგებლოდ ბინის ქირის – 600 ლარის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1399-1335(კ-09)

3 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგამე

სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 14 ნოემბერს შპს «...», შპს «...», შპს «...», სს «...», შპს «...» და შპს «...» სასარჩელო განცხადებით, შემდეგ კი დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, მხარეთა შორის გაფორმდა ორი სახის ხელშეკრულება – ჩაის ფოთლის დამუშავებისა და ჩაის ფოთლის ექსპორტის შესახებ. ჩაის ფოთლის გადამამუშავების შესახებ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი კომპანიებისათვის ჩაის ფოთლის შესყიდვის მიზნით სუბვენციის სახით თანხის გამოყოფა. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ. ჩაის პროდუქციის ექსპორტის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ ჩაის პროდუქციის ექსპორტიორი კომპანიებისათვის ექსპორტის მიზნით სუბვენციის სახით თანხის გამოყოფა, რომლის თანახმად, მოპასუხეები ვალდებულნი

იყვნენ ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულების 1 აშშ დოლარზე გამოეყოთ მინიმუმ 10 თეთრი სუბვენციის სახით. სუბვენციის გაცემა გათვალისწინებული იყო ბიუჯეტით, რის დასადასტურებლადაც მოსარჩელებმა მიუთითეს საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 27 დეკემბრის 1336 განკარგულებაზე, რომლის მე-5 პუნქტის საფუძველზე საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს დაევალა 2003 წლის ბიუჯეტით ჩაის წარმოების პროგრამისათვის გამოყოფილი 3 მილიონი ლარის ათვისების პროგრამის მონაწილე სუბიექტების გამოვლენა. აღნიშნული პროგრამის მონაწილეთა გამოსავლენად საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტომ ჩაატარა ტენდერი, რომელშიც სხვა კომპანიებთან ერთად გაიმარჯვეს მოსარჩელებმაც, რის შემდეგაც მათთან გაფორმდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მათ შეასრულეს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო მოპასუხეთა მხრიდან ვალდებულების შესრულება არ მომხდარა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსათვის შპს «...» სასარგებლოდ – 352206,65 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 5242,50 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 17579,9 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 15541,82 ლარისა და სს «...» სასარგებლოდ – 13194,4 ლარის დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 ნოემბრის განჩინებით საქმე შპს «...», შპს «...», შპს «...», სს «...», შპს «...» და შპს «...» სარჩელის გამო მოპასუხეების – სსიპ საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაეგზავნა ხონის რაიონულ სასამართლოს.

ხონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით შპს «...», შპს «...», შპს «...», სს «...», შპს «...» და შპს «...» სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილდა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს დაეკისრა შპს «...» სასარგებლოდ – 4208 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 9207 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 3150 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 4199 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 5250 ლარისა და სს «...» სასარგებლოდ – 7348 ლარის გადახდა; საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს დაეკისრა შპს «...» სასარგებლოდ – 347998,65 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 8372,90 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 2092,56 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 2791 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 10291,82 ლარისა და სს «...» სასარგებლოდ – 4884,40 ლარის გადახდა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურსა და საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს დაეკისრა შპს «...» სასარგებლოდ – 10150,20 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 209,70 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 157,30 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 466,30 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 527,40 ლარისა და სს «...» სასარგებლოდ – 395,9 ლარის სახელმწიფო ბაჟის სოლიდარულად გადახდა.

ხონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა იმ ნაწილში, რომლითაც სააგენტოს მოსარჩელებს სასარგებლოდ თანხის გადახდა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურება დაეკისრა.

ხონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება სახაზინო სამსახურის მიმართ თანხის დაკისრებისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით აღნიშნულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა ხონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «...», შპს «...», შპს «...», შპს «...», შპს «...» და შპს «...» სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2003 წლის 1 მაისს მოსარჩელებსა და სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შორის «ქართული ჩაის ფოთლის მოყვანის, გადამუშავებისა და ექსპორტის ხელშეწყობის სუბვენციის პროგრამის» შესაბამისად, დაიდო ხელშეკრულებები ჩაის ფოთლის გადამუშავებასა და 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ამ მიზნით გათვალისწინებული სახსრებიდან სუბვენციის თანხის გამოყოფაზე. ხელშეკრულების თანახმად, თანხის გადარიცხვა უნდა მომხდარიყო კომპანიების მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 დღეში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ. კომპანიები ვალდებული იყვნენ 2003 წლის 1 ნოემბრამდე მიეღოთ გარკვეული რაოდენობა ჩაის ფოთლი და ყოველი თვის ხუთ რიცხვამდე მიეწოდებინათ ინფორმაცია სააგენტოსთვის განვლილი თვის განმავლობაში დასამუშავებლად მიღებული ჩაის ფოთლის შესახებ და წარედგინათ სათანადო დოკუმენტაცია. ხელშეკრულება ძალაში შედიოდა მხარეთა ხელმოწერიდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში რეგისტრაციის შემდეგ და ძალაში იყო 2003 წლის 31 დეკემბრამდე. 2003 წლის 13 მაისს მოსარჩელებთან იქამად უკვე როგორც ჩაის პროდუქციის ექსპორტიორ კომპანიებთან დაიდო ხელშეკრულებები 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სახელმწიფოს მხრიდან ჩაის ექსპორტის ხელშეკრულებისათვის სუბვენციის თანხების გამოყოფის შესახებ. სუბვენციის გამცემი ვალდებული იყო ექსპორტირებული საქონლის ღირებულების ყოველ აშშ დოლარზე გამოეყო 10 თეთრის სუბსიდია. სუბვენციის მიმღები ვალდებული იყო ყოველი თვის 5 რიცხვამდე მიეწოდებინა ინფორმაცია სააგენტოსთვის განვლილი თვის განმავლობაში ექსპორტირებული პროდუქციის შესახებ და წარედგინა სათანადო დოკუმენტაცია. ხელშეკრულება ძალაში შედიოდა მხარეთა ხელმოწერიდან, სახაზინო სამსახურში რეგისტრაციის შემდეგ და ძალაში იყო 2003 წლის 31 დეკემბრამდე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, როგორც ერთი, ისე მეორე ხელშეკრულების 2.4 «ა» პუნქტი ითვალისწინებდა კომპანიის უფლებამოსილებას შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში სააგენტოსგან სუბვენციით განკუთვნილი თანხის ანაზღაურება ეთხოვათ.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ 2006 წლის 8 ნოემბრის 113/1069 წერილით მოპასუხემ აღიარა კრედიტორული დავალიანება კომპანიების მიმართ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული კრედიტორული დავალიანების დაზუსტებული ნუსხა მოპასუხეების მიერ შედგენილი არ იყო და შესაბამისად, არც ვალის აღიარებაზე შეიძლებოდა მსჯელობა. ამასთან, როგორც ერთი, ისე მეორე მოპასუხე არ ცნობდა და არ აღიარებდა თანხების გადახდაზე თავის ვალდებულებას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო და მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდებოდა ხანდაზმულობის ვადა, ამავე კოდექსის 129-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა სამ წელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების მიმართ ხანდაზმულობის ვადა ასევე შეადგენდა სამ წელს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყებოდა მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი, ითვლებოდა დრო როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პერიოდულად შესასრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებას და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ყოველი თვის მომდევნო ხუთ რიცხვამდე მოსარჩელეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების მისაღებად უნდა წარედგინათ შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, ხოლო მათ საფუძველზე საინვენტარიზაციო სააგენტოს ათი დღის ვადაში სახაზინო სამსახურში უნდა წარედგინა ხელშეკრულება და საგადასახადო მოთხოვნა ვალდებულების დასამოწმებლად და კომპანიებისათვის სათანადო თანხების გადასარიცხად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში დაცული იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 2003 წლის 24 ოქტომბრის 118-01-12/9016/3986 მიმართვა საქართველოს ეროვნული საინვენტარიზაციო სააგენტოსადმი, ამ უკანასკნელის 2003 წლის 1 ოქტომბრის 101/03-403 და 101/03-404 წერილებზე კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებების რეგისტრაციისა და თანხების გაცემასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნული იყო, რომ «2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით გადადებული იყო ხელშეკრულებისა და ვალდებულებების რეგისტრაცია.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სახაზინო სამსახურის მიერ ხელშეკრულებების რეგისტრაციის გადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების გადაუხდელობით 2003 წლის ოქტომბრის თვიდან დაირღვა მოსარჩელეთა უფლებები, რაც მოსარჩელეთათვის იმავე თვეში იყო ცნობილი. შესაბამისად, სწორედ ამ პერიოდიდან მათ წარმოეშვათ მოთხოვნის უფლება, რადგან ვერ მიიღეს სათანადო თანხები და სწორედ 2003 წლის ოქტომბრის თვიდან უნდა დაწყებულიყო სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა, რომელიც 2006 წლის ოქტომბრის თვეში ამოიწურა, ხოლო მოსარჩელეებმა სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მხოლოდ 2006 წლის 14 ნოემბერს მიმართეს, ანუ სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გაშვებით, რაც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. ამასთან, საქმის მასალებით ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას ან შეწყვეტას ადგილი არ ჰქონია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შპს «...», შპს «...», შპს «...», შპს «...», შპს «...» და შპს «...». კასატორებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს სააპელაციო საჩივრები, გამოტანილია კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რაც გამოიხატა იმაში, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მიუთითა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრების მოთხოვნებს და ჩაის ფაბრიკების გაერთიანებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მიუთითა, რაც კასატორმა უკანონოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ საინვესტიციო სააგენტოს სააპელაციო საჩივარი აგებული იყო იმ მოტივაციაზე, რომ მას ყველა ვალდებულება ჰქონდა შესრულებული, რაც გამოიხატებოდა სუბვენციის თანხის გადარიცხვის თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისადმი საგადასახადო დავალების მიცემით. სააგენტო ასევე მიუთითებდა, რომ ვალდებულება, რომელიც გულისხმობდა თანხის გადახდას, არ შეიძლებოდა შეესრულებინა სააგენტოს, რადგან იგი არ იყო სახელმწიფო სახსრების გამცემი უფლებამოსილი ორგანო.

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სააპელაციო საჩივარი მიმართული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის განკარგულებით დამტკიცებული «ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით» ინსტრუქციის ნორმების არასწორ განმარტებაზე. სახაზინო სამსახური მიუთითებდა,

რომ მათი მხრიდან ვალდებულების დამოწმება სულაც არ წარმოშობდა თანხების გადარიცხვის უპირობო მოვალეობას. სახაზინო სამსახურის განმარტებით, ვალდებულების დამოწმება სახელმწიფოს მხრიდან ბიუჯეტის სახსრების განკარგვაზე ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა. როგორც ირკვევა, არც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სააპელაციო საჩივარში იყო მითითებული მოსარჩელების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე და მით უმეტეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე.

ამდენად, კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო საჩივრებში ჩაის ფაბრიკების მიმართ შეუსრულებელ ვალდებულებათა გადანაწილებაზეა მსჯელობა. სააპელაციო სასამართლომ კი, მიუხედავად იმისა, რომ სადავო გადაწყვეტილებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლზე მიუთითა, გასცდა ორივე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთადერთ მოტივად ხანდაზმულობაზე მიუთითა, რითაც დაარღვია როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლი, ისე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლი.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია მოცემულ შემთხვევაში ჩაის ფაბრიკებისა და სახაზინო სამსახურის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად და აღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილზე. კასატორის განმარტებით, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება გულისხმობს, როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის ვალდებულების შესრულების კონკრეტული ვადების წინასწარ განსაზღვრის აუცილებლობას. თუ დეტალურად არ არის გაწერილი კონკრეტული ვადები, მხარეს შეუძლია ვალდებულების დამრღვევს წაუყენოს პრეტენზია ზოგადი პრინციპების საფუძველზე – ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე. კასატორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების კონკრეტული ვადა განსაზღვრულია მხოლოდ ერთი მხარის – ჩაის ფაბრიკებისათვის, კერძოდ, ხელშეკრულების 2.3 მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, ჩაის გადამამუშავებელი კომპანიის ვალდებულებაა ყოველი თვის ხუთ რიცხვამდე მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს, განვლილი თვის განმავლობაში გადამამუშავებლად მიღებული ჩაის ფოთლის შესახებ და წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. ჩაის კომპანიის მიერ აღნიშნული ვალდებულების შესრულების შემდგომ, ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, კი საინვესტიციო სააგენტო ჩაის კომპანიის მიერ შესაბამისი დოკუმენტის სრულყოფილად წარმოდგენიდან 10 დღეში მისცემდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს საგადასახადო დავალებას, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად მიღებული ჩაის ფოთოლზე გასაწევი სუბვენციის თანხის გადარიცხვის თაობაზე. არც ხსენებული მუხლიდან და არც ხელშეკრულების სხვა დებულებიდან კონკრეტული ვადა თუ როდის უნდა მოეხდინა სახაზინო სამსახურს თანხების ფაქტობრივად გადარიცხვა, მითითებული არ არის. შესაბამისად, ვერც ჩაის ფაბრიკებისათვის გახდებოდა ცნობილი კონკრეტულად როდისა და აეთვალა სახაზინო სამსახურის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება. აქედან გამომდინარე, ჩაის ფაბრიკები უფლებამოსილნი იყვნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის თუ საინვესტიციო სააგენტოს მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ვადის ათვლა დაეწყოთ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან, კერძოდ, 2003 წლის 31 დეკემბრიდან. ამდენად, კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოცემული შემთხვევის პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად მიჩნევას და მასზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესის გავრცელებას. მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო სახელშეკრულებო ვალდებულება და ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვიდან.

კასატორი ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა მომხდარიყო 2003 წლის ოქტომბრიდან. კასატორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას ადგილი არ ჰქონია და შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე. ამდენად, ვინაიდან სარჩელი შეტანილია 2006 წლის 14 ნოემბერს, იგი არ შეიძლება მიჩნეულიყო ხანდაზმულად. ამასთან, კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ 2006 წლის 8 ნოემბრის წერილის უარყოფას იმ მოტივით, რომ მას არ ერთვის კრედიტორული დავალიანების დაზუსტებული ნუსხა. კასატორის მტკიცებით, აღნიშნულ წერილს თანდართული აქვს კრედიტორული დავალიანებების ნუსხა, თუმცა აღნიშნული ნუსხა რომც არ ყოფილიყო სახაზინო სამსახურისათვის ისედაც ცნობილი იყო თითოეული კომპანიის მიმართ არსებული დავალიანების ოდენობის შესახებ. ამასთან, საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა მიიჩნევათ თუ არა სააპელაციო სასამართლო 2006 წლის 8 ნოემბრის წერილს აღიარებდა, ვინაიდან ჩაის ფაბრიკების მიერ სასამართლოში სარჩელი შეტანილი იყო დროულად, ხოლო რაც შეეხება კომპანიების მიერ ვალდებულების ჯეროვან შესრულებას, მას არც ერთი მხარე სადავოდ არ ხდოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს «...», შპს «...», შპს «...» და შპს «...» საკასაციო საჩივარი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მარტის განჩინებით კი, შპს «...» და შპს «...» საკასაციო საჩივარი ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველი დარჩა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის განჩინებით შპს «...», შპს «...», შპს «...» და შპს «...» საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2010 წლის 18 მარტს, 12.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მომენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოში იხილება მხოლოდ შპს «...», შპს «...», შპს «...» და შპს «...» საკასაციო საჩივარი, ვინაიდან შპს «...» და შპს «...» ნაწილში საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მარტის განჩინებით ხარვეზის შეუვსებლობის გამო დარჩა განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2003 წლის 1 მაისს შპს «...» და საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საგანს ხელშეკრულების პირველი მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ შპს «...», როგორც ჩაის გადამამუშავებელი კომპანიისათვის, ჩაის ფოთლის მიღების პროცესში, ჩაის ფოთლის ჩამბარებლებზე გასანაწილებლად, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სახელმწიფოს მხრიდან ჩაის მოყვანის ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული სახსრებიდან, სუბვენციის სახით თანხის გამოყოფა. ხელშეკრულების მე-2 მუხლით განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობები, კერძოდ, 2.1 მუხლის «ა» პუნქტით დადგინდა იქნა, რომ «სუბვენციის გამცემი» ვალდებული იყო შპს «...» ჩაის ფოთლის მიღების პროცესში, გადასამუშავებლად მიღებულ ყოველ კილოგრამზე, გამოეყო მინიმუმ 2,1 თეთრი, ფოთლის მიღების დოკუმენტაციის წარმოდგენის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 15600 ტონისა. იმავე მუხლის «გ» პუნქტით, მოსარჩელისათვის თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების 2.3 მუხლის «ბ» პუნქტით, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 დღეში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, რომელსაც შესაბამის საგადახდო დავალებას აძლევდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. ხელშეკრულების 2.3 მუხლის «ა» პუნქტის მიხედვით, ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი კომპანია, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებდა, რომ 2003 წლის 1 ნოემბრამდე გადამამუშავების მიზნით მიეღო მინიმუმ 15600 ტონა ჩაის ფოთლი. ხელშეკრულების 2.4 მუხლის «ბ» პუნქტით, შპს «...» უფლება ჰქონდა სააგენტოსგან მოეთხოვა, ხოლო 2.2 მუხლის «გ» პუნქტით, სააგენტოს ავანსის სახით მისთვის უნდა გადაეხდა თანხა 163,8 ათასი ლარის ოდენობით. ხსენებული ხელშეკრულება, მისი მე-4 მუხლის მიხედვით, მოქმედებდა 2003 წლის 31 დეკემბრამდე. 2003 წლის 13 მაისს შპს «...» და საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ამჯერად როგორც ექსპორტიორ კომპანიისათვის. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ შპს «...», როგორც ჩაის პროდუქციის ექსპორტიორი კომპანიისათვის, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სახელმწიფოს მხრიდან ჩაის მოყვანის ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული სახსრებიდან ექსპორტიონისათვის სუბვენციის სახით თანხის გამოყოფა. ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობები, კერძოდ, 2.1 მუხლის «ა» პუნქტით დადგინდა, რომ «სუბვენციის გამცემი» ვალდებული იყო შპს «...» ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულების ასანაზღაურებლად მიღებულ 1 აშშ დოლარზე სუბვენციის სახით გამოეყო მინიმუმ 10 თეთრი, ექსპორტის განხორციელებისა და თანხის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 3265 ტონა ექსპორტირებულ ჩაის პროდუქტზე. იმავე მუხლის «გ» პუნქტით, მოსარჩელისათვის თანხის გადაერიცხვა უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების 2.3 მუხლის «ბ» პუნქტით გათვალისწინებული, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 დღეში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, რომელსაც შესაბამის საგადახდო დავალებას აძლევდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. ამ ხელშეკრულების 2.3 მუხლის «ა» პუნქტის მიხედვით, ჩაის ფოთლის ექსპორტიორი კომპანია, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებდა, რომ 2003 წლის 15 დეკემბრამდე განეხორციელებინა მინიმუმ 3265 ტონა ჩაის პროდუქციის ექსპორტი. ხელშეკრულების 2.4 მუხლის «ბ» პუნქტით, შპს «...» უფლება ჰქონდა სააგენტოსგან მოეთხოვა, ხოლო 2.2 მუხლის «გ» პუნქტით, სააგენტოს ავანსის სახით მისთვის უნდა გადაერიცხა თანხა – 122,4 ათასი ლარის ოდენობით. ხსენებული ხელშეკრულება, მისი მე-4 მუხლის მიხედვით, მოქმედებდა 2003 წლის 31 დეკემბრამდე.

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალების მიხედვით, ასევე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2003 წლის 1 მაისს შპს «...» და საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საგანს ხელშეკრულების პირველი მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ შპს «...» როგორც ჩაის გადამამუშავებელი კომპანიისათვის, ჩაის ფოთლის მიღების პროცესში, ჩაის ფოთლის ჩამბარებლებზე გასანაწილებლად, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სახელმწიფოს მხრიდან ჩაის მოყვანის ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული სახსრებიდან, სუბვენციის სახით თანხის გამოყოფა, მე-2 მუხლით განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობები, კერძოდ, 2.1 მუხლის «ა» პუნქტით დადგინდა, რომ «სუბვენციის გამცემი» ვალდებული იყო შპს «...» ჩაის ფოთლის მიღების პროცესში, გადასამუშავებლად მიღებულ ყოველ კილოგრამზე, გამოეყო მინიმუმ 2.1 თეთრი, ფოთლის მიღების დოკუმენტაციის წარმოდგენის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 600 ტონისა. იმავე მუხლის «გ» პუნქტით, მოსარჩელისათვის თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების 2.3 მუხლის «ბ» პუნქტით, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 დღეში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, რომელსაც შესაბამის საგადახდო დავალებას აძლევდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. ამ ხელშეკრულების 2.3 მუხლის «ა» პუნქტის მიხედვით, ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი კომპანია, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებდა, რომ 2003 წლის 1 ნოემბრამდე გადამამუშავების მიზნით მიეღო მინიმუმ 600 ტონა ჩაის ფოთლი. ხელშეკრულების 2.4 მუხლის «ბ» პუნქტით, შპს «...» უფლება ჰქონდა სააგენტოსგან მოეთხოვა, ხოლო 2.2 მუხლის «გ» პუნქტით, სააგენტოს ავანსის სახით მისთვის უნდა გადაერიცხა თანხა 6,3 ათასი ლარის ოდენობით. ხსენებული ხელშეკრულება,

დადგინდა, რომ «სუბვენციის გამცემი» ვალდებული იყო შპს «...» ჩაის ფოთლის მიღების პროცესში, გადასამუშავებლად მიღებულ ყოველ კილოგრამზე, გამოეყო მინიმუმ 2.1 თეთრი, ფოთლის მიღების დოკუმენტაციის წარმოდგენის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 150 ტონისა. იმავე მუხლის «გ» პუნქტით, მოსარჩელისათვის თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების 2.3 მუხლის «ბ» პუნქტით, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 დღეში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, რომელსაც შესაბამის საგადახდო დავალებას აძლევდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. ამ ხელშეკრულების 2.3 მუხლის «ა» პუნქტის მიხედვით, ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი კომპანია, თავის მხრივ, ვალდებული იქნებოდა, რომ 2003 წლის 1 ნოემბრამდე გადამამუშავების მიზნით მიეღო მინიმუმ 150 ტონა ჩაის ფოთოლი. ხელშეკრულების 2.4 მუხლის «ბ» პუნქტით, შპს «...» უფლება ჰქონდა სააგენტოსაგან მოეთხოვა, ხოლო 2.2 მუხლის «გ» პუნქტით, სააგენტოს ავანსის სახით მისთვის უნდა გადაერიცხა თანხა 1,5 ათასი ლარის ოდენობით. ხსენებული ხელშეკრულება, მისი მე-4 მუხლის მიხედვით, მოქმედებდა 2003 წლის 31 დეკემბრამდე. 2003 წლის 13 მაისს შპს «...» და საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ამჯერად როგორც ექსპორტიორ კომპანიასთან. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ შპს «...». როგორც ჩაის პროდუქციის ექსპორტიორი კომპანიისათვის, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სახელმწიფოს მხრიდან ჩაის მოყვანის ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული სახსრებიდან ექსპორტისათვის სუბვენციის სახით თანხის გაყოფა. ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობები, კერძოდ, 2.1 მუხლის «ა» პუნქტით დადგინდა, რომ «სუბვენციის გამცემი» ვალდებული იყო «...» ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულების ასანაზღაურებლად მიღებულ 1 აშშ დოლარზე სუბვენციის სახით გამოეყო მინიმუმ 10 თეთრი, ექსპორტის განხორციელებისა და თანხის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 80 ტონა ექსპორტირებულ ჩაის პროდუქტზე. იმავე მუხლის «გ» პუნქტით, მოსარჩელისათვის თანხის გადარიცხვა უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების 2.3 მუხლის «ბ» პუნქტით გათვალისწინებული, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 დღეში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, რომელსაც შესაბამის საგადახდო დავალებას აძლევდა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. ამ ხელშეკრულების 2.3 მუხლის «ა» პუნქტის მიხედვით, ჩაის ფოთლის ექსპორტიორი კომპანია, თავის მხრივ, ვალდებული იქნებოდა, 2003 წლის 15 დეკემბრამდე განეხორციელებინა მინიმუმ 80 ტონა ჩაის პროდუქციის ექსპორტი. ხელშეკრულების 2.4 მუხლის «ბ» პუნქტით, შპს «...» უფლება ჰქონდა სააგენტოსაგან მოეთხოვა, ხოლო 2.2 მუხლის «გ» პუნქტით, სააგენტოს ავანსის სახით მისთვის უნდა გადაერიცხა თანხა 3,0 ათასი ლარის ოდენობით. ხსენებული ხელშეკრულება, მისი მე-4 მუხლის მიხედვით, მოქმედებდა 2003 წლის 31 დეკემბრამდე. ყველა მოსარჩელესთან 2003 წლის 1 მაისს დადებულ მითითებულ ხელშეკრულებაში 2003 წლის 28 ნოემბერს მხარეთა შეთანხმებით შევიდა ცვლილება და 5.1 მუხლით დადგინდა, რომ ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი კომპანიის მიერ, 2003 წლის პირველ ნოემბრამდე ხელშეკრულების 2.3 მუხლის «ა» პუნქტით განსაზღვრული რაოდენობა ჩაის ფოთლის 50%-ზე ნაკლების გამოამუშავების შემთხვევაში სააგენტო სუბვენციას განახორციელებდა 1 კგ. ჩაის ფოთოლზე – 3,49498 თეთრის ოდენობით. 2003 წლის 13 მაისს მოსარჩელესთან დადებულ მითითებულ ხელშეკრულებებში 2003 წლის 29 დეკემბერს მხარეთა შეთანხმებით შევიდა ერთნაირი ცვლილება და 5.1 მუხლით დადგინდა, რომ ჩაის ფოთლის ექსპორტიორი კომპანიის მიერ, 2003 წლის 15 დეკემბრამდე ხელშეკრულების 2.3 მუხლის «ა» პუნქტით განსაზღვრული რაოდენობის ჩაის ფოთლის 50%-ზე ნაკლების ექსპორტირების შემთხვევაში სააგენტო სუბვენციას განახორციელებდა ყოველ ანაზღაურებულ აშშ დოლარზე 0,1 ლარის ოდენობით, ხოლო 50%-ზე მეტი რაოდენობით შესრულების შემთხვევაში – ყოველ ანაზღაურებულ აშშ დოლარზე 0,27169 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ იმ გარემოებაზეც, რომ შპს «...» და საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულებებიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ დარეგისტრირებულ და ანაზღაურებულ იქნა ორი ვალდებულება, თანხით – 286,200 ლარი, ხოლო დარეგისტრირებულია ერთი ვალდებულება, თანხით – 4208 ლარი, რომელიც ანაზღაურებული არ არის. შპს «...» და საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულებებიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ დარეგისტრირებულია ერთი ვალდებულება, თანხით – 5250 ლარი, რომელიც არ არის ანაზღაურებული. შპს «...» და საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულებებიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ დარეგისტრირებულია ერთი ვალდებულება, თანხით – 3150 ლარი, რომელიც ანაზღაურებული არ არის. რაც შეეხება შპს «...», მასსა და საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულებებიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ დარეგისტრირებული და ანაზღაურებული იქნა ერთი ვალდებულება, თანხით – 3390 ლარი, ხოლო დარეგისტრირებულია ხუთი ვალდებულება, თანხით – 9207 ლარი, რომელიც ანაზღაურებული არ არის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ» საქართველოს კანონი არეგულირებს საინვესტიციო სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ფონდის სახსრების რაციონალური მართვა და განაწილება თავდებობის, სუბვენციისა და სუბსიდიის სახით, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების ან მიზნობრივი პროგრამების შესაბამისად; პოტენციურ ინვესტორებთან მოლაპარაკებების წარმოება საწარმო-საინვესტიციო პროექტების განხორციელებისათვის საჭირო ინვესტიციებისა და გრანტების მოზიდვის მიზნით. ამ კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, მეწარმეობის განვითარების პროგრამების განხორციელების სახელმწიფო ხელშეწყობის ერთ-ერთი ფორმაა სუბვენცია, ამავე კანონის განმარტებით, განსაზღვრული ოდენობის მიზნობრივი ფულადი დახმარება, რო-

მელსაც საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო გამოყოფს შესაბამისი ღონისძიების ან/და ობიექტის დასაფინანსებლად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმის მასალებში დაცულია საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსა და შპს «...», შპს «...», შპს «...» და შპს «...» შორის გაფორმებული ხელშეკრულებები (შესაბამისი ცვლილებებითა და დამატებებით), რომლებიც ადგენდა გარკვეულ უფლებებსა და ვალდებულებებს ხელშეკრულებით მხარეებისათვის. აღნიშნული ხელშეკრულებებით ცალსახად დგინდებოდა სუბვენციის გამცემის ვალდებულება, რომ ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულების ასანაზღაურებლად, სუბვენციის მიმღებისთვის გამოეყო გარკვეული თანხა, ექსპორტის განხორციელებისა და თანხის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის შესაბამისად. ხსენებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის «გ» პუნქტების თანახმად, სუბვენციის გამცემი ვალდებული იყო, სუბვენციის მიმღების – ჩაის გადამამუშავებელი კომპანიის მიერ ხელშეკრულებების 2.3 მუხლის «ბ» პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენიდან 10 დღეში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის მიეცა საგადახდო დავალება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მიღებულ ჩაის ფოთოლზე გასაწევი სუბვენციის თანხის კომპენსაციისათვის გადარიცხვის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის 11307 განკარგულებით (ძალადაკარგულია საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 3 დეკემბრის 11070 განკარგულებით) დამტკიცებული ინსტრუქციის – «ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით» პირველ მუხლზე, რომლის შესაბამისად, ეს ინსტრუქცია განსაზღვრავდა ბიუჯეტით დამტკიცებული კლასიფიკაციით გათვალისწინებული ყველა მუხლის მიხედვით, ხარჯების გაწევის პროცედურებს, რომლებიც ხორციელდებოდა ხაზინის მეშვეობით (სახელმწიფო გადასახდელები) და გაიცემოდა ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრებიდან. ხსენებული მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ ინსტრუქციის ძალაში შესვლის შემდეგ, დაუშვებელი იყო ცენტრალური საბიუჯეტო სახსრებიდან თანხების გაცემა ვალდებულება-დამოწმების გარეშე. ამავე ინსტრუქციის მე-3 მუხლი ეხებოდა ხარჯების განხორციელების ეტაპებს, კერძოდ, ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახაზინო სამსახურის მიერ ცენტრალური ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევა ხორციელდებოდა 4 ეტაპად: ვალდებულება, დამოწმება, სახსრების გამოყოფა და სახსრების ფაქტობრივი გაცემა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხარჯების განხორციელების ზემოხსენებული ეტაპები – ვალდებულება, დამოწმება, სახსრების გამოყოფა და სახსრების ფაქტობრივი გაცემა იყო ხარჯების გაწევის ერთიანი პროცესის შემადგენელი ნაწილები, ხოლო ვალდებულების დამოწმებით სახელმწიფო იღებდა, როგორც ინფორმაციის ხარჯების შესახებ, ასევე – თანხის მიმღების მიმართ ვალდებულებას, რომ გადაეხადა მისთვის თანხა, რაზეც მიუთითებდა საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის 11307 განკარგულებით დამტკიცებული ინსტრუქციის – «ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით» მე-11 მუხლი, რომლის თანახმად, წლის განმავლობაში დარეგისტრირებული შესრულებული დამოწმება წარმოადგენდა დავალიანებას, გადადიოდა მომდევნო წელს და დაიფარებოდა დავალიანებათა დაფარვისათვის დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მართალია, სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსა და შპს «...», შპს «...», შპს «...» და შპს «...» შორის 2003 წლის 1 მაისსა და 2003 წლის 13 მაისს დადებული ხელშეკრულებების 4.1 მუხლები შეიცავდა დათქმას, რომ ეს ხელშეკრულებები ძალაში შედიოდა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში რეგისტრაციის შემდეგ და ძალაში იყო 2003 წლის 31 დეკემბრამდე, მაგრამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში ამავე ხელშეკრულებების რეგისტრაცია მოიცავდა შესაბამისი ვალდებულებების რეგისტრაციასაც, რადგან ხსენებული ვალდებულებები სწორედ დასახელებული ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსა და მოსარჩელებს შორის დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული რიგი ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ არ არის დარეგისტრირებული. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტომ სახაზინო სამსახურში ვალდებულების დოკუმენტები და საგადასახდო დავალებები წარადგინა 410755,27 ლარზე, ხოლო სახაზინო სამსახურმა ვალდებულება აიღო მხოლოდ 33362,00 ლარზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯერონად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამავე კოდექსის 316-ე მუხლით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოთხოვოს მოვალეს მოქმედების შესრულება. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ არის დამოწმებული და არ არის შესრულებული, უნდა დაეკისროს სწორედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს, ვინაიდან ვალდებულების აღება და დამოწმება წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების დამადასტურებელ გარემოებას.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისადმი შპს «...», შპს «...» და შპს «...» სასარგებლოდ რეგისტრირებული თანხების დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნების ხანდაზმულობაზე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს პერიოდულად შესასრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა, ამავე კოდექსის 129-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების მიმართ ხანდაზმულობის ვადა ასევე შეადგენს სამ წელს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თა-

ნახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი ითვლებოდა დრო როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტომ საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მიუთითა, რომ მან 149, 1161 და 1162 საგადახდო დავალებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარადგინა 2003 წლის 19 ნოემბერს. ამასთან, საკასაციო სასამართლო საქმის მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს, რომ 2003 წლის 1 მაისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს «...» (შპს «...») ვალდებულების დოკუმენტი 149 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში დარეგისტრირდა 2003 წლის 21 ნოემბერს, შპს «...» ვალდებულების დოკუმენტი 1162 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში დარეგისტრირდა 2003 წლის 21 ნოემბერს, შპს «...» ვალდებულების დოკუმენტი 1161 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში დარეგისტრირდა 2003 წლის 21 ნოემბერს. შესაბამისად, ხსენებული თარიღიდან წარმოეშვათ მათ მოთხოვნის უფლება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიმართ და სწორედ ხსენებული თარიღიდან უნდა ათვლილიყო მათი სასარჩელო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადაც.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები ძალაში შევიდა, მოქმედებდა და წარმოეშვა შპს «...», შპს «...» და შპს «...» სარჩეოზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის შესაბამისი ფინანსური ვალდებულებები შპს «...», შპს «...» და შპს «...» მიმართ.

რაც შეეხება შპს «...» სასარჩელო მოთხოვნას, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიმართ შპს «...» სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, ვინაიდან 2003 წლის 1 მაისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს «...» ვალდებულების დოკუმენტი 158 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში დარეგისტრირდა 2003 წლის 25 ივნისს, 167 ვალდებულების დოკუმენტი დარეგისტრირდა 2003 წლის 18 ივლისს, 181 ვალდებულების დოკუმენტი დარეგისტრირდა 2003 წლის 18 აგვისტოს, 105 ვალდებულების დოკუმენტი დარეგისტრირდა 2003 წლის 26 სექტემბერს, 112 ვალდებულების დოკუმენტი დარეგისტრირდა 2003 წლის 9 ოქტომბერს. ამდენად, შპს «...» ხსენებული თარიღებიდან წარმოეშვა მოთხოვნის უფლება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიმართ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. შპს «...» 2003 წლის ოქტომბრიდან ცნობილი იყო მისი უფლების დარღვევის ფაქტი, ხოლო სარჩელი სასამართლოში შეიტანა 2006 წლის 14 ნოემბერს, ანუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის დარღვევით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს უნდა დაეკისროს დარეგისტრირებული ვალდებულებების შესრულება, რომლებიც შეადგენს: შპს «...» მიმართ (149 ვალდებულება) 4208 ლარს, შპს «...» მიმართ (1162 ვალდებულება) 3150 ლარს, შპს «...» მიმართ (1161 ვალდებულება) 5250 ლარს, რაც შეეხება დაურეგისტრირებელ ვალდებულებებს, რომ საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რის მიხედვითაც აღნიშნული თანხის გადახდა ეკისრებოდა საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს, ვინაიდან მას ევალებოდა საგადახდო დავალებების მიცემის შემდეგ ვალდებულების რეგისტრირებისა და დამოწმების უზრუნველსაყოფად ღონისძიებების გატარება, ამასთან, საკასაციო სასამართლო იზარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ხსენებულ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნების ხანდაზმულობაზე და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილში კანონიერია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს «...», შპს «...», შპს «...» და შპს «...» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის შპს «...» სასარგებლოდ – 4208 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 3150 ლარისა და შპს «...» სასარგებლოდ – 5250 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «...», შპს «...» და შპს «...» სასარჩელო მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილდება, ხოლო დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს «...», შპს «...», შპს «...» და შპს «...» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისათვის შპს «...» სასარგებლოდ – 4208 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 3150 ლარისა და შპს «...» სასარგებლოდ – 5250 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს «...», შპს «...» და შპს «...» სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს შპს «...» სასარგებლოდ – 4208 ლარის, შპს «...» სასარგებლოდ – 3150 ლარისა და შპს «...» სასარგებლოდ – 5250 ლარის გადახდა დაეკისროს;

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის წინაპირობები

განჩინება

1ბს-1536-1111 (კ-05)

20 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: დავალიანების გადახდევინება.

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 5 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სახელმწიფო დეპარტამენტმა მოპასუხის სს «...» მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა სს «...» დაკისრებოდა უკანონოდ გახარჯული 482237 ლარი, ბენზინის ღირებულების – 203829,66 ლარისა და საურავის – 224615,96 ლარის გადახდა.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 21 ივნისის 1367-13 დადგენილების საფუძველზე სახელმწიფო კონცერნ «...» ქუთაისის ... საწარმოში საპასუხისმგებლო შენახვაზე 1995 წლის 08 ნოემბერს განთავსდა 220 000 ლარის ღირებულების 520710 კგ. «ა-76» მარკის ბენზინი, რაზედაც გაფორმდა მიღების აქტი, საპასუხისმგებლო შენახვისათვის 1... ქუთაისის ... საწარმოს მიერ 1995 წლის 08 ნოემბერს გაიცა საგარანტიო წერილი 1256, რომლის შესაბამისად, ქუთაისის ... საწარმო არ დაუშვებდა ბენზინის გახარჯვას საქართველოს მთავრობისა და მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის თანხმობის გარეშე, ხოლო თვითნებურად გახარჯვის შემთხვევაში, მოპასუხე კისრულობდა პასუხისმგებლობას გახარჯული ბენზინის ღირებულების 100% ანაზღაურებაზე და ყოველთვის საურავს 15%-ის ოდენობით, გახარჯვის დღიდან ბენზინის რაოდენობის სრულ აღდგენამდე. 2000 წლის 31 მარტს დეპარტამენტმა შეამოწმა სს «...» სახელმწიფო რეზერვის მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა-ანგარიშგება და ფაქტობრივი მდგომარეობა. 129 რეზერვუარში ბენზინის აზომვის დროს ბენზინის ნაშთი არ აღმოჩნდა, რაც 2000 წლის 30 მარტის მდგომარეობით შეადგენდა 482437 კგ, ხოლო მისი ღირებულება – 203 829,66 ლარს.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მათ მხედველობაში მიიღეს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ «...» 2000 წლის შემოწმების შედეგები. შედგა შესაბამისი აქტი და გაიცა ცნობა 129 რეზერვუარში ნავთობპროდუქტების მოძრაობის დინამიკის შესახებ, რომლის შესაბამისად, სს «...» პერიოდულად, სახელმწიფო დეპარტამენტის სათანადო ნებართვის გარეშე, საკუთარი ინტერესების გამო, ნავთობპროდუქტებს უკანონოდ განხარჯავდა, რაზედაც სახელმწიფო დეპარტამენტს საურავი არ დაუკისრებია. კონტროლის პალატის ცნობის საფუძველზე სს «...» ნავთობპროდუქტების თვითნებურად ხარჯვისთვის საურავის სახით 224615,96 ლარი ერიცხებოდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 10 ივლისის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სახელმწიფო დეპარტამენტის შუამდგომლობა და საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს კონტროლის პალატა.

საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სახელმწიფო დეპარტამენტმა 2003 წლის 4 აგვისტოს განცხადებით დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და ნაცვლად საურავის სახით დარიცხული 224615,96 ლარისა, მოითხოვა – 1413648 ლარის დარიცხვა, რამაც ძირითად თანხასთან ერთად შეადგინა – 1617477 ლარი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 05 სექტემბრის საოქმო განჩინებით გაზრდილი სასარჩელო განცხადება არ იქნა წარმოებაში მიღებული და დაუბრუნდა მოსარჩელეს, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წარმოდგენილ დამატებით სასარჩელო განცხადებას არ დაეთანხმა მოპასუხე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სახელმწიფო დეპარტამენტის სასარჩელო მოთხოვნა დავალიანების გადახდევინების შესახებ ხანდაზმულობისა და დაუსაბუთებლობის გამო არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2000 წლის 31 მარტს, როცა შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სს «...» შენახვაზე არსებული ბენზინი გახარჯული იყო მოპასუხის მიერ უნებართვოდ. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლისა ამ მომენტიდან იწყება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა, რაც ამავე კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად შეადგენს 3 წელს. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განხილვაში იყო 2000 წლის 3 აპრილით დათარიღებული საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სახელმწიფო დეპარტამენტის სასარჩელო განცხადება, რომელიც მოპასუხის გამუცხადებლობის გამო დარჩა განუხილველი. სამო-

ქალაქო საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეჩერებულა. მეორე სარჩელი მოსარჩელის მიერ დათარიღებულია 2002 წლის 15 ივლისით, რომელიც მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, ასევე დარჩა განუხილველად. შესაბამისად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმავე მუხლის მიხედვით ხანდაზმულობის ვადა არც ამ შემთხვევაში შეჩერებულა. მესამე სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2003 წლის 24 აპრილს, რაც ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად გასულია ხანდაზმულობის ვადა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სახელმწიფო დეპარტამენტმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 10 ივნისის განჩინებით საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სახელმწიფო დეპარტამენტმა.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 10 ივნისის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით ს. „...“ საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის სასარგებლოდ 1 617 477 ლარის დაკისრებას ან გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 მარტის განჩინებით საქართველოს შს სამინისტროს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საქართველოს შს სამინისტროს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის (ყოფილი სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები, ამასთან განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეიტყო უფლების დარღვევის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი აქვს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტსა და ს.ს. „...“ შორის მიბარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილ დავას, რის გამოც, ურთიერთობის გადასაწყვეტად გამოყენებულ უნდა იქნას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, რომელიც სახელშეკრულებო მოთხოვნებზე აწესებს სამწლიან ვადას.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება სარჩელის შეტანის დღიდან, ხოლო 141-ე მუხლის მიხედვით, თუ შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თავდაპირველად სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტმა სასამართლოს მიმართა 2000 წლის 4 აპრილს, რაც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2001 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით დარჩა განუხილველად, მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება მოსარჩელეს ჩაბარდა 2001 წლის 22 ოქტომბერს, რაც დადასტურებულია სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის 2001 წლის 25 ოქტომბრის წერილით.

ახალი სარჩელით მოსარჩელემ სასამართლოს მიმართა 2002 წლის 15 ივლისს, ანუ რვა თვის შემდეგ. აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით დგინდება, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით სარჩელი კვლავ დარჩა განუხილველად, მხარეთა გამოუცხადებლობის გამო.

სასამართლოს განჩინება სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის წარმომადგენელ ქ-მეს ჩაბარდა იმავე დღეს, თუმცა განჩინება არც ამჯერად იქნა გასაჩივრებული და მოსარჩელემ სასამართლოს განსახილველი (მესამე) სარჩელი წარუდგინა 2003 წლის 5 მაისს.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელი სასამართლოში შეტანილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დარღვევით, რაც სააპელაციო სასამართლოს მითითებით, წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კანონიერ საფუძველს.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს კონტროლის პალატამ და საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტმა.

კასატორები – საქართველოს კონტროლის პალატა და საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი საკასაციო საჩივრებით ითხოვდნენ ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 28 სექტემბრის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტლებით საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

კასატორი – საქართველოს კონტროლის პალატა მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ მოახდინა ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება; სასამართლომ დავის გადაწყვეტისა არ გამოიყენა არანაირი მატერიალური კანონი; სააპელაციო სასამართლომ არასწორად მოახდინა არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შეფასება. კასატორის აზრით, აღნიშნული არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეფასდეს როგორც სახელმწიფო ურთიერთობა. გამომდინარე აქედან გამოყენებულ უნდა იქნას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა; სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი, რომლის გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლები არსებობდა, შესაბამისად სახეზე გვაქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დადგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველი.

კასატორი – საქართველოს შს სამინისტროს სსიპ სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის მოთხოვნა. სასამართლომ განმარტა, რომ საფოსტო ქვითარს ვერ მიიღება უტყუარ მტკიცებულებად, ვინაიდან არ შეიცავდა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ ცნობას. კასატორის აზრით, სასამართლოს განმარტება არასწორია, ამასთან მან არ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება მტკიცებულებათა შეგროვებასთან დაკავშირებით.

კასატორი აღნიშნავდა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ექვსთვიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების ძალაში შესვლის დღიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება კერძო საჩივრით შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში. შესაბამისად ექვსთვიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 2002 წლის 5 ნოემბრიდან.

კასატორი ასევე მიუთითებდა, რომ სასამართლომ დავის გადაწყვეტისას მხედველობაში არ მიიღო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის შინაარსი, რომლის ამოქმედების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები არსებობდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 8 დეკემბრის განჩინებით საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად დაუშვებლობის მოტივით, ვინაიდან, კასატორის მიერ საკასაციო საჩივარი წარმოდგენილი იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლში მითითებული ერთ თვიანი ვადის გადაცილებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 25 იანვრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაკმაყოფილდა; გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 8 დეკემბრის განჩინება და საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 17 თებერვლის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობა უნდა შემოწმებულიყო 2006 წლის 9 მარტამდე.

2006 წლის 22 თებერვალს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა საქართველოს შს სამინისტროს სსიპ-სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტმა საქმის წარმოების შეჩერებასთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 14 აპრილის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის შუამდგომლობა საკასაციო საჩივრებზე საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე დაკმაყოფილდა; შეჩერდა საქმის წარმოება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის და საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივრებზე საფინანსო პოლიციაში სისხლის სამართლის წესით საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 11 მაისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტისა და საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივრებზე განახლდა საქმის წარმოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს კონტროლის პალატისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის საკასაციო საჩივრები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

მითითებული მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 21 იანვრის 1376-13 დადგენილების საფუძველზე სახელმწიფო კონცერნ «...» საწარმოში საპასუხისმგებლო შენახვაზე 1995 წლის 8 ნოემბერს განთავსდა 220 000 ლარის ღირებულების 520710 კგ. «ა-76» მარკის ბენზინი, რაზედაც გაფორმდა მიღების აქტი. საპასუხისმგებლო შენახვისათვის 1... საწარმოს მიერ 1995 წლის 8 ნოემბერს გაიცა საგარანტიო წერილი 1256, რომლის შესაბამისად, ქუთაისის ... საწარმო არ დაუშვებდა ბენზინის გახარჯვას საქართველოს მთავრობისა და მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის თანხმობის გარეშე, ხოლო თვითნებურად გახარჯვის შემთხვევაში, მოპასუხე კისრულობდა პასუხისმგებლობას გახარჯული ბენზინის ღირებულების 100% ანაზღაურებაზე და ყოველთვიურ საურავს 15%-ის ოდენობით, გახარჯვის დღიდან ბენზინის რაოდენობის სრულ აღდგენამდე.

2000 წლის 31 მარტს დეპარტამენტმა კონტროლის პალატის აქტზე დაყრდნობით შეამოწმა ს.ს «...» სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა-ანგარიშგება და 129 რეზერვუარში ბენზინის აზომვის დროს ბენზინის ნაშთი არ აღმოჩნდა, რომელიც 2000 წლის 30 მარტის მდგომარეობით 482437 კგ. შეადგენდა, ხოლო ღირებულება – 203 829,66 ლარს. შედგა შესაბამისი აქტი და გაიცა ცნობა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სახელმწიფო დეპარტამენტის თავდაპირველი სარჩელი სასამართლოში შესულია 2000 წლის 4 აპრილს, აღნიშნული დასტურდება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ბეჭდით, რაც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2001 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით დარჩა განუხილველად, მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება მოსარჩელეს ჩაბარდა 2001 წლის 22 ოქტომბერს, რაც დადასტურებულია სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის 2001 წლის 25 ოქტომბრის წერილით.

მოსარჩელის მიერ სარჩელის განუხილველად დატოვების განჩინება არ გასაჩივრებულა. მოსარჩელემ 2002 წლის 19 ივლისს ახალი სარჩელით მიმართა სასამართლოს. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით მეორე სარჩელიც დარჩა განუხილველად, მხარეთა გამოუცხადებლობის გამო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 24 ოქტომბრის განჩინება სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის წარმომადგენელს ჩაბარდა იმავე დღეს, აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა. მოსარჩელემ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მესამე სარჩელი წარუდგინა 2003 წლის 5 მაისს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მიხედვით კერძო სასამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მითითებას და აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი აქვს შს სამინისტროს სსიპ სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტსა და ს.ს «...» შორის მიზარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილ დავას. შესაბამისად ამ ურთიერთობის რეგულირებისას გამოყენებულ უნდა იქნას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, რომლის თანახმადაც სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს.

სასარჩელო ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს, ამასთან იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანხვედრია.

სასარჩელო განცხადებებითა და საქმეში არსებული მასალებით დადასტურებულია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს (ყოფილი სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი) ს.ს «...» მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2000 წლის 31 მარტს, როცა შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ს.ს «...» შენახული ნავთობპროდუქტები არ აღმოჩნდა რეზერვუარში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ამავე კოდექსის 140-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული.

მითითებული მუხლის პარალელურად საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის დეფინიციას, რომლის თანახმადაც, თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება სარჩელის შეტანის დღიდან. ხოლო ამავე კოდექსის 141-ე მუხლის მიხედვით, თუ შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება.

ვინაიდან პირველი სარჩელის შეტანიდან მე-2 სარჩელის შეტანამდე უდავოდ გასულია 6 თვეზე მეტი, ამ ნაწილში ცალსახა პოზიცია იმის თაობაზე, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლა ვერ დაუკავშირდება პირველი სარჩელის შეტანის მომენტს. თუმცა ასევე უდავოა, რომ მე-2 სარჩელის შეტანის მომენტისათვის სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს დაცული აქვს 3-წლიანი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს კასატორის პრეტენზიის გადამოწმებას იმ თვალსაზრისით, არის თუ არა სახეზე მე-2 და მე-3 სარჩელების უწყვეტობის დადგენის კანონისმიერი საფუძველი.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სასარჩელო განცხადება შესულია 2002 წლის 19 ივლისს. სარჩელი განუხილველად დარჩა 2002 წლის 24 ოქტომბერს. განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე მოსარჩელის წარმომადგენელს ჩაბარდა იმავე დღეს, რაც მხარეთა შორის სადავო არ არის. მე-3 სარჩელი სასამართლოში წარდგენილია 2003 წლის 5 მაისს.

საკასაციო სასამართლო სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი პოზიციების შეჯერების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კასატორთა არგუმენტაცია ძირითადად ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 6-თვიანი ვადის ათვლა უნდა დაუკავშირდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 24 ოქტომბრის განჩინების ძალაში შესვლის მომენტს, ანუ ვადის ათვლა უნდა დაიწყო 2002 წლის 6 ნოემბრიდან.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ვადის ათვლის შემოთავაზებულ პრინციპს და თვლის, რომ აღნიშნული ემყარება საპროცესო ნორმების არასწორ განმარტებას.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში არასწორად მიიჩნევს მატერიალური ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისის პროცესუალური დოკუმენტის ძალაში შესვლის მომენტთან დაკავშირებას, თუმცა ამ შემთხვევაში საჭიროდ არ თვლის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განვრცობილი მოსაზრების წარმოდგენას, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 418-ე მუხლის I ნაწილი იძლევა ცალსახა მითითებას იმის თაობაზე, რომ კერძო საჩივრის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებელი განჩინების მოქმედებას. ამდენად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორთა არგუმენტაცია დასაბუთებული არ არის საპროცესო ნორმებით, რაც არ იძლევა მისი გაზიარების შესაძლებლობას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად ჩათვალა სარჩელი ხანდაზმულად, სასამართლოს გასაჩივრებელი განჩინების მიღებისას არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, მან გამოიყენა ის კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რის გამოც არ არსებობს განჩინების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტისა და საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 28 სექტემბრის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხანდაზმულობის ვადის ათვლა

განჩინება

1ბს-944-904(კ-09)

21 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 30 ნოემბერს ნ. გ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიისა და ვ. ყ-ძის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ცხოვრობდა ქ. თბილისში, ... ქ. 111-ში მდებარე სახლის მეორე სართულზე. მის მეზობლად ცხოვრობდა ვ. ყ-ძე, მას და მოსარჩელეს ჰქონდათ საერთო შუშაბანდი. 2007 წლის 25 ოქტომბერს მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ ვ. ყ-ძესა და ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის 159 საბინაო-საექსპლუატაციო უბნის წარმომადგენელს შორის 1992 წლის 30 ივლისს გაფორმდა პრივატიზაციის ხელშეკრულება, რომლითაც ვ. ყ-ძეს მიეკუთვნა მოსარჩელის ფანჯრების წინ მდებარე საერთო სარგებლობის აივნის 18 კვ.მ ფართი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ 1992 წლის 30 ივლისის ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის 159 საბინაო-საექსპლუატაციო უბნის წარმომადგენელსა და ვ. ყ-ძეს შორის საერთო სარგებლობის აივნის 18 კვ.მ-ზე გაფორმებული პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელემ არაერთხელ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვა პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობა ლოჯიის სათავსოს ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. გ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ნ. გ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 დეკემბრის საოქმო განჩინებით არასათანადო მოპასუხე – ქ. თბილისის მერია შეიცვალა სათანადო მოპასუხით – ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლით – ძველი თბილისის რაიონის გამგეობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით ნ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. გ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1992 წლის 28 ივლისს ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის 159 საბინაო-საექსპლუატაციო უბნის წარმომადგენელს ა. გ-შვილსა და ქ. თბილისში, ... ქ. 111-ში მცხოვრებ ვ. ყ-ძეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის 1107 დადგენილების თანახმად, ა. გ-შვილმა უსასყიდლოდ გადასცა საკუთრებაში, ხოლო ვ. ყ-ძემ მიიღო ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის 159 საბინაო-საექსპლუატაციო უბნის კუთვნილი ქ. თბილისში, ... ქ. 111-ში მდებარე სამოთახიანი ბინა, რომლის საცხოვრებელი ფართი შეადგენდა 55 კვ.მ-ს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული პირების გარდა, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობდა ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედება (ბინის პრივატიზება) განახორციელა ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის 159 საბინაო-საექსპლუატაციო უბანმა, რომლის უფლებამონაცვლესაც წარმოადგენდა ძველი თბილისის რაიონის გამგეობა და არა ქ. თბილისის მერია, რომელიც წარმოადგენდა მოპასუხეს საქალაქო სასამართლოში დავის განხილვისას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქალაქო სასამართლომ საქმე განიხილა სათანადო მოპასუხე მხარისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით მაშინ, როდესაც ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, დარღვეული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის მოთხოვნები, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი იყო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს კოდექსი გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან უძრავ ნივთებთან დაკავშირებით მოთხოვნის ხანდაზმულობას კოდექსი სხვაგვარად აწესრიგებდა, ხანდაზმულობის საკითხის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო 1997 წლის 25 ნოემბრიდან ამოქმედებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენდა ათ წელს. ამ კოდექსის 129-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისას – ექვს წელს. ამავე კოდექსის 130-ე მუხლით ხანდაზმულობა იწყებოდა მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი ჩაითვლებოდა დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, ხოლო იმავე კოდექსის 144-ე მუხლის 1-ელი ნაწილით ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილი იყო, უარი ეთქვა მოქმედების შესრულებაზე.

სააპელაციო სასამართლომ ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს (საქმე 'ზს-455-44 (კ-05)) განჩინებაზე, რომელშიც განმარტებული იყო, რომ ხანდაზმულობა წარმოადგენდა ვადას, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლებაც დაირღვა (შესაბამისად, მის უფლებამონაცვლეს) შეეძლო, მოეთხოვა თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილი იყო, უარი ეთქვა მოქმედების შესრულებაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლი). ხანდაზმულობის ვადის არსებობა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს აიძულებდა დროულად მიემართათ თავიანთი დარღვეული უფლებების აღსადგენად, ამასთან იცავდა საზოგადოებას დაუსრულებელი სადავო სამართალურთიერთობების არსებობისაგან. დავის გადაწყვეტა შეიძლება მომხდარიყო მხარეთა მორიგებით ან დარღვეული უფლების აღდგენით. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლების აღდგენის შესაძლებლობა ისპობოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლით. ხანდაზმულობის ვადები არ ვრცელდებოდა მხოლოდ პირთა არაქონებრივ უფლებებსა და ანაზრებზე. სასარჩელო მოთხოვნის ვადის გაცდენა წარმოადგენდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს. ამასთან, ხანდაზმულობის ვადა აითვლებოდა იმ დროიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენდა 10 წელს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა ხანდაზმული იყო იმისდა მიუხედავად, პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო პრივატიზების ხელშეკრულება (ნაწილი) ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის 159 საბინაო-საექსპლუატაციო უბანსა და ვ. ყ-ძეს შორის დაიდო 1992 წლის 28 ივლისს და სანოტარო წესით დადასტურდა 1992 წლის 30 ივლისს, ხოლო სარჩელი აღნიშნული პრივატიზების ხელშეკრულების (ნაწილი) ბათილად ცნობის თაობაზე ნ. გ-ძის რწმუნებულის ი. გ-ძის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი იქნა 2007 წლის 30 ნოემბერს, სადავო ხელშეკრულების დადგენის მომენტიდან 15 წლის გასვლის, ანუ ხანდაზმულობის საერთო ვადის (10 წელი) გაშვების შემდეგ.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. გ-ძის სასარჩელო მოთხოვნა სადავო პრივატიზების ხელშეკრულების ნაწილის (ლოჯიის სათავსოს ნაწილში) ბათილად ცნობის თაობაზე იყო ხანდაზმული და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადის გასვლის გამო მისი სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევის თაობაზე, იმისდა მიუხედავად პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

კასატორი მიუთითებს, რომ საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა ვ. ყ-ძის მიერ საერთო აივნის, როგორც ლოჯიის პრივატიზების შესახებ, რადგან სარჩელის შეტანამდე კასატორიც და ვ. ყ-ძეც საერთო აივნით სარგებლობდნენ ისე, როგორც ეს იყო მრავალი ათეული წლის განმავლობაში.

კასატორი მიუთითებს, რომ ვ. ყ-ძის მიერ გაყალბებული დოკუმენტაციით საერთო აივნის, თითქმის მისი კუთვნილი ლოჯიის პრივატიზაცია 1992 წლის ივლისში განხორციელდა, ანუ 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მოქმედების პერიოდში, რომლითაც ხანდაზმულობის ვადა მხოლოდ იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ განსხვავდებოდა და ხსენებული კოდექსით ფიზიკურ პირებზე ხანდაზმულობა სამწლიანი იყო.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო კოდექსი ვრცელდებოდა მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომელიც წარმოიშობოდა ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ, იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე, ამ კოდექსის ნორმები გამოიყენებოდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების მიმართ. ამდენად, კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს ადრე მოქმედი კოდექსის ნორმები რომ გამოეყენებინა, მის მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ ჩაითვლებოდა გაშვებულად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. გ-ძის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ნოემბრის განჩინებით ნ. გ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 19 ნოემბერს, 12.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ნ. გ-მესა და ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის 159 საბინაო-საექსპლუატაციო უბანს შორის 1992 წლის 7 მაისს გაფორმდა პრივატიზების ხელშეკრულება, რომლითაც ნ. გ-მეს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. 111-ში მდებარე ოთხთახიანი ბინა 85 კვ.მ საცხოვრებელი ფართით და დამხმარე სათავსოები: შესასვლელი დერეფანი – 14 კვ.მ., დერეფანი – 4 კვ.მ., სამზარეულო – 7,5 კვ.მ., აბაზანა – 5,1 კვ.მ., საპირფარეო – 1,1 კვ.მ.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ მასალებზე, რომლის თანახმად, ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის 159 საბინაო-საექსპლუატაციო უბნის წარმომადგენელსა და ვ. ყ-მეს შორის 1992 წლის 30 ივლისს დაიდო '2-874 პრივატიზების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ვ. ყ-მეს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. 111-ში მდებარე სამოთახიანი საცხოვრებელი ბინა; საცხოვრებელი ფართი – 55 კვ.მ., და დამხმარე სათავსოები: ლოჯიის სათავსო – 32,4 კვ.მ., სათავსო – 3 კვ.მ., სათავსო ლოჯიის ხარჯზე – 12 კვ.მ., ვანა-ტუალეტი – 6 კვ.მ., სამზარეულო – 3 კვ.მ., სარდაფ-სათავსო – 18 კვ.მ., ავტოსადგომი – 18 კვ.მ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 10 ოქტომბრის '23/01-34977 წერილი, რომლითაც ნ. გ-მეს ეცნობა, რომ ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებით ქ. თბილისში, ... ქ. 111-ში ვ. ყ-მის სახელზე უძრავი ქონება ირიცხებოდა 1992 წლის 30 ივლისის '2-874 ხელშეკრულების საფუძველზე (55 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, ლოჯიის სათავსო – 32,4 კვ.მ., სათავსო – 3 კვ.მ., სათავსო ლოჯიის ხარჯზე – 12 კვ.მ., ვანა-ტუალეტი – 6 კვ.მ., სამზარეულო – 3 კვ.მ., სარდაფ-სათავსო – 18 კვ.მ., ავტოსადგომი – 18 კვ.მ.).

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილი ძველი თბილისის რაიონის გამგეობის 2007 წლის 9 ნოემბრის '03-14/1765 მიწერილობით ირკვევა, რომ ხსენებულ ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადებით მიმართა ნ. გ-მემ 1992 წლის 30 ივლისის პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით იმ საფუძველით, რომ ხელშეკრულებაში მითითებულ პირს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა განმცხადებლის ფანჯრის წინ მდებარე საერთო სარგებლობის აივნის 18 კვ.მ. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე განმცხადებელს უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ «ქონების ლეგალიზების შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირს ეკრძალებოდათ ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ქონებაზე (სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის ნებისმიერ ქონებაზე, რომელზეც საკუთრების შექმნა განხორციელდა ან საკუთრების შექმნის საფუძველი წარმოიშვა სამართლებრივი აქტით ან გარიგებით ამ კანონის ამოქმედებამდე) საკუთრების შექმნის საფუძვლის მართლობიერების დასადგენად გამოიძიების წარმოება ან ნებისმიერი სხვა ფორმით კონტროლი, შესწავლა და შემოწმება.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ ნ. გ-მეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მხოლოდ ხანდაზმულობის მოტივით უთხრა უარი და ხანდაზმულობაზე მსჯელობისას განმარტა, რომ ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადის გასვლის შემდეგ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო იმისდა მიუხედავად, პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარღვეულია, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლებების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებით დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მატერიალური სარჩელის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა ასრულებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას და გამორიცხავს სადავო სამართალურითიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში არ გამორიცხავს სუბიექტურ მომენტს – იცოდა თუ არა დაზარალებულმა ან უნდა სცოდნოდა თუ არა საკუთარი უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავას იწვევს საკითხი იმის შესახებ თუ როდის უნდა გაეგო მოსარჩელეს – ნ. გ-მეს თავისი უფლების დარღვევის თაობაზე. კანონმდებელი ამ შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებს პირის ბრალზე, რომლის თანახმად, მან თავისი დაუდევრობის (გულგრილობის) გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია გარემოებები, რომლითაც გაირკვეოდა ნ. გ-მის სუბიექტური მომენტი ანუ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა სცოდნოდა თუ არა მოსარჩელეს თავისი უფლების დარღვევის ფაქტის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული არ მიიჩნია სასარჩელო

მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლისათვის აუცილებელ მომენტად და არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ნ. გ-მის სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა გამოერკვია გარემოება იმის შესახებ, იცოდა თუ არა მოსარჩელემ თავისი უფლების დარღვევის თაობაზე, ასევე ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა შეეტყო აღნიშნულის თაობაზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს ხანდაზმულობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებისა და გამოკვლევის საფუძველზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ვალდებულია, შეამოწმოს სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სარწმუნოდ უნდა გამოიკვლიოს, როდის გახდა ცნობილი მოსარჩელისათვის სადავო უფლების დარღვევის თაობაზე, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ განსაზღვროს, როდიდან უნდა აითვალოს სარჩელის ხანდაზმულობის ვადა, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას არსებითად უნდა იმსჯელოს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, რა დროსაც უნდა ისარგებლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, შეაგროვოს და გამოითხოვოს მტკიცებულებები და დაადგინოს ხანდაზმულობის ვადის დინების დაწყების მომენტი, კერძოდ, როდიდან იცოდა ან უნდა სცოდნოდა მოსარჩელეს – ნ. გ-მის თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის «გ» და «ე» ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. გ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. გ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია

განჩინება

ბს-787-751(კ-09)

11 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: იჯარის ხელშეკრულების გაუქმება, საიჯარო დავალიანების ანაზღაურება და ფართის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომ 2003 წლის სექტემბერში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – «...» (შპს «...») მიმართ და მოითხოვა იჯარის ხელშეკრულების გაუქმება, მოპასუხისათვის საიჯარო დავალიანების გადახდის დაკისრება და მოპასუხის მფლობელობიდან მის მიერ დაკავებული ფართის გამოთხოვა.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შეწყდა ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტსა და «...ს» თბილისის მე-3 წარმომადგენლობის შრომითი კოლექტივის დროებითი ამხანაგობის წარმომადგენელ ი. გ-ძეს შორის 1996 წლის 22 ნოემბრის იჯარის ხელშეკრულება. მოპასუხე გამოსახლებულ იქნა ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ...ის ქ. 120-ში მდებარე საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე დაკავებული ფართიდან; მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 7 057 აშშ დოლარისა და 6 ცენტის ექვივალენტური თანხის ეროვნულ ვალუტაში გადახდა.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო იმაზე მითითებით, რომ მოპასუხემ არ შეასრულა 1996 წლის 22 ნოემბრის იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი, საიჯარო ქონების ღირებულების 25516 აშშ დოლარის 10%-ის, ანუ 2551,6 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში, ყოველ ექვს თვეში ერთხელ თანაბარწილად გადახდის ვალდებულება. ეს გარემოება ხელშეკრულების 3.1.2 პუნქტისა და 5.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი იყო. სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელის მოთხოვნა ფართის გამოთხოვის ნაწილშიც საფუძვლიანად მიიჩნია.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «...მა».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 9 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის მიხედვით საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასება სავალდებულოა საქმის ხელახლა განხილველ სააპელაციო სასამართლოსათვის.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რაიონული სასამართლოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული «იჯარის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული საიჯარო ხელშეკრულების განახლების, შეცვლის, შეწყვეტისა და გაუქმების საფუძვლები. ხელშეკრულების 5.4 პუნქტით, განსაზღვრულია, რომ საიჯარო ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებანი. მართალია, 1996 წლის 22 ნოემბრის საიჯარო ხელშეკრულებით არ არის დადგენილი, მაგრამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით მხარის მიერ ვადის გადაცილების გამო ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია დამატებით მიცემულ ვადაში, ან გაფრთხილების შემდგომ ვალდებულების შეუსრულებლობისას. ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მოიჯარის მიმართ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე სარჩელის წარდგენისას ეს წინაპირობები არ გაუთვალისწინებია. უზენაესი სასამართლოს განჩინების შესაბამისად, სააპელაციო პალატამ გადამ-

წყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა იმ გარემოებას, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებით – თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ 2007 წლის 7 მარტის თარიღით გაცემული წერილის თანახმად, მოიჯარის მიერ სრულად დაფარული იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზაციო ღირებულება და საიჯარო ქირა, რაც დასტურდებოდა აპელანტის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი საბანკო ქვითრებით. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ არსებითად შეცვლილი საქმის ეს ფაქტობრივი გარემოებები, საიჯარო დავალიანების დაფარვა და მოიჯარის მიერ მათი მიღება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იყო. მოსარჩელემ, თანხის გადახდით, ხოლო მოპასუხემ მისი მიღებით დადასტურა შესაბამისი ურთიერთვალდებულების არსებობისა და მისი საფუძვლის – 1996 წლის 22 ნოემბრის საიჯარო ხელშეკრულების ძალაში ყოფნის ფაქტი.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

კასატორმა განმარტა, რომ 1996 წლის 22 ნოემბერს ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტსა და «...ს» თბილისის მე-3 წარმომადგენლობის შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება, გამოსყიდვის უფლებით, ქ. თბილისში, ...ის ქ. '20-ში მდებარე «...ის» თბილისის მე-3 წარმომადგენლობაზე, საპრივატიზაციო ღირებულებით 25516 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში. ხელშეკრულების თანახმად, «მოიჯარე» ვალდებული იყო, გადაეხადა საიჯარო ქირა 2551,6 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში ყოველ ექვს თვეში ერთხელ თანაბარწილად, ქონების გამოსასყიდი თანხის 51% დაეფარა ერთ წელიწადში, ხოლო დარჩენილი ღირებულების არანაკლებ 10%-ის ოდენობით გადაეხადა ყოველწლიურად. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შესრულებულიყო 10 წლის განმავლობაში, 2006 წლის ნოემბრამდე.

კასატორი თვლის, რომ შპს «...ს» მიერ დაირღვა ხელშეკრულების პირობები, რაც გამოიხატა საპრივატიზაციო და საიჯარო ქირის თანხების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევით და საბოლოო გამოსასყიდი თანხის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გადახდაში.

კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება ნათლად დასტურდება ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მთავარი ბუღალტრის მოხსენებითი ბარათიდან, რომელიც სასამართლოს მიერ გამოკვლეული არ ყოფილა. მოხსენებითი ბარათიდან ნათლად ჩანს, რომ მხარის მიერ წლების განმავლობაში (1999 წლიდან 2005 წლამდე) საერთოდ არ განხორციელებულა თანხების გადახდა. შპს «...მა» თანხების გადახდა განაახლა მხოლოდ ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ხოლო საბოლოო საპრივატიზაციო თანხა გადაიხადა 2007 წლის თებერვალში, როდესაც ხელშეკრულების მოქმედების ვადა გასული იყო.

კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარდგენილი ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 7 მარტის წერილი, ვინაიდან აღნიშნული წერილიდან ნათლად ჩანს რომ საპრივატიზაციო ღირებულება მხარის მიერ დაფარულია ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ. ასევე არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც «ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას».

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ივლისის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1996 წლის 22 ნოემბერს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტსა და «...ის» თბილისის მე-3 წარმომადგენლობის შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას შორის თბილისში, ...ის ქ. '20-ში მდებარე «...ის» თბილისის მე-3 წარმომადგენლობაზე გამოსყიდვის უფლებით გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება საპრივატიზაციო ღირებულებით – 25516 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში. ხელშეკრულების თანახმად, «მოიჯარე» ვალდებული იყო, გადაეხადა საიჯარო ქირა 2551,6 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში ყოველ ექვს თვეში ერთხელ თანაბარწილად, ქონების გამოსასყიდი თანხის 51% დაეფარა ერთ წელიწადში, ხოლო დარჩენილი ღირებულების არანაკლებ 10%-ის ოდენობით გადაეხადა ყოველწლიურად. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შესრულებულიყო 10 წლის განმავლობაში, 2006 წლის 22 ნოემბრამდე. ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 7 მარტის წერილით დგინდება, რომ 1996 წლის 22 ნოემბრის საიჯარო ხელშეკრულებით გათ-

ვალისწინებული საპრივატიზაციო და საიჯარო ქირა დაფარული იყო სრულად, საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ. ასევე საქმის განხილვისას წარმოდგენილ საპრივატიზაციო საქმეში არსებული 2007 წლის 7 მარტის მოხსენებით ბარათში 1998 წლის 15 დეკემბერს გადახდილი 800 აშშ დოლარისა და საპრივატიზაციო თანხის 2004 წლის 3 დეკემბრის 2000 აშშ დოლარის გადახდა ასახული არ არის, ამასთან მოხსენებითი ბარათის ავტორი ადასტურებს, რომ საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზაციო ღირებულება და საიჯარო ქირა დაფარულია სრულად ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება საკასაციო საჩივრის იმ მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი. ამასთან, საკასაციო საჩივრის ავტორი მიუთითებდა აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციას და თვლიდა, რომ შპს «...ს» მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა გამოიხატა საიჯარო ქირისა და საბოლოო გამოსასყიდი თანხის ხელშეკრულების განსაზღვრული ვადების დარღვევით გადახდაში. საკასაციო სასამართლოში დავის განხილვისას კასატორმა დააზუსტა, რომ შპს «...ს» მიერ 1998 წლის 15 დეკემბერს 800 აშშ დოლარის საიჯარო ქირისა და 2004 წლის 3 დეკემბრის 2000 აშშ დოლარის საპრივატიზაციო ღირებულების გადახდა ასახული არ იყო მის ანგარიშზე, რის გამოც სადავო გახდა მოიჯარის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულება.

თავის მხრივ, მართალია, შპს «...ს» სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ საიჯარო ქირისა და საპრივატიზაციო ღირებულების გადახდა ხდებოდა ხელშეკრულებით გაწერილი ვადების დარღვევით, მაგრამ კასატორის არგუმენტის საწინააღმდეგოდ მიუთითებს, რომ მას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად აქვს შესრულებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. შპს «...ს» განმარტებით, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ – 2007 წელს თანხების (1392 აშშ დოლარისა და 1885 აშშ დოლარის) დამატებით გადახდა გამოწვეულია 1998 წლის 15 დეკემბერს გადახდილი 800 აშშ დოლარისა (საიჯარო ქირის), ასევე 2004 წლის 3 დეკემბერს 2000 აშშ დოლარის (საპრივატიზაციო ღირებულების) მიიჯარის სადეპოზიტო ანგარიშზე მოუძიებლობითა და მიიჯარის მხრიდან გადახდილად ჩათვლილი თანხების დაჯამებისას ვალუტის კურსის ცვალებადობით.

საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილ გადახდის დამადასტურებელ ქვითრებზე დაყრდნობით ადგენს, რომ შპს «...ს» როგორც საიჯარო ქირას, ისე ქონების გამოსასყიდ თანხას იხდიდა პერიოდულად. გარდა საიჯარო ქირის – 1998 წლის 15 დეკემბერს გადახდილი 800 აშშ დოლარისა და საპრივატიზაციო ღირებულების – 2004 წლის 3 დეკემბრის 2000 აშშ დოლარისა, კასატორი დარჩენილი თანხების ხელშეკრულების მოქმედების ვადაში გადახდას სადავოდ არ ხდის. რაც შეეხება ამ უკანასკნელი თანხების გადახდას, აღნიშნულის დასადასტურებლად შპს «...ს» მიერ საქმეში წარმოდგენილია 1998 წლის 15 დეკემბრის '551234 ქვითარი, რომლითაც დგინდება «...ს» მიერ განხორციელებულია საქართველოს ბანკის მეშვეობით მიმღების – ქონების მართვის დეპარტამენტის ანგარიშზე 1560 ლარის გადახდა. აღნიშნულ ქვითარში თანხის შეტანის დანიშნულებად მინიშნებულია – საიჯარო ქირა. საქმეში ასევე წარმოდგენილია 2004 წლის 3 დეკემბრის საგადასახადო დავალება¹¹ შემდეგი რეკვიზიტებით: გადამხდელის დასახელება – ი. გ-მე, მიმღების დასახელება – ქ. თბილისის ქონების მართვის სამმართველო, გადახდის დანიშნულება – პრივატიზაციის გადასახადი. აღნიშნული ქვითრები, საქმის საკასაციო პალატაში განხილვისას, მხარის მიერ წარმოდგენილ იქნა დედნების სახით, რაც ხელმოწერილია შესაბამისი ბანკის ბუღალტრისა და მოლარის მიერ, ასევე დამოწმებულია ბანკის ბეჭდებით. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებენ პირველ შემთხვევაში, «...ს» მიერ საიჯარო ქირის, ხოლო, მეორე შემთხვევაში, შპს «...ს» დირექტორის მიერ საპრივატიზაციო ღირებულების საბანკო დაწესებულების მეშვეობით გადარიცხვის ფაქტს. წარმოდგენილი საბანკო ქვითრები წარმოადგენენ სალაროში ნაღდი ფულის მიღების დამადასტურებელ სათანადო დოკუმენტებს, მათი უზუსტობა ან სიყალბე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სადავოდ არ გაუხდია.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემოთ აღნიშნული საიჯარო ქირისა და საპრივატიზაციო ღირებულების გადახდა შპს «...ს» მხრიდან დადასტურებულია სათანადოდ, საბანკო ქვითრების მეშვეობით. მას როგორც გადამხდელს გააჩნდა საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ მის მიერ საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდილი თანხები გადარიცხული იქნებოდა შესაბამისი საბიუჯეტო დაწესებულების სადეპოზიტო ანგარიშზე. აღნიშნული თანხების მოუძიებლობა დღის წესრიგში დადგა მხოლოდ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, რის გამოც მხარე მოკლებული იყო შესაძლებლობას სათანადო წესით, ამასთან ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, მოეხდინა გადარიცხვისას დაშვებული უზუსტობის გამოსწორება თუკი ასეთი იარსებებდა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეებს შორის 2003 წლიდან მიმდინარეობს სასამართლო დავა იჯარის ხელშეკრულების გაუქმების, მოპასუხისათვის საიჯარო დავალიანების გადახდის დაკისრებისა და მოპასუხის მფლობელობიდან მის მიერ დაკავებული ფართის გამოთხოვის თაობაზე. მიუხედავად ამისა, მოპასუხე მხარე ახდენდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების პერიოდულად შესრულებას – თანხების გადარიცხვას მოსარჩელის შესაბამის ანგარიშზე, ხოლო მოსარჩელე იღებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესრულებას. სამოქალაქო კოდექსის 386-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ამის წინააღმდეგია. საქმის მასალების მიხედვით ხელშეკრულების მოქმედების ვადაში მიიჯარე ახდენდა მოიჯარის მიერ შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხული საიჯარო და საპრივატიზაციო თანხების ე.ი. ვალდებულების შესრულების მიღებას. აღნიშნული გარემოება ასევე დაადასტურა კასატორმა საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას. ამდენად, ზემოთ აღნიშნული, საკასაციო პალატის მიერ დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, მოიჯარის – შპს «...ს» მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება მოხდა სადავოდ გამხდარი

თანხების ჩათვლით, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში სრულად, მეიჯარის საბანკო ანგარიშებზე შესაბამისი თანხების გადარიცხვით.

საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სრულად გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, როდესაც მიიჩნია, რომ მოსარჩელემ, თანხის გადახდით, ხოლო მოპასუხემ მისი მიღებით დაადასტურა შესაბამისი ურთიერთვალდებულების არსებობისა და მისი საფუძვლის – 1996 წლის 22 ნოემბრის საიჯარო ხელშეკრულების ძალაში ყოფნის ფაქტი, რაც დავის გადაწყვეტისათვის ქმნიდა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის 1-ელი ნაწილის გამოყენების აუცილებლობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო შედავება, საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სსსკ-ის 257-ე, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების კანონიერება

განჩინება

18ს-323-320(კ-11)

15 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 22 ოქტომბერს ნ. და გ. ფ-ებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის მიმართ.

მოსარჩელებმა ქ. თბილისის მერის 2009 წლის 17 სექტემბრის ... განკარგულების ბათილად ცნობა, ქ. თბილისის მერის 2008 წლის 18 ივნისის ... განკარგულების არარად აღიარება და საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების აღდგენა მოითხოვეს.

სარჩელის არაერთგზის დაზუსტების შედეგად მოსარჩელებმა საბოლოოდ ქ. თბილისის მერის 2009 წლის 17 სექტემბრის ... განკარგულების, ქ. თბილისის გლდან-ნამალადევის რაიონის გამგეობის 2009 წლის 27 მაისის ... ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 15 ივლისის ... გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის 2009 წლის 5 მაისის ... წერილის ბათილად ცნობა, ქ. თბილისის მერის 2009 წლის 25 ივნისის ... განკარგულების არარად აღიარება, ასევე ქ. თბილისის გლდან-ნამალადევის რაიონის გამგეობისათვის ხელმოწერა ნ. და გ. ფ-ებზე, როგორც გარდაცვლილი მამის და ბაბუის კანონიერი I რიგის მემკვიდრეებზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემის დავალდებულება და მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მოსარჩელეთა საკუთრების უფლების მოწმობის ... საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დავალდებულება მოითხოვეს.

ამასთან, მოსარჩელებმა ქ. თბილისის მერიასთან ერთად მოპასუხეებად ქ. თბილისის გლდან-ნამალადევის რაიონის გამგეობასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოზე მიუთითეს.

მოსარჩელეთა განმარტებით, ნ. და გ. ფ-ები საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, 2007 წლის 19 ნოემბრიდან იყვნენ არაპრივატიზირებული საცხოვრებელი სახლის 2/3 წილის მესაკუთრეები. გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობის 2007 წლის 19 ნოემბრის ... განკარგულებით გ. და ნ. ფ-ებს საკუთრებაში გადაეცათ ქ. თბილისში, ... მე-... მ/რ-ში, ...-ე კორპუსში მდებარე 112 საცხოვრებელი ბინის 2/3 წილი. ამავე დღეს გაიცა ... საკუთრების უფლების მოწმობა, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად, 2007 წლის 20 ნოემბერს დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ 2008 წელს ისინი აღმოჩნდნენ ფაქტის წინაშე, რომ ქ. თბილისის მერის 2008 წლის 15 ივლისის ... კანონსაწინააღმდეგო განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობის 2007 წლის 19 ნოემბრის ... განკარგულება და გაუქმდა მათი საკუთრების უფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება ლ. ფ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 მარტის განჩინებით გ. ფ-ისა და არასრულწლოვან ნ. ფ-ის კანონიერი წარმომადგენლის მ. წ-ის სარჩელი ქ. თბილისის მერის 2009 წლის 25 ივნისის ... განკარგულების არარად აღიარების და ქ. თბილისის ადმინისტრაციის 2009 წლის 5 მაისის ... წერილის ბათილად ცნობის ნაწილში დაუშვებლად იქნა ცნობილი და შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით გ. ფ-ისა და არასრულწლოვან ნ. ფ-ის კანონიერი წარმომადგენლის მ. წ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 მარტის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა გ. ფ-ისა და არასრულწლოვან ნ. ფ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა მ. წ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს ნ. და გ. ფ-ებმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით გ. ფ-ის, ნ. ფ-ის კანონიერი წარმომადგენლის მ. წ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 მარტის განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით გ. ფ-ის, ნ. ფ-ის კანონიერი წარმომადგენლის მ. წ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ გ. და ნ. ფ-ების კანონიერმა წარმომადგენელმა მ. წ-მა 2008 წლის 8 მაისს განცხადებით მიმართა ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობას და განმეორებით მოითხოვა სადავო ბინის 2/3 წილის გ. და ნ. ფ-ების სახელზე პრივატიზება, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 ბრძანებულებით დამტკიცებული «კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის» შესაბამისად. ამასთან, მ. წ-ი 2009 წლის 17 თებერვალს პრეზიდენტისათვის მიწერილი წერილით ასევე ითხოვდა 2008 წლის 18 ივნისის ... განკარგულების ბათილად ცნობას. ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობის 2009 წლის 27 მაისის ... ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მ. წ-ს უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე. ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობის 2009 წლის 27 მაისის ... ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში დარჩა ქ. თბილისის მერის 2009 წლის 17 სექტემბრის ... განკარგულებით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში დავის საგანს ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობის 2009 წლის 27 მაისის ... ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ქ. თბილისის მერის 2009 წლის 17 სექტემბრის ... განკარგულებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 15 ივლისის ... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობისათვის გ. და ნ. ფ-ებზე საკუთრების უფლების მოწმობის ხელმეორედ გაცემის დავალდებულება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსათვის მოსარჩელეთა საკუთრების უფლების რეგისტრაციის აღდგენა წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია საქალაქო სასამართლოში სარჩელის შეტანის დროს დავის საგანს ასევე წარმოადგენდა ქ. თბილისის მერის 2009 წლის 25 ივნისის ... განკარგულების არარად აღიარება და ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის 2009 წლის 5 მაისის ... წერილის ბათილად ცნობა, მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 მარტის განჩინებით სარჩელის ამ ნაწილში დაუშვებლობის მოტივით შეწყდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტებით მ. წ-ს სწორად ეთქვა უარი სადავო ბინის 2/3 წილის გ. და ნ. ფ-ების სახელზე პრივატიზებაზე და 2008 წლის 18 ივნისის ... განკარგულების ბათილად ცნობაზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიის 2008 წლის 18 ივნისის ... განკარგულებით კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2007 წლის 19 ნოემბრის ... განკარგულება. ქ. თბილისის მერიის 2008 წლის 18 ივნისის ... განკარგულება მხარეების მიერ არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაში იყო შესული. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების შემდეგ მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება რომელიმე სხვა სასამართლოს ან ორგანოს განეხილა. ამდენად, მითითებული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლოში იხილებოდა სარჩელი და სასამართლო წარმოება დასრულებული არ იყო (სასამართლო გადაწყვეტილება არ იყო შესული კანონიერ ძალაში), მაშინ დაუშვებელი იყო იმავე დავის საგანზე სხვა რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ გადაწყვეტილება. განსახილველ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2006 წლის 1 ნოემბრის წერილით მ. წ-ს უარი ეთქვა ქ. თბილისში, ... მე-... მ/რ-ში, კორპუსი ...-ში მდებარე 112 ბინის 2/3 წილის გ. და ნ. ფ-ების სახელზე პრივატიზებაზე იმ მოტივით, რომ ლ. ფ-ი უარს აცხადებდა სამ პირზე ბინის პრივატიზებაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით მ. წ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2006 წლის 1 ნოემბრის წერილი და გამგეობას დაევალა საქმის გარემოებების ხელახალი შესწავლის შემდეგ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 19 თებერვლის განჩინებით იმავე საქმეზე ლ. ფ-ის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. ამდენად, დადგენილი იყო, რომ როდესაც ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2007 წლის 19 ნოემბრის ... განკარგულებით დაკმაყოფილდა გ. და ნ. ფ-ების კანონიერი წარმომადგენლის მ. წ-ის მოთხოვნა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 ბრძანებულების საფუძველზე გ. და ნ. ფ-ებს საკუთრებაში გადაეცათ ზემოაღნიშნული სადავო ბინის 2/3 წილი, ამ პერიოდისათვის იგივე 2/3 წილის პრივატიზაციის კანონიერების თაობაზე დავა განსახილველად იმყოფებოდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც დასრულდა მხოლოდ 2008 წლის 19 თებერვალს. შესაბამისად, ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2007 წლის 19 ნოემბრის ... განკარგულებით ისე მოახდინა გ. და ნ. ფ-ების სახელზე სადავო ბინის 2/3 წილის საკუთრებაში გადაცემა (პრივატიზაცია), რომ იგივე მოთხოვნით დავა ჯერ არ იყო დასრულებული სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის 1-ელი ნაწილის და მე-2 ნაწილის თანახმად, გამგეობა ვალდებული იყო 2007 წლის 19 ნოემბრის ... განკარგულების გამოცემის დროს აუცილებლად მოეწვია დაინტერესებული პირი – ლ. ფ-ი და მხოლოდ მისი მოსაზრების მოსმენის შემდეგ მიეღო შესაბამისი განკარგულება, რაც მას არ გაუკეთებია. აღსანიშნავი იყო ის გარემოება, რომ ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2006 წლის 1 ნოემბრის წერილით მ. წ-ს უარი ეთქვა ქ. თბილისში, ... მე-... მ/რ-ში, კორპუსი ...-ში მდებარე 112 ბინის 2/3 წილის გ. და ნ. ფ-ების სახელზე პრივატიზებაზე იმ მოტივით, რომ ლ. ფ-ი უარს აცხადებდა სამ პირზე ბინის პრივატიზებაზე. ამდენად, გამგეობისათვის ცნობილი იყო, რომ სადავო ბინაზე ერთ-ერთ მექვიდრეს წარმოადგენდა ლ. ფ-ი და ამ ბინაზე პრივატიზაციის საკითხი სადავო იყო და იხილებოდა სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, უსაფუძვლო იყო მ. წ-ის მოთხოვნა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 ბრძანებულების საფუძველზე სადავო ბინის 2/3 წილის გ. და ნ. ფ-ების სახელზე პრივატიზების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 ბრძანებულებით დამტკიცებული «კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის» პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს დებულება არეგულირებდა სახელმწიფო საბინაო ფონდში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის საცხოვრებელ ფონდში არსებული, მათ შორის ამ დებულების ამოქმედებამდე დროებით გადაცემული, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს. ამდენად, დებულება ითვალისწინებდა მხოლოდ არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის და არა მისი წილების საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს. დებულებაში არსად არ ეწერა, რომ შესაძლებელი იყო მომხდარიყო საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის წილების გადაცემა. დებულების შინაარსიდან გამომდინარე, ამა თუ იმ პირზე ან პირებზე შესაძლებელი იყო მხოლოდ მთლიანი შენობის, მთლიანი ფართის საკუთრებაში გადაცემა და არა მისი წილების გადაცემა. უძრავი ქონების წილობრივ პრივატიზაციას პრეზიდენტის ბრძანებულება არ ითვალისწინებდა. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 ბრძანებულებით დამტკიცებული «კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის» მიხედვით, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობი საკუთრებაში შეიძლება გადაეცემოდათ მხოლოდ მათ მოსარგებლეებს. მითითებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, «კანონიერი მოსარგებლე იყო ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალური ადმინის-

ტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვა) საფუძველზე კანონიერად სარგებლობდა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობით, ხოლო კანონიერი მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი მემკვიდრე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თუ საცხოვრებელ ფართში რეგისტრირებული იყო რამდენიმე კანონიერი მოსარგებლე და გარდაიცვლებოდა რომელიმე მათგანი, მაშინ გარდაცვლილის წილი გადადიოდა ცოცხლად დარჩენილ სხვა თანამოსარგებლეებზე, ხოლო მათი გარდაცვალების შემთხვევაში მათ მემკვიდრეებზე. ამავე წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე განმცხადებელი, რომელიც ითხოვდა ფართის პრივატიზაციას, ვალდებული იყო შესაბამისი ორგანოსათვის წარედგინა არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონიერი მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში, აგრეთვე მემკვიდრეობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი. განსახილველ შემთხვევაში მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ გ. და ნ. ფ-ები არასოდეს რეგისტრირებული არ ყოფილან სადავო ბინაში და არ წარმოადგენდნენ ბინის კანონიერ მოსარგებლებს. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ ქ. თბილისის საქარხნო რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1976 წლის 14 ივლისის ... გადაწყვეტილებით ბ. ვ-ს გადაეცა ოროთახიანი საცხოვრებელი ბინა, მდებარე: ... დასახლება, მე-... მ/რ, კორპუსი ..., სადარბაზო 1, სართული 4. ბინის გადაცემა მოხდა სამ სულზე (თვითონ, მეუღლე, შვილი). აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე ბ. ვ-ს გადაეცა 1976 წლის 15 ივლისის ... ბინის ორდერი, სადაც ბინის დამქირავებლებად მითითებული იყვნენ თვითონ ბ. ვ-ი, მეუღლე ლ. ფ-ი და შვილი გ. ვ-ი (შემდგომში ფ-ი). ბ. ვ-ისა და მისი შვილის გ. ფ-ის გარდაცვალების შემდეგ ბინის ერთადერთ კანონიერ მოსარგებლეს წარმოადგენდა მხოლოდ ლ. ფ-ი. რაც შეეხებოდა მემკვიდრეობის საკითხს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა გ. და ნ. ფ-ების კანონიერი წარმომადგენლის მ. წ-ის სარჩელი ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მოწმობების გაცემის თაობაზე, მოპასუხე ნოტარიუს მ. მ-ს დაევალა გაეცა გარდაცვლილი ბ. ვ-ისა და გ. ფ-ის კანონისმიერ მემკვიდრეებზე – გ. და ნ. ფ-ებზე ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მოწმობები. სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილების საფუძველზე ნოტარიუსმა გასცა ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მოწმობები გ. და ნ. ფ-ებზე, როგორც გარდაცვლილი ბ. ვ-ისა და გ. ფ-ის კანონისმიერ მემკვიდრეებზე, მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 ივლისის განჩინებით, ლ. ფ-ის განცხადების საფუძველზე, განახლდა საქმის წარმოება და ბათილად იქნა ცნობილი იმავე სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ნოტარიუს მ. მ-ს დავალეული ჰქონდა და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შემდგომში გასცა კიდევ გ. და ნ. ფ-ებზე ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მოწმობები.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 ბრძანებულებით დამტკიცებული «კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის» მე-5 მუხლის 2^ე პუნქტის თანახმად, «თუ კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული იყო რამდენიმე კანონიერი მოსარგებლე, მათ საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან/და არაიზოლირებული) ფართობი შეიძლება გადასცემოდა საერთო საკუთრებაში ყველა კანონიერი მოსარგებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ასევე ამავე წესების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით, განცხადებას თან უნდა დართოდა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა (თანხმობები), თუკი კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული იყო რამდენიმე კანონიერი მოსარგებლე და საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლების დათმობა ხდება კანონიერი მოსარგებლის (მოსარგებლეების) მიერ ერთი ან რამდენიმე კანონიერი მოსარგებლის სასარგებლოდ. ამდენად, პირდაპირ იყო დადგენილი, რომ თუ სახეზე იყო რამდენიმე კანონიერი მოსარგებლე, მათ საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან/და არაიზოლირებული) ფართობი შეიძლება გადასცემოდა საერთო საკუთრებაში ყველა კანონიერი მოსარგებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული კიდევ ერთხელ ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ თუ ბინას რამდენიმე თანამოსარგებლე ჰყავდა, მაშინ ეს ბინა მათი შეთანხმებით გადადიოდა ან ყველას საერთო საკუთრებაში ან ერთი ან რამდენიმე პირის საკუთრებაში დანარჩენი მოსარგებლეების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობის საფუძველზე. ზემოაღნიშნული ბრძანებულება არ ითვალისწინებდა ერთიანი საცხოვრებელი ფართის, ერთი ბინის ნაწილის პრივატიზაციას და დანარჩენი ნაწილის სახელმწიფო საკუთრებაში დატოვებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. და გ. ფ-ებმა.

კასატორები მიიჩნევენ, რომ გადაწყვეტილებაში დაშვებულია არსებითი ფაქტობრივი უსწორობები, კერძოდ, საერთოდ არ არის ასახული, რომ ქ. თბილისის მერიაში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან 2009 წლის მარტში გადაგზავნილი მოსარჩელების საჩივრის განხილვის შედეგად, 2009 წლის 5 მაისს ქ. თბილისის მერიამ გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სადაც მათ განემარტათ, რომ უფლება ჰქონდათ ხელმეორედ მიემართათ ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობისათვის და მოეთხოვათ კუთვნილი ფართის პრივატიზაცია, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გახდა მათთვის კანონიერი ნდობის საფუძველი, რომლის შესაბამისადაც მოსარჩელებმა 2007 წლის 19 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 განკარგულების და 2007 წლის 12 აპრილის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე (საქმე 13/4465-06 – არასრულწლოვნები გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის წინააღმდეგ) ერთხელ უკვე პრივატიზებული საკუთრების ხელმეორედ პრივატიზება და საკუთ-

რების უფლების მოწმობის განმეორებით გაცემა, ანუ კუთვნილი კერძო საკუთრების – მემკვიდრეობის დაბრუნება მოითხოვს, რაც გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2009 წლის 27 მაისის კანონსაწინააღმდეგო აქტით დარჩა განუხილველი.

კასატორების განმარტებით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მათ უჩივის ლ. ფ-ი, რომელიც თხოულობს ზოგადი სამკვიდრო მოწმობების ბათილად ცნობას და სადავოდ ხდის ნათესაური კავშირის არსებობას. კასატორების მითითებით, ისინი 2006 წელს გარდაცვლილი მამკვიდრებლის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები არიან მამკვიდრებელთა გარდაცვალების მომენტიდან, ანუ სამკვიდროს გახსნის მომენტიდან და ასე იქნება ყოველთვის, ამ ფაქტს ვერანაირი ნორმა ვერ შეცვლის. ამასვე ადასტურებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13/4465-06 12.04.2007 წლის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც, ნ. და გ. ფ-ებმა, როგორც გარდაცვლილი ბინის კანონიერი მოსარგებლის და ძირითადი დამკვიდრებლის პირველი რიგის კანონისმიერმა მემკვიდრეებმა, საქართველოს პრეზიდენტის 173 ბრძანებულების შესაბამისად, 2007 წელს მოახდინეს მამკვიდრებელთა არაპრივატიზირებული ბინის პრივატიზაცია და მიიღეს ე.წ. «საკუთრების უფლების მოწმობა», რაც საჯარო რეესტრში 2007 წლიდან იყო დარეგისტრირებული.

კასატორები უსაფუძვლოდ მიიჩნევენ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებას და განმარტავენ, რომ მათთვის გაუგებარია, თუ რა სამართლებრივ კავშირში შეიძლება ყოფილიყო 2009 წელს უკანონოდ ჩამორთმეული მემკვიდრეობის არასრულწლოვანი მესაკუთრეებისათვის დაბრუნების საკითხი, ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ მიმდინარე სამოქალაქო დავასთან.

კასატორების განმარტებით, გაუგებარია და ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული სასამართლოს მსჯელობა იმაზე, თუ რატომ მიიღეს ნ. და გ. ფ-ებმა საკუთრებაში მამკვიდრებელთა არაპრივატიზირებული ბინის 2/3 წილი. ამაზე 2006-2007 წლებში იმსჯელა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ და 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებაში გარკვევით იყო განმარტებული, რომ 2006 წლის 24 ოქტომბერს ნოტარიალურად დამოწმებული უარის საფუძველზე, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად იყო შეუქცევადი, უარის განმცხადებელი ლ. ფ-ი არ დაკარგავდა საკუთრების უფლებას 1/3 ნაწილზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 4 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. და გ. ფ-ების საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის განჩინებით, ნ. და გ. ფ-ების საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

2011 წლის 21 ივლისის სასამართლო სხდომაზე საკასაციო სასამართლომ მხარეებს შესთავაზა მორიგება – სადავო ბინის (ლ. ფ-ის, გ. და ნ. ფ-ების) თანასაკუთრების უფლებით პრივატიზაციის თაობაზე, რაზედაც მხარეები ვერ შეთანხმდნენ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ გ. და ნ. ფ-ების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის საქარხნო რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1976 წლის 14 ივლისის ... გადაწყვეტილებით ბ. ვ-ს გადაეცა ოროთახიანი საცხოვრებელი ბინა, მდებარე: ... დასახლება, მე-... მ/რ, კორპუსი ..., სადარბაზო 1, სართული 4. ბინის გადაცემა მოხდა სამ სულზე (თვითონ, მეუღლე, შვილი). აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე ბ. ვ-ს გადაეცა 1976 წლის 15 ივლისის ... ბინის ორდერი, სადაც ბინის დამკვიდრებელად მითითებული იყვნენ თვითონ ბ. ვ-ი, მეუღლე ლ. ფ-ი და შვილი გ. ვ-ი. გ. და ნ. ფ-ების მამა გ. ფ-ი გარდაიცვალა 2006 წლის 1 ივლისს, ხოლო მათი პაპა ბ. ვ-ი გარდაიცვალა 2006 წლის 4 ივლისს. ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2006 წლის 1 ნოემბრის წერილით მ. წ-ს უარი ეთქვა ქ. თბილისში, ... მე-... მ/რ-ში, კორპუსი ...-ში მდებარე 112 ბინის 2/3 წლის გ. და ნ. ფ-ების სახელზე პრივატიზებაზე იმ მოტივით, რომ ლ. ფ-ი უარს აცხადებდა სამ პირზე ბინის პრივატიზებაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით მ. წ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2006 წლის 1 ნოემბრის წერილი და გამგეობას დაევალა საქმის გარემოებების ხელახალი შესწავლის შემდეგ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 19 თებერვლის განჩინებით ლ. ფ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა გ. და ნ. ფ-ების კანონიერი წარმომადგენლის მ. წ-ის სარჩელი ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მოწმობების გაცემის თაობაზე, მოპასუხე ნოტარიუს მ. მ-ს დაევალა გაცემა გარდაცვლილი ბ. ვ-ისა და გ. ფ-ის კანონისმიერ მემკვიდრეებზე – გ. და ნ. ფ-ებზე ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მოწმობები. სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილების საფუძველზე ნოტარიუსმა მ. მ-მა გასცა ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მოწმობები გ. და ნ. ფ-ებზე, რო-

გორც გარდაცვლილი ბ. ვ-ისა და გ. ფ-ის კანონისმიერ მემკვიდრეებზე. ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობის 2007 წლის 19 ნოემბრის ... განკარგულებით დაკმაყოფილდა გ. და ნ. ფ-ების კანონიერი წარმომადგენლის მ. წ-ის მოთხოვნა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 ბრძანებულების საფუძველზე გ. და ნ. ფ-ებს საკუთრებაში გადაეცათ ზემოაღნიშნული სადავო ბინის 2/3 წილი. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე გ. და ნ. ფ-ების სახელზე გაიცა ... საკუთრების უფლების მოწმობა. შესაბამისად, სადავო ბინის 2/3 წილი საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა გ. და ნ. ფ-ების სახელზე. ლ. ფ-მა (გ. და ნ. ფ-ების ბებია და გარდაცვლილი გ. ფ-ის დედა) ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მერიას და ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობის 2007 წლის 19 ნოემბრის 1... განკარგულების ბათილად ცნობა მოითხოვა. ქ. თბილისის მერიის 2008 წლის 18 ივნისის 1... განკარგულებით ლ. ფ-შვილის საჩივარი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობის 2007 წლის 19 ნოემბრის 1... განკარგულება. ქ. თბილისის მერიამ მიუთითა, რომ გასაჩივრებული განკარგულების გამოცემისას დარღვეული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, კერძოდ, ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობამ ისე გამოსცა 2007 წლის 19 ნოემბრის 1... განკარგულება გ. და ნ. ფ-ებს საკუთრებაში სადავო ბინის 2/3 წილის გადაცემის თაობაზე, რომ არასრულწლოვნებსა და ლ. ფ-ს შორის დავა მიმდინარეობდა სასამართლოში იმავე საკითხზე, რის გამოც გამგეობას არ ჰქონდა საკითხის განხილვის უფლება. ამასთან, გამგეობა ვალდებული იყო დაინტერესებული პირი ლ. ფ-ი ჩაეხილათ ადმინისტრაციულ წარმოებაში. 1... განკარგულებაში ქ. თბილისის მერიამ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 ბრძანებულებით დამტკიცებული «კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის» თანახმად, თუ ბინას რამდენიმე მოსარგებელ ჰყავდა, მაშინ ბინის გადაცემა ხდებოდა ყველა თანამოსარგებლის თანხმობით და ერთი ბინის ცალ-ცალკე პრივატიზება დაუშვებელი იყო. ქ. მერიამ ფაქტობრივად მიიჩნია, რომ ბინის 2/3 წილის გასხვისება დაუშვებელი იყო და ბინის პრივატიზებას ესაჭიროებოდა ლ. ფ-ის, როგორც ბინის ერთ-ერთი დამქირავებლის თანხმობა. ქ. თბილისის მერიის 2008 წლის 18 ივნისის 1... განკარგულება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობის 2007 წლის 19 ნოემბრის 1... განკარგულება, მ. წ-ის მიერ არ გასაჩივრებულა, რომელიც ესწრებოდა საკითხის განხილვას. ამის შემდეგ, ლ. ფ-მა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და ნ. და გ. ფ-ების სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული 2/3 წილის გაუქმება მოითხოვა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით ლ. ფ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და ქ. თბილისის მერიის 2008 წლის 18 ივნისის 1... განკარგულების საფუძველზე გაუქმდა ნ. და გ. ფ-ების სახელზე საჯარო რეესტრში 2/3 წილის რეგისტრაცია.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 ივლისის განჩინებით, ლ. ფ-ის განცხადების საფუძველზე, განახლდა საქმის წარმოება და ბათილად იქნა ცნობილი იმავე სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ნოტარიუს მ. მ-ს დავალებული ჰქონდა და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შემდგომში გასცა კიდევ გ. და ნ. ფ-ებზე ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მოწმობები. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 ივლისის განჩინება მხარეების მიერ არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაში არის შესული. ამასთან, საქმის ხელახალი განხილვის დროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებით კვლავ დაკმაყოფილდა მ. წ-ის მოთხოვნა გ. და ნ. ფ-ებზე ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მოწმობების გაცემის თაობაზე. საქმეში წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილების თანახმად, ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს მ. მ-ის მიერ 2007 წლის 13 მარტს გაცემული 13 და 14 დადგენილებები ლ. ფ-ისათვის გარდაცვლილი მეუღლის ბ. ვ-ისა და გარდაცვლილი შვილის გ. ფ-ის სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამავე გადაწყვეტილებით ნოტარიუსს დაევა ლ. ფ-ის სახელზე, გარდაცვლილი მეუღლის ბ. ვ-ისა და გარდაცვლილი შვილის გ. ფ-ის სამკვიდრო ქონებაზე ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მოწმობის გაცემა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გ. და ნ. ფ-ების კანონიერმა წარმომადგენელმა მ. წ-მა 2008 წლის 8 მაისს განცხადებით მიმართა ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობას და განმეორებით მოითხოვა სადავო ბინის 2/3 წილის გ. და ნ. ფ-ების სახელზე პრივატიზება, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 ბრძანებულებით დამტკიცებული «კანონიერი მოსარგებლებებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის» შესაბამისად. ამასთან, მ. წ-ი 2009 წლის 17 თებერვალს პრეზიდენტისათვის მიწერილი წერილით ასევე ითხოვდა 2008 წლის 18 ივნისის 1... განკარგულების ბათილად ცნობას. ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობის 2009 წლის 27 მაისის 1... ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მ. წ-ს უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე. ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობის 2009 წლის 27 მაისის 1... ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში დარჩა ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 17 სექტემბრის 1... განკარგულებით.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლოში დავის საგანს ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობის 2009 წლის 27 მაისის 1... ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 17 სექტემბრის 1... განკარგულებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 15 ივლისის

¹... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობისათვის გ. და ნ. ფ-ებზე საკუთრების უფლების მოწმობის ხელმოწერა გაცემის დაავალდებულება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსათვის მოსარჩელეთა საკუთრების უფლების რეგისტრაციის აღდგენა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მართალია კასატორები სხვა მოთხოვნებთან ერთად, ქ. თბილისის მერის 2009 წლის 25 ივნისის ¹... განკარგულებისა და ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის 2009 წლის 5 მაისის წერილის არარა აქტად აღიარებას ითხოვენ, მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 მარტის განჩინებით მოცემულ ნაწილში დაუშვებლობის გამო შეწყდა საქმის წარმოება, აღნიშნული განჩინება კი კანონიერ ძალაში არის შესული, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას აღნიშნულ ნაწილში იმსჯელოს საკასაციო საჩივრის საფუძველად ნიშნულზე.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან მიმართებაში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტებით მ. წ-ს სწორად ეთქვა უარი სადავო ბინის 2/3 წილის გ. და ნ. ფ-ების სახელზე პრივატიზებაზე და 2008 წლის 18 ივნისის ¹... განკარგულების ბათილად ცნობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის მერის 2008 წლის 18 ივნისის ¹... განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობის 2007 წლის 19 ნოემბრის ¹... განკარგულება, რომლის საფუძველზეც გ. და ნ. ფ-ებს საკუთრებაში გადაეცათ სადავო ბინის 2/3 წილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 ბრძანებულებით დამტკიცებული «კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის» პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს დებულება არეგულირებს სახელმწიფო საბინაო ფონდში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის საცხოვრებელ ფონდში არსებული, მათ შორის ამ დებულების ამოქმედებამდე დროებით გადაცემული, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს. დებულების შინაარსიდან გამომდინარე, ამა თუ იმ პირზე ან პირებზე შესაძლებელი არის მხოლოდ მთლიანი შენობის, მთლიანი ფართის საკუთრებაში გადაცემა და არა მისი წილების გადაცემა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანო (გლდანი-ნამალადევის რაიონის გამგეობა) არ იყო უფლებამოსილი თავად განესაზღვრა გ. და ნ. ფ-ებისათვის საკუთრებაში გადასაცემი სადავო ბინის წილი, ვინაიდან, წილის განსაზღვრა არც ადმინისტრაციული ორგანოს და არც ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს უფლებამოსილებას არ წარმოადგენს და იგი სამოქალაქო წესით განსაზღვრულ საკითხს მიეკუთვნება. ამასთან, უძრავი ქონების წილობრივ პრივატიზაციას პრეზიდენტის ბრძანებულება საერთოდ არ ითვალისწინებს.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების თანახმად, გამგეობა ვალდებული იყო 2007 წლის 19 ნოემბრის ¹... განკარგულების გამოცემის დროს აუცილებლად მოეწვია დაინტერესებული პირი – ლ. ფ-ი და მხოლოდ მისი მოსაზრების მოსმენის შემდეგ მიეღო შესაბამისი განკარგულება, რაც მას არ გაუკუთებია. ამასთან, გამგეობისთვის ცნობილი იყო, რომ სადავო ბინაზე ერთ-ერთ მემკვიდრეს წარმოადგენდა ლ. ფ-ი და ამ ბინაზე პრივატიზაციის საკითხი იყო სადავო.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 ბრძანებულებით დამტკიცებული «კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის» მე-5 მუხლის 2² პუნქტის თანახმად, «თუ კანონიერი სარგებლობის დამდასტურებელ დოკუმენტში მითითებული არის რამდენიმე კანონიერი მოსარგებლე, მათ საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან/და არაიზოლირებული) ფართობი შეიძლება გადაეცეს საერთო საკუთრებაში ყველა კანონიერი მოსარგებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ასევე ამავე წესების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა (თანხმობები), თუკი კანონიერი სარგებლობის დამდასტურებელ დოკუმენტში მითითებული არის რამდენიმე კანონიერი მოსარგებლე და საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლების დათმობა ხდება კანონიერი მოსარგებლის (მოსარგებლების) მიერ ერთი ან რამდენიმე კანონიერი მოსარგებლის სასარგებლოდ. ამდენად, პირდაპირ არის დადგენილი, რომ თუ სახეზე არის რამდენიმე კანონიერი მოსარგებლე, მათ საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან/და არაიზოლირებული) ფართობი შეიძლება გადაეცეთ საერთო საკუთრებაში ყველა კანონიერი მოსარგებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თუ ბინას რამდენიმე თანამოსარგებლე ჰყავს, მაშინ ეს ბინა მათი შეთანხმებით გადადის ან ყველას საერთო საკუთრებაში ან ერთი ან რამდენიმე პირის საკუთრებაში დანარჩენი მოსარგებლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობის საფუძველზე. ზემოაღნიშნული ბრძანებულება არ ითვალისწინებს ერთიანი საცხოვრებელი ფართის, ერთი ბინის ნაწილის პრივატიზაციას და დანარჩენი ნაწილის სახელმწიფო საკუთრებაში დატოვებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2011 წლის 21 ივლისის სასამართლო სხდომაზე საკასაციო სასამართლომ მხარეებს შესთავაზა მორიგება – სადავო ბინის ლ. ფ-ის, გ. და ნ. ფ-ების სახელზე თანასაკუთრების უფლებით პრივატიზაციის თაობაზე, რაზედაც მხარეები ვერ შეთანხმდნენ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია საპროცესო კანონმდებლობა და ამ საქმეზე მიიღო კანონიერი განჩინება, რის გამოც არ არსებობს ნ. და გ. ფ-ების საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. და გ. ფ-ების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

არასაცხოვრებელი ფართის იჯარა-გამოსყიდვის უფლების გამოყენების ვადა

განჩინება

18ს-1034-992(კ-09)

5 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ხელშეკრულების შეწყვეტა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «...» დირექტორმა მ. ქ-მემ 18.08.08წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 27.06.08წ. 1... ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის შპს «...» საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 26.07.97წ. ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტსა და პურის სპეციალური მაღაზია 1...-ის შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას შორის, რომელიც შემდგომში ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ შპს «...» ჩამოყალიბდა, დაიდო საიჯარო ხელშეკრულება – ქ. თბილისში, ... ქუჩა 78/37-ში მდებარე პურის სპეციალიზებული 1... მაღაზიის გამოსყიდვის პირობით, 10 წლის ვადით. მოსარჩელემ საიჯარო თანხის სრულად დაფარვის შემდეგ, 16.05.08წ. მიმართა თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მოთხოვნით, რაზეც 22.05.08წ. აქტით უარი ეთქვა საიჯარო თანხების დაგვიანებით გადახდის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.11.08წ. გადაწყვეტილებით მ. ქ-მის სარჩელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ქ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.04.09წ. გადაწყვეტილებით აპელანტ შპს «...» წარმომადგენლის – მ. ქ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.11.08წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელე მ. ქ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 27.06.08წ. 1... ბრძანება; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალია 26.06.97წ. საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე შპს «...» სახელზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემა ქ. თბილისში, ... ქ. 178/37-ში მდებარე პურის სპეციალიზებული 1... მაღაზიაზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ **26.06.97წ.** ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტსა და ქ.თბილისში, ჩულურეთის რაიონში მდებარე პურის სპეციალიზებულ მაღაზია 1...-ის შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებითი ამხანაგობის წარმომადგენელ მ. ქ-მეს შორის გაფორმდა ქ.თბილისში, ... ქ. **'78/37** მდებარე პურის სპეციალიზებულ მაღაზიაზე იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება. ამავე ხელშეკრულების **1.3** მუხლის შესაბამისად ხელშეკრულების მოქმედების ვადა **10** წლით, **2007** წლის **26** ივნისამდე განისაზღვრა. **08.07.97წ.** პურის სპეციალიზებული მაღაზია 1...-ის ქონების იჯარით გამოსყიდვის უფლებით შრომითი კოლექტივის დროებითი ამხანაგობის საფუძველზე დაფუძნებულმა შპს «...» ობიექტის საბოლოო საპრივატიზაციო და საიჯარო თანხები, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დარღვევით, **26.06.08წ.** გადაიხადა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის **27.06.08წ.** 1... ბრძანებით მ. ქ-მის ადმინისტრაციული საჩივარი პრივატიზების სამმართველოს **22.05.08წ.** 1... წერილის ბათილად ცნობის თაობაზე, რომლითაც განმცხადებელს უარი ეთქვა უძრავ ქონებაზე საკუთრების მოწმობის გაცემაზე, არ დაკმაყოფილდა, უსაფუძვლოდ გამო. სააპელაციო პალატამ სკ-ის **400-ე, 405-ე** მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევა, ვერ მიიჩნევა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტილად ცნობის და შესაბამისი ვალდებულების განხორციელების უარის თქმის საფუძველად, რამდენადაც მოსარჩელის მიერ საპრივატიზებო თანხის გადახდის ვადის დარღვევის გამო, მოიჯარეს მეიჯარისათვის პრეტენზია არ განუცხადებია, კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოსათვის არ მიუმართავს, სადავო ქონებას ფლობდა და სარგებლობდა მოსარჩელე, არ მომხდარა მისგან ამ ქონების გამოთხოვა, მოსარჩელემ სრულად დაფარა საპრივატიზებო თანხა, მოპასუხემ მიიღო იგი, უარი არ უთქვამს შესრულების მიღებაზე და არც დაუბრუნებია იგი აპელანტისათვის. სკ-ის **361.1** მუხლის მიხედვით, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ თანხის გადახდით, ხოლო მოპასუხემ მისი მიღებით დაადასტურეს შესაბამისი ურთიერთვალდებულების არსებობის ფაქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **06.04.09წ.** გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და მოითხოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი აღნიშნავს, რომ იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება მოსარჩელესთან დაიდო **10** წლის ვადით, **1997** წლის **26** ივნისიდან **2007** წლის **26** ივნისამდე. მოცემულ შემთხვევაში სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყდა არა ვალდებულების დაგვიანებით შესრულების გამო, არამედ ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო. მოიჯარეს ხელშეკრულების ვადის ამოწურვის დღისთვის – **2007** წლის **26** ივნისისათვის, ვალდებულება შესრულებული არ ჰქონდა, საიჯარო ქონების დასაფარავმა თანხამ **903** აშშ დოლარი, ხოლო საიჯარო ქირის გადაუხდელობა თანხამ – **488** აშშ დოლარი შეადგინა, შესაბამისად ხელშეკრულება შეწყდა ისე, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო იჯარით აღებული ქონების გამოსყიდვა. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების მოშლის უფლება წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით არ მომხდარა ვალდებულების შესრულების მიღება, მოსარჩელე მ. ქ-მემ თვითნებურად, სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე განახორციელა იჯარის ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე საბოლოო საპრივატიზებო თანხების გადახდა.

საკასაციო პალატის სხდომაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და ითხოვა მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარემ – შპს «...» წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრის საფუძველები არ ცნო და ითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება მისი დადების მომენტისათვის უკავშირდებოდა სამომავლო მოქმედებათა დროში ორგანიზებას და ითვალისწინებდა ვალდებულების შესრულებას (საიჯარო ქირის და გამოსასყიდი თანხის გადახდა) დროის ხანგრძლივ შუალედში (**10** წელი), ვალდებულების შესრულების შუალედური ვადების განსაზღვრით (ხელშეკრულების დადების წლის განმავლობაში მოიჯარეს უნდა დაეფარა გადასახდელი საბოლოო ფასის არანაკლებ **51%**, ხოლო დანარჩენი **49%** უნდა გადაეხადა დადგენილი გრაფიკის მიხედვით, ყოველწლიურად იჯარით აღებული ქონების ღირებულების არანაკლებ **5%**-ის ოდენობით). სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ განჩინებაში არ არის გამიჯნული ვალდებულების შესრულების და ხელშეკრულების მოქმედების ვადები. უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ თანხის გადახდის ვადის დარღვევასთან დაკავშირებით პრეტენზიის წარუდგენლობის გამო, მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევა ვერ მიიჩნევა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტილად ცნობის და ვალდებულების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძველად. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დავა ეხება არა სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის გამო ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობას ან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელშეკრულების მოშლას, არამედ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებას, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოსარჩელის მიერ იჯარით აღებული ქონების გამოუსყიდველობას. რაც შეეხება ვალდებულების მთლიან პერიოდს, იგი გათვლილი იყო ათწლიან პერიოდზე, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა ესადაგება საჯარო კანონმდებლობის მოთხოვნებს, კერძოდ საქართველოს პარლამენტის **20.09.94წ.**

1555-1ს დადგენილებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის» დებულების მოთხოვნას, რომელიც სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის ზღვრული ვადის სახით ითვალისწინებდა ათწლიან ვადას (1.5 მუხ.), სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გაცემის ზღვრულ ათწლიან ვადას ითვალისწინებდა აგრეთვე შემდგომში საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 08.09.1997წ., 31.03.1999წ. ბრძანებებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ» დებულებები (შესაბამისად 1.3, 4.3 მუხ; 1.6 მუხ.). «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» 30.05.1997წ. კანონის 7.6 მუხლი, რომელიც მოქმედებდა ხელშეკრულების გაფორმების პერიოდში, ადგენდა, რომ იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზებისას მყიდველმა თანხა უნდა გადაიხადოს საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 10 წლის ვადისა (სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ) ამჟამად მოქმედი კანონი იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზაციას აღარ ითვალისწინებს, კანონით დაშვებულია ქონების აუქციონის ან პირდაპირი მიყიდვის შემთხვევაში გადახდის განვადება). იჯარა-გამოსყიდვა წარმოადგენდა პრივატიზების ერთ-ერთ ფორმას, პრივატიზება თავის მხრივ არის ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ან მათი გაერთიანების მიერ სახელმწიფო ქონებაზე ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნას კანონით დადგენილი წესით, შესაბამისად ხელშეკრულება ვერ გაითვალისწინებდა პრივატიზების ვადის შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობას, ასეთი დებულება საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო იქნებოდა. აღნიშნულის შესაბამისად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 1.3 მუხლი მკვეთრად განსაზღვრავდა ხელშეკრულების მოქმედების 10 წლიან ვადას – 1997 წლის 26 ივნისიდან 2007 წლის ივნისამდე. ამავე ხელშეკრულების 5.3 მუხლი ადგენდა, რომ საიჯარო ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება, თუ გავიდა იჯარის ვადა. ხელშეკრულების შესაბამისად შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი ასევე ითვალისწინებდა ათი წლის ვადით ქონების იჯარით, გამოსყიდვის უფლებით გადაცემას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება პასუხობს სზაკ-ის 2.1 მუხლის «ზ» ქვეპუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებს და ამდენად ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს, სზაკ-ის 65² მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. სკ-ის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა გადაცილებულია, თუ მოვალე საკუთარი ბრალით არ შეასრულებს თავის ვალდებულებას სათანადო დროს. ვადა წარმოადგენს ვალდებულების შესრულების აუცილებელ ელემენტს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ხელშეკრულება მხარეების შორის 26.06.97წ., ათი წლის ვადით დაიდო, იმავე დღეს მიიჯარა – ქობილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტს და მოიჯარეს – პურის სპეციალიზებული მაღაზია '... შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილი დროებით ამხანაგობას (რომლის საფუძველზეც შემდგომში დაფუძნდა შპს «...») შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. მაშასადამე, მიიჯარემ – ქობილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტმა დროულად შეასრულა თავისი ვალდებულება. ვადა ხელშეკრულებაში ზუსტად, კონკრეტული ვადით (2007 წლის 26 ივნისამდე) იყო განსაზღვრული, ვინაიდან სახეზეა ხელშეკრულების დასრულების თარიღი იგი აღმკვეთი ხასიათისაა, აღმკვეთი ვადა სპობს უფლება-მოვალეობას, რადგან ამ ვადის ამოწურვასთან ერთად ილევა მხარეთა უფლება-მოვალეობის შესრულების ვადა. ვადაგანსაზღვრულ ხელშეკრულებებში, ვადა გადაცილებულად ითვლება თავისთავად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დადგომის მომენტიდან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების შეწყვეტამდე სამინისტროს ევალებოდა გამაფრთხილებელი მოქმედებების შესრულება. ასეთი მოქმედების შესრულება სამინისტროს ევალებოდა ხელშეკრულების ვადად შეწყვეტის, ვალდებულების შესრულების შუალედური ვადების დაუცველობის შემთხვევაში (იხ.მაგ. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 31.03.99წ. 13/150 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ» დებულების მე-5.3 მუხ.). საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 26.06.97წ. ხელშეკრულება დაიდო 20.09.94წ. 1555-1ს დადგენილებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, რომელიც იჯარა-გამოსყიდვის საკითხზე შემდგომში მიღებული ნორმატიული აქტებისაგან განსხვავებით, ხელშეკრულების შეწყვეტის აუცილებელ პირობად არ ითვალისწინებდა შუალედური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების შეწყვეტამდე მოიჯარის სავალდებულო გაფრთხილებას, ასეთს არც 26.06.97წ. ხელშეკრულების ტექსტი ითვალისწინებდა. ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ დამატებითი ვადის დანიშვნა არ შეადგენს კრედიტორის ვალდებულებას, რადგანაც გამოკვეთილად და ნათლად განსაზღვრული დღე თავისთავად აღარ საჭიროებს შეხსენებას («დრო აფრთხილებს ადამიანის მაგივრად»). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულებისათვის წინასწარ იყო შეთანხმებული გარკვეული დღე, ხელშეკრულების შეწყვეტისათვის არ არის საჭირო შეხსენება, ასეთ შემთხვევაში შეხსენება კრედიტორის უფლებას და არა მოვალეობას წარმოადგენს. სკ-ის მე-400 მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, ვადის გადაცილებად ითვლება მოვალის მიერ ზუსტად განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება, თუ შესრულება დადგენილ დროში არ განხორციელდა. სკ-ის 400-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა, კერძოდ შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილება, საჭიროა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების განუსაზღვრელი ვადების პირობებში.

იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით განახლებას არ ადასტურებს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელის მიერ ქონებით სარგებლობა (26.12.64მ. სკ-ის 274-ე მუხ., 26.06.97წ. სკ-ის 559-ე მუხ.). სზაკ-ის 65¹ მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს

იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უკავშირდება გამოსყიდვის უფლების გახანგრძლივებას, გამოსყიდვის უფლება, რომელიც შრომით კოლექტივს, პარლამენტის 20.09.94წ. 1555-1ს დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის 25.06.97წ. ბრძანებით კონკურსის გარეშე მიენიჭა, განეკუთვნებოდა საჯარო მოწესრიგების სფეროს, გამოსყიდვისათვის საჭირო იყო საჯარო ნებართვა, მოცემულ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს როგორც საჯარო სამართლის სუბიექტი, შესაბამისად იგი მოქმედებს მხოლოდ იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომლებიც პირდაპირაა კანონით განსაზღვრული. კანონმდებლობა უძრავი ქონების გამოსყიდვას ითვალისწინებდა მხოლოდ დროის განსაზღვრულ ვადაში, გამოსყიდვის მაქსიმალური პერიოდი შეადგენდა 10 წელს, სწორედ ეს მაქსიმალური ვადა იყო გათვალისწინებული ხელშეკრულებაში, მიუხედავად ამისა, მხარემ დადგენილ ვადაში არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. ხელშეკრულების მიხედვით მყიდველს ცალმხრივად მიენიჭა უფლება შეეძინა უძრავი ქონება განსაზღვრულ დრომდე (შესყიდვის ოფცია), სახეზეა ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება, რომლითაც ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთ მხარეს, ხელშეკრულებით დათქმული პირობებიდან გამომდინარე, ეძლევა შესაძლებლობა განახორციელოს ნაკისრი ვალდებულება და შეიძინოს საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე ან უარი თქვას მის შესრულებაზე. სკ-ის 515-ე მუხლის შესაბამისად, მყიდველს უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული გამოსყიდოს უძრავი ქონება. ოფცია არის უფლება და არა ვალდებულება, დათქმული ვადის გასვლის შემდეგ ნივთის მესაკუთრეს ეხსნება შემსყიდველისათვის ქონების მიყიდვის ვალდებულება. იჯარა-გამოსყიდვის ვადის გასვლის შემდეგ, სახელმწიფო ქონების განკარგვა სახელმწიფოს ფართო დისკრეციის სფეროს განეკუთვნება, სახელმწიფოს, სხვა ნებისმიერი მესაკუთრის მსგავსად, არ აკისრია საკუთარი ქონების განკარგვის ზოგადი ვალდებულება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თანხა მეიჯარემ 15.05.08წ. გადაიხადა ანუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან და შეწყვეტიდან თითქმის თერთმეტი თვის შემდეგ. საქმის მასალებით არ იკვეთება მოსარჩელის მიმართვა გადახდის ვადის გასაგრძელებლად, პრივატიზების სამმართველოს თანხმობა თანხის დაგვიანებით მიღებაზე, სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია ამ მიმართებით საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სკ-ის 386-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად თუ კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ამის წინააღმდეგია. სამინისტროს ანგარიშზე მოსარჩელის მიერ განსაზღვრული ვადის გადაცილებით თანხის შეტანა თავისთავად არ ადასტურებს სამმართველოს თანხმობას იჯარა-გამოსყიდვის უფლების მოქმედების გაგრძელებაზე, უძრავი ქონების გამოსასყიდი თანხის დაგვიანებით მიღებაზე. ასეთად ვერ იქნება აგრეთვე მიჩნეული ის გარემოება, რომ მოპასუხეს უარი არ უთქვამს შესრულების მიღებაზე. სააპელაციო პალატის მითითება სკ-ის 361-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის მიხედვით ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას, არ ადასტურებს ურთიერთვალდებულების არსებობას, ვინაიდან თუ არ არსებობს ვალდებულება, სახეზე არც შესრულება იქნება, რაც არ გამორიცხავს უკანასკნელი შენატანის მიმართ უსაფუძვლოდ შეძენილის უკან დაბრუნების ვალდებულებას (სკ-ის 976-ე-999-ე მუხ.). საქმეზე არ არის დადგენილი ის თუ რა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას აქვს ადგილი, კერძოდ რა იქნა გადახდილი მოსარჩელის მიერ დაგვიანებით – საიჯარო ქირა თუ უძრავი ქონების გამოსასყიდი თანხა, რამდენს შეადგენდა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის დროისათვის ქონების გამოსყიდვის დაუფარავი თანხა და საიჯარო ქირის გადაუხდელი თანხა. სააპელაციო პალატამ სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სრულად არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც სსკ-ის 412-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების და სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს ქმნის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.04.09წ. გადაწყვეტილება და საქმე ხალახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამხანაგობის მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა

განჩინება

1ბს-614-593(კ-10)

12 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» წარმომადგენელმა თ. ჩ-მემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში ქ. თბილისის მერიის მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 30 აპრილის განკარგულების ბათილად ცნობა და ქ. თბილისის მერიის დავალდებულება – განეხილა მათი 2009 წლის 18 მარტის ადმინისტრაციული საჩივარი.

მოსარჩელის მითითებით, 2009 წლის 21 აპრილს უმემკვიდრო ნაკვეთში შეჭრილმა ი. ბ-ოვმა განცხადებით მიმართა სასამართლო ექსპერტიზის არასამთავრობო კვლევითი ცენტრის შპს «...» და მოითხოვა შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რათა დაედგინა, რომ ამხანაგობა «...» ... ქ. 130-32-ში საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროცესში საკადასტრო საზღვრების დარღვევით შეჭრილი იყო მის კუთვნილ ტერიტორიაზე და მითვისებული ჰქონდა მისი კუთვნილი ტერიტორია. აღნიშნული დადასტურდა ექსპერტ დ. მ-შვილის 2008 წლის 30 აპრილის 15 დასკვნითაც.

აღნიშნული დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2008 წლის 10 ოქტომბრის 1... მიწერილობით ამხანაგობას დაევალა მშენებლობის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა, დარღვევის გამოსწორებად ასევე ჩაითვლებოდა შეთანხმებული პროექტის წარმოდგენა წარმოებულ სამშენებლო საქმიანობაზე, ვინაიდან აღნიშნული მიწერილობა 2008 წლის 24 ოქტომბერს ჩაბარდა შპს «...» სამუშაოს მწარმოებელს – ნ. კ-შვილს, მათთვის არ იყო ცნობილი ამ მიწერილობის შესახებ და შესაბამისად არანაირი ზომები არ მიუღიათ, რის გამოც ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 1... დადგენილებით ამხანაგობა «...» დაჯარიმდა 3000 ლარით.

მოსარჩელემ აღნიშნული დადგენილება 2009 წლის 18 მარტს გაასაჩივრა მერიაში და მოითხოვა მისი ბათილად ცნობა, მაგრამ ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 30 აპრილის განკარგულებით უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე იმ მოტივით, რომ საჩივარი წარდგენილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული მოსარჩელის განმარტებით, არამართებულია ვინაიდან, მან ქ. თბილისის მერიაში წარადგინა ამხანაგობა «...» თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული მინდობილობა, რომლითაც ამხანაგობის თავმჯდომარე სსკ-ის 96-ე და 98-ე მუხლების შესაბამისად, ანდობდა ყველა საპროცესო მოქმედების შესრულებას და ასევე 2006 წლის 22 ივნისს ნოტარიულად დამოწმებული ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» სადამფუძნებლო ხელშეკრულება, რომლის მე-6 თავის მე-6.6 პუნქტის შესაბამისად, «თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე ხელს აწერს ნებისმიერ გარიგებას და დოკუმენტს «ამხანაგობის» სახელით, ამხანაგობის ამ თანამდებობის პირის ხელმოწერის გარეშე არც ერთ დოკუმენტს ან გარიგებას არ გააჩნია იურიდიული ძალა» მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული დოკუმენტები ადასტურებენ მის უფლებამოსილებას და ქ. თბილისის მერიის განკარგულება უსაფუძვლოა და არაკანონიერია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 7 ივლისის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური.

მოპასუხე ქ. თბილისის მერიამ სასარჩელო განცხადება არ ცნო და მიუთითა, რომ ამხანაგობის წევრთა შორის ურთიერთობის განმსაზღვრელ იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენს მათ შორის დადებული სადამფუძნებლო ხელშეკრულება, აღნიშნული ხელშეკრულების 13, 9.1 პუნქტებით მხარეები თანხმდებიან, რომ იმოქმედებენ მხოლოდ მათ შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში. ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტი განმარტავს, რომ ამხანაგობის შექმნის მიზანი მრავალსართულიანი, მრავალბინიანი სახლის მშენებლობაა. მხოლოდ მშენებლობის დასრულების შემდეგ ამხანაგობის წევრები გახდებიან თანამესაკუთრები წილობრივი თანასაკუთრების უფლებით და მხოლოდ მაშინ შეეძლება მათ თავიანთი წილით სარგებლობა, მფლობელობა და განკარგვა. ამხანაგობის მმართველ-ადმინისტრაციულ ორგანოს ხელშეკრულების 6.1 პუნქტით წარმოადგენს ამხანაგობის თავმჯდომარე. მას გააჩნია უფლებამოსილება, წარმოადგინოს ამხანაგობა ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. მე-13 პუნქტი განსაზღვრავს ერთობლივი საქმიანობის ვადას. ამხანაგობის წევრებს შორის ხელშეკრულება შეწყდება მხოლოდ მას შემდეგ რაც დასრულდება შენობა-ნაგებობის მშენებლობა, მხარეები მას მიიღებენ ექსპლუატაციაში და ყველა წევრი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იქნება როგორც შესაბამისი უძრავი ქონების მესაკუთრე ე.ი. ამხანაგობის წევრები მესაკუთრეებად რეგისტრირდებიან მხოლოდ მშენებლობის დასრულების შემდეგ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთადერთი უფლებამოსილი პირი, მშენებლობის დასრულებამდე, ვისაც შეუძლია ამხანაგობის ინტერესები წარმოადგინოს ადმინისტრაციულ ორგანოსა თუ სასამართლოში არის ამხანაგობის თავმჯდომარე.

მოპასუხის მითითებით, მოსარჩელე უსაფუძვლოდ აპელირებს ხელშეკრულების 6.6 პუნქტზე და არასწორად განმარტავს, რომ აღნიშნული მას ანიჭებს უფლებამოსილებას ყოველგვარი რწმუნებულობის (მინდობილობის) გარეშე დაიცვას ამხანაგობის ინტერესები ყველა სახის ურთიერთობაში. მოპასუხის მოსაზრებით, მითითებული პუნქტი ეხება ამხანაგობის სახელით დადებულ გარიგებებს და არა ამხანაგობის ინტერესების დაცვას მესამე პირებთან თუ სხვადასხვა დაწესებულებებთან ურთიერთობაში. შესაბამისად, ის არავითარ შემთხვევაში არ ანიჭებს უფლებამოსილებას მოსარჩელეს მინდობილობის გარეშე წარმოადგინოს ამხანაგობის ინტერესები, ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობაში. საქმის მასალებით ირკვევა, რომ თ. რ-მემ ვერ ერთ სხდომაზე ადმინისტრაციულ ორგანოს ვერ წარუდგინა ამხანაგობა «...» თავმჯდომარის მიერ კანონით დადგენილი წესით გაცემული რწმუნებულება, შესაბამისად მას საფუძვლიანად ეთქვა უარი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერის 2009 წლის 30 აპრილის განკარგულება; ქ. თბილისის მერიას დაევალია ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» თავმჯდომარის მოადგილის – თ. რ-მის მიერ 2009 წლის 18 მარტს შეტანილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 23 თებერვლის 1... დადგენილებით არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე ამხანაგობა «...» დაჯარიმდა 3000 ლარით. აღნიშნული დადგენილება 2009 წლის 18 მარტს ამხანაგობა «...» თავმჯდომარის მოადგილემ თ. რ-მემ გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში და მოითხოვა მისი ბათილად ცნობა.

ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 30 აპრილის ... განკარგულებით სზაკ-ის 182-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტის საფუძველზე უარი ეთქვა ამხანაგობა «...» თავმჯდომარის მოადგილეს თ. რ-მეს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე, იმ მოტივით, რომ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას ამხანაგობა «...» თავმჯდომარის მოადგილეს თ. რ-მეს არ წარუდგინა ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული მინდობილობა.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და მიუთითა, რომ დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის «ი» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილი ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომარეობის ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ამავე მუხლის 1-ელი პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

საქალაქო სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვნად მიიჩნია განმარტება იმის თაობაზე, რომ ამხანაგობა «...» თავმჯდომარის მოადგილემ თ. რ-მემ არის თუ არა დაინტერესებული პირი და დაადგინა, რომ საქმეში წარმოდგენილი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» სადამფუძნებლო ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების თანახმად, მისი ერთ-ერთი მხარეა თ. რ-მე. სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. ამავე კოდექსის 937.1-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ ამხანაგობის დაჯარიმების შედეგად ზიანი მიადგა ამხანაგობის ყველა წევრს, მათ შორის თ. რ-მესაც, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა თბილისის მერიაში წარედგინა ადმინისტრაციული საჩივარი თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 23 თებერვლის 1... დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი საფუძველით:

აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 930-ე და 937-ე მუხლები და არასწორად მიიჩნია სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ აღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე, თ. რ-მე იყო დაინტერესებული მხარე და მას გააჩნდა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის უფლება, ვინაიდან აპელანტის მითითებით, სზაკ-ის 182.1 მუხლის «ვ» პუნქტის

თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ იგი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, მხოლოდ უფლებამოსილი პირის მიერ შეტანილი ადმინისტრაციული საჩივარი შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი, ხოლო ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, კი დაინტერესებული მხარე შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. სადავო ადმინისტრაციული აქტი კი გამოცემულია უშუალოდ ამხანაგობა «...» მიმართ, საჯარო რეესტრის მონაცემებიდან გამომდინარე, კი დგინდება, რომ ქ. თბილისში ... ქ. 133-სა და 143-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ერთადერთ მესაკუთრეს წარმოადგენს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...». უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შესაძენად, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის შესაბამისად, აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომში ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. შესაბამისად, უძრავი ნივთის მესაკუთრე ვალდებულია ნივთის მესაკუთრედ რეგისტრირებული იყოს საჯარო რეესტრში. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» დაფუძნების შესახებ საწარმო აქტით, რომელიც წარმოადგენს ამხანაგობის წევრთა შორის ურთიერთობის განმსაზღვრელ იურიდიულ დოკუმენტს, დადგენილია, რომ ამხანაგობის დამფუძნებლები ვალდებული არიან იმოქმედონ ამ ხელშეკრულების ფარგლებში. ხელშეკრულების 1.1 მუხლი ადგენს, რომ ამხანაგობის დაფუძნების მიზანია დაფუძნების აქტით იურიდიული პირის შექმნელად ერთობლივად იმოქმედოს მრავალბინიანი სახლის ასაშენებლად და მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ შენობის როგორც «ამხანაგობის» წევრთა წილობრივი საკუთრების, მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის განსახორციელებლად. შესაბამისად, რეესტრში რეგისტრაციისა და ბინის მშენებლობის დასრულების შემდეგ ამხანაგობის მესაკუთრეები გახდებიან ბინის თანამესაკუთრეები, წილობრივი საკუთრების უფლებით. მანამდე კი, ხელშეკრულების 6.3 მუხლის შესაბამისად, ამხანაგობას უძღვებოდა ამხანაგობის თავმჯდომარე, რომელსაც წესდების თანახმად წარმოადგენს ო. ლ-მე. აპელანტის მითითებით, სწორედ ის არის უფლებამოსილი პირი წარმოადგინოს ამხანაგობა მესამე პირებთან ურთიერთობაში და სასამართლოში, სანამ ამხანაგობის თითოეული წევრი არ დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში თავისი წილის პროპორციულად ბინის მესაკუთრედ, მხარეებს არ შეუძლიათ განახორციელონ მათი საკუთრების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა დამოუკიდებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე აპელანტმა მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიაში გასაჩივრებული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 1... დადგენილებასთან მიმართებაში დაინტერესებულ პირად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ამხანაგობა «...». ამასთან, აპელანტის განმარტებით, განსხვავებული შედეგი იქნებოდა მაშინ, თუ მოსარჩელეს შესაბამისი უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტით ამხანაგობის თავმჯდომარისაგან მიენიჭებოდა უფლება-საჩივარი შეეტანა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» ინტერესების დასაცავად სასამართლოში, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

მოწინააღმდეგე მხარემ – ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» სააპელაციო საჩივარი არ ცნო და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 იანვრის გაჩინებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი დასკვნები და მიიჩნია, რომ არ არსებობდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ სწორად იქნა განმარტებული ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» სადამფუძნებლო ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება და მართებულად იქნა მიჩნეული ასკ-ის მე-2.1 მუხლის «ბ» პუნქტის შესაბამისად, თ. ჩ-მე დაინტერესებულ მხარედ, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლოს მიერ სწორად იქნა გამოყენებული და განმარტებული სამოქალაქო კოდექსის 937.1-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. სააპელაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თ. ჩ-მეს, როგორც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მხარეს, გააჩნდა დაინტერესებული პირის სახით ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება, რის გამოც მის მიერ წარდგენილი საჩივარი არ უნდა მიჩნეულიყო არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილად, რადგან ზაკ-ის 177-ე მუხლის 1-ელი ნაწილი ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის უფლებამოსილებას ანიჭებს დაინტერესებულ მხარეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე მხოლოდ უფლებამოსილი პირის მიერ შეტანილი ადმინისტრაციული საჩივარი შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი. ხოლო ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თა-

ნახმად კი, დაინტერესებული მხარე შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გაცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. მოსარჩელის მიერ ქ. თბილისის მერიაში გასაჩივრებული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 100000619 დადგენილებით ამხანაგობა «...» დაჯარიმებული იქნა 3000 ლარით, ანუ აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულია უშუალოდ ამხანაგობა «...» მიმართ. საქმის მასალებით, კერძოდ, კი საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ ქ. თბილისში, ... ქ. 133-სა და 143-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს ამხანაგობა «...». უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შესაძენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად აუცილებელია გარიგების წერილობით ფორმით დადება და შემდგომ ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. შესაბამისად უძრავი ნივთის მესაკუთრე სავალდებულოა რეგისტრირებული იყოს ნივთის მესაკუთრედ. საჯარო რეესტრში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 182-ე მუხლის თანახმად საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მოსაზრებით, ქ. თბილისში, ... ქ. 133-სა და 143-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ერთადერთ მესაკუთრეს, საჯარო რეესტრის მონაცემებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ამხანაგობა «...». ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» დაფუძნების შესახებ სანოტარო აქტით, რომელიც წარმოადგენს ამხანაგობის წევრთა შორის ურთიერთობის განსაზღვრელ იურიდიულ დოკუმენტს – განსაზღვრულია, რომ ამხანაგობის დამფუძნებლები ვალდებული არიან იმოქმედონ ამ ხელშეკრულების ფარგლებში. ხელშეკრულების 1.1 მუხლი ადგენს, რომ ამხანაგობის დაფუძნების მიზანია დაფუძნების აქტით იურიდიული პირის შეუქმნელად ერთობლივად იმოქმედოს მრავალბინიანი სახლის ასაშენებლად და მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ შენობის, როგორც «ამხანაგობის» წევრთა წილობრივი თანასაკუთრების, მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის განსახორციელებლად. შესაბამისად, რეესტრში რეგისტრაციის და ბინის მშენებლობის დასრულების შემდეგ ამხანაგობის მესაკუთრეები გახდებიან ბინის მესაკუთრეები, წილობრივი თანასაკუთრების უფლებით. მანამდე კი ხელშეკრულების 6.3 მუხლის თანახმად, ამხანაგობას უძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე, რომელსაც წესდების თანახმად წარმოადგენს ო. ლ-მე. სწორედ ის არის უფლებამოსილი პირი წარმოადგინოს ამხანაგობა მესამე პირებთან ურთიერთობაში და სასამართლოში. აღნიშნული ხელშეკრულების 6.3 პუნქტი ასევე ადგენს, რომ ამხანაგობის სახელით დადებული გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა თავმჯდომარის ხელმოწერა. ამრიგად, იქამდე, სანამ ამხანაგობის თითოეული წევრი არ დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში თავისი წილის პროპორციული ბინის მესაკუთრედ, მხარეებს არ შეუძლიათ განახორციელონ მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა დამოუკიდებლად და თ. ჩ-მის მიერ ქ. თბილისის მერიაში გასაჩივრებული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 1... დადგენილებასთან მიმართებით დაინტერესებულ პირად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ და მხოლოდ ამხანაგობა «...», რომელიც არის ქ. თბილისში, ... ქ. 133 –სა და 143-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ერთადერთი მესაკუთრე და რომლის მიმართაც არის გამოცემული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 1... დადგენილება.

კასატორის განმარტებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თ. ჩ-მე იქნებოდა დაინტერესებული პირი, სასამართლოს უნდა ემსჯელა ინტერესის სამართლებრივ შინაარსზე. დასაშვებობის სტადიაზე ინტერესის, როგორც ასეთის არსებობა საკმარისია, თუმცა არა არსებითი განხილვისას, რადგან საქმის არსებითად განხილვის საფუძველს წარმოადგენს არა – ნებისმიერი, არამედ იურიდიული დაინტერესება. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს იურიდიული და ფაქტობრივი ინტერესი, რადგან მხოლოდ იურიდიული ინტერესი ქმნის საფუძველს პირის პროცესის წარმოებაში ჩართვისათვის, ხოლო ფაქტობრივ ინტერესს ასეთი თვისებები არ გააჩნია. იურიდიული ინტერესის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტი ზემოქმედებას ახდენს პირის უფლება-მოვალეობებზე, აღჭურავს მას რაიმე უფლებით, ზიანს აყენებს ან/და სხვ., რაც არ იკვეთება ფაქტობრივი დაინტერესების დროს. სასამართლო თუ ჩათვლის, რომ თ. ჩ-მეს მიადგა ზიანი, ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულმა აქტმა გამოიწვია ზიანი, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზიანი იყო არაპირდაპირი სახის, რადგან მისი საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ ამხანაგობის თავმჯდომარემ, რომელსაც ევალეობდა რეაგირება როგორც კანონით ისე ხელშეკრულებით, არ განახორციელა ქმედება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე-940-ე მუხლებით განსაზღვრულია ერთობლივი საქმიანობის მომწესრიგებელი წესები. აღნიშნული კოდექსის 934-ე მუხლი განსაზღვრავს საქმეების ერთობლივად გაძღოლის ვალდებულებას. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულებიდან სხვა რამ არ გამოდინარეობს, ხელმძღვანელი პირების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება დავალების წესების შესაბამისად. ხოლო თუ რწმუნებული უსასყიდლოდ ასრულებს მისთვის დავალებულ მოქმედებებს, იგი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვი ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანისათვის. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 719-ე მუხლი). ანუ თუ ზიანის მიყენების ფაქტი დადგინდება თ. ჩ-მის მიმართ, პასუხისმგებლობა ამ ზიანისათვის უნდა დაეკისროს ამხანაგობის თავმჯდომარეს. თ. ჩ-მეს უფლება აქვს სამოქალაქო წესით მოითხოვოს ო. ლ-მისაგან ზიანის ანაზღაურება და არა ადმინისტრაციული ორგანოსაგან იმ აქტის ბათილობა, რომლითაც უშუალოდ მას არ მიდგომია ზიანი და რომლის გასაჩივრების უფლებამოსილებაც მას არ გააჩნდა.

კასატორის მოსაზრებით, განსხვავებული სამართლებრივი შედეგი იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ მოსარჩელეს შესაბამისი უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტით, ამხანაგობის თავმჯდომარისგან მიენიჭებოდა უფლება – საჩივარი შეეტანა ამხანაგობა «...» ინტერესების დასაცავად სასამართლოში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. მხოლოდ ამხანაგობის თავმჯდომარეს გააჩნდა უფლებამოსილება წარმოედგინა ამხანაგობა ნებისმიერ პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სახელმწიფო დაწესებულებებთან და მესამე პირებთან. ნებისმი-

ერი სამართლებრივი მნიშვნელობის ურთიერთობაში ამხანაგობის ერთპიროვნული წარმომადგენლობის უფლება აქვს მხოლოდ მის თავმჯდომარეს.

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის განჩინებით ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად (აბსოლუტური კასაცია).

მოწინააღმდეგე მხარეს საკასაციო სასამართლოში შესაგებელი ან მოსაზრება არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 იანვრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა იგი, სრულყოფილად გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სათანადო შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რის შედეგადაც საქმეზე არსებითად სწორი განჩინება მიიღო, საკასაციო საჩივარში მითითებულ საპროცესო დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო სსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რადგან კასატორის მიერ ვერ იქნა წამოყენებული დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია, კერძოდ, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 23 თებერვლის 1... დადგენილებით არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე ამხანაგობა «...» დაჯარიმდა 3000 ლარით. აღნიშნული დადგენილება ამხანაგობა «...» თავმჯდომარის მოადგილემ თ. ჩ-მემ გაასაჩივრა 2009 წლის 18 მარტს ქ. თბილისის მერიაში და მოითხოვა მისი ბათილად ცნობა.

ქ. თბილისის მერის 2009 წლის 30 აპრილის 1... განკარგულებით სზაკ-ის 182-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტის საფუძველზე ამხანაგობა «...» თავმჯდომარის მოადგილეს – თ. ჩ-მეს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე, ეთქვა უარი იმ მოტივით, რომ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ.

ასევე დადგენილია, რომ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას ამხანაგობა «...» თავმჯდომარის მოადგილეს თ. ჩ-მეს არ წარუდგენია ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული მინდობილობა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 23 თებერვლის 1... დადგენილებით დაჯარიმებულ იქნა ამხანაგობა «...» და გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია უშუალოდ მის მიმართ, ვინაიდან, საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ ქ. თბილისში, ... ქ. 133-სა და 143-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს ამხანაგობა «...» და სადაც ამხანაგობის თითოეული წევრი არ დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში ბინის მესაკუთრედ თავისი წილის პროპორციულად, მხარეებს არ შეუძლიათ განახორციელონ მათი საკუთრების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა დამოუკიდებლად და თ. ჩ-მის მიერ ქ. თბილისის მერიაში გასაჩივრებული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 1... დადგენილებასთან მიმართებაში დაინტერესებულ პირად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...». რადგან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილია ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» სადამფუძნებლო ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება. სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, ამხანაგობა ყველა მონაწილის, ან წარმომადგენლის საშუალებით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში როგორც მხარე, რომელსაც წარმოეშობა გარკვეული უფლებები ან (და) მოვალეობები. ამხანაგობის მონაწილეთა შეთანხმება და ერთიანობის გამოვლენა ხდება საერთო მიზნის მისაღწევად. ხელშეკრულების ინტერესებიდან გამომდინარე, მის მონაწილეებს შორის შეიძლება მოხდეს უფლება-მოვალეობების გადანაწილება, მაგრამ ეს ხდება არა როგორც დამოუკიდებელ პირთა შორის, რომელთაც ურთიერთსაპირისპირო ინტერესები და მოვალეობები გააჩნიათ, არამედ როგორც სუბიექტებს შორის, რომელთა შორის უფლება-მოვალეობების გადანაწილება ხდება ამხანაგობის ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნით, რაც ყველა მონაწილის ერთიან ინტერესს წარმოადგენს. ამხანაგობის მნიშვნელობა ძირითადად განპირობებულია იმით, რომ იგი არეგულირებს მის მონაწილეთა ერთობლივ საქმიანობას, ხოლო ამავე კოდექსის 937-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ ამხანაგობის დაჯარიმების შედეგად ზიანი მიადგა ამხანაგობის ყველა წევრს, მათ შორის, თ. ჩ-მესაც, ხოლო რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომ სანამ ამხანაგობის თითოეული წევრი არ დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში ბინის მესაკუთრედ თავისი წილის პროპორციულად, მხარეებს არ შეუძლიათ განახორციელონ მათი საკუთრების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა დამოუკიდებლად, საკა-

საცხოველად განმარტავს, რომ თუ ამხანაგობაში წილები არ არის განსაზღვრული, მაშინ ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ ამხანაგობის დაჯარიმების შედეგად ზიანი მიადგა ამხანაგობის ყველა წევრს, მათ შორის თ. ჩ-მესაც.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილი პირის ცნება გულისხმობს, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი უშუალოდ უნდა ეხებოდეს ან ზიანს აყენებდეს პირის სამართლებრივ ინტერესს. პირის სამართლებრივი ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს განურჩევლად იმისა, თუ საგნობრივად რომელ სამართლებრივ სივრცეში წარმოშობილი უფლება-მოვალეობების დადგენა, შეწყვეტა, აკრძალვა, შეცვლა გამოიწვია სადავო აქტით გათვალისწინებულმა სამართლებრივმა შედეგმა.

განსახილველ შემთხვევაში, თ. ჩ-მის, როგორც ამხანაგობის წევრის – სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტის, სამოქალაქო მოვალეობად განისაზღვრა (სხვა წევრებთან სოლიდარულად) ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს – თბილისის მერიის – სამართლებრივი შეფასება და დასკვნა – ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის არაუფლებამოსილ პირად მიჩნევის თაობაზე გამომდინარეობს პირის სამოქალაქო უფლებათა დაცვის ცნების არასწორი გაგება-განმარტებიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები, პროცედურები დიდწილად სწორედ პირის სამოქალაქო უფლებების დაცვის მიზანს ემსახურება, ხოლო ამ უფლებების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს პროცედურული უფლებების რეალიზაცია (განცხადება, ადმინისტრაციული საჩივარი, შუამდგომლობა და სხვა) წარმოადგენს, რომლის განუხორციელებლობა სამოქალაქო უფლების დაცვის შესაძლებლობის მოსპობას უტოლდება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის «ი» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთის მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე მუხლის 1-ელი პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

მითითებული ნორმის ნამდვილი შინაარსი გულისხმობს, რომ პირის კანონიერი ინტერესი არის საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი, გათვალისწინებული, სამართლის ნორმით დაცული ინტერესი.

ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება ნიშნავს სწორედ სამართლის ნორმით დაცული ინტერესის – დარღვეული მატერიალური უფლების აღდგენის შესაძლებლობას. პირის კანონიერი ინტერესის რეალიზაცია მხოლოდ ორგანიზებული წარმონაქმნის, მოცემულ შემთხვევაში – ამხანაგობის სახელით, არ შეესაბამება პირის უფლებას დაცვის მოქმედი კანონმდებლობით უზრუნველყოფილ სისტემას. ვინაიდან, ამხანაგობა, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე ვერ შთანთქმავს მისი წევრების სამართლებრივი უფლებების დამოუკიდებლად რეალიზაციის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მითითებით, თ. ჩ-მეს, როგორც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მხარეს, გააჩნდა დაინტერესებული პირის სახით ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორი გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამობის შესახებ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 იანვრის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 იანვრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობისას მხარის
კანონიერი ინტერესის არსებობის საკითხი**

განჩინება

13გ/ად-483-კ-02

20 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე**

სარჩელის საგანი: ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

1999 წლის 24 ნოემბერს ო. მ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის, '316 საბინაო კოოპერატივის, ლ. ბ-შვილის, მესამე პირების – ნოტარიუსი ე. მ-ძისა და ლ. ა-ძის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მან 1970-1978 წლებში ქ. თბილისში, ... ქ. '13ა-ში საკუთარი სახსრებით აუშენა ბინა მშობლებს და მთლიანად დაფარა ბინის ღირებულება, მაგრამ ვინაიდან, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით, ერთ კაცზე ორი ბინის აღრიცხვა დაუშვებელი იყო, საპაიო შენატანები აღირიცხებოდა დედის – მ. მ-ძის სახელზე, რომელიც მშენებლობის დასრულების შემდეგ საცხოვრებლად აღნიშნულ ბინაში გადავიდა.

მოსარჩელის განმარტებით, ბინის მშენებლობის პროცესში გარდაეცვალა მამა, შესაბამისად, იგი დედის ერთადერთ პირველი რიგის მემკვიდრეს წარმოადგენდა. ამასთან, დედამ მას სიცოცხლეშივე უანდერძა სადავო ბინის პაი.

მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, ის გარემოება, რომ ხსენებული ბინა ფაქტობრივად მას ეკუთვნოდა და მხოლოდ მას შეეძლო მისი განკარგვა, ცნობილი იყო, როგორც '316 საბინაო კოოპერატივის თავმჯდომარისათვის, ისე მისი შვილის გ. მ-ძის ოჯახისათვის.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1992 წლის მაისში გარდაეცვალა ვაჟიშვილი თ. მ-ძე, 1993 წელს დაელუპა მეუღლე, ხოლო 1994 წელს გარდაეცვალა დედა – მ. მ-ძე. ექვსი თვის შემდეგ მოსარჩელემ '316 საბინაო კოოპერატივის თავმჯდომარეს წარუდგინა მ. მ-ძის ანდერძი, თუმცა, მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო, კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდროს მიღება ვერ მოახერხა.

მოსარჩელის განმარტებით, მან '316 საბინაო კოოპერატივის თავმჯდომარისაგან შემთხვევით შეიტყო, რომ მის რძალს – ლ. ბ-შვილს სადავო ბინა ლ. ა-ძეზე 5000 ლარად გაეყიდა. სადავო ბინის პრივატიზება 1999 წლის 30 ივნისის ხელშეკრულებით განხორციელდა, რომლის თანახმად, საბურთალოს საბინაო განყოფილებამ ლ. ბ-შვილს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასცა ოთხთახიანი კოოპერატიული ბინა, რომელიც რეალურად მოსარჩელის საკუთრებას წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ დედის – მ. მ-ძის მემკვიდრეობის მიღების ვადის აღდგენა, ქ. თბილისში, ... ქ. '13ა-ში მდებარე 17 ბინის მესაკუთრედ ცნობა, 1999 წლის 6 ივლისს ლ. ბ-შვილსა და ლ. ა-ძეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და 1999 წლის 30 ივნისს ლ. ბ-შვილის სახელზე განხორციელებული სადავო ბინის პრივატიზების ხელშეკრულების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 4 აპრილის საოქმო განჩინებით საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო ადმინისტრაციული საქმე ბინის პრივატიზების გაუქმების თაობაზე, ხოლო მის გადაწყვეტამდე შეჩერდა სამოქალაქო საქმის წარმოება.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ო. მ-ძის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი 1999 წლის 30 ივნისის გაფორმებული სადავო ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ბ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 11 ივლისის საოქმო განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაება ზ. მ-შვილი.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ო. მ-ძეს უარი ეთქვა სადავო ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლზე და აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით ვერ დგინდებოდა ო. მ-ძის მიერ სადავო ბინის საპაიო გადასახადის შეტანის ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ბინის მეპაიე იყო მოსარჩელის დედა – მ. მ-მე, რომელმაც 1992 წლისათვის სრულად დაფარა საპაიო შესატანი და 1994 წლის 22 აპრილს გარდაიცვალა. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ბინაში მ. მ-მესთან ერთად ცხოვრობდნენ მ. მ-მის შვილიშვილი, მოსარჩელის ვაჟი – გ. მ-მე, მისი მეუღლე ლ. ბ-შვილი და შვილები ო. და დ. მ-ძეები. 1990 წლის 26 აპრილს შედგენილი ანდერძით მ. მ-მემ კოოპერატივის პაი მთლიანად უანდერძა შვილს – ო. მ-მეს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში არ მიიღო სამკვიდრო. აღნიშნულ სამკვიდრო ქონებას ფაქტობრივად ფლობდა გარდაცვლილის კანონით მემკვიდრე, შვილიშვილი – გ. მ-მე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე, 1429-ე, 1433-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ ვინაიდან, სადავო ქონებაზე ფაქტობრივ მფლობელობას მ. მ-მის კანონით მემკვიდრე, შვილიშვილი – გ. მ-მე ახორციელებდა, უნდა ჩათვლილიყო, რომ მან მიიღო სამკვიდრო და სადავო ბინის შესაკუთრესაც იგი წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის 1107 დადგენილების მე-5 პუნქტი.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ბ-შვილმა ბინის პრივატიზაციისას წარადგინა: ცნობა საბინაო პირობების შემოწმების შესახებ, ცნობა საპაიო გადასახადის სრულად გადახდის შესახებ და ნოტარიულად დამოწმებული ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობა ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების ლ. ბ-შვილის სახელზე გაფორმების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბინაო გაერთიანების სამმართველოს წარმომადგენელსა და ლ. ბ-შვილს შორის 1999 წლის 30 ივნისს დაიდო ხელშეკრულება ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რაც დადასტურდა სანოტარო წესით და რეგისტრაციაში გატარდა ტექნიკური პირობების ბიუროში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. ბ-შვილის სახელზე სადავო ბინის პრივატიზება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის 1107 და 1994 წლის 5 აგვისტოს 1520 დადგენილებების მოთხოვნათა სრული დაცვით განხორციელდა და არ არსებობდა მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. მ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი. კასატორის განმარტებით, მისი შვილი გ. მ-მე მ. მ-მის კანონით მემკვიდრე ვერ ჩათვლებოდა, ვინაიდან, იგი როგორც პირველი რიგის მემკვიდრე ცოცხალი იყო. კასატორმა ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასრულყოფილად გამოიკვლია მტკიცებულებები და არასწორი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 12 სექტემბრის განჩინებით ო. მ-მის საკასაციო საჩივრის განხილვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე შეჩერდა ო. მ-მის სარჩელის გამო, მოპასუხეების – ლ. ბ-შვილის, 1316 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის, მესამე პირების – ნოტარიუს ე. მ-მისა და ფიზიკური პირის ლ. ა-მის მიმართ, სადავო ბინის პაიზე მემკვიდრეობის ვადის აღდგენისა და სადავო ბინის შესაკუთრედ ცნობის შესახებ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 4 აპრილის საოქმო განჩინებით მოცემული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე საქმის წარმოება, როგორც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან წარმოშობილი დავა, ხოლო ო. მ-მის სასარჩელო მოთხოვნებიდან, კერძოდ, სადავო ბინის პაის მემკვიდრეობის ვადის აღდგენის, შესაკუთრედ ცნობისა და ლ. ბ-შვილსა და ლ. ა-მეს შორის 1999 წლის 6 ივლისს დადებული სადავო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმის განხილვა შეჩერდა ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ბინის პრივატიზების ხელშეკრულების კანონიერებაზე ვერ იმსჯელებდა, სანამ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ დადგინდებოდა მ. მ-მის მიერ ანდერძით დატოვებულ სადავო ბინის პაიზე ო. მ-მისთვის მემკვიდრეობის ვადის აღდგენისა და სადავო ბინის შესაკუთრედ ცნობის საკითხი.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ო. მ-მის საკასაციო საჩივრის განხილვა სადავო ბინის პრივატიზების ბათილად ცნობის თაობაზე უნდა შეჩერებულიყო, ო. მ-მის სადავო ბინის პაიზე მემკვიდრეობის ვადის აღდგენისა და სადავო ბინის შესაკუთრედ ცნობის ნაწილში, ხოლო მოპასუხე ლ. ბ-შვილსა და მესამე პირს – ლ. ა-მეს შორის 1999 წლის 6 ივლისს დადებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების კანონიერების დადგენის ნაწილში სამოქალაქო საქმე უნდა შეჩერებულიყო, სანამ კანონიერ ძალაში არ შევიდოდა სასამართლოს გადაწყვეტილება ო. მ-მისათვის სადავო ბინის პაიზე მემკვიდრეობის ვადის აღდგენის, სადავო ბინის შესაკუთრედ ცნობისა და აღნიშნული ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების კანონიერება-უკანონობის დადგენის თაობაზე.

2010 წლის 23 აგვისტოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მომართა ო. მ-მემ, რომელმაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლის საფუძველზე, მის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ნოემბრის განჩინებით ო. მ-მის საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის წარმოების შეჩერების საფუძველს სწორედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტი წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საქმის წარმოება განახლდებოდა იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება. წარმოების განახლების შემდეგ საქმის განხილვა ხდებოდა საერთო წესით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინებით კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენის, სადავო ბინაზე მემკვიდრედ და ბინის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე ო. მ-მის სასარჩეო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აღარ არსებობდა საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი, რის გამოც საკასაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო განეხილებინა ო. მ-მის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისში, ... ქ. 113ა, ბინა 17-ში მდებარე კოოპერატიული ბინის მეპაიე იყო კასატორის დედა – მ. ე. ასული მ-მე. 1990 წლის 26 აპრილს მ. მ-მის მიერ შედგენილი ანდერძით, მთელი მისი ქონება, მათ შორის 1316 კოოპერატივში შენატანი (პაი) უანდერძა შვილს – ო. მ-მეს. მ. მ-მე გარდაიცვალა 1994 წლის 22 აპრილს. ო. მ-მემ კანონით დადგენილ ვადაში არ მიიღო სამკვიდრო. სადავო ბინაში მ. მ-მისთან ერთად ცხოვრობდნენ მ. მ-მის შვილიშვილი, მოსარჩელის ვაჟი – გ. მ-მე, მისი მეუღლე ლ. ბ-შვილი და შვილები ო. და დ. მ-ძეები. 1999 წლის 30 ივნისს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბინაო გაერთიანების სამმართველოს წარმომადგენელსა და ლ. ბ-შვილს შორის დაიდო ხელშეკრულება ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რაც დადასტურდა სანოტარო წესით და რეგისტრაციაში გატარდა ტექნიკენტარიზაციის ბიუროში, ხოლო 1999 წლის 6 ივლისს ლ. ბ-შვილსა და ლ. ა-მეს შორის გაფორმდა სადავო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს 1999 წლის 30 ივნისს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბინაო გაერთიანების სამმართველოს წარმომადგენელსა და ლ. ბ-შვილს შორის დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით ო. მ-მის სარჩელი ბინის პაიზე მემკვიდრეობის ვადის აღდგენისა და სადავო ბინის მესაკუთრედ ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინებებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტზე და განმარტავს, რომ მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. მითითებული ნორმა ასეთს განაკუთვნებს ფაქტებს, რომელიც დადგენილია სამოქალაქო სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეზე პრეიუდიციული ძალა გააჩნია სამოქალაქო სამართლის საქმეზე გამოტანილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინებით კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს და ისინი დამტკიცებას არ საჭიროებენ, კერძოდ, უდავოა ის გარემოება, რომ ო. მ-მემ, კანონით დადგენილ ვადაში არ მიიღო სამკვიდრო. ამასთან, ო. მ-მეს უარი ეთქვა ბინის პაიზე მემკვიდრეობის ვადის აღდგენასა და სადავო ბინის მესაკუთრედ ცნობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის 1107 დადგენილების მე-5 პუნქტზე და განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემოდათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლების ოჯახის წევრები იყვნენ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით, ისე საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადგენილია, რომ სადავო ბინაზე ფაქტობრივ მფლობელობას მ. მ-მის

შვილიშვილი – გ. მ-ძე და მისი ოჯახის წევრები ახორციელებდნენ. ამასთან, ლ. ბ-შვილის მიერ ბინის პრივატიზაციის მიზნით წარდგენილ საბუთთა ნუსხა, სრულად შეესაბამებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის 1107 და 1994 წლის 5 აგვისტოს 1520 დადგენილებების მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს მხარის კანონიერი ინტერესი პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მიმართ, ვინაიდან, სადავო ბინის პაიზე მემკვიდრეობის ვადის აღდგენისა და სადავო ბინის მესაკუთრედ ცნობაზე უარის თქმის პირობებში, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი მას არ აღუდგება კანონით დაცული ინტერესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე მიიღო კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ო. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება

განჩინება

18ს-186-179(კ-10)

24 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 21 მარტს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შპს «...» მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 12 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (სესხის გამომყოფი), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (სესხის მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის განმახორციელებელი), სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ «...» (თანხის გამცემი) და შპს «...» (სესხის მიმღები) შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების პირველი მუხლის შესაბამისად, შპს «...» სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის «ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერი ღონისძიებების» დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სესხის სახით გამოეყო 453 000 ლარი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად შპს «...» ვალდებული იყო სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი კვირის ვადაში წარედგინა სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის ოდენობის საბანკო გარანტია ან შესაბამისი ღირებულების ქონება დაეტვირთა იპოთეკით ან დაეგირავებინა.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 13 დეკემბერს სესხის სახით კუთვნილი თანხიდან შპს «...» გადაერიცხა პირველ ტრანში 226 500 ლარი, რომელსაც დაერიცხა სარგებელი 5 101 ლარის ოდენობით, ხოლო 2007 წლის 17 დეკემბერს გადაერიცხა მეორე ტრანში 226 500 ლარი, რომელსაც დაერიცხა სარგებელი 5 064 ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ხელშეკრულება 2007 წლის 12 დეკემბერს დაიდო, შესაბამისად სესხის მიმღებს სესხის უზრუნველყოფის საშუალება 2007 წლის 26 დეკემბრამდე უნდა წარედგინა. მიუხედავად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არაერთი გაფრთხილებისა, შპს «...» ხელშეკრულების მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ შეუსრულებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ შპს «...» 463 165 ლარის ოდენობის საბანკო გარანტიის წარდგენის ან შესაბამისი ღირებულების ქონების იპოთეკით დატვირთვის ან დაგირავების დავალდებულება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაეზნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი «...».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე საქმის მასალებთან ერთად, განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2007 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (სესხის გამომყოფი), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (სესხის მიზნობრივ გამოყოფაზე კონტროლის განმახორციელებელი), სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის «...» (თანხის გამცემი) და შპს «...» (სესხის მიმღები) შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 5 დეკემბრის 1773 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, შპს «...» სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის «ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიების» დასაფინანსებლად სესხის სახით გამოეყო 453 000 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სესხის სარეგულობის ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი წლის ვადით, ხოლო მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად დადგენილ ვადებში სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით სესხის მიმღები ვალდებული იყო ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2 კვირის ვადაში, «სესხის გამომყოფისათვის» წარედგინა სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის ოდენობის საბანკო გარანტია ან დაეგირავებინა ან იპოთეკით დაეტვირთა შესაბამისი ღირებულების ქონება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ «ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სესხის გამოყოფის შესახებ» საქართველოს მთავრობის 2007 წლის 5 დეკემბრის 1773 განკარგულებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს «საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ «...» სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის – «ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებების» დასაფინანსებლად, საკრედიტო რესურსად 1 000 000 ლარის გამოყოფა დაევალა, ხოლო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სესხის მიმღები ღვინის ქარხნების შერჩევა და მათთვის საკრედიტო რესურსად გამოყოფილი თანხის სესხის სახით გაცემა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ «...» ერთად შერჩეულ სესხის მიმღებ ღვინის ქარხნებთან სასესხო ხელშეკრულების გაფორმება და მათ შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევალა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის 2008 წლის 8 იანვრის წერილით, შპს «...» დირექტორს და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეცნობათ, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 5 დეკემბრის 1773 განკარგულებისა და 2007 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულების თანახმად, დადგენილ ვადებში სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით, სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ორი კვირის ვადაში უნდა წარედგინათ საბანკო გარანტია ან დაეგირავებინათ ან იპოთეკით დაეტვირთათ შესაბამისი ღირებულების ქონება, რაც არ განხორციელებულა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2007 წლის 13 დეკემბერს სესხის სახით კუთვნილი თანხიდან შპს «...» გადაერიცხა პირველ ტრანში 226 500 ლარი, რომელსაც დაერიცხა სარეგული 5 101 ლარის ოდენობით, ხოლო 2007 წლის 17 დეკემბერს გადაერიცხა მეორე ტრანში 226 500 ლარი, რომელსაც დაერიცხა სარეგული 5 064 ლარის ოდენობით. შესაბამისად, შპს «...» ვალდებული იყო წარედგინა 463 165 ლარის საბანკო გარანტია ან დაეგირავებინა ან იპოთეკით დაეტვირთა შესაბამისი ღირებულების ქონება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ შპს «...» მიერ ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით ნაკისრი ვალდებულება არ შესრულებულა და შესაბამისად, სახეზე იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მატერიალური უფლების დარღვევის ფაქტი.

საპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მოცემულ დავასთან დაკავშირებით დარღვეული მატერიალური უფლების აღდგენის სამართლებრივი მექანიზმები განსაზღვრული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით, მე-400, 405-ე და 352-ე მუხლებით.

საპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დარღვეული უფლების აღდგენისათვის სამოქალაქო საპროცესო უფლების მოცემული სახით რეალიზაცია არ იყო შესაბამისობაში მატერიალური კანონმდებლობის დანაწესთან, რაც გამოიწვია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის კანონიერებას – ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების – 463 165 ლარის ოდენობის საბანკო გარანტიის წარდგენის ან შესაბამისი ღირებულების ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის თაობაზე.

თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის 2008 წლის 8 იანვრის წერილით, შპს «...» დირექტორს და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეცნობათ, რომ მათ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 5 დეკემბრის 1773 განკარგულებისა და 2007 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულების თანახმად, დადგენილ ვადებში სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით, სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ორი კვირის ვადაში უნდა წარედგინათ საბანკო გარანტია ან დაეგირავებინათ ან იპოთეკით დაეტვირთათ შესაბამისი ღირებულების ქონება, რაც არ განხორციელებულა. შპს «...» განემარტა, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევდა ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას და გაცემული სესხის და მასზე დარიცხული პროცენტის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებას.

კასატორმა მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე და 623-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ვალდებულების დარღვევის დროს კრედიტორს უფლება ჰქონდა თავად განესაზღვრა მოთხოვნა. ამდენად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ თავად განსაზღვრა მოთხოვნა და 463 165 ლარის ოდენობის საბანკო გარანტიის წარდგენა ან შესაბამისი ღირებულების ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 26 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე დასაშვებლად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვინაიდან კასატორის მიერ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულოა საპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2007 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (სესხის გამომყოფი), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (სესხის მიზნობრივ გამოყოფაზე კონტროლის განმახორციელებელი), სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის «...» (თანხის გამცემი) და შპს «...» (სესხის მიმღები) შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 5 დეკემბრის 1773 განკარგულების შესაბამისად, «საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, შპს «...» სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის «ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიების» დასაფინანსებლად სესხის სახით გამოეყო 453 000 ლარი. 2007 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სესხის სარგებლობის ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი წლის ვადით, ხოლო მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად დადგენილ ვადებში სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით სესხის მიმღები ვალდებული იყო ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2 კვირის ვადაში, «სესხის გამომყოფისათვის» წარედგინა სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის ოდენობის საბანკო გარანტია ან დაეგირავებინა ან იპოთეკით დაეტვირთა შესაბამისი ღირებულების ქონება. 2007 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე, «ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სესხის გამოყოფის შესახებ» საქართველოს მთავრობის 2007 წლის 5 დეკემბრის 1773 განკარგულებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს «საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ «...» სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის – «ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიების» დასაფინანსებლად, საკრედიტო რესურსად 1 000 000 ლარის გამოყოფა დაევა, ხოლო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სესხის მიმღები ღვინის ქარხნების შერჩევა და მათთვის საკრედიტო რესურსად გამოყოფილი თანხის სესხის სახით გაცემა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ «...» ერთად შერჩეულ

სესხის მიმღებ ღვინის ქარხნებთან სასესხო ხელშეკრულების გაფორმება და მათ შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევალა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის 2008 წლის 8 იანვრის '05-03/30 წერილით, შპს «...» დირექტორს და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეცნობათ, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 5 დეკემბრის '773 განკარგულებისა და 2007 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულების თანახმად, დადგენილ ვადებში სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით, სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ორი კვირის ვადაში უნდა წარედგინათ საბანკო გარანტია ან დაეგირავებინათ ან იპოთეკით დაეტვირთათ შესაბამისი ღირებულების ქონება, რაც არ განხორციელებულა.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს და არც მხარეები ხდიან სადავოდ იმ ფაქტს, რომ 2007 წლის 13 დეკემბერს სესხის სახით კუთვნილი თანხიდან შპს «...» გადაერიცხა პირველი ტრანში 226 500 ლარი, რომელსაც დაერიცხა სარგებელი 5 101 ლარის ოდენობით, ხოლო 2007 წლის 17 დეკემბერს გადაერიცხა მეორე ტრანში 226 500 ლარი, რომელსაც დაერიცხა სარგებელი 5 064 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დარღვეული უფლების აღდგენისათვის სამოქალაქო საპროცესო უფლების მოცემული სახით რეალიზაცია, არ არის შესაბამისობაში მატერიალურ კანონმდებლობასთან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილზე.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ შპს «...» მიერ 2007 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულების მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ შესრულებულა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის «ა» ქვეპუნქტზე და განმარტავს, რომ მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულების შეუსრულებლობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებაში გამოიხატება, კრედიტორს შეუძლია მოვალეს დაუნიშნოს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო. მოვალის მიერ ამ დროში ვალდებულების შეუსრულებლობისას, კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და განმარტავს, რომ თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის თანახმად კი ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების შემთხვევაში მხარეებს წარმოეშობათ მიღებული შემოსავლებისა და სარგებელის ერთმანეთისათვის გადაცემის ვალდებულება. ამ ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო კოდექსის მე-400, 405-ე და 352-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე განმარტავს, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის მიერ სრულად იქნა შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ხოლო მოვალის მიერ კრედიტორის გაფრთხილების მიუხედავად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შესრულებულა, მოსარჩელის მხრიდან დარღვეული სამოქალაქო საპროცესო უფლების მოცემული სახით რეალიზაცია გამოიხატავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის კანონიერებას – ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების, კერძოდ, 463 165 ლარის ოდენობის საბანკო გარანტიის წარდგენის ან შესაბამისი ღირებულების ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე მიიღო კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ზიანის ანაზღაურება

ზიანის ანაზღაურებისათვის სავალდებულო პირობები

განჩინება

18ს-1338-1302(კ-10)

13 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ბ-ემ 28.06.05წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე თ. ქ-ისა და ნოტარიუს ე. მ-ას მიმართ, რომლითაც მოპასუხეებისათვის ზიანის ანაზღაურების სახით 31 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20.01.08წ. საოქმო განჩინებით მოსარჩელე ლ. ბ-ის სასარჩელო განცხადება მოპასუხე თ. ქ-ის მიმართ მოთხოვნის ნაწილში დატოვებულ იქნა განუხილველად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 06.02.09წ. განჩინებით ლ. ბ-ის სარჩელი მოპასუხე ნოტარიუს ე. მ-ას მიმართ, ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

ლ. ბ-ემ 28.04.09წ. დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ნოტარიუს – ე. მ-ას მიმართ, რომლითაც მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების – 30 000 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ლ. ბ-ესა და ვ. შ-ას შორის ქ. თბილისში, ... ქ. 116-ში მდებარე ბინაზე 15.06.99წ. დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც დაამოწმა ნოტარიუსმა ე. მ-ამ. ვ. შ-ას გარდაცვალების შემდეგ მისმა ანდერძისმიერმა მემკვიდრემ თ. ქ-ემ აღძრა სარჩელი 15.06.99წ. ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. აღნიშნული დავა 2003 წელს დასრულდა და სადავო ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი. ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველად უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია ის გარემოება, რომ საქმეში მესამე პირად ჩაბმულმა ნოტარიუსმა ე. მ-ამ დაარღვია «ნოტარიატის შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და 30.06.98წ. დამტკიცებული ინსტრუქციის მე-5 მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, ვ. შ-ას არ დაუნიშნა თარჯიმანი და არ განუმარტა ხელშეკრულების დადების შედეგები. მოსარჩელის მოსაზრებით ნოტარიუს ე. მ-ას კანონის დაცვით რომ შეედგინა ნასყიდობის ხელშეკრულება, არ გაუქმდებოდა ლ. ბ-ის საკუთრება ქ. თბილისში, ... ქ. 116-ში მდებარე ბინაზე, რის გამოც მოსარჩელის მოსაზრებით არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ე. მ-ას უკანონო ქმედებასა და ლ. ბ-თვის ბინის ჩამორთმევას შორის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.10.09 წ. გადაწყვეტილებით სარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელე – ლ. ბ-ეს უარი ეთქვა მოპასუხის – ნოტარიუს ე. მ-ას დავალდებულებაზე, აუნაზღაუროს მოსარჩელეს მატერიალური ზიანი 30 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარმოუდგინა შესაბამისი სახის მტკიცებულება სარჩელში აღნიშნული ზიანის არსებობის დასადასტურებლად, ვერ იქნა დადგენილი ასევე მიზეზობრივი კავშირი ნოტარიუსის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. მოსარჩელე მხარემ სასამართლოს ასევე ვერ წარმოუდგინა შესაბამისი სახისა და შინაარსის მტკიცებულებები იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მოსარჩელე ლ. ბ-ემ ნამდვილად განიცადა 30 000 ა.შ.შ. დოლარის ღირებულების მატერიალური ზიანი და თანაც უშუალოდ მოპასუხის – ნოტარიუს ე. მ-ას ბრალით. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ბ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.06.10 წ. განჩინებით ლ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.10.09 წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებებს და დამატებით აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, ხოლო აპელანტის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3. მუხლის შესაბამისად, ვერ იქნა წარდგენილი რაიმე სახის მტკიცება, რომლითაც დადასტურდებოდა, ნოტარიუს ე. მ-ას განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით აპელანტისათვის 30000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ზიანის მიყენება. საქმის მასალების მიხედვით ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედება აპელანტის მონაწილეობით შესრულდა 15.06.99 წ., დავა აღნიშნული სანოტარო მოქმედების (ნასყიდობა) გაუქმების მოთხოვნით მოსარჩელე თ. ქ-ესა (ვ. შ-ას ანდერძისმიერი მემკვიდრე) და მოპასუხე ლ. ბ-ეს (აპელანტს) შორის სამოქალაქო სამართლებრივი წესით სხვადასხვა საფუძველით მიმდინარეობდა 2000 წლის დეკემბრიდან, ხოლო ზიანის ანაზღაურების თაობაზე ლ. ბ-ემ სარჩელით მიმართა სასამართლოს 28.06.05 წ., რის გამოც სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე

არის ხანდაზმული. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ დავა არსებითად სწორად გადაწყვიტა. შესაბამისად, უსაფუძვლოდ გამო არ დააკმაყოფილა აპელანტ ლ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.10.09 წ. გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.06.10 წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ბ-ემ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და მისი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2.02.11 წ. განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, და მიიჩნევს, რომ ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აწვარდაცვლილ ვ. შ-ასა და ლ. ბ-ეს შორის 15.06.99 წ. დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება ქ. თბილისში, ... ქ. 116-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის თაობაზე, ხელშეკრულება ნოტარიულად დამოწმდა ნოტარიუს ე. მ-ას მიერ. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 26.03.03 წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი აწვარდაცვლილ ვ. შ-ასა და ლ. ბ-ეს შორის ქ. თბილისში, ... ქ. 116-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის თაობაზე 15.06.99 წ. დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, ხელშეკრულების ბათილად ცნობას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ვ. შ-ა არ ფლობდა ქართულ ენას, ხოლო ნოტარიუსს ხელშეკრულების დადების დროს არ მოუწვევია თარჯიმანი, არ განუმარტავთ ვ. შ-თვის ხელშეკრულების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 04.12.03 წ. 1ას-160-869-03 განჩინებით ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დამაყოფილდა, შესაბამისად, კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 26.03.03 წ. გადაწყვეტილება.

კასატორი ნოტარიუსის მოქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადასტურებლად მიუთითებს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 26.03.03 წ. გადაწყვეტილებაზე და თვლის, რომ ნოტარიუსის ქმედებიდან გამომდინარე, დღეისათვის მას საკუთრებაში არ გააჩნია ბინა, რაშიც გამოიხატა მისთვის ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების არასწორად განხორციელებით მიყენებული ზიანი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადება საჭიროებს კონტრაქტთა ორმხრივი ნების გამოვლენას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება. საფუძველს მოკლებულია ლ. ბ-ის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზიანი აისახება იმ უძრავი ქონების ღირებულებაში, რომელიც საკუთრებაში ექნებოდა მას ნასყიდობის ხელშეკრულება რომ არ გაუქმებულიყო. აღსანიშნავია, რომ ბათილ გარიგებას არავითარი იურიდიული შედეგი არ მოჰყვება მისი დადების მომენტიდან და მხარე, რომელმაც მიიღო ქონება არ იძენს ქონებაზე უფლებას. ამდენად, ლ. ბ-ის საკუთრებაში ბინის არარსებობა რაიმე ზიანს არ წარმოშობს, ვინაიდან მას უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება არ მოუპოვებია გამყიდველი პირის ნების არანამდვილობის გამო. ზიანის არარსებობა გამორიცხავს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ნოტარიუსის ქმედებასა და ზიანს შორის. ნოტარიუს ე. მ-ას მიერ მოსარჩელე ლ. ბ-თვის ზიანის მიყენება არ დასტურდება თბილისის საოლქო სასამართლოს 26.03.03 წ. გადაწყვეტილებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კანონიერ ძალაში მყოფ თბილისის საოლქო სასამართლოს 02.11.04 წ. განჩინებით ე. მ-ას განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 26.03.03 წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განუხილველად იქნა დატოვებული, განცხადების განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ სასამართლოს 26.03.03 წ. გადაწყვეტილებით, რომლის ბათილად ცნობასაც ითხოვდა განმცხადებელი, ე. მ-ას უფლებები და მოვალეობები რომელიმე მხარის მიმართ არ დადგენილა, უფრო მეტიც, 26.03.03 წ. გადაწყვეტილებაში იგი საერთოდ არ არის მითითებული.

ნების გამოვლენა გარიგების უმთავრესი ელემენტია, ადამიანის ცნობიერებიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგის მიღწევის განზრახვის გარეგნული გამოვლენაა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება ნასყიდობის ხელშეკრულების დასადასტურებლად საჭირო ბინის მესაკუთრის ნება. ის გარემოება, რომ ვ. შ-ა არ ფლობდა ქართულ ენას, რომელზედაც გაფორმებული იყო ხელშეკრულების ტექსტი, ხელშეკრულების დადებას არ ესწრებოდა თარჯიმანი, ვ. შ-ას არ განემარტა ხელშეკრულების შინაარსი, ადასტურებს იმას, რომ მას არ გამოუვლენია ბინის გაყიდვის ნება და არ მიუღია ხელშეკრულების კონტრაქტის ნება ბინის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფასად შესყიდვაზე. ამდენად, არ დასტურდება, რომ გარეგნულად ხელშეკრულების ტექსტში ასახული ნება ემთხვეოდა პირის სურვილს მოხდინა ბინის მოსარჩელისთვის მიყიდვა, არ დასტურდება, რომ ვ. შ-ას მიერ 15.06.99 წ. ხელშეკრულების ტექსტის შინაარსის გაცნობა მისი მხრიდან უცილობლად გამოიწვევდა ბინის გაყიდვის ნების გამოვლენას, მყიდველის მიერ შეთავაზებული პირობის მიღებას, ამ მიმართებით მოსარჩელეს რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია. ამდენად, სახეზე არ არის თავისუფალი თვითგამორჩევის საფუძველზე პირის ნამდვილი ნება ბინის გაყიდვაზე, რის გამო, სახეზე არ არის ზიანი, რომელიც ანაზღაურების დაკისრების სავალდებულო პირობას წარმოადგენს. აღნიშნულის შესაბამისად, არ დასტურდება უშუალოდ ნოტარიუსის ქმედებით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება, ნოტარიუსის მიერ სამართალწარმოების წესების ყოველგვარი დარღვევა არ უკავშირდება ქონებრივ პასუხისმგებლობას. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის დელიქტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების სავალდებულო პირობა

– ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რაც გამოირიცხავს ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ლ. ბ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია, რაც სსსკ-ის 410-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობას წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.06.2010 წ. განჩინება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო ზიანის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს დაკისრება

განჩინება

18ს-1057-1028(კ-10)

22 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ხელშეკრულების პირობების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 31 მარტს მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს დუშეთის მუნიციპალიტეტში სარჩელით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა მოპასუხე შპს «...» მიმართ.

მოსარჩელე სარჩელში მიუთითებდა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურში 2007 წლის 5 მარტს «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად ჩატარდა ტენდერი «ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაზე» მომსახურების შესყიდვაზე. დუშეთის რაიონში გამარჯვებულად მიჩნეული იქნა შპს «...», რომელთანაც 2007 წლის 12 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ '81, რომელშიც 2007 წლის 27 აპრილს შევიდა ცვლილებები ხელშეკრულების დანართი '1 სახით, რომელიც ჩაითვალა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული იქნა მხარეთა ვალდებულებები, კერძოდ, ეროვნულმა სამსახურმა აიღო ვალდებულება აენაზღაურებინა მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების ღირებულება შესყიდვის ობიექტის-მომსახურების მიღების შემთხვევაში. შპს «...» აიღო ვალდებულება მომსახურება გაეწია შემსყიდველისათვის ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებით. ხელშეკრულების საერთო პირობების მე-4 მუხლის და სპეციფიკური პირობების მე-3 მუხლის (2007 წლის 27 აპრილის ცვლილებები ხელშეკრულების დანართი '1) შესაბამისად, მიმწოდებელი – შპს «...», ვალდებული იყო მომსახურება გაეწია მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით და მომსახურების სრული ან ნაწილობრივი ეტაპის დამთავრებისთანავე წარედგინა შესაბამის რაიონულ სამმართველოში პირუტყვის მეპატრონეთა სახელობითი სიები თანდართული აქტებით, ორ ეგზემპლარად. მიმწოდებელი ვალდებული იყო რაიონის სამმართველოში დოკუმენტაციის წარდგინიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში, რაიონის სამმართველოს მიერ დამოწმებული პირუტყვის მეპატრონეთა სახელობითი სიებისა და თანდართული აქტების დედნები წარედგინა შემსყიდველისათვის. ვაქცინაციის ჩატარებისათვის შპს «...» გადაეცა ჯილდოსის საწინააღმდეგო 16 600 დოზა და ცოფის საწინააღმდეგო 4820 დოზა ვაქცინა, თურქული საწინააღმდეგო ვაქცინა 29 580 დოზა და 8 349 დოზა ღირებულებით 40 756 ლარი და 95 თეთრი. ხელშეკრულების საერთო პირობების 3.1 მუხლისა და სპეციფიკური პირობების მე-2 მუხლის შესაბამისად, სამსახურში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ახორციელებდა შემსრულებ-

ლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საბოლოო შემოწმებას. ხელშეკრულების საერთო პირობების 5.1 მუხლისა და სპეციფიკური პირობების მე-5 მუხლის თანახმად, მომსახურების მიღება-ჩაბარება შესაძლებელია, როგორც სრულად, ასევე ეტაპობრივად. მომსახურება შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტი შემსრულებელთან გაფორმდება შემსყიდველის უფლებამოსილი პირის მიერ მომსახურების გაწევის ადგილზე შედგენილი აქტის საფუძველზე. ეროვნული სამსახურის ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომსახურების შემოწმების შედეგად შპს «...» მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ჩაითვალა შეუსრულებლად, რის თაობაზეც ეცნობა მას და დაევალა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს 2 986 ლარისა და 27 თეთრის გადახდა, მისთვის გადაცემული ვაქცინების სრული რაოდენობის დაბრუნება ან ვაქცინების ღირებულების 40 756 ლარისა და 95 თეთრის ანაზღაურება.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა მოპასუხე მხარეს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის 33 693,20 ლარისა და პირგასამტეხლოს სახით 2 986,27 ლარის გადახდა. აგრეთვე, შპს «...» დავალებოდა ვაქცინების უკან დაბრუნება ან მისი დაუბრუნებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 40756 ლარისა და 95 თეთრის ოდენობით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრტი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2009 წლის 6 აპრილის განჩინებით სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სარჩელი შპს «...» მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

2009 წლის 14 სექტემბერს მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვა შპს «...» ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის 33 693 ლარისა და 20 თეთრის, ასევე პირგასამტეხლოს სახით 2 986 ლარისა და 27 თეთრის დაკისრება.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე მხარეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით 2 986, 27 ლარის გადახდა; მოსარჩელეს უარი ეთქვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის 33 693,20 ლარის ანაზღაურებაზე; მოპასუხე მხარეს სახელწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 ლარის ოდენობით.

სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძო სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განსაზღვრის ძირითად ელემენტს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარის მიერ ტენდერში გამარჯვებულ შპს «...» დაიდო შესაბამისი ხელშეკრულება ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაზე. შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე სარჩელი, რამდენადაც ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაზე ხელშეკრულების დადებისას, ადმინისტრაციული ორგანო – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის – «ვეტერინარიის შესახებ» საქართველოს კანონით დარეგულირებული სპეციალური საკანონმდებლო აქტის საფუძველზე.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.2 მუხლის მოთხოვნებზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება, როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ისე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. ამავე მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ.

სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მხარის მიერ დაცული არ არის ხელშეკრულებიდან გასვლის ზემოთ აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნა. მოსარჩელე მხარეს არ დაუწესებია დამატებითი ვადა შპს «...» ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად. მოსარჩელე მხარის მიერ ასევე დასაბუთებული არ არის დამატებითი ვადის დაწესების ან გაფრთხილების მიზანშეუწონლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელე მხარის მოთხოვნა ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და ვაქცინების დაუბრუნებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების საფუძველები და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის თანახმად, თუ ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარის მიერ არ იქნა არც ზემოთ აღნიშნული გარემოება დასაბუთებული. კერძოდ, დაკარგა თუ არა შემსყიდველმა (სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულების ინტერესი.

სასამართლოს მოსაზრებით, საქმეზე დასტურდება შპს «...» მხრიდან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ფაქტი და არა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა. კერძოდ, მოპასუხე შპს «...» შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვაქცინაციის მხოლოდ პირველი ეტაპი. მოპასუხის მიერ ჩატარებული ვაქცინაციის დამადასტურებელი აქტებითა და სახელობითი სიების საფუძველზე, სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ნაკისრი ვალდებულება შესრულდა არაჯეროვნად. ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაზე, შპს «...» გეგმით უნდა აეცრა 4 675 სული ძაღლი და კატა, აქტებით გეგმის შესრულებას აკლია 1 991 სული, ხოლო სახელობითი სიებით 2 087 სული. ასევე ჯილხის საწინააღმდეგო ვაქცინაზე აქტებით აცრილია 13 707 სული მსხვილფეხა პირუტყვი, ხოლო სახელობითი სიებით 13 625 სული მსხვილფეხა პირუტყვი. წვრილფეხა პირუტყვი აქტებით ვაქცინირებულია 9 097 სული, ხოლო სახელობითი სიებით 8 512 სული. ასევე რიგ შემთხვევებში მეტი პირუტყვი იყო აცრილი, ვიდრე სახელობით სიაში იყო ნაჩვენები, ასევე ზოგიერთ შემთხვევებში, რეალურად აცრილია ნაკლები რაოდენობის პირუტყვი, ვიდრე დაფიქსირებულია სახელობით სიაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა შპს «...» მიერ 2007 წლის 12 მარტის 181 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სათანადოდ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის შესაბამისად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას და ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, პასუხისმგებლობა დგება განსაზღვრული პირობების (საფუძვლების) არსებობისას. გარდა იმისა, რომ სახეზე უნდა იყოს ზიანი, მოვალეს პასუხისმგებლობა ასევე დაეკისრება: თუ ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. ამასთან, სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარეს აწევს ზიანის არსებობისა და მისი ოდენობის მტკიცების ტვირთი.

იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მოპასუხე მხარის მიერ, 2007 წლის 27 დეკემბერს, მიღება-ჩაბარების აქტით, მოსარჩელე მხარეს წარედგინა გაუზარჯავი ვაქცინები: 4 250 (34 დოზიანი) + 1 287 (33 დოზიანი) = 5 537 დოზა თურქულის ვაქცინა და 1 760 ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე არ დასტურდება, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული (ფაქტობრივი დანაკლისის სახით) ზიანის არსებობა.

რაც შეეხება, მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების შესახებ, სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი საფუძვლიანია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების (2007 წლის 12 მარტის 181 ხელშეკრულების დანართი 11) მესამე მუხლის თანახმად, მოპასუხე მხარე მომსახურების სრული ან ნაწილობრივი ეტაპის დამთავრებიდან 5 დღის ვადაში წარუდგენს შემსყიდველ ორგანიზაციას შესაბამისი რაიონული სამმართველოს მიერ დამოწმებული ტექნიკური პირობით მოთხოვნილი მომსახურების გაწევის დამადასტურებელ დოკუმენტაციას. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-10 პუნქტის თანახმად (2007 წლის 12 მარტის 181 ხელშეკრულების დანართი 11) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობით. ამდენად, პირგასამტეხლო გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით და აღნიშნულის შესახებ მხარეთათვის ცნობილი იყო ხელშეკრულების ვადების დროსათვის, რის გამოც სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარის თქმის საფუძველი.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო, რომ მოპასუხემ თურქულზე ვაქცინაციის ჩატარების პირველი ეტაპის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარადგინა 2007 წლის 13 აგვისტოს – 104 დღის ვადაგადაცილებით. ასევე ცოფზე გატარებული ვაქცინაციის ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგინა 38 დღის ვადაგადაცილებით. ჯილხეზე ვაქცინაციისა და ბრუცელოზზე გამოსაკვლევად სისხლის ადების დოკუმენტური მასალა წარმოადგინა 53 დღის ვადაგადაცილებით. შესაბამისად, სადავო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 % შეადგენს $29\ 862,75 \times 0,1\% = 29,86$ (10 ლარი და 56 თეთრი) ლარს. პირგასამტეხლოს თანხა შეადგენს $104 \times 29,86 = 3\ 105,44$ ლარს, $38 \times 29,86 = 1\ 134,68$ ლარს და $53 \times 29,86 = 1\ 582,58$ ლარს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი ვიდრე ის მოითხოვდა.

სამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საფუძვლიანი იყო მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხე მხარისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე და ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მოპასუხე მხარეს პირგასამტეხლოს სახით დააკისრა 2 986,27 ლარის გადახდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 აპრილის განჩინებით სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მცხეთის რაიონულმა სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი საპროცესო დარღვევების გარეშე, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო და უცვლელად დარჩენილიყო საქმეზე მცხეთის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 აპრილის განჩინების ნაწილობრივ გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების მიხედვით, არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება, ან გაფრთხილება, თუ ამკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება, ან ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას.

კასატორის მითითებით, მიმწოდებელი ვალდებული იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შეესრულებინა ჯეროვნად, მის მიერ სატენდერო წინადადებაში ასახული გეგმა-გრაფიკის მიხედვით, რაც მან დაარღვია. ასეთ ვითარებაში კი შემსყიდველი ვერ განახორციელებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებას – ვეტერინარიის ხაზით ქვეყნის ტერიტორიის კეთილსაიმედოობის დაცვას. ამიტომ დაუკავშირა ეროვნულმა სამსახურმა ურთიერთობის გაგრძელება ვალდებულების დროულ შესრულებას. კასატორის აღნიშვნით, შპს «...» მიერ შემსყიდველ ორგანიზაციაში შეტანილი განცხადებებიც იმაზე მიუთითებს, რომ მიმწოდებელი აღარ შეასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და შესაბამისად დამატებითი ვადის დაწესებას ან გაფრთხილებას არ მოყვებოდა შედეგი.

კასატორი ასევე აღნიშნავდა, რომ შპს «...» მიერ დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად დათქმულ დროსა და ადგილას, კოდექსის 394-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, პასუხისმგებლობა დეგმა განსაზღვრული პირობების (საფუძვლების) არსებობისას. გარდა იმისა, რომ სახეზე უნდა იყოს ზიანი, მოვალეს პასუხისმგებლობა ასევე დაეკისრება: თუ ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. კონკრეტულ შემთხვევაში, ეს გამოიხატა შემდგომი, მიმწოდებლის მიერ დარღვეულია მომსახურების მოცულობა, მომსახურების მიწოდების ვადები და დოკუმენტაციის წარმოება, მის მიერ არაკეთილსინდისიერად არის განხორციელებული ხელშეკრულების მოთხოვნები და არასწორად არის მითითებული ვაქცინის ხარჯვა, რაც ბრალეული ქმედებაა, შესაბამისად, აღნიშნული ქმედებით სახეზეა ვაქცინების არამიზნობრივი ხარჯვა, რაც კასატორის მითითებით, გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივ ხარჯვას და სწორედ ეს წარმოადგენს ზიანს, რომელსაც ითხოვენ და რაც დადასტურებულია საქმის მასალებით. ინსპექტირების ჯგუფის მიერ გამოვლენილი დარღვევების გამო მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეუსრულებლად ჩაითვალა. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების სახით ვაქცინების ღირებულების გადახდის მოთხოვნაც საფუძვლიანია. კასატორის აღნიშვნით, სასამართლომ ხელშეკრულების შესრულება ჩათვალა არაჯეროვნად, ვერ განსაზღვრა რა ნაწილი ჩაითვალა შესრულებულად და რა არაჯეროვნად, მაშინ როცა მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილია მტკიცებულებები შეუსრულებელი მომსახურების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე კასატორი ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა- განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებუ-

ლების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2007 წლის 12 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურსა და შპს «...» შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება 181 ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაზე. აღნიშნული ხელშეკრულების დანართის ტექნიკური დავალების თანახმად, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაეწია შემსყიდველისათვის ზემოაღნიშნული მომსახურება 29 862 ლარად და 75 თეთრად. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2007 წლის 31 დეკემბრამდე. 2007 წლის 27 აპრილს, 2007 წლის 12 მარტის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები ხელშეკრულების დანართი 11 სახით, რომელიც ჩაითვალა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო შემდეგი სახის ვაქცინაციის ჩატარება: ა) თურქულზე ორ ეტაპად: 10.03.2007წ. – 25.04.2007წ. და 05.09.2007წ. – 25.10.2007წ. 27111 მსხვილფეხა პირუტყვზე და 18069 წვრილფეხა პირუტყვზე; ბ) ცოფზე: 20.03.2007წ. – 30.06.2007წ. და 01.09.2007წ. – 01.10.2007წ. პერიოდში, 4675-825 ძალზე და კატაზე; გ) ჯილეხზე: 30.04.2007წ. – 15.06.2007წ. 13556 მსხვილფეხა და 9035 წვრილფეხა პირუტყვზე. ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრული იყო 1000 სული მსხვილფეხა პირუტყვიდან სისხლის აღება 15.03.2007წ. – 15.06.2007წ. პერიოდში.

შპს «...» ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უნდა განეხორციელებინა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით. მომსახურების სრული ან ნაწილობრივი (ეტაპის) დამთავრებიდან 10 დღის ვადაში წარედგინა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურისათვის შესაბამისი რაიონის მიერ დამოწმებული ტექნიკური პირობებით მოთხოვნილი მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ინსპექტირების ჯგუფის 2007 წლის 26 ნოემბრის 129 ოქმით დადგინდა, რომ შპს «...» მიერ დუშეთის რაიონში 12.03.2007 წლის 181 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, კერძოდ, ვაქცინაცია თურქულზე, ჯილეხზე, ცოფზე და სისხლის აღება ბრუცელოზზე ჩაითვალა შეუსრულებლად, ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე. კერძოდ, დარღვეულად ჩაითვალა მომსახურების მოცულობა, მომსახურების მიწოდების ვადები და დოკუმენტაციის წარმოების პროცედურა. 2007 წლის 26 დეკემბერს შპს «...» წარმომადგენელსა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის წარმომადგენელს შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მიღებს შემდგომი გამოყენებისათვის დაუბრუნდა 7 063,75 ლარის ღირებულების გაუხარჯავი ვაქცინები: 4 250 (34 დოზიანი) + 1 287 (33 დოზიანი) = 5 537 დოზა თურქულის ვაქცინა და 1 760 ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მითითებული მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის 1-ელი ნაწილის «ზ» პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას.

აღნიშნული მუხლის პრინციპებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე მითითებას და თავის მხრივ აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენა დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი. ამავე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის შესაბამისად, კი ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების შემთხვევაში მხარეებს წარმოეშობათ მიღებული შემოსავლებისა და სარგებელის ერთმანეთისათვის გადაცემის ვალდებულება. ამ ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. საქმის მასალებით უდავოდაა დადგენილი, რომ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მიერ არ იქნა დაცული ხელშეკრულებიდან გასვლის ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ჯეროვნად შესასრულებლად შპს «...» არ იქნა დაწესებული დამატებითი ვადა და დასაბუთებული არ არის დამატებითი ვადის დაწესების ან გაფრთხილების მიზანშეუწონლობის ფაქტის არსებობა. ასევე, არ იქნა დასაბუთებული ის გარემოება, დაკარგა თუ არა შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულების ინტერესი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასა-

ციო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაუსაბუთებელია, ვინაიდან, შემსყიდველს გააჩნდა ვალდებულება, შესრულებული სამუშაო შეემოწმებინა სრული მოცულობით, რათა დაედგინა თუ რა ოდენობის ვაქცინა იქნა გახარჯული მიზნობრივად, ხოლო რა ოდენობა გაიხარჯა ხელშეკრულებით გავალისწინებული პირობების, ან ტექნიკური პირობების დარღვევით, რაც იმთავითვე უთანაბრდებოდა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობას. ამასთან, მიმწოდებლის მიერ დაბრუნებულ იქნა გამოუყენებელი ვაქცინების ნაწილი, კერძოდ, მიმღებს შემდგომი გამოყენებისათვის დაუბრუნდა **7 063,75** ლარის ღირებულების გაუხარჯავი ვაქცინები: **4 250 (34** დოზიანი) + **1 287 (33** დოზიანი) = **5 537** დოზა თურქულის ვაქცინა და **1 760** ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა. კასატორი ვერ უარყოფს იმ გარემოებას, რომ შპს «...» მიერ მოხდა გატანილი ვაქცინების გარკვეული ნაწილის მოხმარება. კასატორი უთითებს მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ შესრულებული სამუშაოს შერჩევითი შემოწმებისას აღმოჩენილი იქნა არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტები. წარმოდგენილი მასალების ანალიზით შეუძლებელია დადგინდეს, კონკრეტულად რა ოდენობის ვაქცინის გახარჯვა მოხდა არამიზნობრივად ან რა ოდენობის მიზნობრივი გამოყენება იყო დადასტურებული. რაც შეეხება სასამართლოს, საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ სასამართლოსათვის მითითებული სადავო გარემოების დადგენა დაცული მტკიცებულებების საფუძველზე არის შეუძლებელი, ვინაიდან თავად კასატორი სადავოდ ხდის მიმწოდებლის მიერ წარმოებული დოკუმენტაციის სისწორეს, ხოლო აღნიშნულის საწინააღმდეგოდ ვერ წარმოადგენს საკუთარ მტკიცებულებებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელე ვერ ადასტურებს ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ოდენობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **412-ე** მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეუძლებელია იმ ზიანის დადგენა, რაც მოსარჩელეს მიადგა მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევით წარმოებული შესასყიდი სამუშაოს წარმოებისას. ვინაიდან სამოქალაქო კანონმდებლობა ითვისწინებს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ სახით წარმოებული დოკუმენტაციით შეუძლებელია არსებული სურათის დადგენა, თუ რეალურად რა ზიანი განიცადა მოსარჩელემ მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს თავად გააჩნდა ვალდებულება, რეალურად არსებული მდგომარეობის სრულყოფილი შესწავლით შეექმნა სათანადო მტკიცებულება, რომელთაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **102-ე** მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მიენიჭებოდა მტკიცებითი ძალა. ამ სახის მტკიცებულებათა საფუძველზე სასამართლოს ექნებოდა შესაძლებლობა ემსჯელა მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურების საფუძვლიანობაზე და დაეკმაყოფილებინა ამ სახით დასაბუთებული მოთხოვნა.

ამავე კოდექსის **102-ე** მუხლის **1-ე**ლი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზე არ არის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების მატერიალური თუ პროცესუალური საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **410-ე** მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2010 წლის 22 აპრილის** განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ვალდებულების შეუსრულებლობისათვის საჯარო სანქციების გამოყენების საფუძველი

განჩინება

18ს-226-217(კ-10)

21 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 6 თებერვალს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – შპს «...» მიმართ ხელშეკრულების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შპს «...» საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარჩელოდ დაეკისრა 757,5 ევროს ექვივალენტი ლარის ანაზღაურება.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს «...»-ს შორის 2008 წლის 20 მაისს დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომლის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულების თაობაზე წარმოქმნილი ადმინისტრაციული დავისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით, რომლის 327-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების მხარეები ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმდნენ წერილობითი ფორმით, კერძოდ, ხელშეკრულების საფუძველზე, მიმწოდებელი (შპს «...») იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, ხოლო შემსყიდველი – აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ღირებულება. ტექნიკის რაოდენობა, ერთეულის ფასი და მიწოდების ადგილი განისაზღვრა ხელშეკრულების 11 დანართით. ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების კანონიერ ძალაში შესვლიდან 40 დღის განმავლობაში.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ არ შესრულებულა 2008 წლის 20 მაისის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების კანონიერ ძალაში შესვლიდან 40 დღის ვადაში, ვინაიდან შპს «...» საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი სრულად უნდა მიწოდებინა 2008 წლის 29 ივნისისთვის, რადგან ხელშეკრულების 15.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და რეგისტრაციის დღიდან. საქმის მასალებით, კერძოდ, შპს «...» დირექტორსა და შემოსავლების სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის უფროსს შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით კი დგინდება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ნაწილის, კერძოდ, 3 ცალი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის მიწოდება განხორციელდა 2008 წლის 14 ივლისს. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, შემოსავლების სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის უფროსი წარმოადგენდა არაუფლება-მოსილ პირს, მაგრამ იმავე საქონელზე, მოგვიანებით – 2008 წლის 30 ოქტომბერს გაფორმდა 1... მიღება-ჩაბარების აქტი, სასამართლოს აზრით, საქონლის ნაწილის მიწოდების თარიღად მიჩნეულ უნდა იქნეს 2008 წლის 14 ივლისი, როდესაც მოხდა საქონლის გადაცემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისთვის – შემოსავლების სამსახურისთვის.

სასამართლომ საფუძველიანად ჩათვალა მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, ამასთან, არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია პირგასამტეხლოს ოდენობასთან დაკავშირებით შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლზე და ასევე ხელშეკრულების მე-16 მუხლზე. სასამართლომ საქმის მასალებით დადგინილად მიიჩნია, რომ შპს «...» 1332-88 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი უნდა შემოეტანა თურქეთიდან, რის თაობაზეც შპს «...» და თურქულ კომპანიას (მექანიკური და ქიმიური ინდუსტრიული კორპორაცია) შორის 2008 წლის 11 მარტს დადებულ იქნა ხელშეკრულება 20 ერთეული MP5-K, 20 ერთეული MP5-A3 და 20 ერთეული MP5-A6 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის მიწოდების შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულების თანახმად, საქონლის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო გამყიდველის მიერ საქსპერტო ლიცენზიის აღების შემდეგ, ხოლო საქმეში წარმოდგენილი თურქეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 2008 წლის 8 ივნისის წერილით კომპანიას უარი ეთქვა ექსპორტის ნებართვის გაცემაზე იმ

მიზეზით, რომ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, დროებით შეჩერებულია იარაღის გაგზავნა საქართველოში.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ განმარტა, რომ შპს «...» ვალდებულების შესრულების დაბრკოლების მიზეზი გახდა უცხო სახელმწიფოს აკრძალვა საქართველოში იარაღის ექსპორტზე ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო. ვალდებულების შესრულება კიდევ უფრო გაძნელდა და პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 9 აგვისტოს 1402 ბრძანებულებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიაჩნია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება 2008 წლის 15 ივლისის შემდეგ შპს «...» მიერ ვერ მოხერხდა ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო, რაც გამოწვეული იყო საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარებითა და ქვეყანაში გამოცხადებული საომარი მდგომარეობით.

სასამართლომ ჩათვალა, რომ შპს «...» პირგასამტეხლო უნდა დაეკისროს საქონლის მიწოდების ვადების გადადენისთვის 14 დღეზე 2008 წლის 14 ივლისის მდგომარეობით, ხოლო 2008 წლის 15 ივლისის შემდგომ პერიოდზე, ხელშეკრულების 16.1 პუნქტის გათვალისწინებით, საწარმო უნდა გათავისუფლდეს საჯარიმო სანქციებისგან.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ივნისის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას. კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უტყუარად დაადასტურა აღნიშნული მიწოდების ხელშეკრულებაში მითითებული პირობების დაცვით განხორციელება არა 2008 წლის 14 ივლისს, არამედ 2008 წლის 30 ოქტომბერს, როცა მიღება-ჩაბარების აქტზე ხელი მოაწერა ხელშეკრულებაში მითითებულმა უფლებამოსილმა პირმა-საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსმა ნ. გ-მემ. კასატორის მოსაზრებით, ხელშეკრულებაში კონკრეტულად არის განსაზღვრული თუ როგორ უნდა განხორციელდეს საქონლის მიწოდება და მისი აზრით, შპს «...» მიერ 2008 წლის 14 ივლისს შემოსავლების სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის უფროსთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი არ უნდა ჩაითვალოს საქონლის მიწოდების დამადასტურებელ დოკუმენტად. კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ შპს «...» მიერ 2008 წლის 15 ივლისის შემდეგ ხელშეკრულების შესრულება ვერ მოხერხდა ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო, რაც გამოწვეულია საქართველოში შექმნილი პოლიტიკურ ვითარებითა და ქვეყანაში გამოცხადებული საომარი მდგომარეობით. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ 2008 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს «...» შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის თანახმად ფორს-მაჟორულ მდგომარეობად ჩაითვალა 9 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე პერიოდი. აღნიშნულ შეთანხმებას საფუძვლად დაედო საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 9 აგვისტოს 1402 ბრძანებულება და 2008 წლის 20 მაისის 1... ხელშეკრულების 16.1 პუნქტი. შესაბამისად, შეთანხმებაში, რომელსაც ორივე მხარის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა მოაწერა ხელი, შპს «...» გამოხატა ნება, რომ ფორს-მაჟორულ პერიოდად ჩათვლილიყო 9 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე პერიოდი, რის შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, მხარეს შეთანხმების პირობებზე დათანხმების ნაცვლად, შეეძლო შეეწყვიტა ხელშეკრულება და იქვე გაეხადა სადავოდ ფორს-მაჟორული მდგომარეობის პერიოდი. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ შპს «...» არცერთ წერილში არ უთხოვია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის ხელშეკრულების შეწყვეტა მისი შესრულების შეუძლებლობის გამო. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შპს «...» შეთანხმდა მხოლოდ შეთანხმებაში მითითებული ვადის ფორს-მაჟორულ პერიოდად ჩათვლაზე და შესაბამისად ამ პერიოდზე პირგასამტეხლო არც მოუთხოვია სასარჩელო განცხადებაში. კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა თურქეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 2008 წლის 8 ივნისის წერილს, ვინაიდან აღნიშნული წერილის საფუძველზე ჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, რომ შპს «...» ხელშეკრულების გაფორმების მომენტში უკვე ცნობილი იყო, რომ იგი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ვერ შეძლებდა. კასატორის მოსაზრებით, რადგან შპს «...» შეძლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის 3 ცალი პისტოლეთ-ტყვიამფრქვევის მიწოდება, მას ჰქონდა ალტერნატიული საშუალება, სრულად განეხორციელებინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის საქონლის მიწოდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა- განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების თაობაზე და თვლის, რომ სასამართლოს მხრიდან დავის გადაწყვეტისას ადგილი არა აქვს საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

აღნიშნული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების გამოყენებას და ამავე კოდექსის 327-ე მუხლის დებულებებიდან გამომდინარე თვლის, რომ წარმოშობილი დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

2008 წლის 20 მაისს ერთი მხრივ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მეორეს მხრივ შპს «...» შორის დაიდო 1... ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 40 დღის განმავლობაში შპს «...» საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის უნდა მიეწოდებინა 20 ერთეული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, მათ შორის HK M35A3 – 12 ერთეული, HK M35K – 3 ერთეული, HK HKM35A6 – 5 ერთეული, საერთო ღირებულებით სულ 50 500 ევრო. ამავე ხელშეკრულების თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომელთა შემადგენლობიდან ხელშეკრულებათა შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, შეიქმნა სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, რომელსაც დაევალი მიწოდებული ან/და მისაწოდებელი საქონლის ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლის განხორციელება. ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად, საქონლის შუალედური და საბოლოო ჩაბარება წარმოებდა მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდებოდა წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების ჯგუფის დადებითი დასკვნის საფუძველზე. მოცემული ხელშეკრულებით, საქონლის მიღება-ჩაბარება უნდა ეწარმოებინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს ნ. გ-მეს.

2008 წლის 14 ივლისის მიღება-ჩაბარების აქტით ფინანსთა სამინისტროს გადაეცა შემდეგი დასახელების მატერიალური ფასეულობა: 1. 9 მმ ჰეცკლერ & კოგზ-ის M5-A3 თO624-07 1 რ 0060818 სისტემის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი – 1 ცალი ღირებულებით 2500 ევრო; 2. 9 მმ ჰეცკლერ & კოგზ-ის P5-A3 თO624-07 1 რ 0060819 სისტემის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი – 1 ცალი ღირებულებით 2500 ევრო; 3. 9 მმ ჰეცკლერ & კოგზ-ის 5K თO624-05 1 D 0004494 სისტემის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი – 1 ცალი ღირებულებით 2500 ევრო; 4. 9 მმ ჰეცკლერ & კოგზ-ის P5 სისტემის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის 30 ვაზნიანი მჭიბი – 6 ცალი.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მითითებული მიღება-ჩაბარების აქტი არ წარმოადგენს საქონლის მიწოდების დამადასტურებელ დოკუმენტს იმ მოტივით, რომ მას ხელს აწერს არაუფლებამოსილი პირი-შემოსავლების სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის უფროსი-ი. კ-ძე. საქმეში წარმოდგენილი 2008 წლის 30 ოქტომბრის 1... მიღება-ჩაბარების აქტით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ნ. გ-ძე ადასტურებს, რომ 2008 წლის 20 მაისის ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებელმა ჩააბარა, ხოლო შემსყიდველმა მიიღო 13548.75 ლარის ღირებულების 2008 წლის 14 ივლისის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული საქონელი. საგულისხმოა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი მიწოდების ვადის გადაცილებისათვის შესრულების მიღებაზე უარის თქმის ან ნივთის ნაკლის თაობაზე შპს «...» მიმართ რაიმე პრეტენზიის არსებობა. საქმეში დაცულია ინსპექტირების ჯგუფის 11036 დასკვნა, რომლის თანახმად ზემოთ აღნიშნული პროდუქცია შესაბამემა ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ საქონელს. იმ პირობებში, როდესაც მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მოიცავს მხარეთა ორმხრივ ვალდებულებას, ხოლო საქონლის მიწოდებულად ჩათვლა დამოკიდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან, უფლებამოსილი პირის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დაყოვნება ვერ წარმოშობს მიმწოდებლის პასუხისმგებლობას საქონლის მიწოდების ვადის გადაცილებისათვის. სამოქალაქო კოდექსის 983-ე მუხლის თანახმად, არაუფლებამოსილი პირის ვალდებულებას წარმოადგენს უფლებამოსილი პირისათვის განკუთვნილი შესრულების მიღების დაბრუნება უფლებამოსილი პირისათვის, რაც მოცემულ შემთხვევაში დადასტურებულია საქმის მასალებით.

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქონლის ნაწილის მიწოდების თარიღად 2008 წლის 14 ივლისის მიჩნევას, როდესაც მოხდა საქონლის გადაცემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – შემოსავლების სამსახურისათვის.

საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება და იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ შპს «...» 2008 წლის 15 ივლისის შემდგომ პერიოდზე ხელშეკრულების მე-16 პუნქტის გათვალისწინებით განთავისუფლებულ უნდა იქნეს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან.

ხელშეკრულების 10.1 პუნქტის თანახმად, საქონლის მიწოდების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სრულად მიუწოდებელი საქონლის 0,1%-ის ოდენობით. ხელშეკრულების 16.1 პუნქტის თანახმად კი, ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრუ-

ლების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

მართალია, საქმის მასალებში წარმოდგენილი 2008 წლის 7 ოქტომბრის შეთანხმებით, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 9 აგვისტოს 1402 ბრძანებულებიდან გამომდინარე, 2008 წლის 20 მაისის 1... ხელშეკრულების 16.1 პუნქტის მიხედვით, საქართველოში 2008 წლის 9 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, აღნიშნული პერიოდი ჩაითვალოს ფორს-მაჟორულ მდგომარეობად, მაგრამ აქვე საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს ხელშეკრულების 16.2 პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ მუხლის მიზნებისთვის «ფორს-მაჟორი» ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გათვალისწინებელი ხასიათი. მითითებული პუნქტის საფუძველზე ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს არა მარტო ომით, ასევე სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვ. იმის გათვალისწინებით, რომ კასატორის მხრიდან, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში, წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, საკასაციო სასამართლო უდავოდ დადასტურებულად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ შპს «...» 1... ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი უნდა შემოეტანა თურქეთიდან, რის თაობაზეც შპს «...» და თურქულ კომპანიას (მექანიკური და ქიმიური ინდუსტრიული კორპორაცია) შორის 2008 წლის 11 მარტს დადებულ იქნა ხელშეკრულება 20 ერთეული MP5-K, 20 ერთეული MP5-A3 და 20 ერთეული MP5-A6 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის მიწოდების შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, საქონლის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო გამყიდველის მიერ საექსპერტო ლიცენზიის აღების შემდეგ. საქმეში წარმოდგენილი თურქეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 2008 წლის 8 ივნისის წერილით დგინდება, რომ კომპანიამ (მექანიკური და ქიმიური ინდუსტრიული კორპორაცია) 2008 წლის 12 მაისის 1BO42MKE 760002.08 940.GE/2145 წერილით მიმართა თურქეთის თავდაცვის სამინისტროს და ითხოვა 20 ერთეული MP5-K, 20 ერთეული MP5-A3 და 20 ერთეული MP5-A6 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის ექსპორტის ნებართვა შპს «...». კომპანია MKEK-ს უარი ეთქვა ექსპორტის ნებართვის გაცემაზე იმ მიზეზით, რომ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, დროებით შეჩერებულია იარაღის გაგზავნა საქართველოში. საქმის მასალებში წარმოდგენილი თურქულ კომპანიის MKEK-ს (მექანიკური და ქიმიური ინდუსტრიული კორპორაცია) 2008 წლის 24 დეკემბრის წერილებით შპს «...» მიმართ დასტურდება, რომ თურქეთის ოფიციალური ორგანოები გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების გამო უარს ამბობენ საქართველოში იარაღის ექსპორტის ნებართვის გაცემაზე. საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ შპს «...» არცერთ წერილში არ უთხოვია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის ხელშეკრულების შეწყვეტა მისი შესრულების შეუძლებლობის გამო, ვინაიდან შპს «...» მიერ ოფიციალური სახელმწიფო ორგანოების მიმართ გაგზავნილი წერილებით დადასტურებულია მისი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მითითებული მოტივით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის თანახმად, მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს. საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ თურქეთის რესპუბლიკის მიერ საქართველოში საქონლის მიწოდებაზე დაწესებულია ემბარგო.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამოქალაქო კოდექსის მითითებული ნორმა საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაადასტუროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაცია, რომელიც გაზიარებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ და თვლის, რომ შპს «...» პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ნორმები კასატორს ართმევს შესაძლებლობას, იმავე ხელშეკრულების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოპასუხის მიმართ გამოიყენოს საჯარიმო სანქციები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზე არ არის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების მატერიალური თუ პროცესუალური საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1270-1234(კ-10)

21 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხის – ი. ჟ-ძის მიმართ და მოითხოვა ი. ჟ-ძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაკისრებოდა ჯარიმის სახით – 20944 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის სახით – 5494,55 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 6283,2 ლარისა და სანივთე ქონების დავალიანების სახით – 391,42 ლარის ანაზღაურება, შემდეგი საფუძვლით:

საქმის გარემოებები:

ი. ჟ-ძემ 2005 წლის 13 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გააფორმა კონტრაქტი და კონტრაქტით გათვალისწინებული პირობის თანახმად დაინიშნა სამხედრო საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ნოემბრის '... ბრძანებით მოპასუხე ი. ჟ-ძე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

მოსარჩელის განმარტებით, სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განისაზღვრება სახელმწიფოს შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მამინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

სამხედრო მოსამსახურე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზეა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობს. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აქვს გამოყოფილი ასიგნებები და მათი მიზნობრივად გამოყენება სამინისტროს ვალდებულებაა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურეთათვის განსაზღვრავს ხელფასის ოდენობას, კვების, სანივთე უზრუნველყოფის, წვრთნისა და აღჭურვისათვის განსაზღვრულია წინასწარ დაგეგმავს ფულად სახსრებს, იგი ვალდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თითოეული ლარი განკარგოს დანიშნულებისამებრ ანუ უზრუნველყოს საქართველოს შეიარაღებული ძალები პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიცირებული სამხედრო პერსონალით.

კონტრაქტის 7.3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, «სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) ერთ წლამდე ან ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, დარჩენილი ვადის ხელფასის სახით, საშუალოდ 1400 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 1000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

მოსარჩელის მითითებით, მოპასუხე – ი. ჟ-ძე სამხედრო შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილ იქნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ნოემბრის '... ბრძანებით 2006 წლის 2 ნოემბრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. მისი სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენს 10 თვესა და 20 დღეს, მასზე ვრცელდება კონტრაქტის 7.3 «ა» ქვეპუნქტი.

ამავე კონტრაქტის 7.4 მუხლის შესაბამისად, «სამხედრო მოსამსახურის» მიერ 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების ამავე მუხლით დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0.2 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის '1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» XVI თავის (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაველელად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების, ფინანსური

პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების, მისი გადავადების ან შემცირების საფუძვლები და წესი) მეორე პუნქტის მიხედვით, თუ საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაწვლად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს წარმოექმნა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან მისი გარეშე ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდება გადაუხადელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო ოდენობის 30%-მდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირგასამტეხლო მოპასუხეს უნდა დაეკისროს არა კონტრაქტის 7.4 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, არამედ საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულებით შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში, კერძოდ, ჯარიმის საერთო რაოდენობის 30%-მდე.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

მოსარჩელემ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361.1, 317.1, 417-ე, 394.1 407-ე, 414-ე მუხლებით, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის 1609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების» XVI თავის მე-2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტი და კონტრაქტის 7.1, 7.2, 7.3, 7.4 და 8.3 პუნქტების საფუძველზე მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ი. ჯ-მეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის სახით – 20944 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 6283,2 ლარის, სანივთე ქონების დავალიანების სახით – 391,42 ლარისა და სწავლებაზე გახარჯული თანხის – 164,22 ლარის გადახდა, ხოლო ზიანის – 5330,33 ლარის ანაზღაურებაზე ეთქვა უარი, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ბ» პუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ზ» პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული ხელშეკრულება.

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებების გამოიჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის 1119 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების» თანახმად, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის პროგრამიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად ჯარების მომზადების დონის განსაზღვრა, სამხედრო კადრების მომზადება.

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ხოლო ამავე კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობს.

ამდენად, სამხედრო კადრების მომზადება, რათა უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინური, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო უფლებამოსილება და მისი უშუალო, პირდაპირი ფუნქციაა, ანუ ამ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას და სწორედ ამ მიზნით არის დადებული ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც მოსარჩელე ითხოვს სადავო თანხების ანაზღაურებას, რის გამოც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 251-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა ისეთი არსებითი პირობები, რომელთა შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეს წარმოეშვა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების ვალდებულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავი-სუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. შეთანხმება პირგა-სამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახუ-რის გავლის შესახებ დებულების» XVI თავით რეგულირდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღე-ბულ ძალებში საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაველად გაფორმებული კონტრაქტის ვა-დამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობისაგან გათავი-სუფლების, მისი გადავადების ან შემცირების საფუძვლები და წესი. მითითებული თავის მეორე პუნქტის თანახ-მად, თუ საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაველად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის მიზეზით, სამხედრო მოსამსახურეს წარმოეკმნა ფინანსური პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწ-ყვეტილების საფუძველზე ან მის გარეშე ფინანსური პასუხისმგებლობა მცირდება გადაუხდელი ჯარიმის თანხაზე დარიცხული პირგასამტეხლოს ნაწილში ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინის-ტრომ, რომლითაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრუ-ლად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, სა-მართლებრივი დასკვნები და მიიჩნია, რომ არ არსებობდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განჩინების გაუქმება და ახა-ლი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისგან არ ითხოვს მასზე გადახდილ ხელფასს, ეს თანხა არის მოპასუხის სანაცვლოდ დასაქმებულ სამხედრო მოსამსახურეზე გადახდილი თანხა. სამინისტრო ით-ხოვს ზიანის სახით იმ თანხას, რომლის ხელახლა გადახდაც მას მოუწია ახალი სამხედრო მოსამსახურის იმ დო-ნემდე გაწვრთნისათვის რა დონეზეც იყო მოპასუხე კონტრაქტის დარღვევის დროისათვის.

კონტრაქტის დადებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესი იყო საქართველოს შეიარაღებულ ძალების პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიცირებული სამხედრო პერსონალით უზრუნველ-ყოფა. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფდა საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურის ეტაპობრივ წვრთნასა და მომზადებას ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე. მნიშვნე-ლოვნად გაიზარდა სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე დასახარჯი თანხების ისეთი აუცილებელი კომპონენ-ტი, როგორც არის გადასახდელი ხელფასი. აღსანიშნავია, რომ ხელფასის ზრდა გამოწვეული იყო სწორედ იმ გა-რემოებით, რომ პირი, რომელიც ვალდებულებას იღებდა სრული 4 წლის ვადით ემსახურა სამხედრო მოსამსახუ-რედ 4 წლის განმავლობაში – მიიღებდა შესაბამისი ოდენობის ანაზღაურებას, რომლის გაცემა ხორციელდებოდა ეტაპობრივად და ის არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა ანალოგიური ოდენობის, თუ სამხედრო მოსამსახურე სხვა უფრო მოკლე ვადით სამსახურის გავლის ვალდებულებას იკისრებდა.

მოპასუხე მხარის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით განპირობებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტით, თავ-დაცვის სამინისტრომ ვერ მიაღწია მიზანს, კერძოდ, ვერ მიიღო პროფესიულად გაწვრთნილი სამხედრო მოსამსა-ხურე, ხოლო მის მომზადებაზე დახარჯული საბიუჯეტო თანხები (მათ შორის სახელფასო თანხები) უშედეგოდ დაიხარჯა და იგივე დონის სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე სამინისტრო იძულებული იყო კვლავ გაეწია შესაბამისი დანახარჯები.

კასატორის მითითებით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კონსტიტუციის 98.3 მუხლის მიხედვით, სამხედრო ძალების რაოდენობას ყოველწლიურად ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. საქართველოს სამხედ-რო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» საქართველოს 29.12.2004 წლის კანონით 2005 წელს საქართვე-ლოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა განისაზღვრა 23000-ით, ხოლო «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» საქართველოს 09.12.2005 წლის კანონით 2006 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა განისაზღვრა – 28000.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის განმარტებით, ი. ჯ-ძის საქართველოს შეიარაღებული ძალების რი-გებიდან დათხოვნის გამო «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» საქართველოს 29.12.2004 წლის და 09.12.2005 წლის კანონებით განსაზღვრული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის რაოდენობის შენარჩუნების მიზნით სამინისტროს მოუწია სხვა სამხედრო მოსამსახურესთან ახა-ლი კონტრაქტის გაფორმება და მოპასუხეზე მოთხოვნილი თანხის ხელახლა დახარჯვა (მათ შორის, ხელფასის და სხვა თანხების) ახალი სამხედრო მოსამსახურის სამხედრო მომზადების იმ დონემდე მისაღწევად, რაც ჰქონდა მიღწეული მოპასუხის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კოლეგიური შემადგენლობის უმ-რავლესობით 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად ასკ-ის 34.3 მუხლის «ბ» ქვეპუნქტის შესა-ბამისად /დივენგერტული კასაცია/.

მხარეებს შესაგებელი საკასაციო საჩივართან დაკავშირებით არ წარმოუდგენიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობის განმარტებით, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ი. ჯ-ძისათვის ჯარიმის – 20944 ლარის, პირგასამტეხლოს – 6283,2 ლარის, სანივთე ქონების დავალიანების სახით – 391,42 ლარის, სწავლებაზე დახარჯული თანხის – 164,22 ლარისა და ხელფასის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო კვების კომპენსაციის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ ი. ჯ-ძისათვის კვების კომპენსაციის – 532,96 ლარის დაკისრების საფუძვლიანობა.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა სრულად ეთანხმება ხელშეკრულების შეფასების ნაწილში საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და თავის მხრივ განმარტავს შემდეგ: კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოღებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის პრინციპით, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია თავდაცვის მინისტრის სამხედრო ქვედანაყოფში სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. მითითებული კონტრაქტის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომლის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დადებულია სწორედ ზემოაღნიშნული ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად. ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის თაობაზე და ადასტურებს სასამართლოს მხრიდან ხელშეკრულების შესახებ წარმოდგენილი მოტივაციის მართებულობას.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უზრუნველბათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ნოემბრის '... ბრძანებით ი. ჯ-ძე კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე. ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას, რომელიც იწვევს მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების გაქარწყლებას და ახალი ვალდებულების წარმოშობას, კერძოდ, მხარეებმა ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი უნდა დააბრუნონ (სკ-ის 352.1 მუხ.). «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაბამისად, მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურისათვის ხელფასის გადახდა შეადგენს დამსაქმებლის ვალდებულებას, ამდენად, მოსარჩელის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა სასურსათო ულუფის მოთხოვნის ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს (532,96 ლარი), საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა თვლის, რომ იგი არ წარმოადგენს ხელფასის შემადგენელ ნაწილს, ამასთანავე ხელშეკრულებიდან გასვლა განპირობებულია მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით, რაც სკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 407-ე მუხლის თანახმად ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 მარტის განჩინება კვების კომპენსაციის ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ი. ჯ-ძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს კვების კომპენსაციის – 532,96 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ი. ჯ-ძისათვის კვების კომპენსაციის – 532,96 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 მარტის განჩინება კვების კომპენსაციის ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. ჯ-ძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს კვების კომპენსაციის – 532,96 ლარის ანაზღაურება;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მატერიალური ზიანის კომპენსაციის ოდენობა

განჩინება

18ს-943-917 (კ-10) 20 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ს. ჩ-ამ 17.06.02წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხე ქ. თბილისის მერიის მიმართ, რომლითაც ზიანის ანაზღაურება და ქ. თბილისში, ... ქ. 15-ში მდებარე საცხოვრებელი შენობის სამშენებლო ნორმებთან და წესებთან შესაბამისობაში მოყვანა მოითხოვა. 30.12.02წ. განცხადებით ს. ჩ-ამ დამატებით ქ. თბილისის მთავრობის 16.05.02წ. 09.25.167 დადგენილების ბათილად ცნობა მოითხოვა. მოსარჩელემ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დააზუსტა და ქ. თბილისში 1991-1992 წლებში დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. 11.09.08 წ. სხდომაზე ს. ჩ-ამ დააზუსტა სარჩელი, კერძოდ კომპენსაციის ანაზღაურება, ქ. თბილისის მერიის 16.05.02წ. 09.25.167 დადგენილების მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით ბათილად ცნობა და მისი ბინის სამშენებლო ნორმების შესაბამისად წესრიგში მოყვანა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.10.08 წ. განჩინებით დაკმაყოფილდა ს. ჩ-ას შუამდგომლობა, ცალკე წარმოებდა გამოეყო მოთხოვნა ქ. თბილისის მერიის მიმართ, კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე და ამ დავაზე საქმეში მესამე პირად ჩაბმულნი იქნენ მოსარჩელის დედა – ნ. ბ-ა და ძმა – ვ. ჩ-ა. საქმეში მესამე პირად ჩაერთო 1991-1992 წლებში დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.10.08წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა ს. ჩ-ას განცხადება სარჩელის განსჯაობითი სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის გადაცემის შესახებ. 31.10.08წ. გამართულ სხდომაზე ს. ჩ-ამ კვლავ დააზუსტა სარჩელი, კერძოდ 1991-1992 წლებში მომხდარი მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელებზე გამოყოფილი თანხის ნაწილის – 24 000 აშშ დოლარის ქ. თბილისის მერიისათვის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.10.08წ. გადაწყვეტილებით ს. ჩ-ას სარჩელი ქ. თბილისში 1991-92 წლებში დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია ანდერძისმიერი ან კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა გარდაცვლილი კ. ჩ-ას სამკვიდრო ქონებაზე, რომელიც შეადგენს 1991-

92წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად კ. ჩ-ას განადგურებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებელ საკომპენსაციო თანხას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **10.03.09 წ.** განჩინებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **31.10.08 წ.** გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თავდაპირველი მოსარჩელე – ს. ჩ-ა, სსკ-ის **84-ე** მუხლის საფუძველზე სათანადო მოსარჩელით – ვ. ჩ-ათი უნდა შეცვლილიყო, დადგენას საჭიროებდა აგრეთვე დავის სასამართლოში განხილვის მომენტისათვის კომპენსაციის გასაცემი თანხის ოდენობა და თანხის გამცემი ორგანო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **19.06.09 წ.** საოქმო განჩინებით შეიცვალა მესამე პირის ვ. ჩ-ას სტატუსი და იგი საქმეში ჩაერთო სათანადო მოსარჩელედ. **30.06.09 წ.** თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა ვ. ჩ-ამ, რომლითაც მოპასუხეებად მიუთითა ქ. თბილისის მერია და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მესამე პირებად – **1991-1992 წლებში** დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისია, ს. ჩ-ა. მოსარჩელემ მოითხოვა მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დავალება, რათა მათ დაასრულონ **1991-1992 წლების** დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულება და გადაიხადონ ამ უკანასკნელისათვის სამკვიდრო მოწმობაში მითითებული მისი ოჯახის საკომპენსაციო თანხა – **24 693 აშშ დოლარი**, მისი გაცემის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით – **45 188,19 ლარის** ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **16.10.09 წ.** გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვ. ჩ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება **24 693 აშშ დოლარის** ექვივალენტი ლარებში, ხოლო სარჩელის მოთხოვნა თბილისის მერიისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ ვ. ჩ-ასათვის **10.10.96წ.** გაცემული **1196** ცნობის საფუძველზე დადგინდად მიიჩნია, რომ ვ. ჩ-ა შეყვანილი იყო **1991-1992 წლების** დეკემბერ-იანვრის დაზარალებულ თბილისელთა მატერიალური ზარალის ანაზღაურების საერთო სიაში **196-ე** ნომრად, მისთვის **01.10.96 წ.** მდგომარეობით მატერიალური ზარალის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენდა **52 193 აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარებში, ხოლო ცნობის მეორე გვერდზე დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით ვ. ჩ-ას მატერიალური ზარალის დარჩენილი ასანაზღაურებელი თანხა შეადგენდა **24 693 აშშ დოლარს**. საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის **22.09.09 წ.** **1372/2** ცნობის თანახმად, აწ გარდაცვლილი ვ. ჩ-ას მატერიალური ზარალის საკომპენსაციო თანხა **22.09.09წ.** მდგომარეობით შეადგენდა **24 693 აშშ დოლარის** ექვივალენტს ლარებში. ამასთან, **21.04.05 წ.** გაცემული სამკვიდრო მოწმობის თანახმად, **08.03.92წ.** გარდაცვლილი ვ. ლ.-ძე ჩ-ას სამკვიდრო ქონებაზე, რომელიც შეადგენდა **1991-1992 წლების** დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად ვ. ჩ-ას განადგურებული ქონების მატერიალური ზარალის ასანაზღაურებელ საკომპენსაციო თანხას – **24 693 აშშ დოლარს**, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად აღნიშნული სამკვიდრო მოწმობის გაცემის მომენტში შეადგენდა **45 188,19 ლარს**, შემკვიდრედ ცნობილი იყო შვილი – ვ. ჩ-ა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის **31.03.94 წ.** **1336** დადგენილების მე-9 პუნქტით ქალაქის მერიას, ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროსთან ერთად, დაევალია დაზარალებული მოქალაქეებისათვის განადგურებულ საოჯახო ქონების შესაძენად საჭირო სახსრების გამოყოფის შესაძლებლობის შესახებ წინადადებების შემუშავება და წარდგენა.

საქალაქო სასამართლომ დადგინდად ცნო, რომ ქ. თბილისის მერიის მიერ შესრულებული იყო ზარალის აღმოფხვრის მიზნით გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის **28.02.96 წ.** **1197** ბრძანებულებით და საქართველოს პრეზიდენტის **26.07.96 წ.** **1180** განკარგულებით დაკისრებული ვალდებულებები როგორც საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, ასევე დაზარალებული მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის მიზნით, მათთვის აშენებული და მშენებარე საცხოვრებელ სახლებში განთავსებული არასაცხოვრებელი ფართის აუქციონის წესით პრივატიზაციიდან შესული თანხების დაზარალებულთა მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში. რაც შეეხება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვალდებულებას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის **26.07.96წ.** **1180** განკარგულებით გათვალისწინებული საქართველოს **1997 წლის** სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში დანარჩენი თანხის შეტანასა და **1997 წლის** ბიუჯეტიდან ანაზღაურებას ითვალისწინებდა, ის არ შესრულებულა სამინისტროს მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის მითითებული სამართლებრივი აქტების საფუძველზე **1991-1992 წლების** მოვლენების გამო ვ. ჩ-ასათვის საკომპენსაციო თანხის გაცემის ვალდებულება უნდა დაკისრებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **25.02.10 წ.** განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **16.10.09 წ.** გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი პროცესუალური დარღვევების გარეშე, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ და არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან და-

კავშირებით. აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც განჩინების გაუქმება და სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი არ დაეთანხმა სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის 22.09.09 წ. 1372/2 ცნობით გათვალისწინებული ვ. ჩ-ზე გასაცემი საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების ვალდებულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეკისრებოდა 28.02.96 წ. 1197 ბრძანებულების და 26.07.96 წ. 1180 განკარგულების საფუძველზე. კასატორი მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აღნიშნული განკარგულებით დაევა არა საკომპენსაციო თანხების გაცემის უზრუნველყოფა, არამედ შესაბამისი წინადადებების შემუშავება პარლამენტში წარდგენის მიზნით. ამასთან, «საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის 1-ელი და მე-3 პუნქტების მიხედვით, ბიუჯეტის საბოლოო ფორმირება დამოკიდებულია კანონით დადგენილი პროცედურების გავლაზე და საკომპენსაციო თანხების გაცემის ვალდებულება იარსებებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონით დადგენილი წესით პროცედურების გავლის შემდეგ აისახებოდა საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში. კასატორი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 130-ე, 144-ე და 1008-ე მუხლებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ ვ. ჩ-ს სასარჩელო მოთხოვნა იყო ხანდაზმული და არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები, ვინაიდან საკომპენსაციო თანხების გაცემა შეუწყდა 2002 წლიდან, ხოლო სარჩელი მის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა 2009 წელს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.07.10 წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებებით მოცემული საქმიდან ს. ჩ-ს სასარჩელო მოთხოვნებზე ცალკე გამოყოფილ დავებზე, რომლებიც შეეხებოდა ქალაქ თბილისის მთავრობის 16.05.02წ. 109.25.167 დადგენილების ბათილად ცნობასა და ქ. თბილისში, ... ქ. 15-ში მდებარე საცხოვრებელი შენობის სამშენებლო ნორმებთან და წესებთან შესაბამისობაში მოყვანას, ს. ჩ-ს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, რითაც კანონიერ ძალაში შევიდა მოცემულ საქმეებზე მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.02.09წ. და 18.05.09წ. გადაწყვეტილებები ს. ჩ-ს სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის დაუსაბუთებელი, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილი არ პასუხობს სსკ-ის 249-ე მუხლის მოთხოვნებს, განჩინება არ შეიცავს სააპელაციო საჩივრის უარყოფის რაიმე არგუმენტაციას, სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად ქმნის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების აბსოლუტურ საფუძველს, აღნიშნული თავის მხრივ სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად არის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. სააპელაციო პალატამ ისე თქვა უარი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რომ საერთოდ არ უმსჯელია სამინისტროს სააპელაციო საჩივარში მოყვანილ არგუმენტაციაზე. პალატა შემოიფარგლა მითითებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი დასკვნების გაზიარების შესახებ, რაც არ წარმოადგენს მიღებული გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთებას, ვინაიდან საქალაქო სასამართლოს 16.10.08წ. გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობას ძირითად არგუმენტებზე, რომელსაც მოპასუხე აყენებდა ყველა ინსტანციის სასამართლოში – სამინისტროს მიერ საბიუჯეტო კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის გაშვებაზე, ამდენად გაუგებარია თუ რა გაიზიარა სააპელაციო პალატამ, ამასთანავე სასამართლოს არ უმსჯელია სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო ხარჯების განაწილებაზე.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ «თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 28.02.96წ. 1197 ბრძანებულებით შეიქმნა თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების სამთავრობო კომისია, რომელსაც, ამავე ბრძანებულების მე-2 პუნქტის საფუძველზე, დაევა ქ. თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი მოვლენების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობის პროგრამის შემუშავება, ამავე ვადაში მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ეტაპობრივი ანაზღაურების პროგრამის შემუშავება და მისი შესრულების უზრუნველყოფა. «ქ. თბილისში 1991 წლის დეკემბერ-1992 წლის იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 31.05.94წ. 1336 დადგენილების, «თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების პროგრამის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულებისა და «თბილისში 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად

დაზარალებული მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 01.12.97წ. 1704 ბრძანებულების საფუძველზე 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალით როგორც თბილისის მერიას, ასევე ფინანსთა სამინისტროს, თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და სახლების მშენებლობაში. 10.09.98 წ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის მიერ მიღებული იქნა 17.05.377 დადგენილება, რომლითაც შექმნილმა კომისიამ განსაზღვრა ქ. თბილისის ბიუჯეტში შექმნილი ფონდიდან დაზარალებული მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის კომპენსაციის მიზნით სახსრების გადარიცხვის განხორციელების წესი. მითითებული აქტების საფუძველზე, როგორც თბილისის მერიას, ასევე ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობა უნდა მიეღოთ მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობისთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურებაში. ქ. თბილისში, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური (ქონებრივი) ზარალის კომპენსაციის ამსახველი ცხრილით, 2000 წლის ნოემბრის მდგომარეობით, რიგითი ნომრით 196, დაზარალებულად რეგისტრირებულ იქნა კ. ჩ-ა. საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ კ. ჩ-ას მიმართ გაცემული 10.10.96 წ. 1196 ცნობის თანახმად, 1996 წლის 1 ოქტომბრისათვის მატერიალური ზარალის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენდა 52 193 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში, აღნიშნული თანხით კ. ჩ-ა შეყვანილი იყო 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის დაზარალებულ თბილისელთა მატერიალური ზარალის ანაზღაურების საერთო სიაში. ცნობის მეორე გვერდზე აღნიშნული მონაცემების მიხედვით კ. ჩ-ას მატერიალური ზარალის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 24 693 აშშ დოლარს. საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის 22.09.09 წ. 1372/2 ცნობის თანახმად, აწ გარდაცვლილი კ. ჩ-ას მატერიალური ზარალის საკომპენსაციო თანხა 2009 წლის 22 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენდა 24 693 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში.

სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც ძალაში დარჩა სააკველიო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით, მითითებულია საქართველოს პრეზიდენტის 28.01.96წ. 1197, 01.12.97წ. 1704 ბრძანებულებები, 26.07.96წ. 1180 განკარგულება, 1991-92წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის 10.10.96წ. 1196 და 22.09.09წ. 1372/2 ცნობები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 09.06.11წ. 109.06.02 განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა განკარგულების მე-4 და მე-8 პუნქტები, რომლითაც მატერიალური ზარალი 8,0 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით იყო განსაზღვრული და ქ. თბილისის მერიას დავალებული ჰქონდა პროგრამის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება. ქ. თბილისის მთავრობის 14.06.11წ. 115.02.578 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „1991-92წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების შესახებ» ქ. თბილისის მთავრობის 24.01.01წ. 101.15.12 დადგენილება, რომელიც დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულებას შეეხებოდა. ამასთანავე, ქ. თბილისის მთავრობის 30.05.11წ. 113.07.506 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მთავრობის ის დადგენილებები (მუნიციპალიტეტის კაბინეტის 12.09.96წ. 114.04.901, 06.03.97წ. 106.03.260, მთავრობის 05.07.01წ. 110.12.231 დადგენილებები), რომლებითაც ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი კონტროლის კომისია და დამტკიცდა მისი წესდება, აღნიშნული კომისიის უფლებამონაცვლედ შეიქმნა 1991/92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის საკითხების შემსწავლელი კომისია. კომისიის წევრთა მიერ 31.05.11წ. სხდომაზე ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით გაუქმდა «1991/92წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის» მიერ მოქალაქეთათვის მიყენებული ზარალის ოდენობის შესახებ გაცემული ცნობები. კომისიამ აღნიშნა, რომ 1991/92წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთათვის მიყენებული ზარალის ოდენობები განისაზღვრა 1992 წლის დეკლარაციებით, სადაც თანხები მანეთებით იყო დაფიქსირებული, რომელთა გადაანგარიშებაც მოგვიანებით აშშ დოლარებში (ეკვივალენტი ლარში) განხორციელდა, ვალუტის გადაანგარიშება მოხდა არა არსებული კურსის შესაბამისად, არამედ გაურკვეველ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, ვალუტის ხსენებული ფორმით გადაანგარიშების მექანიზმი საქმეში მითითებული არ არის. საკასაციო პალატა აღნიშნავს აგრეთვე, რომ კონტროლის კომისიის მიერ გაცემული ცნობების, მათ შორის 10.10.96წ. 1196 და 22.09.09წ. 1372/2 ცნობების გაუქმება, რომლებიც თავისი არსით წარმოადგენენ არა აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, არამედ მიყენებული ზიანის ოდენობის ამსახველი ინფორმაციული ხასიათის შუალედურ აქტებს, ქმნის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის დადგენის საჭიროებას. რაც შეეხება დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ დავალიანების არსებობის თაობაზე «თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 28.02.96წ. 1197 და «თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებულ მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 01.12.97წ. 1704 ბრძანებულებებს, აღნიშნული აქტები და საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულების ის ნაწილი, რომლითაც სახელმწიფომ აღიარა დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ არსებული დავალიანება, არ გაუქმებულა და სავალდებულოდ შესასრულებელი ძალა აქვთ. ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების თანახმად, 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის მატე-

რიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალით როგორც თბილისის მერიას, ისე ფინანსთა სამინისტროს, თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებასა და სახლების მშენებლობაში. ამდენად, არსებობს ვალდებულების დამდგენი ნორმატიული აქტები, რომელთა საფუძველზეც, მოსარჩელე – ვ. ჩ-ას მოთხოვნის უფლება წარმოემვა 1996 წელს, რა დროსაც, მითითებული ნორმატიული აქტებით, მერიას დაევალია დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაფინანსების უზრუნველყოფა, ხოლო ფინანსთა სამინისტროს დაევალია წინადადებების შემუშავება დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად არასაბიუჯეტო და საბიუჯეტო სახსრების მობილიზებისა და გამოყოფის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს მოსარჩელის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, ამასთანავე სადღესოდ დადგენას საჭიროებს ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა. 1991-1992წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ გაცემული ცნობების გაუქმება, რომლებშიც მითითებული იყო მიყენებული ზიანის მოცულობა, ვერ მიიჩნევა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ასკ-ის მე-4, მე-19 მუხლების საფუძველზე სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი მტკიცებულებებისა და ინფორმაციის წარმოსადგენად ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის განსაზღვრისათვის, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად საკასაციო პალატა მოკლებულია ფაქტობრივი გარემოების დადგენის შესაძლებლობას, რის გამოც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ქ. თბილისის მთავრობის 30.05.11წ. 113.07.506 დადგენილებით გაუქმებული 1991-92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების კონტროლის კომისიის უფლებამონაცვლის ჩაბმისა და ასკ-ის მე-16 მუხლის საფუძველზე საქმეში ჩართული უფლებამონაცვლისაგან ახლადშექმნილი 1991/92წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის საკითხების შემსწავლელი კომისიისაგან სათანადო ინფორმაციის გამოთხოვით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების – მოსარჩელის მიმართ არსებული დავალიანების თანხის ოდენობის დადგენის მიზნით საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.02.10წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
2. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე არსებითი გადაწყვეტილების მიღებისას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მატერიალური ზიანის კომპენსაციის ოდენობა

განჩინება

18ს-970-943 (23-10)

20 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 14 ივლისს, ვ. კ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებისათვის მის სასარგებლოდ სოლიდარულად 78 899 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ვ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა: მოპასუხეებს – ქ. თბილისის მერიას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლიდარულად დაეკისრათ თანხის – **78 899 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი** ლარის გადახდა მოსარჩელე – ვ. კ-ის სასარგებლოდ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა შემდეგ სამართლებრივ საფუძვლებზე: მოსარჩელე ვ. კ-ი წარმოადგენს ქ. თბილისში, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირს; 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის 2009 წლის 5 ივნისის 1349/1 ცნობის თანახმად, ვ. კ-ის სასარგებლოდ ასანაზღაურებელი ზარალის საკომპენსაციო თანხა შეადგენს **78 899,00 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტ** ლარს.

სასამართლომ მიუთითა «ქ.თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების პროგრამის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის 1180 განკარგულებაზე, რომლის მე-4 პუნქტით ცნობად იქნა მიღებული, რომ საქართველოს იუსტიციისა და ეკონომიკის სამინისტროთა დასკვნების საფუძველზე, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა შეადგინა **8,0 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტური** თანხა.

«ქ. თბილისის 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წ. იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წ. 31 მაისის 1336 დადგენილებით, «თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1996 წ. 1197 ბრძანებულებით, «თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებულ მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წ. 1704 ბრძანებულებით, 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ, სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, რიგი ღონისძიებების გატარება დაევალოთ როგორც თბილისის მერიას, ისე ფინანსთა სამინისტროს და თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებასა და სახლების მშენებლობაში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს მოპასუხეთა ვალდებულების დამდგენი ნორმატიული აქტები, რომელთა საფუძველზეც, მოსარჩელეს, მოპასუხეთა მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 1996 წელს, რა დროსაც, მითითებული ნორმატიული აქტებით, მერიას დაევალოდა დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაფინანსების უზრუნველყოფა, ხოლო ფინანსთა სამინისტროს დაევალოდა წინადადებების შემუშავება დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად არასაბიუჯეტო და საბიუჯეტო სახსრების მობილიზებისა და გამოყოფის შესახებ. «თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებულ მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1996 წ. 1197 ბრძანებულების მე-2 პუნქტით, სამთავრობო კომისიას ასევე დაევალოდა, დაზარალებულთა მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით პროგრამის შემუშავება და მისი შესრულების უზრუნველყოფა.

სასამართლომ განმარტა, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ 1991-92 წლების თბილისის ცნობილი მოვლენების შედეგად, დაზარალებულ პირად და რომლისადმი მიყენებულმა მატერიალურმა ზიანმა შეადგინა **88 234 აშშ დოლარის ექვივალენტი** თანხა ეროვნულ ვალუტაში, საიდანაც, 1992 წლის იანვრიდან 2003 წლის 29 სექტემბრამდე დროის შუალედში, მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახით ანაზღაურებული იქნა **9 335 აშშ დოლარის ექვივალენტი** თანხა, ხოლო ასანაზღაურებელი დარჩა **78 899 აშშ დოლარის ექვივალენტი** თანხა.

სასამართლომ, დასახელებული სამართლებრივი აქტებიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალოთ როგორც ქ. თბილისის მერიას, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებასა და სახლების მშენებლობაში. შესაბამისად ქ. თბილისის მერია და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მაისის განჩინებით ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფა.

ქ. თბილისის მერიამ საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აღნიშნულ დავაში სოლიდარულ მოვალეობად მიჩნევა სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და სასამართლოს ამგვარი განმარტება არ გამოიმდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე და 464-ე მუხლებიდან. არ არსებობს კანონი და არც ხელშეკრულება, რომლითაც ქ. თბილისის მერიასა და ფინანსთა სამინისტროს დაეკისრებოდა სოლიდარული ვალდებულება. თბილისის მერიამ ყველა დაზარალებულის და მათ შორის მოსარჩელის მიმართაც შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, რაც გამოიხატა მათთვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობასა და საექსპლუატაციოდ ჩაბარებაში. კასატორის მოსაზრებით სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე და 137-ე მუხლების საფუძველზე ხანდაზმულია, რადგან ვ. კ-ის სასარგებლოდ თანხის გადახდა ბოლოს მოხდა 2003 წელს, ხოლო სარჩელი 2009 წელს იქნა აღძრული, რის გამოც მისი მოთხოვნა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეკისრებოდა ვალდებულება დაზარალებული მოსახლეობის ზიანის ასანაზღაურებლად 5 მილიონი ლარი გაეთვალისწინებინა სახელმწიფოს 1996-97 წლების ბიუჯეტების პროექტებში. «საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე მითითებით, კასატორის მოსაზრებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვერ იქნება პასუხისმგებელი მატერიალური ზარალის ანაზღაურებაზე, რადგან სამინისტროს დაევა არა საკომპენსაციო თანხის გაცემის უზრუნველყოფა, არამედ შესაბამისი წინადადების შემუშავება, მისი პარლამენტში წარდგენის მიზნით. კასატორის აზრით, საკომპენსაციო თანხების გაცემის ვალდებულება იარსებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხა კანონით დადგენილი პროცედურების გასვლის შემდეგ, აისახებოდა «საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველებისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ «თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 28.02.96წ. 1197 ბრძანებულებით შეიქმნა თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების სამთავრობო კომისია, რომელსაც, ამავე ბრძანებულების მე-2 პუნქტის საფუძველზე, დაევა ქ. თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი მოვლენების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობის პროგრამის შემუშავება, ამავე ვადაში მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ეტაპობრივი ანაზღაურების პროგრამის შემუშავება და მისი შესრულების უზრუნველყოფა. «ქ. თბილისში 1991 წლის დეკემბერ-1992 წლის იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 31.05.94წ. 1336 დადგენილების, «თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების პროგრამის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულებისა და «თბილისში 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 01.12.97წ. 1704 ბრძანებულების საფუძველზე 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევა როგორც თბილისის მერიას, ასევე ფინანსთა სამინისტროს, თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და სახლების მშენებლობაში. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად მისი განადგურებული ქონების მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად სახელმწიფოს მიერ 1992 წლის იანვარში გაცემული დეკლარაციისა და 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის 1996 წლის 10 ოქტომბრის 188 ცნობის თანახმად ვ. კ-ისათვის მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა (განადგურებული საცხოვრებელი ბინის გარდა) შეადგინა 88234 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში. 1992 წლის იანვრიდან მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახით ანაზღაურებულია 689 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა. მატერიალური ზარალის ასანაზღაურებელი თანხა 1996 წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგენს 87 545 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ვ. კ-ზე გასაცემი მატერიალური ზარალის ასანაზღაურებელი თანხა პერიოდულად იფარებოდა და დავალიანება 2003 წლის 29 სექტემბრის მდგომარეობით შემცირდა. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის 2009 წლის 5 ივნისის 349/1 ცნობის თანახმად, 2009 წლის 5 აგვისტოს მდგომარეობით მატერიალური ზარალის საკომპენსაციო თანხამ შეადგინა 78899 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულებაზე და 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის 2009 წლის 5 ივნისის 1349/1 ცნობაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 09.06.11წ. 109/06/02 განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა განკარგულების მე-4 და მე-8 პუნქტები, რომლითაც მატერიალური ზარალი განსაზღვრული იყო 8,0 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით და ქ. თბილისის მერიას ევალებოდა პროგრამის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება. ამასთანავე, ქ. თბილისის მთავრობის 30.05.11წ. 113.07.506 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მერიის ის დადგენილებები (12.09.96წ. 114.04.901, 06.03.97წ. 106.03.260, 05.07.01წ. 110.12.231), რომლებითაც ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი კონტროლის კომისია და დამტკიცდა მისი წესდება. აღნიშნული კომისიის უფლებამონაცვლის სახით შეიქმნა 1991/92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის საკითხების შემსწავლელი კომისია. კომისიის წევრთა მიერ 31.05.11წ. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით გაუქმდა «1991/92წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის» მიერ მოქალაქეთათვის მიყენებული ზარალის ოდენობის შესახებ გაცემული ცნობები. ამასთანავე, ქ. თბილისის მთავრობის 14.06.11წ. 115.02.578 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა «1991-92წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების შესახებ» ქ. თბილისის მთავრობის 24.01.01წ. 101.15.12 დადგენილება. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ დავალიანების არსებობის თაობაზე «ქ. თბილისის 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წ. იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 31.05.94წ. 1336 დადგენილება, «თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 28.02.96წ. 1197 და «თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებულ მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 01.12.97წ. 1704 ბრძანებულება, ასევე საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულების ის ნაწილი, რომლითაც სახელმწიფომ აღიარა დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ არსებული დავალიანება, არ გაუქმებულა და შესაბამისად არ დაუკარგავს იურიდიული ძალა. ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების თანახმად, 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალია როგორც თბილისის მერიას, ისე ფინანსთა სამინისტროს, თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებასა და სახლების მშენებლობაში. ამდენად, არსებობს მოპასუხეთა ვალდებულების დამდგენი ნორმატიული აქტები, რომელთა საფუძველზეც, მოსარჩელებს, მოპასუხეთა მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 1996 წელს, რა დროსაც, მითითებული ნორმატიული აქტებით, მერიას დაევალია დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაფინანსების უზრუნველყოფა, ხოლო ფინანსთა სამინისტროს დაევალია წინადადებების შემუშავება დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად არასაბიუჯეტო და საბიუჯეტო სახსრების მობილიზებისა და გამოყოფის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, მიუხედავად მოსარჩელის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის არსებობისა, სადღესოდ დადგენას საჭიროებს ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა. 1991-1992წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ გაცემული ცნობების გაუქმება, რომლებშიც მითითებული იყო მიყენებული ზიანის მოცულობა, საკასაციო სასამართლოს ართმევს შესაძლებლობას დაადგინოს ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ასკ-ის მე-4 მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი მტკიცებულებებისა და ინფორმაციის წარმოსადგენად დავის საგნის ოდენობის განსაზღვრისათვის, ხოლო საკასაციო პალატა საპროცესო კანონმდებლობის თანახმად მოკლებულია ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შესაძლებლობას, რის გამოც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ქ. თბილისის მთავრობის 30.05.11წ. 113.07.506 დადგენილებით გაუქმებული 1991-92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების კონტროლის კომისიის უფლებამონაცვლის ჩაბმისა და ჩართული უფლებამონაცვლისაგან სათანადო ინფორმაციის გამოთხოვის საშუალებით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების – დაზარალებული მოსარჩელის მიმართ არსებული დავალიანების თანხის ოდენობის დადგენის მიზნით საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მაისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მატერიალური ზიანის კომპენსაციის ოდენობა

განჩინება

ბს-1698-1654(2კ-10)

27 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ო. პ-ამ და რ. ჩ-მა სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს ზიანის ანაზღაურება, შემდეგი საფუძველით:

ვ. პ-ი 1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულად იქნა ცნობილი. 1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, 1996 წლის 1 ოქტომბრისათვის თანხა, რომელიც უნდა ანაზღაურებოდა ვ. პ-ს, შეადგენდა 39910 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში. აღნიშნული თანხა ნაწილობრივ ანაზღაურებულ იქნა და დღეის მდგომარეობით დავალიანება შეადგენს 35699 აშშ დოლარს. 2010 წლის 9 თებერვლის სამკვიდრო მოწმობის თანახმად, 22.10.1999 წელს გარდაცვლილი ვ. პ-ის პირველი რიგის მემკვიდრეებად ცნობილ იქნენ მისი მეუღლე – რ. ჩ-ი და შვილი – ო. პ-ა.

«თბილისში 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების პროგრამის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის 1180 განკარგულების მე-4 პუნქტით ცნობად იქნა მიღებული საქართველოს ეკონომიკისა და იუსტიციის სამინისტროს დასკვნები და დაზარალებული მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი განისაზღვრა 8 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი თანხით. სახელმწიფოს მიერ აღიარებულ იქნა მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება. ამასთან, რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, კერძოდ: «ქ. თბილისის 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წ. იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წ. 31 მაისის 1336 დადგენილების, «თბილისში 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 1197 ბრძანებულების, «თბილისში 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 1704 ბრძანებულების თანახმად, 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალოდა თბილისის მერიას, ასევე ფინანსთა სამინისტროს და თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და სახლების მშენებლობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხეთათვის ზიანის ანაზღაურების თანხის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით რ. ჩ-ისა და ო. პ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეებს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიას სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელების სასარგებლოდ 35699 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. პ-ი 1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულად იქნა ცნობილი. 1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული

ბულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, **1996 წლის 1 ოქტომბრისათვის** თანხა, რომელიც უნდა ანაზღაურებოდა ვ. პ.-ს, შეადგენდა **39910** აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში. აღნიშნული თანხა ნაწილობრივ ანაზღაურებულ იქნა და დღეის მდგომარეობით დავალიანება შეადგენს **35699** აშშ დოლარს. **2010 წლის 9 თებერვლის** სამკვიდრო მოწმობის თანახმად, **22.10.1999 წელს** გარდაცვლილი ვ. პ.-ის პირველი რიგის მემკვიდრეებად ცნობილ იქნენ მისი მეუღლე – რ. ჩ.-ი და შვილი – ო. პ.-ა.

«თბილისში **1991-92 წლების** დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების პროგრამის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის **1996 წლის 26 ივლისის** **1180** განკარგულების მე-4 პუნქტით ცნობად იქნა მიღებული საქართველოს ეკონომიკისა და იუსტიციის სამინისტროს დასკვნები და დაზარალებული მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი განისაზღვრა **8 მილიონი** აშშ დოლარის ექვივალენტი თანხით.

სახელმწიფოს მიერ აღიარებულ იქნა მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება. ამასთან, რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, კერძოდ: «ქ. თბილისის **1991 წლის** დეკემბერსა და **1992 წ.** იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის **1994 წ. 31 მაისის** **1336** დადგენილების, «თბილისში **1991-92 წლების** დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის **1996 წლის** **1197** ბრძანებულების, «თბილისში **1991-92 წლების** დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალოთ როგორც თბილისის მერიას, ასევე ფინანსთა სამინისტროს და თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და სახლების მშენებლობაში.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეების პოზიცია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მართალია, მოსარჩელეს ზიანი **1991-92 წლების** თბილისის ცნობილი მოვლენების შედეგად მიადგა, მაგრამ სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურმა საქართველოს პრეზიდენტმა **1996 წლის** **1180** განკარგულებით აღიარა და იკისრა მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანის **8 მლ.** აშშ დოლარის ანაზღაურების ვალდებულება, **1964 წლის** სამოქალაქო სამართლის კოდექსის **83-ე** მუხლის მე-2 ნაწილისა და **1997 წლის** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **137-ე** მუხლის თანახმად კი, თუ ვალდებული პირი (მოვალე) უფლებამოსილი პირის (კრედიტორის) წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება და ამიტომ სარჩელის ხანდაზმულობაზე მითითება სასამართლოს მოსაზრებით უსაფუძვლოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დადგინილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, დასაბუთებულად მიიჩნია ვ. პ.-ის მემკვიდრეების – რ. ჩ.-ისა და ო. პ.-ას მოთხოვნა მოპასუხეთათვის – ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის სოლიდარულად მატერიალური ზიანის **35699** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და ქ. თბილისის მერიამ, რომლითაც საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს **2010 წლის 14 სექტემბრის** განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

მოსარჩელები ო. პ.-ა და რ. ჩ.-ი წარმოადგენენ ქ. თბილისში, **1991-1992 წლის** დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირებს; **1991-1992 წწ.** დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის **2010 წლის 11 მაისის** **1117/1** ცნობის თანახმად, აწ გარდაცვლილი ვ. პ.-ის მემკვიდრეების რ. ჩ.-ის და ო. პ.-ას სასარგებლოდ ასანაზღაურებელი ზარალის საკომპენსაციო თანხა შეადგენს **35669** აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს. «ქ. თბილისში **1991-1992 წლის** დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის **1994 წლის 31 მაისის** **1336** დადგენილების მე-9 პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის მერიას დაევალო საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და წარმოადგინოს წინადადება დაზარალებული მოქალაქეებისათვის განადგურებული საოჯახო ქონების შესაძენად საჭირო სახსრების გამოყოფის შესაძლებლობის შესახებ.

«ქ. თბილისში **1991-1992 წლების** დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის **1996 წლის 28 თებერვლის** **1197** ბრძანებულების მე-3 პუნქტის თანახმად, თბილისის მერიას დაევალო, თბილისში **1991-1992 წლების** დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების მიზნით **5 მილიონი** ლარის გამოყოფა, მშენებლობებზე ტენდერების გამოცხადება

და გამოყოფილი სახსრების ეფექტიანი ათვისება, ხოლო ამავე ბრძანებულების მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა სამთავრობო კომისიის მიერ შემუშავებული პროგრამების შესაბამისად გამოეყო 1996 წელს დამატებითი (მათ შორის არასაბიუჯეტო) სახსრები მშენებლობის გასაგრძელებლად და მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად. «ქ. თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების პროგრამის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის 1180 განკარგულების მე-4 პუნქტით ცნობად იქნა მიღებული, რომ საქართველოს იუსტიციისა და ეკონომიკის სამინისტროთა დასკვნების საფუძველზე, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა შეადგინა 8,0 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა, ხოლო ამავე ბრძანებულების მე-2 და მე-8 პუნქტების თანახმად, თბილისის მერიას დაევალა დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაფინანსება თბილისის 1996 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 5 მილიონი ლარის ფარგლებში და დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის პროგრამის შესრულების სისტემატურად გაკონტროლება, მე-3 და მე-4 პუნქტებით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 28 თებერვლის 1197 ბრძანებულების შესაბამისად «დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად 1996 წლის განმავლობაში არასაბიუჯეტო და საბიუჯეტო სახსრების მობილიზაციისა და გამოყოფის შესახებ» კონკრეტული წინადადებების შემუშავება, აგრეთვე – «საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ» საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში წარსადგენად «1996 წლის განმავლობაში მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად 5 მილიონი ლარის გამოსაყოფად დაფინანსების დამატებითი წყაროების გამოძიების შესახებ» წინადადებების შემუშავება. გარდა ამისა, დაევალა საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში დანარჩენი თანხის 1997 წლის ბიუჯეტიდან ანაზღაურების საკითხის შეტანა.

«თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 1 დეკემბრის 1704 ბრძანებულებით ცნობად იქნა მიღებული საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და თბილისის მერიის გადაწყვეტილება «1991-1992 წლების მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის მიზნით მათთვის ამენებულ და მშენებარე საცხოვრებელ სახლებში განთავსებული არასაცხოვრებელი ფართის აუქციონის წესით პრივატიზების შესახებ». აგრეთვე, ამავე ბრძანებულებით დადგინდა, რომ აღნიშნული არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზებიდან შემოსული თანხები გამოყენებულ იქნეს 1991-1992 წლების მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციისა და თბილისის ბიუჯეტში მიზნობრივი ფონდის შექმნისათვის.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დასახელებული ნორმატიული აქტებით, როგორც თბილისის მერიას, ისე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა 1991-1992 წლების თბილისის მოვლენების დროს, დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ, სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებათა გატარება. ამდენად, არსებობს მოპასუხეთა ვალდებულებების დამდგენი აქტები, რომელთა საფუძველზეც მოსარჩელებს მოპასუხეთა მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვათ 1996 წელს, რა დროსაც მითითებული ნორმატიული აქტებით, ქ. თბილისის მერიას დაევალა დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაფინანსების უზრუნველყოფა, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა წინადადებების შემუშავება დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად არასაბიუჯეტო და საბიუჯეტო სახსრების მობილიზებისა და გამოყოფის შესახებ. საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 1197 ბრძანებულების, «თბილისში 1991-1992 წლების მოვლენების დროს დაზარალებულ მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» მე-2 პუნქტით, სამთავრობო კომისიას ასევე დაევალა, დაზარალებულთა მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, პროგრამის შემუშავება და მისი შესრულების უზრუნველყოფა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოქალაქე ვ. პ-ი ცნობილია 1991-1992 წლების თბილისის მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირად და მისმა ქონებრივმა ზარალმა შეადგინა – 39910 აშშ დოლარი, საიდანაც ასანაზღაურებელი დარჩა 35699 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების – ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსაზრება სამოქალაქო კოდექსის 1008-ე და 130-ე მუხლებზე მითითებით სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე და განმარტა, რომ საკანონმდებლო აქტებით: საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის 1180 განკარგულებით «თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების პროგრამის შესახებ» და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 1 დეკემბრის 1704 ბრძანებულებით «თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» განისაზღვრა და დაკონკრეტდა იმ პირთა წრე, რომლებსაც პასუხი უნდა ეგოთ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე; კერძოდ, მითითებული ნორმების თანახმად ქ. თბილისში, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასიხისმგებლობა დაეკისრათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და ქ. თბილისის მერიას. საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის 1180 განკარგულებაზე, რომლითაც სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ

ადიარებულ იქნა ვალდებულება 1991-92 წლების თბილისის ცნობილი მოვლენების შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანის 8 000 000 აშშ დოლარის ოდენობით ანაზღაურების შესახებ. სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის დროისათვის მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულები პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით ან სხვაგვარად აღიარებდა მოთხოვნის არსებობას ხანდაზმულობის ვადის დენა წყდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ვ. პ-ის თანხების ანაზღაურება ეტაპობრივად ხდებოდა, კერძოდ, 1992 წლის იანვრიდან 2003 წლის ოქტომბრამდე დროის შუალედში და სარჩელის აღძვრამდე აწ გარდაცვლილი ვ. პ-ის მემკვიდრეების ო. პ-ასა და რ. ჩ-ის მიმართ დავალიანება შეადგენდა 35699 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, ვინაიდან მოსარჩელებმა სარჩელი სასამართლოში შეიტანეს 2010 წლის 12 აპრილს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (1964 წ. რედაქცია) 83-ე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლების თანახმად, თუ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა თავიდან აითვლება, ანუ ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა უსასრულოდ ვადის გაგრძელებას არ გულისხმობს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტიად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სახელმწიფომ აიღო ვალდებულება გაეტარებინა აუცილებელი საკანონმდებლო ზომები იმ პირთა საკუთრების და საცხოვრებელი უფლების რესტიტუციის ან დაკარგული ქონების კომპენსაციასთან დაკავშირებით, რომელთაც 1990-1994 წლებში დაკარგეს ქონება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფომ აღიარა რა მატერიალური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ამისათვის შეიმუშავა რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, კერძოდ: მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 მაისის '36 დადგენილება, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 28 თებერვლის '197 ბრძანებულება, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის '180 განკარგულება და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 1 დეკემბრის '704 ბრძანებულება, რომლებითაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა უწყებებს ევალებოდათ მატერიალური ზარალის ანაზღაურების მიზნით, წყაროების გამოძებნა და თანხების გამოყოფა. ამდენად, სახელმწიფომ, შესაძლებლობის ფარგლებში მუდმივად ახდენდა და დღესაც ახდენს მოსახლეობისათვის თანხების გამოყოფას, აღნიშნული პრობლემის დროულად გადაჭრის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 28 თებერვლის '197 ბრძანებულებით, შეიქმნა თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-შენიშვნისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევალა, დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად შესაბამისი პროგრამის შემუშავება და თანხების ანაზღაურების კონტროლი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის '180 განკარგულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეკისრებოდა ვალდებულება დაზარალებული მოსახლეობის ზარალის ასანაზღაურებლად 5 მილიონი ლარი გაეთვალისწინებინა სახელმწიფოს 1996-1997 წლების ბიუჯეტის პროექტებში. მართალია აღნიშნული ვალდებულება ფინანსთა სამინისტროს ეკისრებოდა, მაგრამ თანხები ბიუჯეტის კანონებში უნდა დაემტკიცებინა პარლამენტს, რაც არ განხორციელებულა, შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრომ ვერ გაითვალისწინა აღნიშნული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში.

აღნიშნულის გათვალისწინებით ფინანსთა სამინისტრო ვერ იქნებოდა პასუხისმგებელი მატერიალური ზარალის ანაზღაურებაზე, რადგან 1996 წლის 26 ივლისის '180 განკარგულებით სამინისტროს დაევალა არა საკომპენსაციო თანხის გაცემის უზრუნველყოფა, არამედ შესაბამისი წინადადებების შემუშავება, მისი პარლამენტში წარდგენის მიზნით. შესაბამისად საკომპენსაციო თანხების გაცემის ვალდებულება იარსებებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონით დადგენილი პროცედურების გავლის შემდგომ აისახებოდა «საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონში.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი განსაზღვრავს სოლიდარული ვალდებულების ცნებას. ამ მუხლის თანახმად სოლიდარული ვალდებულება სახეზეა, როდესაც რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება. ამავე კოდექსის 464-ე მუხლი კი ადგენს სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს. კერძოდ, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს კანონი და არც ხელშეკრულება, რომლითაც ქ. თბილისის მერიასა და ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა სოლიდარული ვალდებულება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 11 სექტემბრის 'ზს-414-400 (კ-06) განჩინებაში ანალოგიურ საქმეზე მითითებულია, რომ «საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 1 დეკემბრის '704 ბრძანებულების თანახმად, ქ. თბილისის მერიას ნება დაერთო მოეხდინა დაზა-

რალეზული მოსახლეობის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის მიზნით მათთვის აშენებულ და მშენებარე სახლებში განთავსებული არასაცხოვრებელი ფართის აუქციონის წესით რეალიზაცია. აღნიშნული არასაცხოვრებელი ფართის რეალიზაციიდან შემოსული თანხები გამოყენებული უნდა ყოფილიყო დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციისთვის, ე.ი. ქ. თბილისის მერიას არა განუსაზღვრელად, არამედ სწორედ განსაზღვრული წილით დაევალა მონაწილეობის მიღება მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების მოვალეობაში. ამდენად, მოსარჩელის მითითება იმაზე, რომ აღნიშნული აქტების საფუძველზე ქ. თბილისის მერია ფინანსთა სამინისტროსთან ერთად წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს, არის იურიდიულად დაუსაბუთებელი. ქ. თბილისის მერიამ პირნათლად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა. კერძოდ, **1997-2000** წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო და დაზარალებულთა საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციას მოხმარდა **27144** მილიონი ლარი, აღნიშნული აისახა ქ. თბილისის მთავრობის **2001** წლის **5** ივლისის დადგენილებაში. კერძოდ, მითითებულ დადგენილებაში აღნიშნულია შემდეგი: «ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს პრეზიდენტის **26.07.96** წლის **1180** განკარგულებით და **01.12.1997** წლის **1704** ბრძანებულებით გათვალისწინებული ვალდებულებები ქ. თბილისის მთავრობამ სრულად შეასრულა, კერძოდ, ააშენა, აღადგინა და ექსპლუატაციაში ჩააბარა **20** საცხოვრებელი სახლი **46200** კვ.მ. საერთო ფართობით, რომელთა სამუშაოების კაპიტალური დაზანდების თანხამ შეადგინა **27144** მილიონი ლარი, ხოლო დაზარალებული მოქალაქეების მატერიალური ზარალის ანაზღაურებამ – **1034622** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში». აგრეთვე «**246** დაზარალებული ოჯახის დარჩენილი მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად თანხა **6820390** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში თანახმად საქართველოს პრეზიდენტის **26.07.1996** წლის **1180** განკარგულებისა, ექვემდებარება დაფინანსებას საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან».

სასამართლომ არ გაითვალისწინა და საერთოდ შეფასების მიღმა დატოვა ისეთი მნიშვნელოვანი გარემოება, როგორცაა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა **1180** განკარგულებით აღიარა მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ამ შემთხვევაში კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **1008-ე** მუხლის თანახმად დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ამავე კოდექსის **137-ე** მუხლი კი ადგენს, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. ქ. თბილისის მერიას სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ **1991-1992** წლებში მოქალაქეებს ზიანი მიადგათ ცნობილი მოვლენების შედეგად. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო თავდაპირველი ხანდაზმულობის ვადის დინება. ასევე არ არის სადავო ის გარემოება, რომ **1996** წელს მთელი რიგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით სახელმწიფომ განახორციელა აღიარება ვალისა ომით დაზარალებული მოქალაქეების მიმართ, რის შედეგადაც შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დინება. ვადის შეწყვეტა თავისი შინაარსით გულისხმობს იმას, რომ შეწყვეტიდან ხდება ახალი ვადის დინება. ანუ ამ შემთხვევაში **1996** წელს სახელმწიფოს მიერ ვალის აღიარებიდან დაიწყო ახალი ხანდაზმულობის ვადის დენა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მოსარჩელეებმა ბოლოს თანხა მიიღეს **2003** წელს, ამის შემდეგ, მათ მიმართ თანხის გამოყოფას ადგილი არ ჰქონია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელეთათვის სწორედ ამ დროიდან გახდა ცნობილი ზიანის ფაქტი, ანუ **2003** წლიდან მისთვის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა ისეც თავიდან დაიწყო. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ო. პ-ამ და რ. ჩ-მა სასამართლოს მხოლოდ **2010** წელს მიმართეს. ანუ მაშინ, როდესაც მისი მოთხოვნა ხანდაზმული იყო. სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ უგულვებელყო ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორცაა ხანდაზმულობა, რაც სრულიად გაუმართლებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს **2011** წლის **5** ივლისის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის **34-ე** მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ «თბილისში **1991-1992** წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის **28.02.96**წ. **1197** ბრძანებულებით შეიქმნა თბილისში **1991-1992** წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების სამთავრობო კომისია, რომელსაც, ამავე ბრძანებულების მე-2 პუნქტის საფუძველზე, დაევალა ქ. თბილისში **1991-1992** წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი მოვლენების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობის პროგრამის შემუშავება, ამავე ვადაში მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ეტაპობრივი ანაზღაურების პროგრამის შემუშავება და მისი შესრულების უზრუნველყოფა. «ქ. თბილისში **1991** წლის დეკემბერ-**1992** წლის იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის **31.05.94**წ. **1336** დადგენილების, «თბილისში **1991-1992** წლე-

ბის დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების პროგრამის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულებისა და «თბილისში 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 01.12.97წ. 1704 ბრძანებულების საფუძველზე 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალოთ როგორც თბილისის მერიას, ასევე ფინანსთა სამინისტროს, თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და სახლების მშენებლობაში. ქ. თბილისის მთავრობის 31.05.07წ. 11.02.315 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისში, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული თბილისელი მოქალაქეების მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს გადაწყვეტილებების შესაბამისად, ქ. თბილისის ბიუჯეტში ამ მიზნით გათვალისწინებული ასიგნებებიდან, საკომპენსაციო თანხების განაწილების განსახორციელებლად, ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურისა და 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა კომისიის შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით, სამსახურმა გადაიბარა შესაბამისი დოკუმენტაციები, რის საფუძველზე «ქ. თბილისში, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისთვის მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად შესაბამისი სიების დამტკიცებისა და ქალაქის ბიუჯეტიდან თანხების შემდგომი გაცემის შესახებ» ქ. თბილისის მთავრობის 20.07.07წ. 15.04.401 დადგენილებით დამტკიცდა დაზარალებულ მოქალაქეებზე ქ. თბილისის ბიუჯეტიდან დარჩენილი გასაცემი საკომპენსაციო თანხები თითოეულ დაზარალებულ მოქალაქეზე აშშ დოლარებში, დანართი 1-ის შესაბამისად. დანართის თანახმად, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოქალაქეებზე, კერძოდ, აწ გარდაცვლილი ვ. პ-ის მემკვიდრეების რ. ჩ-ის და ო. პ-ის სასარგებლოდ ასანაზღაურებელი ზარალის საკომპენსაციო თანხა შეადგენს 35669 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს.

სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულებაზე და 1991-92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის 2010 წლის 11 მაისის 1117/1 ცნობასა და შესაბამისად გამოცემული «ქ. თბილისში, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისთვის მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად შესაბამისი სიების დამტკიცებისა და ქალაქის ბიუჯეტიდან თანხების შემდგომი გაცემის შესახებ» ქ. თბილისის მთავრობის 20.07.07წ. 115.04.401 დადგენილებაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 09.06.11წ. 109/06/02 განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა განკარგულების მე-4 და მე-8 პუნქტები, რომლითაც მატერიალური ზარალი 8,0 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით იყო განსაზღვრული და ქ. თბილისის მერიას დავალებული ჰქონდა პროგრამის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება. ამასთანავე, ქ. თბილისის მთავრობის 30.05.11წ. 113.07.506 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მერიის ის დადგენილებები (12.09.96წ. 114.04.901, 06.03.97წ. 106.03.260, 05.07.01წ. 110.12.231), რომლებითაც ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი კონტროლის კომისია და დამტკიცდა მისი წესდება. აღნიშნული კომისიის უფლებამონაცვლედ შეიქმნა 1991/92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის საკითხების შემსწავლელი კომისია. კომისიის წევრთა მიერ 31.05.11წ. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით გაუქმდა «1991/92წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის» მიერ მოქალაქეთათვის მიყენებული ზარალის ოდენობის შესახებ გაცემული ცნობები. ამასთანავე, ქ. თბილისის მთავრობის 14.06.11წ. 115.02.578 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა «1991-92წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების შესახებ» ქ. თბილისის მთავრობის 24.01.01წ. 101.15.12 დადგენილება. რაც შეეხება დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ დავალიანების არსებობის თაობაზე ქ. თბილისის 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წ. იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 31.05.94წ. 1336 დადგენილებას, «თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 28.02.96წ. 1197 და «თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებულ მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 01.12.97წ. 1704 ბრძანებულებებს, აღნიშნული აქტები და საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულების ის ნაწილი, რომლითაც სახელმწიფომ აღიარა დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ არსებული დავალიანება, არ გაუქმებულა და სავალდებულოდ შესასრულებელი ძალა აქვთ. ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების თანახმად, 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალოთ როგორც თბილისის მერიას, ისე ფინანსთა სამინისტროს, თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებასა და სახლების მშენებლობაში. ამდენად, არსებობს მოპასუხეთა ვალდებულების დამდგენი, ნორმა-

ტიული აქტები, რომელთა საფუძველზეც, მოსარჩელებს, მოპასუხეთა მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 1996 წელს, რა დროსაც, მითითებული ნორმატიული აქტებით, მერის დაევა დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაფინანსების უზრუნველყოფა, ხოლო ფინანსთა სამინისტროს დაევა წინადადებების შემუშავება დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად არასაბიუჯეტო და საბიუჯეტო სახსრების მობილიზებისა და გამოყოფის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს მოსარჩელეთა მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, ამასთანავე სადღეისოდ დადგენას საჭიროებს თითოეული მათგანისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა. 1991-1992წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ გაცემული ცნობების გაუქმება, რომლებშიც მითითებული იყო მიყენებული ზიანის მოცულობა, ვერ მიიჩნევა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ასკ-ის მე-4 მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი მტკიცებულებებისა და ინფორმაციის წარმოსადგენად დავის საგნის ოდენობის განსაზღვრისათვის, ხოლო საკასაციო პალატა საპროცესო კანონმდებლობის თანახმად მოკლებულია ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შესაძლებლობას, რის გამოც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ქ. თბილისის მთავრობის 30.05.11წ. 113.07.506 დადგენილებით გაუქმებული 1991-92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების კონტროლის კომისიის უფლებამონაცვლის ჩაბმისა და ჩართული უფლებამონაცვლისაგან სათანადო ინფორმაციის გამოთხოვის საშუალებით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების – დაზარალებული თითოეული მოსარჩელის მიმართ არსებული დავალიანების თანხის ოდენობის დადგენის მიზნით საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 14 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მატერიალური ზიანის კომპენსაციის ოდენობა

განჩინება

18ს-766-741(23-10)

20 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. კ-მა, ი. მ-ამ, ნ. კ-ემ და ნ. ს-ამ 07.11.05წ. სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის მიმართ, რომლითაც საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ გაცემული ცნობების საფუძველზე, მ. კ-ის სასარგებლოდ 16053 აშშ დოლარის, ი. მ-ის სასარგებლოდ 22345 აშშ დოლარის, ნ. კ-ის სასარგებლოდ 2033 აშშ დოლარისა და ნ. ს-ას სასარგებლოდ 3213 აშშ დოლარის მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრება მოითხოვეს.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების შედეგად დაზარალებულნი მათი საცხოვრებელი ბინებისა და პირადი ქონების განადგურებით. აღნიშნული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა აიღო საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, რის შესახებაც მიღებულ იქნა მთელი რიგი ნორმატიული აქტები, შეიქმნა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ «თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის **28.02.96წ. 1197** ბრძანებულებით შეიქმნა თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების სამთავრობო კომისია, რომელსაც, ამავე ბრძანებულების მე-2 პუნქტის საფუძველზე, დაევა ქ. თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი მოვლენების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობის პროგრამის შემუშავება, მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ეტაპობრივი ანაზღაურების პროგრამის შემუშავება და მისი შესრულების უზრუნველყოფა. «ქ. თბილისში 1991 წლის დეკემბერ-1992 წლის იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის **31.05.94წ. 1336** დადგენილების, «თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების პროგრამის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის **26.07.96წ. 1180** განკარგულებისა და «თბილისში 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის **01.12.97წ. 1704** ბრძანებულების საფუძველზე **1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევა**ლათ როგორც თბილისის მერიას, ასევე ფინანსთა სამინისტროს, თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და სახლების მშენებლობაში. ქ. თბილისის მთავრობის **31.05.07წ. 111.02.315** დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისში, **1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული თბილისელი მოქალაქეების მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს გადაწყვეტილებების შესაბამისად, ქ. თბილისის ბიუჯეტში ამ მიზნით გათვალისწინებული ასიგნებებიდან, საკომპენსაციო თანხების განაწილების განსახორციელებლად, ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურისა და **1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა კომისიას შორის გაფორმებული მიღება- ჩაბარების აქტით, სამსახურმა გადაიბარა შესაბამისი დოკუმენტაციები, რის საფუძველზე ქ. თბილისის მთავრობის **20.07.07წ. 115.04.401** დადგენილებით დამტკიცდა დაზარალებულ მოქალაქეებზე ქ. თბილისის ბიუჯეტიდან დარჩენილი გასაცემი საკომპენსაციო თანხები თითოეულ დაზარალებულ მოქალაქეზე აშშ დოლარებში, დანართი 1-ის შესაბამისად. დანართის თანახმად, **1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოქალაქეებზე, კერძოდ, მ. კ-ზე გასაცემი საკომპენსაციო თანხა შეადგენდა **16 053** აშშ დოლარს, ნ. გ-ეზე (**6. კ-ე**) – **20 333** აშშ დოლარს, ი. მ-აზე – **22 345** აშშ დოლარს, ზ. ს-აზე – **2 954** აშშ დოლარს.******

სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის **26.07.96წ. 1180** განკარგულებაზე და **1991-92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ **10.10.96წ.** მოსარჩელეთა მიმართ გაცემული **185, 182, 1187, 110** ცნობების შესაბამისად მიღებული «ქ. თბილისში, **1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისთვის მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად შესაბამისი სიების დამტკიცებისა და ქალაქის ბიუჯეტიდან თანხების შემდგომი გაცემის შესახებ» ქ. თბილისის მთავრობის **20.07.07წ. 115.04.401** დადგენილებაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის **09.06.11წ. 109/06/02** განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის **26.07.96წ. 1180** განკარგულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა განკარგულების მე-4 და მე-8 პუნქტები, რომლითაც მატერიალური ზარალი **8,0** მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით იყო განსაზღვრული და ქ. თბილისის მერიას დავალებული ჰქონდა პროგრამის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება. ამასთანავე, ქ. თბილისის მთავრობის **30.05.11წ. 113.07.506** დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მერიის ის დადგენილებები (**12.09.96წ. 114.04.901, 06.03.97წ. 106.03.260, 05.07.01წ. 110.12.231**), რომლებითაც ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი კონტროლის კომისია და დამტკიცდა მისი წესდება, აღნიშნული კომისიის უფლებამონაცვლედ შეიქმნა **1991/92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის საკითხების შემსწავლელი კომისია. კომისიის წევრთა მიერ **31.05.11წ.** სხდომაზე განხილულ იქნა გაუქმებული კომისიის მიერ მოქალაქეთათვის მიყენებული ზარალის ოდენობის თაობაზე გაცემული ცნობების კანონიერება, კომისიამ მიიჩნია, რომ დაზარალებულ მოქალაქეთათვის მიყენებული ზარალის ოდენობები დადგინდა **1992 წლის დეკლარაციებით, სადაც თანხები მანეთებით განისაზღვრა, ვალუტის გადაანგარიშება მოხდა არა არსებული კურსის შესაბამისად – გაურკვეველი სამართლებრივ საფუძველზე, ვალუტის გადაანგარიშების ნორმატიული მექანიზმის მითითების გარეშე, არ დგინდება თანხების გადაანგარიშების კრიტერიუმები და მისი სამართლებრივი საფუძვლები. კომისიის **31.05.11წ.** სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით გაუქმდა «**1991/92წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის**» მიერ მოქალაქე-********

თათვის მიყენებული ზარალის ოდენობის შესახებ გაცემული ცნობები. ამასთანავე, ქ. თბილისის მთავრობის 14.06.11წ. 115.02.578 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა «1991-92წ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების შესახებ» ქ. თბილისის მთავრობის 24.01.01წ. 101.15.12 დადგენილება, რომელიც დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულებას შეეხებოდა. რაც შეეხება დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ დავალიანების არსებობის თაობაზე ქ. თბილისის 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წ. იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 31.05.94წ. 1336 დადგენილებას, «თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 28.02.96წ. 1197 და «თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებულ მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 01.12.97წ. 1704 ბრძანებულებებს, აღნიშნული აქტები და საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულების ის ნაწილი, რომლითაც სახელმწიფომ აღიარა დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ არსებული დავალიანება, არ გაუქმებულა და სავალდებულოდ შესასრულებელი ძალა აქვთ. ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების თანახმად, 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალოთ როგორც თბილისის მერიას, ისე ფინანსთა სამინისტროს, თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებასა და სახლების მშენებლობაში. ამდენად, არსებობს მოპასუხეთა ვალდებულების დამდგენი, ნორმატიული აქტები, რომელთა საფუძველზეც, მოსარჩელებს, მოპასუხეთა მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 1996 წელს, რა დროსაც, მითითებული ნორმატიული აქტებით, მერიას დაევალა დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაფინანსების უზრუნველყოფა, ხოლო ფინანსთა სამინისტროს დაევალა წინადადებების შემუშავება დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად არასაბიუჯეტო და საბიუჯეტო სახსრების მობილიზებისა და გამოყოფის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს მოსარჩელეთა მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, 1991-1992წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ გაცემული ცნობების გაუქმება, რომლებშიც მითითებული იყო მიყენებული ზიანის მოცულობა, ვერ მიიჩნევა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად. ამასთანავე სადღესოდა დადგენას საჭიროებს თითოეული მათგანისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორების წარმომადგენელთა შესაგებელში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კომისიის ცნობა არის აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელთა მიმართ მოსარჩელებს კანონიერი ნდობა გააჩნიათ, რაც გამორიცხავდა მათ გაუქმებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ გაცემული ცნობები წარმოადგენენ ასანაზღაურებელი თანხის დასადგენად შედგენილ შუალედურ, ინფორმაციული ხასიათის აქტებს, ცნობების გამცემი კომისია თავად არ ახდენდა ზიანის ანაზღაურებას, ზიანის თანხის ანაზღაურების გაცემის დაპირებას, სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლი კომისიის 10.10.96წ. 110, 182, 185, 1187 ცნობები გაცემულია საქართველოს პრეზიდენტის 26.06.96წ. 1180 განკარგულების მე-4 პუნქტის საფუძველზე, რომელიც გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 09.06.11წ. 109/06/02 განკარგულებით, შესაბამისად უმართებულა მითითება, სზაკ-ის 9.1, 60.4 მუხლებზე, კომისიის მიერ გაცემული ცნობების მიმართ კანონიერი ნდობის არსებობაზე. საკასაციო პალატა პროცესუალური კანონმდებლობის თანახმად მოკლებულია ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შესაძლებლობას, რის გამოც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ქ. თბილისის მთავრობის 30.05.11წ. 113.07.506 დადგენილებით გაუქმებული 1991-92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის უფლებამონაცვლის საქმეში ჩაბმისა და ახლადშექმნილი 1991/92წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის საკითხების შემსწავლელი კომისიისაგან სათანადო ინფორმაციის გამოთხოვით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების – თითოეული დაზარალებული მოსარჩელის მიმართ უკვე ანაზღაურებული და ასანაზღაურებელი დავალიანების თანხის ოდენობის დადგენით, მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევით, შესაძლებელი იქნება საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.02.10წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მატერიალური ზიანის კომპენსაციის ოდენობა

განჩინება

1ბს-1283-1247(2კ-10)

20 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

02.12.09წ. ა. გ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოპასუხეებისათვის 10 750 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი ოჯახი ქ. თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების შედეგად დაზარალდა საცხოვრებელი ბინისა და პირადი ქონების განადგურებით. სახელმწიფომ საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულებით აღიარა მოქალაქეებისათვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ჩამოაყალიბა დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისია, რომელიც უზრუნველყოფდა ეტაპობრივად საკომპენსაციო თანხების გაცემას. მოსარჩელის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ზარალი სრულად არ ანაზღაურებულა, 2003 წლიდან მოსარჩელეს შეუწყდა საკომპენსაციო თანხების მიღება. საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის 15.10.09წ. გაცემული 1329/1 ცნობის თანახმად, ა. გ-ას მიმართ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა შეადგენს 10 750 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს. აღნიშნული თანხის გაცემის მოთხოვნით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიას, თუმცა უშედეგოდ.

საქალაქო სასამართლოს 25.12.09წ. საოქმო განჩინებით 1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისია საქმეში ჩაება სასკ-ის მე-16 მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.01.10წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს – ქ. თბილისის მერიას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ა. გ-ას სასარგებლოდ დაეკისრათ სოლიდარულად 10 750 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.05.10წ. განჩინებით ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.01.10წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ 10.10.96 წელს გაცემული 1212 ცნობით ... ქუჩა 11-ში მცხოვრებ ა. გ-ას, მისი განადგურებული ქონების მატერიალური ზარალის საკომპენსაციოდ, უნდა მიეღო 383800 მანეთი. ა. გ-ას მატერიალური ზარალი (განადგურებული საცხოვრებელი ბინის გარდა) შეადგენდა 12793 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში (1992 წლის კურსის მიხედვით). საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის 15.10.09წ. 1329/1 ცნობის თანახმად, ა. გ-ას, აწ გარდაცვლილი ა. გ-ას სამართალმემკვიდრის, ზარალის ასანაზღაურებელი თანხა 15.10.09წ. მდგომარეობით შეადგენდა 10750 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს. მატერიალური ზარალის საკომპენსაციო თანხა ა. გ-ამ ბოლოს მიიღო 2003 წელს. ამავე წლის 11 ნოემბერს შედგენილი სანოტარო აქტის, სამკვიდრო მოწმობის თანახმად, გარდაცვლილი ა. გ. ძე გ-ას სამკვიდრო ქონებაზე ანდერძით მემკვიდრედ ცნობილი იქნა ა. გ. ა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ «თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების პროგრამის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის

¹¹⁸⁰ განკარგულებით, «ქ. თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარის მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 მაისის ¹³³⁶ დადგენილებით, «ქ. თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 28 თებერვლის ¹¹⁹⁷ ბრძანებულებით, «თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარის მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობისათვის მატერიალური ზიანის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის ¹⁷⁰⁴ ბრძანებულებით, 1991-1992 წლებში დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებათა შესასრულებლად, რიგი ღონისძიებების გატარება დაევალოთ როგორც ქალაქ თბილისის მერიას, ისე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ამასთანავე თვითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზარალის ანაზღაურებასა და სახლების აღდგენა-მშენებლობაში. ამრიგად, არსებობდა მოპასუხეთა ვალდებულების დამდგენი ნორმატიული აქტები, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა. პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.05.10წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

ქ. თბილისის მერია აღნიშნავს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და ქ. თბილისის მერია არ წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე და 464-ე მუხლების თანახმად, სოლიდარული ვალდებულება სახეზეა, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთგვარი მოთხოვნის უფლება. აღნიშნული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა კანონი და ხელშეკრულება, რომლითაც ქ. თბილისის მერიასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლიდარულად დაეკისრებოდა ვალდებულება. ასევე სახეზე არ იყო ვალდებულების საგნის განუყოფლობა. ნორმატიული აქტებით მკაფიოდ გაიმიჯნა თითოეული მოვალის ვალდებულებები. ქ. თბილისის მერიას დაევალა მხოლოდ სახლების აღდგენა, მშენებლობა და საექსპლუატაციოდ ჩაბარება, ასევე მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის მიზნით აშენებულ სახლებში განთავსებული არასაცხოვრებელი ფართების აუქციონის წესით რეალიზაცია. კასატორის განმარტებით, მას განსაზღვრული წილით დაევალა მონაწილეობის მიღება მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ანაზღაურებაში, რის გამოც სასამართლოს მითითება ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევაზე დაუსაბუთებელია. კასატორმა – ქ. თბილისის მერიამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული იყო, ვინაიდან ზიანი მიადგა 1991-1992 წლებში, ხოლო სარჩელი სასამართლოში წარადგინა 2009 წელს.

კასატორი – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ დაეთანხმა სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის 15.10.09წ. ^{1329/1} ცნობით გათვალისწინებული ა. გ-ზე გასაცემი საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების ვალდებულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეკისრებოდა 28.02.96წ. ¹¹⁹⁷ ბრძანებულების და 26.07.96წ. ¹¹⁸⁰ განკარგულების საფუძველზე. კასატორი მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აღნიშნული განკარგულებით დაევალა არა საკომპენსაციო თანხების გაცემის უზრუნველყოფა, არამედ შესაბამისი წინადადებების შემუშავება პარლამენტში წარდგენის მიზნით. ამასთან, «საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების მიხედვით, ბიუჯეტის საბოლოო ფორმირება დამოკიდებულია კანონით დადგენილი პროცედურების გავლაზე და საკომპენსაციო თანხების გაცემის ვალდებულება იარსებებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონით დადგენილი წესით პროცედურების გავლის შემდეგ აისახებოდა საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში. კასატორი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე, 130-ე და 137-ე მუხლებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ ა. გ-ს სასარჩელო მოთხოვნა იყო ხანდაზმული და არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველებისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ «თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 28.02.96წ. ¹¹⁹⁷ ბრძანებულებით შეიქმნა თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების სამთავრობო კომისია, რომელსაც, ამავე ბრძანებულების მე-2 პუნქტის საფუძველზე, დაევალა ქ. თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი მოვლენების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობის პროგრამის შემუშავება, მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ეტაპობრივი ანაზღაურების პროგრამის შემუშავება და მისი შესრულების უზრუნველყოფა. «ქ. თბილისში 1991 წლის დეკემბერ-1992 წლის იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვ-

რებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 31.05.94წ. 1336 დადგენილებით, «თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების პროგრამის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულებისა და «თბილისში 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 01.12.97წ. 1704 ბრძანებულების საფუძველზე 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალოთ როგორც თბილისის მერიას, ასევე ფინანსთა სამინისტროს, თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და სახლების მშენებლობაში. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 10.09.98წ. 117.05.377 დადგენილებით შექმნილმა კომისიამ განსაზღვრა ქ. თბილისის ბიუჯეტში შექმნილი ფონდიდან დაზარალებული მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის კომპენსაციის მიზნით სახსრების გადარიცხვის განხორციელების წესი. საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ ა. გ. ას მიმართ 10.10.96წ. გაცემული 1212 ცნობის თანახმად, 01.10.96წ. მდგომარეობით მატერიალური ზარალის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენდა 12793 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში. ცნობის მეორე გვერდზე არსებული მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ ა. გ. აზე გასაცემი მატერიალური ზარალის ასანაზღაურებელი თანხა – 12793 აშშ დოლარი პერიოდულად იფარებოდა 1998-2003 წლებში, დავალიანება 2003 წლის მდგომარეობით შემცირდა 2043 აშშ დოლარით. 1991-1992წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის 15.10.09წ. 1329/1 ცნობის თანახმად, აწ. გარდაცვლილ ა. გ. ას სამართალმემკვიდრეს ა. გ. ასათვის მატერიალური ზარალის საკომპენსაციო თანხა 15.10.09წ. მდგომარეობით შეადგენდა 10750,0 აშშ. დოლარის ეკვივალენტ ლარს.

სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულებაზე და 1991-92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ 10.10.96წ. და 15.10.09წ. გაცემულ 1212 და 1329/1 ცნობებზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 09.06.11წ. 109/06/02 განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა განკარგულების მე-4 და მე-8 პუნქტები, რომლითაც მატერიალური ზარალი 8,0 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით იყო განსაზღვრული და ქ. თბილისის მერიას დავალებული ჰქონდა პროგრამის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება. ამასთანავე, ქ. თბილისის მთავრობის 30.05.11წ. 113.07.506 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მერიის ის დადგენილებები (12.09.96წ. 114.04.901, 06.03.97წ. 106.03.260, 05.07.01წ. 110.12.231), რომლებითაც ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი კონტროლის კომისია და დამტკიცდა მისი წესდება, აღნიშნული კომისიის უფლებამონაცვლედ შეიქმნა 1991/92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის საკითხების შემსწავლელი კომისია. კომისიის წევრთა მიერ 31.05.11წ. სხდომაზე განხილულ იქნა გაუქმებული კომისიის მიერ მოქალაქეთათვის ზარალის ოდენობის თაობაზე გაცემული ცნობების კანონიერება, კომისიამ მიიჩნია, რომ დაზარალებულ მოქალაქეთათვის მიყენებული ზარალის ოდენობები დადგინდა 1992 წლის დეკლარაციებით, სადაც თანხები მანეთებით განისაზღვრა, ვალუტის გაანგარიშება მოხდა არა არსებული კურსის შესაბამისად – გაურკვეველ სამართლებრივ საფუძველზე, ვალუტის გადაანგარიშების ნორმატიული მექანიზმის მითითების გარეშე, არ დგინდება თანხების გადაანგარიშების კრიტერიუმები და მისი სამართლებრივი საფუძველები. კომისიის 31.05.11წ. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით გაუქმდა «1991/92წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის» მიერ მოქალაქეთათვის მიყენებული ზარალის ოდენობის შესახებ გაცემული ცნობები. ამასთანავე, ქ. თბილისის მთავრობის 14.06.11წ. 115.02.578 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა «1991-92წ.წ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების შესახებ» ქ. თბილისის მთავრობის 24.01.01წ. 101.15.12 დადგენილება, რომელიც დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულებას შეეხებოდა. რაც შეეხება დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ დავალიანების არსებობის თაობაზე «ქ. თბილისის 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წ. იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 31.05.94წ. 1336 დადგენილებას, «თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 28.02.96წ. 1197 და «თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებულ მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 01.12.97წ. 1704 ბრძანებულებებს, აღნიშნული აქტები და საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96წ. 1180 განკარგულების ის ნაწილი, რომლითაც სახელმწიფომ აღიარა დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ არსებული დავალიანება, არ გაუქმებულა და სავალდებულოდ შესასრულებელი ძალა აქვთ. ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების თანახმად, 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალოთ როგორც თბილისის მერიას, ისე ფინანსთა სამინისტროს, თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა

მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებასა და სახლების მშენებლობაში. ამდენად, არსებობს მოპასუხეთა ვალდებულების დამდგენი ნორმატიული აქტები, რომელთა საფუძველზეც, მოსარჩელებს, მოპასუხეთა მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 1996 წელს, რა დროსაც, მითითებული ნორმატიული აქტებით, მერიას დაევალა დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაფინანსების უზრუნველყოფა, ხოლო ფინანსთა სამინისტროს დაევალა წინადადებების შემუშავება დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად არასაბიუჯეტო და საბიუჯეტო სახსრების მობილიზებისა და გამოყოფის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს მოსარჩელის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, 1991-1992წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ გაცემული ცნობების გაუქმება, რომლებშიც მითითებული იყო მიყენებული ზიანის მოცულობა, ვერ მიიჩნევა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად. ამასთანავე სადღეისოდ დადგენას საჭიროებს მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა. საკასაციო პალატა პროცესუალური კანონმდებლობის თანახმად მოკლებულია ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შესაძლებლობას, რის გამოც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ქ. თბილისის მთავრობის 30.05.11წ. 113.07.506 დადგენილებით გაუქმებული 1991-92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის უფლებამონაცვლის საქმეში ჩაბმისა და ახლადშექმნილი 1991/92წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის საკითხების შემსწავლელი კომისიისაგან სათანადო ინფორმაციის გამოთხოვით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების – დაზარალებული მოსარჩელის მიმართ უკვე ანაზღაურებული და ასანაზღაურებელი დავალიანების თანხის ოდენობის დადგენით, მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევით, შესაძლებელი იქნება საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.05.10წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საფუძველი

განჩინება

ბს-299-296(კ-11)

13 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ი/მ ნ. მ-მა 2009 წლის 14 დეკემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2004 წლის 20 ოქტომბერს ი/მ ნ. მ-სა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება 5 წლის ვადით, რომლის მიხედვითაც, მოიჯარეს გადაეცა გარდაბნის რაიონის დაბა ..., ... ბრიგადის ტერიტორიაზე არსებული კაფე-მალაზია. 2008 წლის 13 თებერვალს აღნიშნულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები, კერძოდ, გაიზარდა საიჯარო გადასახადი და საწარმოს დამატებით გადაეცა კაფე-მალაზიაზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი და ი/მ ნ. მ-ს ხელახლა ჩაჰბარდა ობიექტი. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შემდეგ, ბაზის ტერიტორიაზე მოსამსახურე სამ-

ხედრო პირებმა, ... ბრიგადის ოფიცრებმა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ი/მ ნ. მ-ს იძულებით შეაწყვეტინეს ობიექტის მუშაობა და მოსამსახურე პერსონალთან ერთად დაატოვებინეს სამხედრო ნაწილის ტერიტორია.

მოსარჩელის მითითებით, 2008 წლის 28 თებერვალს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 11-1/270 ბრძანებით ცალმხრივად მოიშალა ზემოაღნიშნული საიჯარო ხელშეკრულება, რაც მან გაასაჩივრა სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ი/მ ნ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა და ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 11-1/270 ბრძანება. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

მოსარჩელის მოსაზრებით, მეიჯარის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებით ი/მ ნ. მ-ს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური და მორალური ზიანი, რაც გამოიხატა იმაში, რომ სამეწარმეო საქმიანობის გაფართოების მიზნით, მას აღებული ჰქონდა კრედიტები, რომელთა დაფარვა ვეღარ მოახერხა. კრედიტებს დაერიცხა პირგასამტეხლო და დღეისათვის მისმა დავალიანებამ სხვადასხვა ბანკთან თუ კერძო პირთან შეადგინა სოლიდური თანხა. გარდა ამისა, კაფე-მაღაზიაში დარჩა მისი კუთვნილი ინვენტარი და პროდუქცია, რომელთა წაღების საშუალება არ მისცეს. ამდენად, ი/მ ნ. მ-მა, მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით, მოითხოვა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 1 137 545 ლარის გადახდა, კერძოდ: 2008 წლის 13 თებერვლისათვის საწარმოს საქონლის ნაშთის ღირებულება, რომელიც დარჩა კაფე-მაღაზიის ტერიტორიაზე და განადგურდა, შეადგენდა 66882 ლარს; საწარმოს ქონების ღირებულება, რომელიც დარჩა საწარმოს ტერიტორიაზე, შეადგენდა 24390 ლარს; 2008 წლის 13 თებერვლიდან 2009 წლის 20 ოქტომბრამდე პერიოდის, საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების დარჩენილი ვადის მიხედვით საწარმოს მიუღებელი შემოსავლის თანხა შეადგენდა 192886 ლარს; 2008 წლის 13 თებერვლის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, იმავე დღესვე, მის მიერ გადახდილი გაზრდილი საიჯარო თანხა შეადგენდა 5091 ლარს; კაპიტალური რემონტის ხარჯი შეადგენდა 61400 ლარს; მორალური ზიანის ანაზღაურების სახით მოითხოვა 200000 ლარი; სამეწარმეო საქმიანობისათვის ბანკში და ფიზიკური პირებისაგან აღებული სესხების რაოდენობა შეადგენდა 586896,54 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე – ი/მ ნ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 119848 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე ნ. მ-მა, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; ი/მ ნ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი/მ ნ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნებს მოსარჩელისათვის საწარმოს ქონების ღირებულების სახით – 24390 ლარის, გაზრდილი საიჯარო ქირის სახით – 5091 ლარის, კაპიტალური რემონტის ხარჯის სახით – 61400 ლარის, მორალური ზიანის სახით – 200000 ლარის, სამეწარმეო საქმიანობისათვის ბანკში და ფიზიკური პირებისაგან აღებული სესხების სახით – 586896 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ი/მ ნ. მ-ს შორის 2004 წლის 20 ოქტომბერს, 5 წლის ვადით, ანუ 2009 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით, დაიდო იჯარის ხელშეკრულება. იჯარის საგანს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული, დაბა ..., ... ბრიგადის ტერიტორიაზე მდებარე ჯარისკაცთა კაფე-მაღაზია. საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრა ყოველწლიურად – 1200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. 2008 წლის 13 თებერვალს მხარეთა შორის გაფორმდა 2004 წლის 20 ოქტომბერს დადებულ საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის ხელშეკრულება, რომლის მე-2 მუხლის 2.3 პუნქტით განისაზღვრა, რომ გაზრდილი საიჯარო ქირის გადახდა ნ. მ-ს ეკისრებოდა 2006 წლის 29 ნოემბრიდან.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ სსკ-ის 328-ე მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ ი/მ ნ. მ-ს გაზრდილი საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება წარმოეშვა 2006 წლის 29 ნოემბრიდან, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების ცვლილებები შედგენილი იყო 2008 წლის 13 თებერვალს. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა 5091 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში უსაფუძვლო იყო.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 28 თებერვლის 11-1/270 ბრძანებით სამინისტრომ ცალმხრივად მოშალა 2004 წლის 20 ოქტომბრის საიჯარო ხელშეკრულება. აღნიშნული ბრძანება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009

წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით უკანონოდ იქნა აღიარებული. ი/მ ნ. მ-მა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსადმი 2009 წლის 23 და 24 თებერვალს მიწერილი წერილებით უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურებულიყო არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლებოდა შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამავე კოდექსის 415-ე მუხლის შესაბამისად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით იყო ზიანი გამოწვეული. ეს წესი გამოიყენებოდა მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატებოდა მის უმოქმედობაში – თავიდან აცილებინა ან შეემცირებინა ზიანი. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე, ასევე უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და უკანონო ხელშეშლის აღკვეთის შესახებ აღძრული სარჩელი გამოიხმო, მოსარჩელის მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლისათვის ზიანის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ უსაფუძვლო იყო და არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ი/მ ნ. მ-ის მოთხოვნა მოპასუხისათვის საწარმოს ქონების ღირებულების თანხის დაკისრების თაობაზე, რამდენადაც მოსარჩელე აღნიშნულ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელ მტკიცებულებად უთითებდა აუდიტორების დასკვნებს. მათი შინაარსიდან გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ შესაფასებელი ქონების ინსპექტირება აუდიტორს არ მოუხდენია, ანუ აუდიტორმა იხელმძღვანელა მხოლოდ დოკუმენტური მასალით და არა ფაქტობრივი მონაცემებით. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საქმის განხილვისას წარადგინა მტკიცებულებები, რომელთა თანახმად, 2008 წლის თებერვლიდან, როცა კაფე-მალაზიამ ფუნქციონირება შეწყვიტა, სრულად იქნა გატანილი არსებული ინვენტარი ნ. მ-ის თხოვნის საფუძველზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქონება დატოვებულ იქნა კაფე-მალაზიაში და შემდგომში აღნიშნული ქონება განადგურდა.

სააპელაციო პალატის განმარტებით, მოთხოვნა კაპიტალური რემონტის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს, კერძოდ, საიჯარო ხელშეკრულების 3.6 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით, მოიჯარეს უნდა ჩაეტარებინა იჯარით აღებული შენობის კაპიტალური რემონტი – არანაკლებ 40000 ლარის ფარგლებში, რომლის ღირებულებაც მოიჯარეს არ აუნაზღაურდებოდა. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილშიც არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება არის უკანონო, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო. სახეზეა მისი გაუქმების როგორც აბსოლუტური, ისე სხვა საფუძველებიც. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, რომლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოებმა დადგინილად მიიჩნიეს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ნ. მ-ის მიმართ უკანონოდ მოშალა იჯარის ხელშეკრულება, რამაც გამოიწვია მისთვის ზიანის მიყენება. მიუხედავად ამისა, ზიანის მიმყენებელს ანაზღაურების ვალდებულება არ დაკისრებია.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მას სარჩელი შეტანილი ჰქონდა ხელშეშლის აღკვეთაზე, მაგრამ შემდგომში გამოიხმო აღნიშნული სარჩელი, რადგან მისთვის ცნობილი გახდა, რომ ინვენტარი და შენობაში არსებული მალფუჭებადი საქონელი განადგურებული იყო, შესაბამისად, დავის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და ასევე არასწორად განმარტა სსკ-ის 415-ე მუხლი. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გამოიყენა სსკ-ის 581-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, რომლითაც დადგენილია, რომ მეიჯარე მოვალეა, გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა. ამდენად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ვალდებული იყო, უზრუნველყოს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ქონებით სარგებლობა, რაც მას არ გაუკეთებია.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გამოიყენა სსკ-ის 102.3 მუხლი, რომლის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის მიერ წარდგენილი წერილის საფუძველზე მიიჩნია დადგენილად, რომ ნ. მ-ს შენობიდან გაუტანია ინვენტარი, თუმცა ამის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება წარდგენილი არ ყოფილა. სააპელაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ არ გაიზიარა სასარჩელო მოთხოვნა რემონტის ხარჯების ანაზღაურების ნაწილში და მიუთითა საიჯარო ხელშეკრულების იმ პუნქტზე, რომ ხარჯები არ ანაზღაურდებოდა, რაც განსახილველ შემთხვევაში უსაფუძვლოა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-18-ე მუხლი და 413-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, რომლებიც უნდა გამოეყენებინა და რომლებიც ითვალისწინებენ ღირსების, პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა აგრეთვე სსკ-ის 992-ე მუხლი, რომლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. მოცემულ შემთხვევაში გვაქვს მოთხოვნის დაკმაყოფილების აუცილებელი, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი, კერძოდ, ნ. მ-ს, როგორც მეწარმე სუბიექტს, გათვლილი ჰქონდა თავისი შემოსავლები, რომლის შესაბამისადაც გეგმავდა ხარჯებსაც. მოპასუხის უკანონო ქმედებით კი მან საერთოდ დაკარგა შემოსავალი, შესაბამისად, ვალდებულების შესრულების შესაძლებლობაც, დაეკისრა პროცენტები და საურავები, რისი ანაზღაურების ვალდებულებაც, მისი აზრით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უნდა დაეკისროს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნ. მ-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე 2008 წლის განმავლობაში მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში ექვემდებარება უცვლელად დატოვებას შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის – 2008 წლის განმავლობაში მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე გამოტანილია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევით, კერძოდ, დარღვეულია სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, ასევე სადავო სამართალურთიერთობას სწორად არ შეეფარდა კანონის ნორმები.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ი/მ ნ. მ-ს შორის 2004 წლის 20 ოქტომბერს, 5 წლის ვადით, ანუ 2009 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით, დაიდო იჯარის ხელშეკრულება. იჯარის საგანს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული, დაბა ..., ... ბრიგადის ტერიტორიაზე მდებარე ჯარისკაცთა კაფე-მადახაია. საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრა ყოველწლიურად – 1200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. 2008 წლის 13 თებერვალს მხარეთა შორის გაფორმდა 2004 წლის 20 ოქტომბერს დადებულ საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის ხელშეკრულება, რომლის მე-2 მუხლის 2.3 პუნქტით განისაზღვრა, რომ გაზრდილი საიჯარო ქირის გადახდა ნ. მ-ს ეკისრებოდა 2006 წლის 29 ნოემბრიდან. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 28 თებერვლის 11-1/270 ბრძანებით სამინისტრომ ცალმხრივად მოშალა 2004 წლის 20 ოქტომბრის საიჯარო ხელშეკრულება. აღნიშნული ბრძანება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით უკანონოდ იქნა აღიარებული, ხოლო ი/მ ნ. მ-მა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსადმი 2009 წლის 23 და 24 თებერვალს მიწერილი წერილებით უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება. ვალდებულებითი ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობაა, ამასთან, იგი განსხვავდება საჯარო სამართალში არსებული ვალდებულებებისაგან, სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილი ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად მიიჩნევს, როგორც ხელშეკრულებას, ასევე დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძველებს.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. იქიდან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით, სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

კონკრეტულ შემთხვევაში ნ. მ-ი სარჩელით ითხოვს ვალდებულების დარღვევის (საიჯარო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა) გამო ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ვადაში. წინააღმდეგი შედეგი განაპირობებს მხარეთა უფლების წარმოშობას, ვალდებულების დარღვევის გამო მიმართოს სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი ზიანისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც, მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. განსახილველი ნორმის თანახმად, მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, მაგრამ მისი დადგენისათვის აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი წინაპირობები შემოიფარგლება კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობებით და დამოკიდებულია ამ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემოსავლის მიღების ალბათობაზე. ამავე კოდექსის 415-ე მუხლის შესაბამისად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამ, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ზიანის მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად, რომელი მხარის ბრალით არის გამოწვეული ზიანი.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული ნორმა განსაზღვრავს ვითარებას, როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი წარმოადგენს როგორც მოვალის, ისე დაზარალებულის ერთობლივი მოქმედების განუყოფელ შედეგს, ამასთან, ზიანის შეფასებისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის ხარისხით.

საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელე სარჩელით სხვა მოთხოვნებთან ერთად ითხოვდა 2008 წლის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, ხოლო სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენდა «...» მიერ 2009 წლის 13 ნოემბერს შედგენილი მიუღებელი შემოსავლის გაანგარიშების შესახებ აუდიტორული დასკვნა, რომლის მიხედვით, ი/მ ნ. მ-ის მიუღებელი შემოსავლის თანხამ 2008 წლის 13 თებერვლიდან 2009 წლის 20 ოქტომბრამდე პერიოდის ანუ საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების დარჩენილი ვადის მიხედვით, სულ შეადგინა 192886 ლარი. ამასთან, უდავოდ დასტურდება, რომ ი/მ ნ. მ-ის წლიური დაუბეგრავი შემოსავალი მისი, როგორც მეწარმე სუბიექტის მიერ საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი დეკლარაციების მიხედვით, 2005, 2006 და 2007 წლების განმავლობაში სტაბილურად კლებულობდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის მიუღებელი შემოსავლების ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში დაარღვია სსსკ-ის 105.2. მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვით, სასამართლო ავასებს მტკიცებულებებს შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემული საქმის განხილვისას სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმის მასალები, დადგენილად მიჩნეული გარემოებები არ დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით, საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს კი არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები ამ ნაწილში სრულიად დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვისას ამ ნაწილში არ გამოუკვლევია საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი გარემოებები, კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, აუდიტორული დასკვნა არ წარმოადგენდა საკმარის მტკიცებულებას სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში დაკმაყოფილებისათვის, ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ვერ დაასაბუთა, თუ რა საპირისპირო მტკიცებულებები არსებობდა აუდიტორული დასკვნის, როგორც მტკიცებულების, გაქარწყლებისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში საქმის ხელახალი განხილვისას უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, მოიპოვოს მტკიცებულებები, რათა სარწმუნოდ დაადგინოს ის ფაქტობრივი გარემოება, თუ რა ოდენობას შეადგენს ი/მ ნ. მ-ის მიერ 2008 წელს მიუღებელი შემოსავალი. კერძოდ, სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში არსებული, საგადასახადო ორგანოში ინდ/მეწარმის მიერ 2005, 2006 და 2007 წლებში წარდგენილი დეკლარაციები, რათა სარწმუნოდ დადგინდეს, თუ რა ბრუნვა ჰქონდა საწარმოს, იზრდებოდა თუ კლებულობდა მისი შემოსავალი სტაბილურად, საშუალოდ რა ოდენობის მოგება გააჩნდა საწარმოს 2005-2007 წლების დინამიკაში. თუმცა, აღნიშნული მტკიცებულებები და აუდიტორული დასკვნები სასამართლომ უნდა შეაფასოს ერთობლივად, რათა დადგინდეს საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე ფაქტი: რა ოდენობის თანხას შეადგენდა საწარმოს მიერ 2008 წელს მიუღებელი შემოსავალი. აღნიშნული ფაქტის დადგენის შემდეგ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს იმ გარემოებაზე, ექვემდებარება თუ არა 2008 წლის მიუღებელი შემოსავალი ანაზღაურებას და თუ ექვემდებარება, რა ოდენობით, ამასთან, შეეძლო თუ არა მოსარჩელეს თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა მისთვის მიყენებული ზიანი, მხარეთა ბრალეულობა, მიზეზობრივი კავშირი მიყენებულ ზიანსა და დამდგარ შედეგს შორის.

საკასაციო სასამართლო დანარჩენ ნაწილში იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს და სამართლებრივ შეფასებებს, კერძოდ, სარემონტო ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 548-ე მუხლით რეგლამენტებულია მიმდინარე რემონტის ხარჯების ცნება, რომლის თანახმად, რემონტის ჩატარება მოიჯარის პირდაპირი ვალდებულებაა, შესაბამისად, მოიჯარის მიერ გაწეული სარემონტო ხარჯი კონკრეტულ შემთხვევაში არ მიიჩნევა აუცილებელ ხარჯად, ამგვარი არ დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით, ხოლო სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამის-

სად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 1 სექტემბრის 1-1/84 ბრძანება, შენობა-ნაგებობის იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ, რომლის მე-5 პუნქტის მესამე ნაწილით განსაზღვრულია, რომ «იჯარით გასაცემი შენობის სამი თვის განმავლობაში კაპიტალური რემონტი ღირებულებით არანაკლებ 40.000 ლარი მოიჯარეს არ აუნაზღაურდება». საქმეში ასევე წარმოდგენილია სახელმწიფო ქონების იჯარით, სასყიდლიანი უზუფრუქტის და ქირავნობის ფორმებით გაცემის საკითხების სხდომის ოქმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ნ. მ-მა წარადგინა შენობის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, დაახლოებით 63000 ლარის ფარგლებში, ხოლო კომისიის თავმჯდომარემ განუმარტა, რომ საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ თანხაზე მეტი მოიჯარეს არ აუნაზღაურებოდა. ამდენად, ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ცალსახად განსაზღვრა პირობა სარემონტო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, რაც ცნობილი იყო მოიჯარისათვის და, შესაბამისად, აღნიშნული მტკიცებულებების ანალიზი უსაფუძვლოდ ხდის სარჩელის დაკმაყოფილებას ამ ნაწილში.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მოთხოვნას საწარმოს ქონების ღირებულების თანხის დაკისრების ნაწილში. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნას ამ ნაწილში აფუძნებს აუდიტორულ დასკვნებს, რაც სწორად არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ, რამდენადაც საქმის მასალებით დასტურდება, რომ შეფასებული ქონების ინსპექტირება აუდიტორს არ მოუხდენია, ანუ აუდიტორმა იხელმძღვანელა მხოლოდ დოკუმენტური მასალით და არა ფაქტობრივი მონაცემებით, მაშინ, როცა საქმეში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილია მტკიცებულება, რომლის თანახმად, 2008 წლის თებერვლიდან, მას შემდეგ, რაც კაფე-მალაზიამ ფუნქციონირება შეწყვიტა, სრულად იქნა გატანილი არსებული ინვენტარი ნ. მ-ის თხოვნის საფუძველზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სწორედ მოიჯარეა პასუხისმგებელი ინვენტარის ყოველი ნაწილის მოვლა-პატრონობაზე და იმ პირობებში, როცა მას ხელი ეშლება ამ ვალდებულების განხორციელებაში, უფლებამოსილია მოითხოვოს ხელის შეშლის აღკვეთა სასარჩელო წესით, რაც მოცემულ შემთხვევაში ნ. მ-ს არ შეუსრულებია და, შესაბამისად, სარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილშიც დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლო ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს ნ. მ-ის მოთხოვნას ხელშეკრულების ფაქტობრივად შეწყვეტის შემდგომ გადახდილი საიჯარო ქირის – 5091 ლარის მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილშიც, რამდენადაც, როგორც საქმის მასალებით დასტურდება მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება ფაქტობრივად შეწყდა 2008 წლის 13 თებერვლიდან, ხოლო ცვლილებები გაზრდილი იჯარის ქირის გადახდასთან დაკავშირებით განხორციელდა შეწყვეტის დღიდან 5 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ ანუ 2008 წლის 18 თებერვალს. სამოქალაქო კოდექსის 541-ე მუხლით განსაზღვრულია მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, რაც კონკრეტულ შემთხვევაში მეწარმე სუბიექტმა – ნ. მ-მა არ გამოიყენა, ანუ ეს უკანასკნელი დაეთანხმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს საიჯარო ქირის გაზრდასთან დაკავშირებით, რაც მის უფლებას განეკუთვნებოდა. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ნ. მ-ს არ მოუთხოვია ხელშეკრულების შეწყვეტა საიჯარო ქირის გაზრდასთან დაკავშირებით, არ არსებობს სარჩელის ამ ნაწილშიც დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივს მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში. ამ ნაწილში სარჩელი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეს გააჩნია საბანკო დავალიანებები, რაც ვერ გადაიხადა და რითაც შეეღობა საქმიანი რეპუტაცია. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად მორალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. კანონი არ მიუთითებს მორალური ზიანის ოდენობაზე, მორალური ზიანის ანაზღაურების თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია, დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა პირობაზე (ქონებრივი, საყოფაცხოვრებო და სხვ) და ექვემდებარება ანაზღაურებას მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. მორალური ზიანის ანაზღაურების ძირითადი მაკვალიფიცირებელი კრიტერიუმია ის, რომ იგი დაკავშირებული უნდა იყოს ადამიანის სულიერ განცდებთან და ტანჯვასთან, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია და, შესაბამისად, სარჩელი ამ ნაწილშიც, როგორც უსაფუძვლო, არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას – 2008 წლის მიუღებელი შემოსავლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში – არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, შესაბამისად, ამ ნაწილში საქმე ექვემდებარება ხელახლა განხილვას საქმის გარემოების სრული და ობიექტური გამოკვლევის მიზნით; ხოლო დანარჩენ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ფაქტობრივ გარემოებათა სრული გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე, სასამართლომ სწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს, სწორად შეუფარდა სამართლის ნორმა სადავო სამართალურთიერთობას და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში ექვემდებარება უცვლელად დატოვებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წამოყენებული საკასაციო პრეტენზიები ნაწილობრივ დასაბუთებულია, 2008 წლის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშესაბამობის თაობაზე და სსსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმე ამ ნაწილში ექვემდებარება ხელახლა განხილვას, რა დროსაც სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და იმსჯელოს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილების დადგენის მიზნით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნ. მ-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე 2008 წლის განმავლობაში მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო სამხედრო მოსამსახურისათვის თანხის დაკისრება

სამხედრო კონტრაქტის შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძველი

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

18ს-289-279 (კ-09)

27 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე**

დავის საგანი: ჯარიმის, პირგასამტეხლოს და ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 18.09.08წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა წყალტუბოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ე. ბ-მის მიმართ და მოპასუხისათვის კონტრაქტის დარღვევის გამო ჯარიმის თანხის, პირგასამტეხლოსა და ზიანის სახით მის მომზადებაზე გახარჯული თანხის ანაზღაურება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ე. ბ-მე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 25.03.05წ. 1712 ბრძანებით კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად დაინიშნა II ქვეითი ბრიგადის, 22-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამტაბო და უზრუნველყოფის ასეულის მატერიალური უზრუნველყოფის ოცეულის საველე სამზარეულოს მზარეულად 2005 წლის პირველი მარტიდან. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 02.12.05წ. 13126 ბრძანებით ე. ბ-მე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო 2005 წლის 28 ოქტომბრიდან. ე. ბ-მეს ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მიხედვით ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება 4 წელი ემსახურა შეიარაღებულ ძალებში. კონტრაქტის 7.3 მუხლის თანახმად, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილითა და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს, ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდებოდა შეეწყვიტა ოთხწლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროსათვის მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები. ე. ბ-მემ დაარღვია კონტრაქტის პირობები, რის გამოც მასზე უნდა გავრცელდეს კონტრაქტის 7.3. პუნქტის მოქმედება, რომლის თანახმად მოსარჩელე ითხოვს ე. ბ-მეს დაეკისროს: ჯარიმის სახით თანხის 14000 ლარის გადახდა, კონტრაქტის 7.4 მუხლით სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე. კასატორმა აღნიშნა აგრეთვე, რომ მოპასუხეს თანხა უნდა გადაეხადა კონტრაქტის შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ე.ი. 2005 წლის 8 ნოემბრამდე. კონტრაქტის 7.4 პუნქტის მიხედვით მან უნდა გადაიხადოს პირგასამტეხლო 14000 ლარის 0,2%-ის ოდენობით ყოველდღიურად 2005 წლის 8 ნოემბრიდან მოთხოვნილი თანხის გადახდამდე. ზიანის ანაზღაურების სახით მოსარჩელემ მოითხოვა სამხედრო მოსამსახურის – ე. ბ-მის მომზადებაზე დახარჯული თანხის (3774,80ლ.) ანაზღაურება, რომლის ხელახლა გაღება მოუწია სამინისტროს ე. ბ-მის სანაცვლოდ ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთვნის გამო. ზიანის სახით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

ტროს მიერ ე. ბ-ძის მომზადებაზე დახარჯული 2774,80 ლარის და პირგასამტეხლოს - 14000 ლარის 0,2 %-ის ოდენობით გადახდა ყოველდღიურად 2005 წლის 8 ნოემბრიდან 14 000 ლარის გადახდამდე.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 08.10.08წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო. სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ 01.03.05 წ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ე. ბ-ძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, (კონტრაქტი) თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. 26.08.05წ. მოპასუხემ პატაკით მიმართა ხელმძღვანელობას ოჯახური პირობების გამო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის გამო, რის საფუძველზე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1... ბრძანებით, 2005 წლის 28 ოქტომბრიდან, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო) საფუძველზე, II ქვეითი ბრიგადის, 22-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის საშტაბო და უზრუნველყოფის ასეული მატერიალური უზრუნველყოფის ოცეული სავლე სამხარეულოს მხარეული, ე. ბ-ძე დათხოვილი იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან, რეზერვში (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით). სასამართლომ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.2 მუხლზე, სამოქალაქო კოდექსის 416-ე, 327-ე და 394-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ კონტრაქტის 7.3 პუნქტის თანახმად სამხედრო მოსამსახურეს თანხის გადახდა ეკისრება ერთი წლის სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ, სასამართლომ აღნიშნა, რომ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის ერთი წლის გასვლამდე კონტრაქტის მოშლისას პასუხისმგებლობას. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ 01.03.2005წ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ე. ბ-ძეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლითაც განსაზღვრულია «სამხედრო მოსამსახურის» პასუხისმგებლობის პირობები, იმ შემთხვევაში თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დამთავრების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით, დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, «სამხედრო მოსამსახურე» უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით, აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები და კონტრაქტით აღნიშნული თანხების გადახდა დადგენილია მხოლოდ ერთი წლის, ორი წლის და სამი წლის სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ. ე. ბ-ძემ სამხედრო სამსახურში დაჰყო 7 თვე და 27 დღე. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებაში არ მომხდარა ცვლილება, რომელიც შეიძლება განხორციელებულიყო მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.12.08წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 08.10.08წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ანაზღაურების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების 7.3 პუნქტის ბოლო აზნაცით, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს სამხედრო პირობების დარღვევისათვის მოსამსახურის პასუხისმგებლობას ერთ წლამდე სამხედრო სამსახურის შეწყვეტის შემთხვევაში, შესაბამისად, კონტრაქტით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის მოთხოვნის უფლება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმოეშება ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის შემდეგ, რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნას საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება არ განსაზღვრავს პასუხისმგებლობას მოსამსახურის მხრიდან ერთი წლის გასვლამდე კონტრაქტის შეწყვეტის პირობებში, რისი გათვალისწინებითაც სააპელაციო სასამართლომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. კასატორი მიუთითებს, რომ ხელშეკრულების 7.3 პუნქტის მიხედვით სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის დარღვევის გამო ჯარიმის ამოქმედების საფუძველია ჩანაწერი: «მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემთხვევაში», 3.2 პუნქტი კი სამხედრო მოსამსახურის მომზადების პერიოდად განსაზღვრავს სამხედრო სამსახურის პირველ სამ თვეს, ე. ბ-ძემ 01.03.05წ. გააფორმა ხელშეკრულება, ხოლო 26.08.05წ. პირადი პატაკის საფუძველზე შეწყვიტა ზემოაღნიშნული კონტრაქტი, რის გამოც კასატორი თვლის, რომ მასზე უნდა გავრცელდეს 7.3 პუნქტის მოქმედება. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ე. ბ-ძისათვის 3774,80 ლარის დაკისრების ნაწილში სარჩელის საფუძველიანობაზე, აღნიშნული თანხა წარმოადგენს იმ ზიანს, რომელიც კონტრაქტის (ხელშეკრულების) დარღვევიდან გამომდინარე წარმოიშვა და რომელიც წარმოადგენს მოპასუხეზე უშუალოდ დახარჯულ თანხას, რომლის მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა სსკ-ის 394.1, 407-ე და 414-ე მუხლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.07.09წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად საკონტრაქტო სამსახურის გამვლელთათვის დადგენილია არანაკლებ 3-წლიანი ვადა, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ე. ბ-მეს შორის დადებული ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მიხედვით, ე. ბ-მეს ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება 4 წელი ემსახურა შეიარაღებულ ძალებში. მხარეთა შორის 01.08.05წ. დადებული ხელშეკრულების 7.3 მუხლი განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებს და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს ვადად ადრე შეწყვიტოს ოთხწლიანი კონტრაქტი. 7.3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხები დარჩენილ პერიოდში მისაღები ხელფასის სახით. ხელშეკრულების 7.3 მუხლის შინაარსი ცხადყოფს, რომ სამხედრო მოსამსახურეს, მისი ბრალით სამხედრო ძალების დატოვების შემთხვევაში, ჯარიმის გადახდის ვალდებულება ეკისრება მხოლოდ კონტრაქტით ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ. განსახილველ შემთხვევაში საქმეზე დადგენილია და დავას არ იწვევს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 25.03.05წ. 1712 ბრძანებით ე. ბ-მე გაწვეულ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებში და დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად II ქვეითი ბრიგადის, 22-ე მსუბუქი ქვეითი ბრიგადის ბატალიონის სამტაბო და უზრუნველყოფის ასეულის მატერიალური უზრუნველყოფის ოცეულის სავლე სამზარეულოს მზარეულად 2005 წლის 1 მარტიდან სამხედრო წოდება «კაპრალის» მინიჭებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ე. ბ-მეს შორის ხელშეკრულება დაიდო 01.08.05წ. და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 02.12.05წ. 13126 ბრძანებით შეწყდა 2005 წლის 28 ოქტომბრიდან, ამდენად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეადგინა 7 თვე და 27 დღე. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ერთ წლამდე ხელშეკრულების მოშლისთვის ჯარიმა-საურავების დაკისრების შესაძლებლობას.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და სააპელაციო სასამართლოს სწორი სამართლებრივი შეფასებები ქმნის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჯარიმისა და პირგასამტეხლოს თანხების ანაზღაურების ნაწილში საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

ზემოაღნიშნულთან ერთად თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა არ შემოიფარგლება მხოლოდ ჯარიმის და პირგასამტეხლოს მოთხოვნით, სამინისტროს მოთხოვნა ეხება აგრეთვე ე. ბ-მეზე დახარჯული თანხების – 3774,80 ლარის სამინისტროსათვის ანაზღაურებას. აღნიშნული თანხიდან 113801 სამხედრო ნაწილის ფინანსისტის 07.11.05წ. ცნობის თანახმად 2965,60 ლარი წარმოადგენს ხელფასს, ხოლო 113801 სამხედრო ნაწილის 28.10.05წ. ცნობის მიხედვით 809,20 ლარი – კვების ხარჯს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მოსარჩელე – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარება მხარეთა შორის დადებულ ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405.1 მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 25.03.05წ. 13126 ბრძანებით ე. ბ-მე «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის (კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო) საფუძველზე, დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე. მინისტრის ბრძანება არ გასაჩივრებულა და ძალაშია. ამდენად, არსებობდა ხელშეკრულებიდან გასვლის კანონით და მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები. განსახილველ შემთხვევაში ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას, რომელიც იწვევს მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების გაქარწყლებას და ახალი ვალდებულების წარმოშობას, კერძოდ, მხარეებმა ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი უნდა დააბრუნონ (სკ-ის 352.1 მუხ.). საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მიღებული შესრულების – მოპასუხის მიერ გაწეული სამსახურის და გაწეული სამსახურის შედეგად გადახდილი ხელფასის თანხის ხასიათიდან გამომდინარე, საფუძველს მოკლებულია ხელფასის სახით გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნა. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით,

სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაბამისად, მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურისათვის ხელფასის გადახდა შეადგენს დამსაქმებლის ვალდებულებას, ამდენად მოსარჩელის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ხელფასის თანხის დაბრუნების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს. ხოლო რაც შეეხება სასურსათო ულუფას (**809,20** ლარი), საკასაციო სასამართლო თვლის, რომ იგი არ წარმოადგენს ხელფასის შემადგენელ ნაწილს, ამასთანავე ხელშეკრულებიდან გასვლა განპირობებულია მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით, რაც სკ-ის **352-ე** მუხლის მე-5 ნაწილის, **407-ე** მუხლის თანახმად ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **12.12.08წ.** განჩინება სასურსათო ულუფის **809,20** ლარის ე. ბ-ძისათვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში დაკმაყოფილდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა.

რაც შეეხება გასაჩივრებულ გადაწყვეტილების დანარჩენ ნაწილს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში გადაწყვეტილება მიღებულია კანონის სწორი გამოყენებისა და განმარტების საფუძველზე, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება გაზიარებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **408-ე** მუხლის მე-3 ნაწილით, **411-ე** მუხლით და

გ ა დ ა წ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **12.12.08წ.** განჩინება ე. ბ-ძისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ **809,20** ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. დაკმაყოფილდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ე. ბ-ძისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ **809,20** ლარის დაკისრების თაობაზე;
4. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო სამხედრო მოსამსახურისთვის თანხის დაკისრების წესი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1454-1388(კ-09)

24 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის **22** დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის – ზ. ს-ძის მიმართ თანხის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ ზ. ს-ძე საქართველოს თავდაცვის მინისტრის **2005** წლის **6** აგვისტოს 1... ბრძანებით, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობის თანახმად, **2005** წლის **1** მაისიდან დაინიშნა სამხედრო მოსამსახურედ.

მოსარჩელის განმარტებით, სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განისაზღვრება სახელმწიფოს შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

სამხედრო მოსამსახურე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზეა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობს. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აქვს

გამოყოფილი ასიგნებები და მათი მიზნობრივად გამოყენება სამინისტროს ვალდებულებაა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურეთათვის განსაზღვრავს ხელფასის ოდენობას, კვების, სანიტო-უზრუნველყოფისა და წვრთნისა და აღჭურვისთვის განსახორციელებლად წინასწარ დაგეგმავს ფულად სახსრებს, იგი ვალდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თითოეული ლარი განკარგოს დანიშნულებისამებრ ანუ უზრუნველყოს საქართველოს შეიარაღებული ძალები პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიცი-რებული სამხედრო პერსონალით.

კონტრაქტის 7.3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4- წლიანი კონტრაქტი, «სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით საშუალოდ 1400 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება მთელი თვის ხელფასის შესაბამისად; ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 1000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

მოსარჩელის მითითებით, მოპასუხე – ზ. ს-მე სამხედრო შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილ იქნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 21 იანვრის 1... ბრძანებით სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

«სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად, საკონტრაქტო სამსახურის გამვლელთათვის დადგენილია არანაკლებ 3-წლიანი ვადა, ხოლო ზ. ს-მეს ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მიხედვით, ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება 4 წელი ემსახურა შეიარაღებულ ძალებში. კონტრაქტის 7.3 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულების შეწყვეტიდან ათი დღის ვადაში, მოპასუხე ვალდებული გახდა აუნაზღაურებინა სამინისტროსათვის მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეადგენდა 14160,96 ლარს, ხოლო 4.3 პუნქტი სამხედრო მოსამსახურის მომზადების პერიოდად განსაზღვრავს სამხედრო სამსახურის პირველ სამ თვეს, მოპასუხე – ზ. ს-მე კი, როგორც დათხოვნის ბრძანებიდან ირკვევა გათავისუფლებულია შეიარაღებული ძალებიდან «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტით (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო), რის გამოც მასზე უნდა გავრცელდეს კონტრაქტის 7.3 პუნქტის მოქმედება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა მოპასუხეს – ზ. ს-მეს საკონტრაქტო პირობების დარღვევის გამო დაკისრებოდა ჯარიმის სახით – 14160,96 ლარის, ზიანის – 2223,99 ლარისა და პირგასამტეხლოს 2005 წლის 11 დეკემბრიდან ჯარიმის თანხის გადახდამდე ყოველდღიურად – 14160,96 ლარის 0,2%-ის ანაზღაურება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა კონტრაქტის 7.3 მუხლი, რომლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე ვალდებული იყო, გადაეხადა კონტრაქტის მიხედვით მოსამსახურისათვის გასაცემი ფულადი თანხა, ამავე მუხლით სამხედრო მოსამსახურეს თანხის გადახდა ეკისრებოდა 1 წლის სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ. შესაბამისად, კონტრაქტით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის გადახდა სამხედრო მოსამსახურეს ეკისრებოდა მხოლოდ ხელშეკრულების დადებიდან 1 წლის შემდეგ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მოპასუხეს შორის ხელშეკრულება შეწყვეტილი იყო 1 წლის გასვლამდე – ხელშეკრულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. ს-მეს შორის დადებული იყო 2005 წლის 6 აგვისტოს, ხოლო სამსახურიდან დათხოვნილ იქნა 2005 წლის 30 ნოემბრიდან.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა 1 წლის გასვლამდე კონტრაქტის მოშლისას პასუხისმგებლობას, რის გამოც არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ სარჩელის საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 სექტემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ დასკვნებს და დამატებით აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. ს-მეს შორის 2005 წლის 6 აგვისტოს დადებული ხელშეკრულება მიეკუთვნება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა კატეგორიას. ხელშეკრულების 7.3 მუხლი განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძველსა და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ

სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი. ასეთ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა, შემდეგი წესით: ა) ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14 000 ლარის ოდენობით. ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10 000 ლარის ოდენობით. გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5 000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ანაზღაურების წესი განსაზღვრულია ზემოაღნიშნული მუხლის ბოლო აზვაციით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას ერთ წლამდე სამხედრო სამსახურის შეწყვეტის შემთხვევაში, შესაბამისად, კონტრაქტით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის მოთხოვნის უფლება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმოემგებება ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის შემდეგ. დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. ს-მეს შორის ხელშეკრულება შეწყდა პირველი წლის გასვლამდე – ხელშეკრულება დადებულია 2005 წლის 6 აგვისტოს და შეწყდა 2005 წლის 30 ნოემბერს.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ ხელშეკრულება არ განსაზღვრავს პასუხისმგებლობას მოსამსახურის მხრიდან 1 წლის გასვლამდე კონტრაქტის შეწყვეტის პირობებში.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ კონტრაქტის 7.3 პუნქტი წარმოადგენს ყოფილი სამხედრო მოსამსახურის როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ სამოქალაქო პასუხისმგებლობის განსაზღვრის საფუძველს. აღნიშნული პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს ეკისრება პასუხისმგებლობა როდესაც დაარღვევს კონტრაქტს: ან მომზადების პერიოდში (ამავე ხელშეკრულების 3.2 პუნქტის მიხედვით პირველი სამი თვე შეადგენს სამხედრო მოსამსახურის სწავლებისა და მომზადების პერიოდს), ან მომზადების პერიოდის დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების განმავლობაში. ხელშეკრულების 7.3 მუხლი არ გამორიცხავს კონტრაქტორის პასუხისმგებლობას ერთ წლამდე კონტრაქტის დარღვევისას და დამსაქმებლისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

კასატორის განმარტებით, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება დადებულია 4 წლის ვადით, რაც არის კონტრაქტის ერთ-ერთი ძირითადი პირობა. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

ამავე კოდექსის 327-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ სამისოდ გათვალისწინებული ფორმით, ხოლო 394-ე მუხლის მიხედვით «მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას, კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება».

«სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად, საკონტრაქტო სამსახურის გამვლელთათვის დადგენილია არანაკლებ 3-წლიანი ვადა, ხოლო ზ. ს-მეს ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მიხედვით, ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება 4 წელი ემსახურა შეიარაღებულ ძალებში.

ზ. ს-მემ კონტრაქტი გააფორმა 2005 წლის 1 მაისს. ხოლო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 21 იანვრის 1... ბრძანებით იგი დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალებიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო 2005 წლის 30 ნოემბრიდან ე.ი. მოპასუხემ კონტრაქტი დაარღვია კონტრაქტის 7.3 პუნქტის პირველ წინადადებაში მითითებულ პერიოდში, რაც 7.3 პუნქტიდან გამომდინარე, ამავე პუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. აქედან გამომდინარე, თუ კონტრაქტის 7.3 პუნქტის პირველი წინადადება პასუხისმგებლობას აკისრებს კონტრაქტის დარღვევს სამხედრო მოსამსახურის სწავლებისა და მომზადების პერიოდის შემდეგ კონტრაქტის დარღვევის გამო, მაშინ კასატორის განმარტებით გაუგებარია სასამართლოს მსჯელობა იგივე პუნქტის გამოუყენებლობაზე ერთ წლამდე დათხოვნის შემთხვევაში.

ამასთან, კასატორის განმარტებით, არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიციასთან დაკავშირებით, სადაც სამინისტრო მიუთითებს, რომ მოთხოვნილი თანხა არის ზიანი, რომელიც კონტრაქტის (ხელშეკრულების) დარღვევიდან გამომდინარე, წარმოიშვა და რომლის მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და მოქმედი კანონმდებლობა.

მოთხოვნილი თანხის ზიანის შინაარსზე მიუთითებს კონტრაქტის 8.2. 8.3 და 8.4 მუხლები, სადაც ცალსახაა, რომ სამინისტრომ მოითხოვა ის თანხა, რაც დახარჯა სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე და რომლის ხელახლა გაღება მას მოუწია კონტრაქტის დარღვევის გამო, მის სანაცვლოდ ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთვინისათვის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 სექტემბრის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება ხელშეკრულების შეფასების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და თავის მხრივ განმარტავს შემდეგს: კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოღებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის პრინციპით, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია თავდაცვის მინისტრის სამხედრო ქვედანაყოფში სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. მითითებული კონტრაქტის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომლის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დადებულია სწორედ ზემოაღნიშნული ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად. ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის თაობაზე და ადასტურებს სასამართლოს მხრიდან ხელშეკრულების 7.3 მუხლის თაობაზე განმარტების შესახებ წარმოდგენილი მოტივაციის მართებულობას.

ხელშეკრულების 7.3 მუხლი განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებს და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი. «სამხედრო მოსამსახურე» უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; ბ) 2 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ორი წლის ხელფასის სახით 10000 ლარის ოდენობით; გ) 3 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით.

ამდენად, როგორც ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსი ცხადყოფს, სამხედრო მოსამსახურეს ფულადი თანხების – ჯარიმის, გადახდის ვალდებულება ეკისრება მხოლოდ კონტრაქტის 1-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ. რაც შეეხება ერთ წლამდე პერიოდს, აღნიშნულზე მხარეთა შორის ჯარიმა-საურავების თაობაზე შეთანხმება არ არსებობს, რაც გამორიცხავს სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის დაკისრებას კონტრაქტის ერთ წლამდე შეწყვეტის შემთხვევაში.

საქმეზე კი უდავოა დადგენილი, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. ს-მეს შორის ხელშეკრულება დაიდო 2005 წლის 6 აგვისტოს და შეწყდა 2005 წლის 30 ნოემბერს. ამდენად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეადგინა 3 თვე და 24 დღე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 7.3 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამხედრო ძალებში სულ მცირე 1 წლის სამსახური, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. ამდენად, არ არსებობს მოპასუხის მიმართ ხელშეკრულების 7.3 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების სახით საჯარიმო თანხების გამოყენების საფუძველი. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სასარჩელო განცხადებით ფაქტობრივად ითხოვს კონტრაქტის 7.3 მუხლის თანახმად, ზ. ს-მეზე დახარჯული თანხების ანაზღაურებას, სამინისტროს მოთხოვნა არ ეხება ხელშეკრულების (კონტრაქტის) 7.3 მუხლით გათვალისწინებულ ჯარიმას. სამინისტროს მოთხოვნა ეხება მოპასუხისათვის ხელშეკრულების არა 7.3 მუხლში მითითებული ჯარიმის თანხას, არამედ ზ. ს-მეზე დახარჯული თანხის სამინისტროსათვის ანაზღაურებას, რომლიდანაც 714 ლარი არის კვების ხარჯი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის

შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 6 აგვისტოს¹... ბრძანებით ზ. ს-მე კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე. ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას, რომელიც იწვევს მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების გაქარწყლებას და ახალი ვალდებულების წარმოშობას, კერძოდ მხარეებმა ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი უნდა დააბრუნონ (სკ-ის 352.1 მუხ.). საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაბამისად, მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურისათვის ხელფასის გადახდა შეადგენს დამსაქმებლის ვალდებულებას, ამდენად მოსარჩელის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ხელფასის თანხის დაბრუნების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს. ხოლო რაც შეეხება სასურსათო ულუფას (714 ლარი), საკასაციო სასამართლო თვლის, რომ იგი არ წარმოადგენს ხელფასის შემადგენელ ნაწილს, ამასთანავე ხელშეკრულებიდან გასვლა განპირობებულია მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით, რაც სკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 407-ე მუხლის თანახმად ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 სექტემბრის განჩინება კვების კომპენსაციის ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო რაც შეეხება გასაჩივრებული განჩინებას დანარჩენ ნაწილში საკასაციო სასამართლო მოსაზრებით, ამ ნაწილში განჩინება მიღებულია კანონის სწორი გამოყენებისა და განმარტების საფუძველზე, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება გაზიარებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ზ. ს-მეზე კვების კომპენსაციის – 714 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 სექტემბრის განჩინება კვების კომპენსაციის ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ზ. ს-მეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს კვების კომპენსაციის – 714 ლარის ანაზღაურება; გასაჩივრებული განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება

განჩინება

¹ბს-1580-1509 (კ-09)

16 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: კონტრაქტის დარღვევის გამო მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს თანხის დაკისრება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა მცხეთის რაიონულ სასამართლოში, მოპასუხის – ა. რ-შვილის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, ჯარიმის სახით, ზიანისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 16 ივნისის 1... ბრძანებით ა. რ-შვილი 2006 წლის 10 ივნისიდან გაწვეულ იქნა სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში და დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 16 ივლისის 1... ბრძანებით ა. რ-შვილი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ჰქონდა ასიგნებები და მათი მიზნობრივად გამოყენება სამინისტროს ვალდებულებას წარმოადგენდა, მაშინ, როცა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურეთათვის ხელფასის ოდენობის, კვების, სანივთე უზრუნველყოფის, წვრთნისა და აღჭურვის განსახორციელებლად წინასწარ გეგმავდა ფულად სახსრებს, იგი ვალდებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თითოეული ლარი განეკარგა დანიშნულებისამებრ, ანუ უზრუნველყო საქართველოს შეიარაღებული ძალები პროფესიული, დისციპლინური, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით. მოპასუხესთან დადებული კონტრაქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს, ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტროს» იძულებული გამხდარიყო, შეეწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროსათვის მასზე გათვალისწინებული, კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეს – ა. რ-შვილს დაკისრებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის – 17997,50 ლარისა და პირგასამტეხლოს – 17997,50 ლარის 0,2%-ის თანხის გადახდა, ყოველთვიურად, 2007 წლის 13 ივლისიდან ზემოაღნიშნული თანხის დაფარვამდე.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

მოსარჩელემ – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 25¹-ე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 316-ე, 317-ე, 361-ე, 417-ე მუხლებზე.

რაიონული სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარემ – ა. რ-შვილმა წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი ცნო ნაწილობრივ, ვინაიდან 2006 წლის 22 ნოემბერს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოიტეხა ფეხი, მკურნალობდა 3 თვე, რომლის შემდეგაც მან კვლავ გააგრძელა სამხედრო სამსახური, მაგრამ აქტიურ დატვირთვას ვეღარ ასრულებდა, რის გამოც, იძულებული გახდა დაეწერა პატაკი და წასულიყო სამსახურიდან. მოპასუხემ აღნიშნული გარემოებების დასადასტურებლად მიუთითა სს «აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის» 27.05.2008 წლის ამონაწერზე 1..., ავადმყოფის ამბულატორიული სამედიცინო ბარათიდან.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს – ა. რ-შვილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის სახით – 17997,48 ლარის გადახდა; მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს სახით მოპასუხეზე ყოველდღიურად 17997,48 ლარის 0,2%-ის თანხის გადახდის დაკისრების ნაწილში, არ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს – ა. რ-შვილს დაეკისრა 540 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 16 ივნისის 1... ბრძანებით ა. რ-შვილი გაწვეულ იქნა სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში და დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 16 ივლისის 1... ბრძანებით ა. რ-შვილი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. საარტილერიო დივიზიონის მიერ წარმოდგენილი წერილობითი გაანგარიშებით ა. რ-შვილის კონტრაქტით დარჩენილი ვადის – 2 წლის ფულადი თანხა შეადგენდა 17997,48 ლარს. საქმეში არსებული, 2007 წლის 2 ივლისის გაცნობის ფურცლით დადასტურებულია, რომ ა. რ-შვილს გაცნობიერებული ჰქონდა საკონტრაქტო სამსახურიდან გათავისუფლებისას კონტრაქტის 7.3 მუხლით გათვალისწინებული თანხის გადახდის ვალდებულება. სისპ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის 2009 წლის 13/28 წერილით დადასტურდა, რომ უმცროს სერჟანტს – ა. რ-შვილს სისპ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალისათვის არანაირი მკურნალობისათვის არ მიუმართავს. რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მოსაზრება პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების თაობაზე, ვინაიდან მის მიერ არ იქნა წარმოდგენილი დამადასტურებელი მტკიცებულება, თუ როდის ეცნობა მოსარჩელეს კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ. ამდენად, ვერ ირკვეოდა, როდის ამოიწურა მოსარჩელე მხარისათვის ჯარიმის ნებყოფლობით გადახდის ვადა და კონკრეტულად, რა დღიდან უნდა დაკისრებოდა მოპასუხე მხარეს პირგასამტეხლოს თანხის გადახდა.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზე იყო «თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა ა. რ-შვილის მხრიდან. მოპასუხესთან დადებული კონტრაქტის 7.3 მუხლით, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს, ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტროს» იძულებული გამხდარიყო, შეეწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროსათვის მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები.

ლადი თანხები: ა) ერთ წლამდე და ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ სამსახურის დარჩენილი ვადის სახით, საშუალოდ 14 000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში, დადგინდა, რომ კონტრაქტით დარჩენილი ვადის – 2 წლის ფულადი თანხა შეადგენდა 17997,48 ლარს. მხარეებს შორის დადებული კონტრაქტის 7.3 მუხლის საფუძველზე, სასამართლომ მიუთითა, რომ ა. რ-შვილის მიერ ჯარიმის სახით გადასახდელი თანხა შეადგენდა 17997,48 ლარს.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელემ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუ როდის ამოიწურა მოსარჩელესათვის ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდის ვადა და კონკრეტულად, რა დღიდან უნდა დაკისრებოდა მოპასუხეს პირგასამტეხლოს თანხის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

რაიონულმა სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, ასევე, საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ხოლო გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელი და სამართლებრივად არასრული იყო. აპელანტის განმარტებით, თავდაცვის სამინისტრომ წარმოადგინა მხარეთა შორის გაფორმებული კონტრაქტი, რომლის 7.4 მუხლი, კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში, ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს 0,2%-ის ოდენობით დაკისრების ფაქტს, რაც სრულებით საკმარის მტკიცებულებას წარმოადგენდა იმისათვის, რომ მოპასუხეს დაკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა, ვინაიდან ზემოაღნიშნული კონტრაქტის პირობები მხარემ სწორედ მაშინ აღიარა, როცა საკუთარი სურვილით მოაწერა ხელი.

რაიონულმა სასამართლომ ასევე სადავოდ გახადა პირგასამტეხლოს თანხის გადახდის ვადები. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქმის მასალებიდან ირკვეოდა, რომ მოპასუხე ა. რ-შვილი შეიარაღებული ძალების რიგებიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო დათხოვნილ იქნა 2007 წლის 2 ივლისს, მას, ხელშეკრულების თანახმად, განესაზღვრა 10-დღიანი ვადა, რომ ნებაყოფლობით აენაზღაურებინა ჯარიმის თანხები, თუმცა ეს არ გაუკეთებია, შესაბამისად, 2007 წლის 13 ივლისიდან თავდაცვის სამინისტროს წარმოემვა კანონიერი უფლება, მოეთხოვა მოპასუხისათვის ჯარიმა და აქედან გამომდინარე, ჯარიმის თანხის სრულ გადახდამდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის პირგასამტეხლოს 0,2%-ის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ამასთან, დაეთანხმა სასამართლოს მოსაზრებას პირგასამტეხლოს სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 17997,48 ლარის 0,2%-ის დაკისრებასთან დაკავშირებით სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლი, რომლითაც დადგენილი იყო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულებით დამატებითი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა. ამავე კოდექსის 417-ე მუხლის მიხედვით, პირგასამტეხლო წარმოადგენდა მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ ფულად თანხას, რომელიც მოვალეს უნდა გადაეხადა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საკონტრაქტო პირობების დარღვევის გამო, ხელშეკრულების 7.3 მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის თანხა, ისევე როგორც 7.4 მუხლით გათვალისწინებული ყოველდღიური 0,2%-იანი გადასახდელი, ერთობლიობაში, სამართლებრივი ბუნებით, მხარეთა შორის შეთანხმებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენდა. სააპელაციო პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ, გარდა საჯარიმო თანხისა, კონტრაქტის 7.4 მუხლის შესაბამისად, დადგენილ ვადაში ჯარიმის დაფარვის ვადის გადაცილების გამო, განისაზღვრა პირგასამტეხლო 17997,48 ლარის ყოველდღიური 0,2%-ით, საჯარიმო თანხის გადახდამდე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლო იყო ჯარიმის თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 0,2%, აღნიშნული კი, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, შეუსაბამოდ მაღალი იყო, რაც უფლებელოდ მოპასუხის სასიცოცხლო მოთხოვნებს. ამდენად, სახეზე იყო მითითებული ნორმით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შემცირების წინაპირობები, შესაბამისად, რაიონული სასამართლოს მიერ სარჩელის ამ ნაწილის დაკმაყოფილებაზე უარი, კანონიერი იყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

კასაციის მოტივი:

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ხოლო განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელი და სამართლებრივად არასრულია. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განმარტება ეწინააღმდეგება მის მიერვე მიღებულ გადაწყვეტილებას, ვინაიდან მხარეთა შორის დადებული კონტრაქტის 7.3 მუხლი ცალსახად მიუთითებს კონტრაქტის შეწყვეტიდან 10-დღიან ვადას, რომლის დროსაც უნდა მომხდარიყო საჯარიმო თანხის გადახდა, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ იწყება პირგასამტეხლოს ვადის დენა, რაც ცნობილი იყო მოპასუხისათვის. ასევე საქმეში წარმოდგენილია

მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის ოქმი 118, სადაც გარკვევითაა მითითებული, რომ ა. რ-შვილმა უარი განაცხადა შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურის შესახებ, მას განმარტებული ჰქონდა, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ითვალისწინებდა კონტრაქტის პირობების დარღვევით დათხოვნას შეიარაღებული ძალებიდან. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მსჯელობა არასწორი და დაუსაბუთებელია.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რამდენადაც პირგასამტეხლოს მოთხოვნა უშუალოდ გამომდინარეობდა კონტრაქტის 7.3, 7.4 მუხლებიდან. კონტრაქტის 7.4 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მხარეები ხელშეკრულების დადების მომენტისთვის არსებითად შეთანხმდნენ სსკ-ის 418-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღმატებოდეს შესაძლო ზიანს. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით პირობას. მითითებული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სსკ-ის 418-ე მუხლის ორივე პუნქტს ითვალისწინებს.

მოწინააღმდეგე მხარეს – ა. რ-შვილს წერილობითი შესაგებელი არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შესწავლისა და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 ოქტომბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სადავო სამართალურთიერთობას სწორად შეუფარდა სამართლის ნორმა და დავა არსებითად სწორად გადაწყვიტა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, შესაბამისად, სსკ-ის 407.2. მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილად მიჩნეულ ფაქტებს და მათი სამართლებრივი შეფასებების მართებულობას, კერძოდ:

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. რ-შვილს შორის გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლის 7.3. მუხლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის ინიციატივით ან მისი გამოისობით სამხედრო სამსახურის დატოვების შემთხვევაში განსაზღვრულია სამხედრო მოსამსახურის უპირობო ვალდებულება, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით ანაზღაუროს კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები, რამაც მხარეთათვის უდავო ფაქტის სახით შეადგინა 17 997,48 ლარი.

ამავე ხელშეკრულების 7.4 მუხლის მიხედვით, ჯარიმის თანხის დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონშესაბამისია ქვემდგომი სასამართლოების სამართლებრივი დასკვნა, რომ ჯარიმის თანხის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დამოკიდებულია კონტრაქტის შეწყვეტის თარიღთან.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 16 ივლისის 1... ბრძანება, რომლის მიხედვით, ა. რ-შვილი ჩაითვალა დათხოვილად შეიარაღებული ძალების რიგებიდან 2007 წლის 2 ივლისიდან.

საქმეში წარმოდგენილია გაცნობის ფურცელი, დათარიღებული 2007 წლის 2 ივლისით, რომლითაც ირკვევა, რომ ა. რ-შვილს, სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, მოუწევდა კონტრაქტის 7.3 მუხლით გათვალისწინებული თანხის გადახდა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 იანვრის სხდომის ოქმის მიხედვით, მოსამართლის შეკითხვაზე – როდის გახდა ცნობილი დათხოვნის შესახებ ბრძანება მოპასუხისათვის, მოსარჩელის წარმომადგენელი პასუხობს – მაშინვე. შეკითხვაზე – დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენის შესახებ, პასუხობს – დაახლოებით, 5 დღის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სასამართლოების სამართლებრივ შეფასებას, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული ჯარიმის თანხის გადახდის ვადის დენის დაწყება პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულების შეწყვეტას.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით უნდა მოხდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რაც დაცულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, თუმცა 2007 წლის 17 ივლისის ბრძანებით სამხედრო მოსამსახურესთან კონტრაქტი შეწყვეტილად ჩაითვალა უკანა რიცხვით – 2 ივლისიდან.

საკასაციო პალატა ყურდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით (ადმინისტრაციულ საქმეზე 18ს-713-300(კ-05), ნ. ხ-შვილის საკასაციო საჩივრის გამო, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 მარტის განჩინებაზე, მოწინააღმდეგე მხარე თელავის რაიონის გამგეობის მიმართ, განკარგულების გაუქ-

მების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ) მოხდენილ განმარტებას შემდეგზე, რომ:

«ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის «დ» პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ:

1. სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო – ადმინისტრაციული აქტის ავტორი;

2. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული /საჯარო/ სამართლის კანონმდებლობიდან;

3. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისაკენ;

4. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ღონისძიება /იგულისხმება შემდეგი ელემენტი: «აწესებს, წყვეტს ან ადასტურებს» / მიმართულია სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ე.ი. ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი პრინციპის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისივე აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტულ შემთხვევაში. ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის თავისუფლების ფარგლები მთავრდება იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი ზუსტად უთითებს მოცემული ურთიერთობისათვის ამა თუ იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების აუცილებლობაზე ან ეს გამომდინარეობს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის თავისებურებიდან».

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლას არაორაზროვნად და მკაფიოდ უკავშირებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალურ გაცნობას /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლი/, რაც ნიშნავს, რომ აქტით განსაზღვრული მოწესრიგება, სამართლებრივი შედეგი შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს მხოლოდ ადრესატისათვის აქტის გადაცემის შემთხვევაში. ამდენად, სამართლებრივი აქტით უნდა განისაზღვროს ადრესატის აქტის გამოცემის თარიღის შემდგომი სამართლებრივი მდგომარეობა (უფლება-მოვალეობების დადასტურება, დაწესება, შეცვლა, შეწყვეტა). განსახილველ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით ადრესატისათვის სამართლებრივი შედეგის დადგომის უკანა თარიღით (15 დღით ადრე) განსაზღვრა ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზანს, რომელიც მდგომარეობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამი მნიშვნელოვანი ამოცანის: 1. ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, 2. კანონის უზენაესობის და 3. საჯარო ინტერესების თითოეულ გადაწყვეტილებასა თუ მოქმედებაში, ერთობლივად უზრუნველყოფაში.

აღნიშნული მიზნის მიღწევას ემსახურება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებისა და უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების დადგენა.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგისათვის უკუძალის მიცემა იმ პირობებში, როცა არათუ დასაბუთებული, აღნიშნულიც კი არ არის აღმატებული საჯარო ინტერესის თაობაზე, რის გამოც ფიზიკური პირის – სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრა 15 დღით უკანა თარიღით. უფრო მეტიც, ვინაიდან კონტრაქტის 7.3. მუხლით განსაზღვრული ჯარიმის თანხის გადახდის ვალდებულების დაწყების ვადის დენა პირდაპირ არის მიბმული კონტრაქტის შეწყვეტის თარიღის იურიდიულ ფაქტთან, თვალსაჩინო ხდება პირის სამართლებრივი მდგომარეობის უკიდურესი სიმძიმე, რაც უხეშად ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული სამართლის კანონიერების, კანონის წინაშე თანასწორობის, კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობისა და კანონიერი ნდობის პრინციპებს.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების კონტრაპტენტებს ზღუდავს არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობები და ვალდებულებები, არამედ სამართალურთიერთობის სუბორდინაციული ხასიათიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები და ინსტიტუტები. ეს, უპირველესად, ეხება ადმინისტრაციული ხელშეკრულების კონტრაპტენტ ადმინისტრაციულ ორგანოს, როგორც სუბორდინაციული სამართალურთიერთობის იერარქიულ სუბიექტს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების მხარეთა სამართლებრივად უთანასწორო მდგომარეობა (ნების თანადამთხვევის შემთხვევაშიც) გაწონასწორებულია სახელმწიფოს სამართლებრივი პრინციპებით შეზღუდვის დადგენით, რაც ადმინისტრაციული ხელშეკრულების მონაწილე კერძო სამართლის სუბიექტებისათვის კანონიერი ნდობის უფლებას წარმოშობს, რომლის დაცვა, პატივისცემა და უზრუნველყოფა ადმინისტრაციული ორგანოების კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოების თანამდებობის პირების მხრიდან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით პირის სამართლებრივი მდგომარეობის უკანა თარიღით დაუსაბუთებელი განსაზღვრა, როგორც კანონსაწინააღმდეგო და სამართლის პრინციპების უგულებელყოფით პრაქტიკის დამკვიდრების ტენდენცია, მიუკერძოებელ და ობიექტურ სასამართლო კონტროლს ექვემდებარება, რაც განსახილველ შემთხვევაში სრულებით უზრუნველყოფილია პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ. ამდენად, იმ ვითარებაში, როცა:

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, კონკრეტულ საჯარო ინტერესზე მითითების დაუსაბუთებლად, პირის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრა უკანა თარიღით;

2. საქმის მასალებით მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო რა მინისტრის ბრძანების ადრესატისათვის ოფიციალური გაცნობის შესახებ სათანადო მტკიცებულების წარმოდგენა /ასეთად ვერ ჩაითვლება 2007 წლის 2 ივლისის ე.წ. გაცნობის ფურცელი, რამდენადაც ბრძანება გამოიცა 15 დღის შემდეგ/, მოპასუხის მხრიდან კონტრაქტის 7.3. მუხლით განსაზღვრული ჯარიმის გადახდის ვადის დარღვევის ფაქტი ვერ იქნება დადგენილი.

ვინაიდან სწორედ ჯარიმის თანხის გადახდის ვადის დარღვევა იწვევს კონტრაქტის 7.4. მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას, ვალდებულების წარმომშობი იურიდიული ფაქტის დაუდგენლობა, გამორიცხავს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძველიანობას.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმის და პირგასამტეხლოს თაობაზე და დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილება – ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინოს მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, მათ შორის, პირგასამტეხლო.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით დეფინირებულია პირგასამტეხლოს ცნება – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო ერთდროულად განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. პირგასამტეხლოს გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ის წარმოადგენს არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ, ასევე – ვალდებულების შეუსრულებლობის საფასურის ოდენობის გამორკვევის (განსაზღვრის) მექანიზმს. პირგასამტეხლოს 2 ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

1. მოვალეს უზიდავს ვალდებულების შესრულებისკენ, არახელსაყრელი პერსპექტივის (ჯარიმა შეუსრულებლობისათვის) მოლოდინის გამოისობით.

ან

2. წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის მოცულობა.

დასაშვებია, პირგასამტეხლოში შემავალი თანხის ოდენობის გამოთვლის წესი სხვადასხვაგვარი იყოს, ხელშეკრულების ან მისი შეუსრულებელი ნაწილის თანხის პროცენტის სახით.

ტრადიციულად, პრაქტიკაში პირგასამტეხლოს მრავალსახეობიდან გამომდინარე, გამოიყენება ჯარიმა და საურავი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია გამოიყოს რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩინოა. ისინი გამოიხატება იმაში, რომ საურავი დგინდება ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში, ანუ ის მოწოდებულია უზრუნველყოს მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება. საურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მიმართებით. საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდებინება ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.

წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამსახურის დატოვების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეთანხმდნენ ჯარიმის სახით კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხების (სამხედრო მოსამსახურის ხელფასის) 10 დღის ვადაში ანაზღაურების თაობაზე, რაც, სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, წარმოადგენს პირგასამტეხლოს. ასევე, პირგასამტეხლოს ამ სახის – ჯარიმის ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში გადახდის ვალდებულების გადაცილების შემთხვევაში, გათვალისწინებულია პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე /ხელშეკრულების 7.4.პუნქტი/.

საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლის – ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე: ჯარიმა და მისი ვადაში გადაუხდელობისთვის – საურავი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა შესაბამემა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიზნებს, რომლის მიხედვით სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს «შეუსაბამოდ მაღალი» პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არამარტო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივსაცემ ინტერესს. სასამართლო აფასებს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან.

განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, ფულად ოდენობაში დაანგარიშებულია სამხედრო მოსამსახურის დარჩენილი წლების ხელფასის ოდენობით, რაც არსებული სოციალური ფონისა და ა. რ-შვილის მდგომარეობის გათვალისწინებით, ამკარად შეუსაბამოა და მძიმე დღეში აგდებს მხარეს. ამის მიუხედავად, ისედაც მაღალ პირგასამტეხლოზე კიდევ დაწესდა მისი ვადაში გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს მეორე სახე – საურავი ყოველ გადაცილებულ დღეზე, რაც უდავოდ მძიმე სახელშეკრულებო დათქმაა და შეუსაბამოდ მაღალია მოსალოდნელი ზიანის მიმართ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ობიექტურად შეაფასა საქმის მასალები და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწე-

სიდან გამომდინარე, სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება. მართებულად იქნა შეფასებული, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ჯარიმა და საურავი, წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომლის ოდენობა ჯამურად შეუსაბამოდ მაღალია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 391-ე, 408.2, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის ერთჯერადი დახმარების ანაზღაურება

განჩინება

18ს-1243-1187(კ-09)

19 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

28.12.07წ. ლ. ფ-ავამ, ე. დ-იამ, მ. ჯ-ძემ, ნ. მ-ძემ, ლ. პ-აიამ, რ. ი-იანმა, ს. ჯ-ძემ, ნ. დ-ძემ, ლ. ა-იანმა, ნ. ფ-ავამ, ი. წ-აია-ო-იანმა, ნ. ა-ავამ, ლ. რ-ოვამ, მ. რ-ძემ, ი. კ-ძემ, ჟ. ბ-ძემ, ო. ჩ-შვილმა, რ. ჯ-შვილმა, დ. გ-ძემ, მ. კ-ძემ, ნ. უ-ავამ, მ. ი-ძემ, ნ. მ-ძემ, ლ. ი-იკმა, ლ. ა-ავამ, ა. ტ-კომ, ზ. ზ-იამ, ო. ბ-ძემ, ა. ო-იანმა, გ. თ-უამ, ი. ტ-ძემ, ს. ი-ძემ, მ. მ-შვილმა, ჯ. კ-შვილმა, ა. გ-ძემ, გ. ა-ძემ, ჯ. ლ-იანმა, მ. ვ-ძემ, მ. გ-ძემ, ი. ხ-ძემ, გ. ჩ-ძემ, ლ. ლ-ძემ, გ. ჩ-ძემ, მ. მ-ძემ, ო. კ-ძემ, მ. ი-ძემ, გ. კ-შვილმა და ა. კ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსაგან დავალიანების ანაზღაურება მოითხოვეს.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ იყვნენ ქ. ... ყოფილი სამხედრო სანატორიუმი «...» თანამშრომლები, სანატორიუმის ლიკვიდაციის გამო გათავისუფლდნენ სამუშაოდან, რის შემდეგ მისაღები დარჩათ გასასვლელი დახმარება, რაზეც არაერთხელ მიმართეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რომელიც პირდებოდა დავალიანების ანაზღაურებას, მაგრამ თანხები არ გადაუხადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.12.08წ. განჩინებით სარჩელის გამოხმობის შესახებ მოსარჩელეთა ნაწილის განცხადება დაკმაყოფილდა და მ. ვ-ძის, ჯ. ლ-იანის, გ. ა-ძის, მ. გ-ძის, ი. ხ-ძის, გ. ჩ-ძის, ლ. ლ-ძის, მ. მ-ძის, ო. კ-ძის, მ. ი-ძის, გ. კ-შვილის სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.12.08წ. განჩინებით ს. ი-ძეს და ა. კ-შვილს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვათ უარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.08წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ნ. უ-ავას, ს. ჯ-ძის, ი. კ-ძის, მ. ჯ-ძის, მ. ი-ძის, ლ. პ-აიას, ო. ჩ-შვილის, ი. წ-აიას, რ. ჯ-შვილის, ნ. ფ-ავას მოთხოვნის ნაწილში, სსკ-ის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, საქმის წარმოება შეწყდა. განჩინება გასაჩივრდა კერძო საჩივრით ნ. უ-ავას, რ. ჯ-შვილის, ნ. ფ-ავას, ი. კ-ძის, მ. ჯ-ძის, მ. ი-ძის, ლ. პ-აიას, ო. ჩ-შვილისა და ი. წ-აია-ო-იანის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.08წ. გადაწყვეტილებით ქ. ... ცენტრალური სამხედრო სანატორიუმის «...» ყოფილი თანამშრომლების: ა. გ-ძის, ჯ. კ-შვილის, მ. მ-შვილის, ლ. ფ-ავას, ე. დ-იას, ნ. მ-ძის, რ. ი-იანის, ნ. დ-ძის, ლ. ა-იანის, ნ. ა-ავას, ლ. რ-ოვას, მ. რ-ძის, ჟ. ბ-ძის, დ. გ-ძის, მ. კ-ძის, ნ. მ-ძის, ლ. ი-იკის, ლ. ა-ავას, ა. ტ-კოს, ზ. ზ-იას, ო. ბ-ძის, ა. ო-იანის, გ. თ-უას, ი. ტ-ძის სასარჩელო მოთხოვნა დაკ-

მაყოფილდა, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა ა. გ-მის სასარგებლოდ 849 ლარი და 83 თეთრი, ჯ. კ-შვილის სასარგებლოდ 560 ლარი და 43 თეთრი, მ. მ-შვილის სასარგებლოდ 858 ლარი და 97 თეთრი, ლ. ფ-ავას სასარგებლოდ 156 ლარი, ე. დ-იას სასარგებლოდ 180 ლარი, ნ. მ-მის სასარგებლოდ 132 ლარი, რ. ი-იანის სასარგებლოდ 169 ლარი, ნ. დ-მის სასარგებლოდ 162 ლარი, ლ. ა-იანის სასარგებლოდ 169 ლარი, ნ. ა-ავას სასარგებლოდ 156 ლარი, ა. ტ-კოს სასარგებლოდ 156 ლარი და 25 თეთრი, ლ. რ-ოვას სასარგებლოდ 208 ლარი, მ. რ-მის სასარგებლოდ 208 ლარი, ჟ. ბ-მის სასარგებლოდ 156 ლარი, დ. გ-მის სასარგებლოდ 169 ლარი, მ. კ-მის სასარგებლოდ 169 ლარი, ნ. მ-მის სასარგებლოდ 156 ლარი, ლ. ი-იკის სასარგებლოდ 156 ლარი, ლ. ა-ავას სასარგებლოდ 132 ლარი, ზ. ზ-იას სასარგებლოდ 156 ლარი და 25 თეთრი, ო. ბ-მის სასარგებლოდ 162 ლარი და 50 თეთრი, ა. ო-იანის სასარგებლოდ 162 ლარი და 50 თეთრი, გ. თ-უას სასარგებლოდ 149 ლარი და 50 თეთრი, ი. ტ-მის სასარგებლოდ 150 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.08წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.09წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც ნ. დ-მის, ა. ტ-კოს, ნ. მ-მის და ო. ბ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ. დ-მის, ა. ტ-კოს, ნ. მ-მის და ო. ბ-მის სარჩელები დატოვებული იქნა განუხილველად, დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.08წ. გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ნ. დ-მის, ა. ტ-კოს, ნ. მ-მის და ო. ბ-მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრებული თანხები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უკვე დაკისრებული ჰქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.06.08წ. გადაწყვეტილებით. მითითებული გადაწყვეტილება არ იყო კანონიერ ძალაში შესული და საქმე იხილებოდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რაც სსკ-ის 275.1 მუხლის «ე» ქვეპუნქტის საფუძველზე მათი სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველს ქმნიდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელეების: ა. გ-მის, ჯ. კ-შვილის, მ. მ-შვილის, ლ. ფ-ავას, ე. დ-იას, ნ. მ-მის, რ. ი-იანის, ლ. ა-იანის, ნ. ფ-ავას, ლ. რ-ოვას, მ. რ-მის, ჯ. ბ-მის, დ. გ-მის, მ. კ-მის, ლ. ი-იკის, ლ. ა-ავას, ზ. ზ-იას, ა. ო-იანის, გ. თ-უას, ი. ტ-მის სარჩელი, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელებმა, ცენტრალური სამხედრო სანატორიუმში «...» ყოფილმა თანამშრომლებმა, მიმართეს რა სასამართლოს სარჩელით დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, მოითხოვეს გასასვლელი დახმარების თანხები გასასვლელი დახმარების, დავალიანების სახით. საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 11.02.08წ. ცნობის თანახმად, ყოფილ სამხედრო სანატორიუმში «...» მითითებულ თანამშრომლებზე ერიცხება სახელფასო დავალიანება სწორედ მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნილი თანხების ოდენობით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული დავალიანება არის საბოლოო ანგარიშსწორებისას გასაცემი თანხები, გასასვლელი დახმარებისა და სახელფასო დავალიანების სახით. საქმეში არსებული ცნობებით დასტურდება, რომ ცენტრალური სამხედრო სანატორიუმში «...» ლიკვიდირებული იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 29.12.04წ. '402 ბრძანებით, რის შემდეგაც განხორციელდა აღნიშნულ მოსარჩელეთა სამსახურიდან განთავისუფლება. სარჩელი სასამართლოში აღძრულია 28.12.07წ., ამრიგად, გასასვლელ დახმარებაზეც, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან წარმოშობილ მოთხოვნაზე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით სარჩელი სასამართლოში აღძრულია ამავე ნორმით გათვალისწინებული სამი წლის ვადაში და იგი ხანდაზმულ მოთხოვნად ვერ ჩაითვლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.09.09წ. განჩინებით ნ. უ-ავას, რ. ჯ-შვილის, ნ. ფ-ავას, ი. კ-მის, მ. ჯ-მის, მ. ი-მის, ლ. პ-აიას, ო. ჩ-შვილის, ი. წ-აიას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და შეცვლილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.08წ. განჩინების ის ნაწილი, რომლითაც ნ. უ-ავასა და ო. ჩ-შვილის სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება, ამ ნაწილში მიღებული ახალი განჩინებით ნ. უ-ავასა და ო. ჩ-შვილის სარჩელი გასასვლელი დახმარების ანაზღაურების თაობაზე დატოვებულ იქნა განუხილველად, გასაჩივრებული 29.12.08წ. განჩინება გაუქმდა დანარჩენ ნაწილში და საქმე რ. ჯ-შვილის, ნ. ფ-ავას, ი. კ-მის, გ. ჯ-მის, მ. ი-მის, ლ. პ-აიას, ი. წ-აიას სარჩელზე წარმოების შეწყვეტის საკითხის ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.09წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმსჯელა მოსარჩელების სასარგებლოდ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების დაკმაყოფილების ნაწილში, ვინაიდან მოსარჩელების შეიარაღებული ძალების რიგებიდან გათავისუფლება მოხდა 2005 წელს. საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. '493-ე ბრძანებულების 33-ე პუნქტის 31.04.05წ. მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებდა რეორგანიზაციის გამო პირის გათავისუფლებისას ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემის შესაძლებლობას, რაც კასატორის მოსაზრებით სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივად უსაფუძვლობაზე მიანიშნებს. რაც შეეხება სარჩელის საფუძვლიანობას, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების 33¹ მუხლის მოქმედება, ამავე ბრძანებულების 61¹ საფუძველზე, შეჩერდა 2004 წლის 31 დეკემბრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე. ნორმის შეჩერებით, მორატორიუმის გამო, შეჩერდა სამინისტროს ვალდებულება, კონკრეტული საბიუჯეტო წლის (2005 წლის) განმავლობაში, დათხოვნილ პირებზე

ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით. 33' პუნქტის მოქმედების შეჩერებით აბსოლუტურად არ გაუქმებულა დასაქმებულის უფლება, მაგრამ შეჩერდა მისი რეალიზაციის შესაძლებლობა 2005 საბიუჯეტო წელს, ასევე შეჩერდა სამინისტროს მიერ ამ ვალდებულების შესრულება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მოსარჩელის უფლება აბსოლუტურად არ არის გაუქმებული, იგი შეჩერებულია, ასევე შეჩერებულია სამინისტროს ვალდებულება, რაც გულისხმობს, რომ გათავისუფლებული მოხელის უფლება არ წარმოშობს სამინისტროს საპირისპირო ვალდებულებას თანხის ანაზღაურებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.01.10წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.09წ. განჩინებზე ხელფასის თანხების მოსარჩელებისათვის – მ. მ-შვილისათვის 858,97 ლარის, ჯ. კ-შვილისათვის 560,43 ლარისა და ა. გ-ძისათვის 849,83 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ერთჯერადი გასასვლელი დახმარების თანხის მოსარჩელებისათვის – ლ. ფ-ავას სასარგებლოდ 156 ლარის, ე. დ-იას სასარგებლოდ 180 ლარის, ნ. მ-ძის სასარგებლოდ 132 ლარის, რ. ი-იანის სასარგებლოდ 169 ლარის, ლ. ა-იანის სასარგებლოდ 169 ლარის, ნ. ა-ავას სასარგებლოდ 156 ლარის, ლ. რ-ოვას სასარგებლოდ 208 ლარის, მ. რ-ძის სასარგებლოდ 208 ლარის, ჟ. ბ-ძის სასარგებლოდ 156 ლარის, დ. გ-ძის სასარგებლოდ 169 ლარის, მ. კ-ძის სასარგებლოდ 169 ლარის, ლ. ი-კის სასარგებლოდ 156 ლარის, ლ. ა-ავას სასარგებლოდ 132 ლარის, ზ. ზ-იას სასარგებლოდ 156,25 ლარის, ა. ო-იანის სასარგებლოდ 162,50 ლარის, გ. თ-უას სასარგებლოდ 149,50 ლარის და ი. ტ-ძის სასარგებლოდ 150 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის განხილვა დაშვებულ ნაწილში დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებულ გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 13.01.10წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მოსარჩელების მ. მ-შვილის, ჯ. კ-შვილის, ა. გ-ძის ხელფასის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.09წ. განჩინება მოსარჩელების – მ. მ-შვილისათვის 858,97 ლარის, ჯ. კ-შვილისათვის 560,43 ლარისა და ა. გ-ძისათვის 849,83 ლარის ხელფასის თანხების ანაზღაურების ნაწილში, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ერთჯერადი გასასვლელი დახმარების თანხის მოსარჩელებისათვის – ლ. ფ-ავას სასარგებლოდ 156 ლარის, ე. დ-იას სასარგებლოდ 180 ლარის, ნ. მ-ძის სასარგებლოდ 132 ლარის, რ. ი-იანის სასარგებლოდ 169 ლარის, ლ. ა-იანის სასარგებლოდ 169 ლარის, ნ. ა-ავას სასარგებლოდ 156 ლარის, ლ. რ-ოვას სასარგებლოდ 208 ლარის, მ. რ-ძის სასარგებლოდ 208 ლარის, ჟ. ბ-ძის სასარგებლოდ 156 ლარის, დ. გ-ძის სასარგებლოდ 169 ლარის, მ. კ-ძის სასარგებლოდ 169 ლარის, ლ. ი-კის სასარგებლოდ 156 ლარის, ლ. ა-ავას სასარგებლოდ 132 ლარის, ზ. ზ-იას სასარგებლოდ 156,25 ლარის, ა. ო-იანის სასარგებლოდ 162,50 ლარის, გ. თ-უას სასარგებლოდ 149,50 ლარის და ი. ტ-ძის სასარგებლოდ 150 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, შესაბამისად საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურების საფუძვლიანობა.

«საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. 1493 ბრძანებულებაში 31.12.04წ. 1640 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილება- დამატებების თანახმად ბრძანებულებას დამატა 33' და 61' პუნქტები, 33' პუნქტით დადგინდა, რომ სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურები წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურები წლების) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურები წლების ჩათვლით) ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით. ამავე ბრძანებულების 61' პუნქტის მიხედვით 33' პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. 1493 ბრძანებულების 61' პუნქტის თანახმად, 33' პუნქტის მოქმედება განახლდა 2006 წლის 1 იანვრიდან, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 21.09.07წ. 1531 ბრძანებულებით, 33' პუნქტის მოქმედება შეწყდა. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 29.12.04წ. 1402 ბრძანებით ლიკვიდირებულ იქნა ცენტრალური სამხედრო სანატორიუმი «...», რის შემდეგაც განხორციელდა ზემოაღნიშნულ პირთა გათავისუფლება მათ მიერ დაკავებული სხვადასხვა თანამდებობებიდან. მოსარჩელებმა სასამართლოში სარჩელი 28.12.07წ. აღძრეს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეზე არ არის დადგენილი მოსარჩელების მიერ 33' პუნქტით გათვალისწინებული უფლების – ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემის შესახებ მოთხოვნის დასმის მომენტი, კერძოდ სასამართლოს მიერ არ არის დადგენილი მოახდინეს თუ არა მოსარჩელებმა უფლების რეალიზება ნორმის მოქმედების დროს ადმინისტრაციულ ორგანოში მიმართვის გზით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 33' პუნქტის მოქმედების პერიოდში საკითხის ადმინისტრაციის წინაშე დასმა წარმოადგენს გასასვლელი დახმარების მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობას. სააპელაციო სასამართლოს მტკიცებულებები ამ საკითხთან დაკავ-

შირებით გამოკვლეული არ აქვს, ხოლო საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლო.

ვინაიდან «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. 1493 ბრძანებულების 33-ე და 33¹ პუნქტებით გათვალისწინებული ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ეძლეოდათ მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეებს, საქმეზე დადგენას საჭიროებს აგრეთვე მოსარჩელების სტატუსი, კერძოდ დათხოვნამდე სამხედრო მოსამსახურეების კატეგორიისადმი მოსარჩელეთა კუთვნილების, მათზე «სამხედრო მოსამსახურეთა სტატუსის შესახებ» კანონის გავრცელების საკითხი, მით უფრო, რომ საქმეში დაცული საქართველოს თავდაცვის მინისტრის 31.12.04წ., 11/1332 ბრძანების ამონაწერის ასლებში მითითებულია დაკავებული თანამდებობიდან სამოქალაქო პირების გათავისუფლების შესახებ. სასკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ცნოს სარჩელი იმ შემთხვევაში, თუ ცნობა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათიდან გამომდინარე თავდაცვის სამინისტროს ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 11.02.08წ. ცნობა დავალიანების შესახებ არ გამორიცხავს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხების თავდაცვის სამინისტროსათვის გადახდის უპირობო დაკისრებას. ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. 1493 ბრძანებულების 33-ე და 33¹ პუნქტებით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარების ოდენობა დამოკიდებული იყო ნამსახურებ წლებზე, თვითოეული მოსარჩელის მიმართ უნდა დადგინდეს ფულადი სარგო და ნამსახურობის პერიოდი (სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის და დათხოვნის დღე). იმის გათვალისწინებით, რომ 31.12.04წ. 1640 ბრძანებულებით ცვლილებების შეტანამდე საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. 1493 ბრძანებულება არ ითვალისწინებდა რეორგანიზაციის გამო პირის გათავისუფლებისას ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემის შესაძლებლობას, გარკვევას საჭიროებს აგრეთვე მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების დრო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არ დაიცვა სსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, რომლის თანახმად სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. სახე-ზეა სსკ-ის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, რაც სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.08წ. გადაწყვეტილება ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების სახით მოსარჩელებისათვის – ლ. ფ-ავას სასარგებლოდ 156 ლარის, ე. დ-იას სასარგებლოდ 180 ლარის, ნ. მ-ძის სასარგებლოდ 132 ლარის, რ. ი-იანის სასარგებლოდ 169 ლარის, ლ. ა-იანის სასარგებლოდ 169 ლარის, ნ. ა-ავას სასარგებლოდ 156 ლარის, ლ. რ-ოვას სასარგებლოდ 208 ლარის, მ. რ-ძის სასარგებლოდ 208 ლარის, ჟ. ბ-ძის სასარგებლოდ 156 ლარის, დ. გ-ძის სასარგებლოდ 169 ლარის, მ. კ-ძის სასარგებლოდ 169 ლარის, ლ. ი-იკის სასარგებლოდ 156 ლარის, ლ. ა-ავას სასარგებლოდ 132 ლარის, ზ. ზ-იას სასარგებლოდ 156,25 ლარის, ა. ო-იანის სასარგებლოდ 162,50 ლარის, გ. თ-უას სასარგებლოდ 149,50 ლარის და ი. ტ-ძის სასარგებლოდ 150 ლარის ანაზღაურების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.07.09წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.08წ. გადაწყვეტილება ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების სახით მოსარჩელებისათვის – ლ. ფ-ავას სასარგებლოდ 156 ლარის, ე. დ-იას სასარგებლოდ 180 ლარის, ნ. მ-ძის სასარგებლოდ 132 ლარის, რ. ი-იანის სასარგებლოდ 169 ლარის, ლ. ა-იანის სასარგებლოდ 169 ლარის, ნ. ა-ავას სასარგებლოდ 156 ლარის, ლ. რ-ოვას სასარგებლოდ 208 ლარის, მ. რ-ძის სასარგებლოდ 208 ლარის, ჟ. ბ-ძის სასარგებლოდ 156 ლარის, დ. გ-ძის სასარგებლოდ 169 ლარის, მ. კ-ძის სასარგებლოდ 169 ლარის, ლ. ი-იკის სასარგებლოდ 156 ლარის, ლ. ა-ავას სასარგებლოდ 132 ლარის, ზ. ზ-იას სასარგებლოდ 156,25 ლარის, ა. ო-იანის სასარგებლოდ 162,50 ლარის, გ. თ-უას სასარგებლოდ 149,50 ლარის და ი. ტ-ძის სასარგებლოდ 150 ლარის ანაზღაურების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამხედრო მოსამსახურის მიერ ხელშეკრულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

18ს-1548-1513(კ-09)

9 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 16 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა დუშეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე – მ. წ-ურის მიმართ თანხის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ მ. წ-ური საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 1 აპრილის 1822 ბრძანებით, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობის თანახმად, 2005 წლის 1 ივლისიდან დაინიშნა სამხედრო მოსამსახურედ.

მოსარჩელის განმარტებით, სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განისაზღვრება სახელმწიფოს შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

სამხედრო მოსამსახურე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზეა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობს. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აქვს გამოყოფილი ასიგნებები და მათი მიზნობრივად გამოყენება სამინისტროს ვალდებულებაა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურეთათვის განსაზღვრავს ხელფასის ოდენობას, კვების, სანივთე უზრუნველყოფისა და წვრთნისა და აღჭურვისთვის განსაზღვრული ღირებულებები და შეიარაღებული ძალებისთვის დასახორციელებლად წინასწარ დაგეგმავს ფულად სახსრებს, იგი ვალდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თითოეული ლარი განკარგოს დანიშნულებისამებრ ანუ უზრუნველყოს საქართველოს შეიარაღებული ძალები პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიცირებული სამხედრო პერსონალით.

კონტრაქტის 7.3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, «სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით საშუალოდ 1400 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება მთელი თვის ხელფასის შესაბამისად; ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 1000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

მოსარჩელის მითითებით, მოპასუხე – მ. წ-ური სამხედრო შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილ იქნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 26 იანვრის 1... ბრძანებით 2005 წლის 12 დეკემბრიდან სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

«სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად, საკონტრაქტო სამსახურის გამვლელთათვის დადგენილია არანაკლებ 3 წლიანი ვადა, ხოლო მ. წ-ურს ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მიხედვით, ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება 4 წელი ემსახურა შეიარაღებულ ძალებში. კონტრაქტის 7.3 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულების შეწყვეტიდან ათი დღის ვადაში, მოპასუხე ვალდებული გახდა აუნაზღაურებინა სამინისტროსათვის მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეადგენდა 16596 ლარს, ხოლო 3.2 პუნქტი სამხედრო მოსამსახურის მომზადების პერიოდად განსაზღვრავს სამხედრო სამსახურის პირველ სამ თვეს, მოპასუხე – მ. წ-ური კი, როგორც დათხოვნის ბრძანებიდან ირკვევა გათავისუფლებულია შეიარაღებული ძალებიდან «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტით (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო), რის გამოც მასზე უნდა გავრცელდეს კონტრაქტის 7.3 პუნქტის მოქმედება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა მოპასუხე – მ. წ-ურს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა ჯარიმის – 16596 ლარის, ზიანის – 2513,76 ლარისა და პირგასამტეხლოს

– 16596 ლარის 0,2%-ის ოდენობის ყოველდღიურად გადახდა, 2005 წლის 23 დეკემბრიდან ძირითადი თანხის გადახდამდე.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. იმავე კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება, მათ შორის, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ითვალისწინებს მის ჯეროვან შესრულებას, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლით კი, ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით.

სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე იყო «თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა მ. წ-ურის მხრიდან.

მხარეთა შორის გაფორმებული 2005 წლის 1 ივლისის კონტრაქტის 7.3 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში, ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გახდეს შეწყვიტოს ოთხწლიანი კონტრაქტი, «სამხედრო მოსამსახურე» უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად, ხოლო ამავე კონტრაქტის 7.4 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ, 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სასამართლოს მითითებით, «კონტრაქტის» 7.3 «ა» მუხლის დანაწესი არ შეიცავს დათქმას, ერთ წლამდე სამსახურის გავლის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურის მიერ ჯარიმის სახით ფულადი თანხის საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით ანაზღაურების თაობაზე. წარმოდგენილი ხელშეკრულების 7.3 მუხლის მიხედვით ასეთი დათქმა ვრცელდება მხოლოდ სამხედრო მოსამსახურის მიერ ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ პერიოდზე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. წ-ურზე სამხედრო ნაწილში სამსახურის გავლის პერიოდში დახარჯულია კვების თანხა 510 ლარი, ხოლო შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს თანხა 2003.76 ლარი.

სამხედრო სამსახურის გავლისას მოპასუხეზე დახარჯული კვების თანხა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს დანამატს სამხედრო მოსამსახურის ხელფასზე, არის ხელფასის შემადგენელი ნაწილი, ხოლო ხელფასის (შრომითი გასამრჯელოს), მიყენებული ზიანის სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა, მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული. ზიანის არსებობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებები კი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ხანდაზმულია, ვინაიდან, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 129-ე მუხლის შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. მ. წ-ური კი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 26 იანვრის 1... ბრძანებით, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ იქნა 2005 წლის 12 დეკემბრიდან.

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე მოპასუხის მხრიდან მოთხოვნის წარმოშობას უკავშირებს არა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღს, არამედ ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღს – 2005 წლის 12 დეკემბერს. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ კი სასამართლოში სარჩელი აღძრა 2008 წლის 16 დეკემბერს, ე.ი. სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ნოემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება მ. წ-ურის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ გამოიცა 2006 წლის 26 იანვარს, ხოლო თავდაცვის სამინისტროს მიერ სარჩელი შეტანილია 2008 წლის 12 დეკემბერს, შესაბამისად ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ათვლა იწყება მინისტრის ბრძანების გამოცემიდან.

სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად არ შეიძლება ჩაითვალოს ფაქტობრივი დათხოვნის თარიღი, ვინაიდან არც თავდაცვის სამინისტროსათვის და არც მოწინააღმდეგე მხარისათვის წინასწარ არ იყო ცნობილი, თუ რომელი თარიღიდან დაითხოვნდნენ მოპასუხე მხარეს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მხარეთა შორის დადებული კონტრაქტის 7.3 პუნქტი არ გამოირიცხავს კონტრაქტორის პასუხისმგებლობას ერთ წლამდე სამსახურის ვადაში კონტრაქტის დარღვევის გამო, ვინაიდან, «კონტრაქტის» 7.3 «ა» მუხლის დანაწესი არ შეიცავს დათქმას, ერთ წლამდე განმავლობაში საკონტრაქტო პირობების დარღვევისას სამხედრო მოსამსახურის მიერ ჯარიმის სახით ფულადი თანხის საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით ანაზღაურების ვალდებულების თაობაზე. წარმოდგენილი ხელშეკრულების 7.3 მუხლის მიხედვით, ასეთი დათქმა ვრცელდება მხოლოდ სამხედრო მოსამსახურის მიერ ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ პირობების დარღვევის შემთხვევებზე.

სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ მოპასუხეზე დახარჯული კვების თანხა 510 ლარი «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს დანამატს სამხედრო მოსამსახურის ხელფასზე და არის ხელფასის შემადგენელი ნაწილი, ვინაიდან იგი წარმოადგენს კომპენსაციის სახეს. თუმცა, ეს გარემოება ვერ იქნება მიჩნეული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად, ვინაიდან მოსარჩელე ითხოვს ზიანის სახით მის ანაზღაურებას გაცემული ხელფასის შესაბამის თანხასთან ერთად. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მცხეთის რაიონული სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ზიანის ფაქტის არსებობა არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მასალებით და დამატებით განმარტა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. კონკრეტულ შემთხვევაში, კი მოსარჩელეს აწევს ზიანის არსებობის და მისი ოდენობის მტკიცების ტვირთი. სააპელაციო საჩივრით არ დასტურდება, რომ მან მ. წ-ურის სანაცვლოდ მოამზადა სხვა მოსამსახურე, რომლის მომზადებაზე დაიხარჯა 2513,76 ლარი, ანუ მის მიერ გადებული იქნა აღნიშნული თანხა მოპასუხის მიერ ხელშეკრულების დარღვევის გამო. ამდენად, მისი მოთხოვნა ხელშეკრულების პირობების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, დაუსაბუთებელია და არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის მოთხოვნებს.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ნოემბრის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ნოემბრის განჩინების კვების ულუფის ნაწილში შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება ხელშეკრულების შეფასების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და თავის მხრივ განმარტავს შემდეგს: კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოდებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის პრინციპით, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია თავდაცვის მინისტრის სამხედრო ქვედანაყოფში სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. მითითებული კონტრაქტის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომლის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დადებულია სწორედ ზემოაღნიშნული ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად. ამდენად,

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის თაობაზე და ადასტურებს სასამართლოს მხრიდან ხელშეკრულების 7.3 მუხლის თაობაზე განმარტების შესახებ წარმოდგენილი მოტივაციის მართებულობას.

ხელშეკრულების 7.3 მუხლი განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებს და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და «სამინისტროსთან» შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ «სამინისტრო» იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი. «სამხედრო მოსამსახურე» უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; ბ) 2 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ორი წლის ხელფასის სახით 10000 ლარის ოდენობით; გ) 3 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასის სახით საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით.

ამდენად, როგორც ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსი ცხადყოფს, სამხედრო მოსამსახურეს ფულადი თანხების – ჯარიმის, გადახდის ვალდებულება ეკისრება მხოლოდ კონტრაქტის 1-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ. რაც შეეხება ერთ წლამდე პერიოდს, აღნიშნულზე მხარეთა შორის ჯარიმა-საურავების თაობაზე შეთანხმება არ არსებობს, რაც გამორიცხავს სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის დაკისრებას კონტრაქტის ერთ წლამდე შეწყვეტის შემთხვევაში.

საქმეზე კი უდავოა დადგენილი, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მ. წ-ურს შორის ხელშეკრულება დაიდო 2005 წლის 1 ივლისს და შეწყდა 2005 წლის 12 დეკემბერს. ამდენად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეადგინა 5 თვე და 11 დღე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 7.3 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამხედრო ძალებში სულ მცირე 1 წლის სამსახური, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. ამდენად, არ არსებობს მოპასუხის მიმართ ხელშეკრულების 7.3 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების სახით საჯარიმო თანხების გამოყენების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 26 იანვრის '... ბრძანებით მ. წ-ური კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე. ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას, რომელიც იწვევს მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების გაქროფებას და ახალი ვალდებულების წარმოშობას, კერძოდ მხარეებმა ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი უნდა დააბრუნონ (სკ-ის 352.1 მუხ.). «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაბამისად, მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურისათვის ხელფასის გადახდა შეადგენს დამსაქმებლის ვალდებულებას, ამდენად მოსარჩელის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ხელფასის თანხის დაბრუნების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო რაც შეეხება სასურსათო ულუფას (510 ლარი), საკასაციო სასამართლო ამ ნაწილში ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და თვლის, რომ კვების კომპენსაცია არ წარმოადგენს ხელფასის შემადგენელ ნაწილს.

მიუხედავად საკასაციო სასამართლოს მითითებული მოსაზრებისა, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა კვების კომპენსაციის ნაწილში არის ხანდაზმული და არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას. როგორც საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 26 იანვრის '... ბრძანებით მ. წ-ური შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში დათხოვნილ იქნა 2005 წლის 12 დეკემბრიდან. ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტად მიჩნეულია 2005 წლის 12 დეკემბერი. სარჩელი სასამართლოში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, შეტანილია 2008 წლის 16 დეკემბერს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს.

იმავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

როგორც აღინიშნა, წინამდებარე შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ხელშეკრულების 2005 წლის 12 დეკემბერს შეწყვეტის ფაქტი დაადასტურა თავისივე ბრძანების საფუძველზე და ამასთან, საგულისხმოა, რომ თავისი მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს უკავშირებს სწორედ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ფაქტს, რისი გათვალისწინებითაც ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს სწორედ მითითებული თარიღიდან.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან სარჩელის აღძვრამდე გასულია ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა, რაც იძლევა ამ მოტივით მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მ. წ-ურისათვის კვების კომპენსაციის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ნოემბრის განჩინება კვების კომპენსაციის ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მ. წ-ურისათვის კვების კომპენსაციის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის მოტივით;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. დელიქტი

პროფესიული დაავადებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

ბს-51-50(კ-11)

7 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ნ. სხირტლაძე

სარჩელის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 28 იანვარს რ. მ-ელმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით ... წლებში სამოქალაქო ავიაციის სისტემაში მუშაობდა სხვადასხვა ტიპის საჯარო ხომალდების მეთაურის თანამდებობაზე. აქვს საერთო საფრენისო გამომუშავების სტაჟი 20568 საათი. წარჩინებული მუშაობისათვის, სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 1 ნოემბრის 1612 ბრძანებულებით რ. მ-ელი დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით. ასევე, აქვს სხვა სახელმწიფო ჯილდოები. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ცენტრალური ბიუროს 2005 წლის 18 მაისის დასკვნით რ. მ-ელს დაუდგინდა პროფესიული ხასიათის დაავადება, სმენის ორმხრივი დაქვეითებით, უვადოდ, პროფესიული შრომის უნარიანობის 40%-ის დაქვეითებით.

მოსარჩელის მითითებით, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა დასაქმებულის ჯანმრთელობას შრომითი მოვალეობის შესრულებისას.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულებით ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მიჩნეულია ლიკვიდირებული სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის უფლებამონაცვლედ საკანონმდებლო ცვლილების შედეგად და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ სარჩოს დანიშნვის თაობაზე განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოთხოვნის წარმოშობის მომენტისათვის საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების მე-11 მუხლის «ბ» პუნქტის საფუძველზე, რაზეც უარი ეთქვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიან-

ნის – 32773.48 ლარის (2005 წლის 18 მაისიდან 2010 წლის იანვრამდე 56 თვეზე) და შემდგომ ყოველთვიურად 565.06 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით რ. მ-ელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. მ-ელმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით რ. მ-ელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; რ. მ-ელის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს რ. მ-ელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 2005 წლის 18 მაისიდან 2007 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდის გათვალისწინებით, ამასთან, ზიანის ანაზღაურებელი თანხა ყოველთვიურად განისაზღვრა იმავე ან იგივე თანრიგის ნებისმიერი სპეციალობის მუშაკის ბოლო სამი თვის სრულად ნამუშევარი ფაქტობრივად მიღებული საშუალო ხელფასიდან იმ ოდენობით, რამდენი პროცენტითაც რ. მ-ს დაკარგული აქვს შრომის უნარის ხარისხი; დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტების, ასევე 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი. ამასთან, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რ. მ-ელი ... წლებში მუშაობდა სამოქალაქო ავიაციის სისტემაში. ამ პერიოდში იფრინა 20565 საათი. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ცენტრალური ბიუროს 2005 წლის 18 მაისის დასკვნით, რ. მ-ელს დაუდგინდა პროფესიული სახის დაავადება, სმენის ორმხრივი დაქვეითებით, უვადოდ, პროფესიული შრომის უნარიანობის დაკარგვით 40%. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 2006 წელს მოსარჩელემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მესამე პირების – საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ყოველთვიურად ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 2005 წლის 18 მაისიდან უვადოდ 418.55 ლარის ოდენობით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით რ. მ-ელის სარჩელი დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 მაისის განჩინებით რ. მ-ელის სარჩელი დარჩა განუხილველი მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო. რ. მ-ელმა ახალი სარჩელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ იმავე მოთხოვნით სასამართლოში აღძრა 2010 წლის 28 იანვარს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოცემული დავის საგანს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რამდენადაა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ვალდებული უზრუნველყოს მოსარჩელისათვის პროფესიული დაავადებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. აღნიშნულის თაობაზე სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულებით შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით. აღნიშნული განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალია სალიკვიდაციის პროცესში დაეფარა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირთა მიმართ არსებული დავალიანებები და ამ კატეგორიისათვის სასამართლო გადაწყვეტილებებით მიკუთვნებული თანხები, ხოლო სალიკვიდაციის დასრულების შემდეგ, უზრუნველყოს ამ პირთათვის ზიანის ანაზღაურება სალიკვიდაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა ფაქტობრივად დაასრულა 2006 წლის 30 მაისს, იმავე დღეს შედგა 116 სხდომის ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად 2006 წლის 21 აგვისტოს გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. 2006 წლის 13 დეკემბრის 11 მიღება-ჩაბარების აქტით სალიკვიდაციო კომისიის წარმომადგენლის მიერ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ჩაბარებული იქნა სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირთა პირადი საქმე.

საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პროფესიული დაავადებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში საქალაქო სასამართლოს მიერ მითითე-

ბული გარემოება და ჩათვალა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო წარმოადგენს აღნიშნულის ანაზღაურებაზე ვალდებულ ორგანოს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, «ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ» საქართველოს 2001 წლის 20 ივლისის 11012-რს კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2001 წლის 28 დეკემბრის 110 ბრძანების შესაბამისად, შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, რომლის დებულების პირველი პუნქტის თანახმად, ახლად შექმნილი ადმინისტრაცია არ წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 29 ივნისის 1279 ბრძანებულების შესაბამისად, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სისტემის სტრუქტურული ერთეულის – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრეს.

«ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის მიმდინარეობის პერიოდში «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, რომლის მმართველობის სფეროში გაერთიანდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო. აღნიშნული მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალია ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ლიკვიდაციას დაქვემდებარებული დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე მათი გაუქმების უფლებამოსილება მიენიჭა მათ უფლებამონაცვლე სამინისტროებს. გარდა მითითებულისა, «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის 181 ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად, განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ლიკვიდაცია, მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა სალიკვიდაციო კომისია, მე-14 პუნქტმა კი განსაზღვრა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს უფლებამონაცვლე – ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო. აღნიშნულ კანონში 2004 წლის 24 ივნისის 1195-რს კანონით განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაციის გამო, მისი უფლებამოსილება-ნი გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

«საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე» საქართველოს კანონის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2004 წლის 22 ივნისის გამოსცა 180 განკარგულება «საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ». შესაბამისად, კანონში შეტანილ ზემოაღნიშნულ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია და არც შეუცვლია «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების დებულებები, რაც პალატის მოსაზრებით, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ხსენებული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ისევ ჩაითვალია ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, როგორც სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის უფლებამონაცვლეს, ამ უკანასკნელის ლიკვიდაციის დასრულებამდე უდავოდ ეკისრება მოსარჩელისათვის პროფესიული დაავადებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის 193 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულება. ამასთან, საქართველოს მთავრობას დაევა აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმატიული აქტის მიღების უზრუნველყოფა. აღნიშნული ბრძანებულების თანახმად, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილება, რომლის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, წყდება დანიშნული «ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს» გაცემის ვალდებულება, ხოლო დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევა ძველი წესით დანიშნულ სარჩოზე არსებული დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა «საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულებაზე, რომლითაც შეიქმნა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა «საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს 1428 განკარგულებით. ამდენად, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა დაას-

რულა 2006 წლის 30 მაისს, მაგრამ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ იურიდიულად ფუნქციონირება შეწყვიტა მხოლოდ «საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს 1428 განკარგულებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ რ. მ-ელის მიერ თავდაპირველად სასამართლოში მიმართვის დროისათვის მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით დამტკიცებული შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის 50-ე პუნქტის თანახმად, დაზარალებულებს ზიანის ანაზღაურება გადაეხდებოდათ იმ დღიდან, როდესაც მათ სრულად ან ნაწილობრივ დაკარგეს შრომის უნარი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილების გამოცემისას საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის პროცესი იურიდიულად დასრულებული არ იყო, მოსარჩელეს პროფესიული დაავადებით გამოწვეული ზიანი უნდა აუნაზღაურდეს 2005 წლის 18 მაისიდან 2007 წლის 1 სექტემბრამდე – იურიდიულად სალიკვიდაციო კომისიის მიერ, ფუნქციონირების შეწყვეტამდე. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების თაობაზე 2010 წლის იანვრამდე და შემდგომ ყოველთვიურად 565.06 ლარის ოდენობით, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობს ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულება. საქართველოს მთავრობას დაევა 2007 წლის 1 მარტამდე შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ ნორმატიული აქტის მიღება. ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილება – «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ», რომელმაც ცალკეულ საკითხთა მიმართ დაადგინა პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებისაგან განსხვავებული წესი. აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით მიეთითა, რომ დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში წყდებოდა დანიშნული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება. ამასთან, «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის» პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, 2007 წლის 1 მარტის შემდეგ აღარ შეიძლება დაწესდეს ახალი გასაცემლები «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულების იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებდნენ უფლებემონაცვლის არარსებობის პირობებში გასაცემების დანიშვნის საფუძველს, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობს თუ არა ამ საკითხზე სამართალწარმოება სასამართლოებში.

ამასთან, კასატორის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებით მოსარჩელეს მინიჭებული არ ჰქონია სარჩოს მიღების სამისდღეშიო უფლება, ვინაიდან, რ. მ-ელის მიმართ ყოველთვიური სარჩოს გაცემაზე ვალდებულება არ წარმოშობილა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულებისა და საქართველოს მთავრობის 153 დადგენილების შესაბამისად და ახალი გასაცემლების დაწესების ვალდებულება დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული არ არის.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ რ. მ-ელს არ ჰქონია დანიშნული სარჩო და გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილების უგულვებელყოფით.

2010 წლის 12 ოქტომბერს რ. მ-ელმა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის 15536.62 ლარის (2005 წლის 18 მაისიდან 2007 წლის 1 სექტემბრამდე) დაკისრება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ნოემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ნოემბრის დამატებითი გადაწყვეტილებით რ. მ-ელის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს რ. მ-ელის სასარგებლოდ, ზიანის ანაზღაურება დაეკისრა 2005 წლის 18 მაისიდან 2007 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდის გათვალისწინებით, ამასთან, ზიანის ასანაზღაურებელი თანხა ყოველთვიურად განისაზღვრა 565 ლარით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებ

ბოზის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 7 აპრილის განჩინებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2011 წლის 2 ივნისს 12:30 საათზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივლისის საოქმო განჩინებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

ამასთან, 2011 წლის 7 ივლისს რ. მ-ელმა სასარჩელო მოთხოვნაზე ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე უარი თქვა სარჩელზე მოთხოვნილ 565.06 ლარსა და 418.55 ლარს შორის სხვაობის – 146.51 ლარის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის რ. მ-ელის სასარგებლოდ შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად 418.55 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა, 2005 წლის 18 მაისიდან 2007 წლის 1 სექტემბრამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, წარმოდგენილი შუამდგომლობის გაცნობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი მისთვის რ. მ-ელის სასარგებლოდ 418.55 ლარის დაკისრებაზე უარი თქმის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო რ. მ-ელის შუამდგომლობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის რ. მ-ელის სასარგებლოდ მოთხოვნილ 565.06 ლარსა და 418.55 ლარს შორის სხვაობის – 146.51 ლარის დაკისრების ნაწილში სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე რ. მ-ელი ... წლებში მუშაობდა სამოქალაქო ავიაციის სისტემაში. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ცენტრალური ბიუროს 2005 წლის 18 მაისის დასკვნით, რ. მ-ელს დაუდგინდა პროფესიული სახის დაავადება, სმენის ორმხრივი დაქვეითებით, უვადოდ, პროფესიული შრომის უნარიანობის 40%-ის დაქვეითებით. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2010 წლის 13 იანვრის 121/5893/5-9 წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის 193 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულება. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად, 2007 წლის 1 მარტის შემდეგ აღარ შეიძლება დაწესდეს ახალი გასაცემლები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2006 წელს რ. მ-ელმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მესამე პირების – საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ყოველთვიურად ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა 2005 წლის 18 მაისიდან უვადოდ 418.55 ლარის ოდენობით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით რ. მ-ელის სარჩელი დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 მაისის განჩინებით რ. მ-ელის სარჩელი დარჩა განუხილველი მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო. 2010 წლის 28 იანვარს რ. მ-ელმა იმავე სასარჩელო მოთხოვნით მიმართა სასამართლოს მოპასუხის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ნოემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2011 წლის 7 ივლისს რ. მ-ელმა სასარჩელო მოთხოვნაზე ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე უარი თქვა სარჩელზე მოთხოვნილ 565.06 ლარსა და 418.55 ლარს შორის სხვაობის – 146.51 ლარის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის რ. მ-ელის სასარგებლოდ შრომითი მოვალეობის შესრულების

სას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად **418.55** ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა, **2005** წლის **18** მაისიდან **2007** წლის **1** სექტემბრამდე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლებამოვალეობებით, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, შეხედულებისამებრ, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **272**-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. იმავე კოდექსის **273**-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე რ. მ-ელმა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის რ. მ-ელის სასარგებლოდ **565.06** ლარსა და **418.55** ლარს შორის სხვაობის – **146.51** ლარის დაკისრების ნაწილში სარჩელზე უარის თქმით მოახდინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა. ამასთან, იურიდიული (ფიზიკური) პირის მიერ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელზე უარის თქმისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას და არ ამოწმებს სარჩელზე უარის თქმის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **273**-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმოკრედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა დაკმაყოფილდეს რ. მ-ელის შუამდგომლობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის რ. მ-ელის სასარგებლოდ მოთხოვნილ **565.06** ლარსა და **418.55** ლარს შორის სხვაობის – **146.51** ლარის დაკისრების ნაწილში სარჩელზე უარის თქმის თაობაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2010** წლის **21** მაისის გადაწყვეტილების იმ ნაწილში კანონიერების დადგენა წარმოადგენს, რა ნაწილითაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს რ. მ-ელის სასარგებლოდ **418.55** ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე დავის საგანს წარმოადგენს იმ გარემოების დადგენა, რამდენადაა საქართველოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ვალდებული უზრუნველყოს რ. მ-ელისათვის პროფდაავადებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის **2002** წლის **26** ივნისის **1872** განკარგულებით შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით. ხსენებული განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალია სალიკვიდაციის პროცესში დაეფარა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირთა მიმართ არსებული დავალიანებები და ამ კატეგორიისათვის სასამართლო გადაწყვეტილებებით მიკუთვნებული თანხები, ხოლო სალიკვიდაციის დასრულების შემდეგ უზრუნველყოს ამ პირთათვის ზიანის ანაზღაურება სალიკვიდაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა ფაქტობრივად დაასრულა **2006** წლის **30** მაისს, იმავე დღეს შედგა **116** სხდომის ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად **2006** წლის **21** აგვისტოს გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. **2006** წლის **13** დეკემბრის **11** მიღება-ჩაბარების აქტით სალიკვიდაციო კომისიის წარმომადგენლის მიერ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ჩაბარებულ იქნა სამოქალაქო ავიაციის პროფდაავადებულ, დასახიჩრებულ და მარჩენალდაკარგულ პირთა პირადი საქმე.

საკასაციო სასამართლო ვერ გამორიცხავს პროფდაავადებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პასუხისმგებლობას და თვლის, რომ კასატორის მხრიდან წარმოდგენილი მოტივაცია ცალსახად არ გამომდინარეობს საქმეში დაცული მასალებიდან, რა მიზნითაც, საკასაციო სასამართლო, კასატორის ყურადღებას მიაქცევს შემდეგზე: „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ» საქართველოს **2001** წლის **20** ივლისის **1012**-ის კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის **2001** წლის **28** დეკემბრის **10**

ბრძანების შესაბამისად შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, რომლის დებულების პირველი პუნქტის თანახმად, ახლად შექმნილი ადმინისტრაცია არ წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 29 ივნისის 1279 ბრძანებულების შესაბამისად ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სისტემის სტრუქტურული ერთეულის – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრეს.

«ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის მიმდინარეობის პერიოდში «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, რომლის მმართველობის სფეროში გაერთიანდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო. აღნიშნული მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ჩაითვალა ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ. ამასთან, ზემოხსენებული მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ლიკვიდაციის დაქვემდებარებული დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე, მათი გაუქმების უფლებამოსილება მიენიჭა მათ უფლებამონაცვლე სამინისტროებს. გარდა აღნიშნულისა, «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის 181 ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად, განხორციელდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ლიკვიდაცია, მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა სალიკვიდაციო კომისია, მე-14 პუნქტმა კი განსაზღვრა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს უფლებამონაცვლე – ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო. აღნიშნულ კანონში 2004 წლის 24 ივნისის 1195-რს კანონით განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ლიკვიდაციის გამო, მისი უფლებამოსილებანი გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე» საქართველოს კანონის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს მთავრობამ 2004 წლის 22 ივნისს გამოსცა 180 განკარგულება «საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ». შესაბამისად, კანონში შეტანილ ზემოაღნიშნულ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია და არც შეუცვლია «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების დებულებები, რაც, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ხსენებული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი სამინისტროები ისევ ჩაითვალა ლიკვიდირებული დაწესებულებების უფლებამონაცვლედ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უდავოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, როგორც სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის უფლებამონაცვლეს, ამ უკანასკნელის ლიკვიდაციის დასრულებამდე, ეკისრება რ. მ-ელისათვის პროფდავადადებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის 193 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულება. ამასთან, საქართველოს მთავრობას დაევალა აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმატიული აქტის მიღების უზრუნველყოფა. აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – «შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილება, რომლის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, წყდება დანიშნული «ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს» გაცემის ვალდებულება, ხოლო ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალა ძველი წესით დანიშნულ სარჩოზე არსებული დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე.

აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს მიუთითოს შემდეგ მოსაზრებებზე: «საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 ივნისის 1872 განკარგულება, რომლითაც შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა «საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს 1428 განკარგულებით. ამდენად, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ მუშაობა დაასრულა 2006 წლის 30 მაისს, მაგრამ საგულისხმოა, რომ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავია-

ციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიამ იურიდიულად ფუნქციონირება შეწყვიტა მხოლოდ «საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მეთაურის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 17 აგვისტოს 1428 განკარგულებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილების გამოცემისას საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის პროცესი იურიდიულად დასრულებული არ იყო, რ. მ-ელს პროფდაავადებით დამოწვეული ზიანი ცალსახად უნდა აუნაზღაურდეს 2007 წლის 1 სექტემბრამდე ანუ იურიდიულად სალიკვიდაციო კომისიის მიერ ფუნქციონირების შეწყვეტამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი მისთვის რ. მ-ელის სასარგებლოდ 418.55 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის რ. მ-ელის სასარგებლოდ 418.55 ლარის დაკისრების ნაწილში, ხოლო უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის რ. მ-ელის სასარგებლოდ 146.51 ლარის დაკისრების ნაწილში და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება რ. მ-ელის სასარგებლოდ 146.51 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, მოსარჩელის მიერ აღნიშნულ ნაწილში სარჩელზე უარის თქმის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე და 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი მისთვის რ. მ-ელის სასარგებლოდ 418.55 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის რ. მ-ელის სასარგებლოდ 418.55 ლარის დაკისრების ნაწილში;
3. რ. მ-ელის შუამდგომლობა 565.06 ლარსა და 418.55 ლარს შორის სხვაობის – 146.51 ლარის ნაწილში სარჩელზე უარი თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;
4. მოსარჩელე – რ. მ-ელსა და მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის 146.51 ლარის ნაწილში დავაზე შეწყდეს საქმის წარმოება;
5. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის რ. მ-ელის სასარგებლოდ 146.51 ლარის დაკისრების ნაწილში და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება რ. მ-ელის სასარგებლოდ 146.51 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში;
6. მხარეებს განემარტოთ, რომ აღნიშნულ ნაწილში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე დავაზე, იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ დაიშვება;
7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება მიღებული სხეულის დაზიანების გამო

განჩინება

1ბს-1619-1578 (2კ-10)

20 ივლისი 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 13 ნოემბერს ა. ფ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხის შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის პროთეზირების ხარჯის-**30 300,30** ევროსა და მგზავრობის ხარჯის-**3230** ლარის დაკისრებას.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს **2010** წლის **18** ივნისის გადაწყვეტილებით ა. ფ-მის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობას ა. ფ-მის სასარგებლოდ დაეკისრა **10 121,42** ევროს შესაბამისი ექვივალენტის ეროვნული ვალუტის-ლარის გადახდა, გადახდის დროისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად; შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობას მოსარჩელე ა. ფ-მის სასარგებლოდ დაეკისრა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მგზავრობის ხარჯის-**1076,66** ლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ **1995** წელს ა. ფ-მე **5** წლის ასაკში დასახიჩრდა, დაკარგა ორივე ხელის მტევანი და გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი. საქმის განხილვის დროისათვის ა. ფ-მის სარგებლობაში არსებული მარჯვენა ზედა კიდურის ბიოლოგიური და მარცხენა ზედა კიდურის მექანიკური პროთეზები ფუნქციონირებდა არადამაკმაყოფილებლად და საჭიროებდა შეცვლას. პროთეზირების ხარჯი შპს «...»-ში საქმის განხილვის დროისათვის **30364** ევროს შეადგენდა; მგზავრობის და სხვადასხვა მომსახურების ხარჯი-**3230** ლარს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ ა. ფ-მე დასახიჩრდა თავისი, დღვანის კოლმეურნეობისა და შუახევის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის ბრალით. შესაბამისად, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა ვალდებული იყო თავისი ბრალის პროპორციულად **1/3** ნაწილში მოეხდინა ა. ფ-მისათვის პროთეზის ღირებულებისა და მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ დღვანის თემის საკრებულო სოფელ დღვანის კოლმეურნეობის სამართალმემკვიდრეა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის **317-ე** მუხლზე, ასევე სამოქალაქო კოდექსის **408-ე** მუხლის **1-ელი** და **მე-3** ნაწილებზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის **მე-1000** მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე ამ ნაგებობაში წარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ენერჯისაგან, მაშინ ამ ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, თუკი ამ საფრთხის პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვა ადამიანის სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება, აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშობილი ზიანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ ა. ფ-მის სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. ფ-მემ და შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

აპელანტები სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს **2010** წლის **18** ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2010** წლის **30** სექტემბრის განჩინებით ა. ფ-მისა და შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს **2010** წლის **18** ივნისის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება და დამატებით აღნიშნა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებულია ა. ფ-მის მიმართ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც სოლიდარულად დაეკისრათ შუახევის რაიონის სოფელ დღვანის თემის საკრებულოსა და შუახევის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ ეკისრება, რამდენადაც არ წარმოადგენს დღვანის თემის საკრებულოს უფლებამონაცვლეს, რომელიც თავის მხრივ არ ყოფილა დღვანის კოლმეურნეობის სამართალმემკვიდრე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებებით უდავოდ დადასტურებულია, დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს სოფელ დღვანის კოლმეურნეობისა და დღვანის თემის საკრებულოს უფლებამონაცვლეობის საკითხი.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის **998-ე** მუხლის **1-ელი** ნაწილის, **463-ე**, **464-ე** და **465-ე** მუხლების საფუძველზე მიუთითა, რომ თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგენებ როგორც სოლიდარული მოვალეები. კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ასევე სამოქალაქო კოდექსის **412-ე** მუხლსა და **408-ე** მუხლის **მე-2**, **მე-3** და **მე-4** ნაწილებზე, ასევე სამოქალაქო კოდექსის **415-ე** მუხლის **1-ელ** ნაწილზე, რომლის თანახმად მიიჩნია, რომ ზიანის მოცულობის განსაზღვრაზე გავლენას ვერ იქონიებს დაზარალებულის ქმედუნარობა. შესაბამისად, სარჩელით მოთხოვნილი ზიანის ოდენობის შემცირება სამოქალაქო კოდექსის **415-ე** მუხლის **1-ელი** ნაწილის საფუძველზე დასაბუთებულია.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის, ურთიერთშეჯერებისა და შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ ა. ფ-მეს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გააჩნია შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობას. ზიანის ოდენობა, რაც შეადგენს **10 121,42** ევროს შესაბამისი ექვივალენტის ეროვნულ ვალუტას გადახდის დროისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად და **1076,66** ლარს, როგორც გერმანიის ფედერაციულ რესპუბ-

ლიკაში მგზავრობის ხარჯს, დასაბუთებულად იქნა განსაზღვრული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. ფ-მ და შუახვევის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

კასატორები საკასაციო საჩივრით ითხოვდნენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 30 სექტემბრის განჩინების გაუქმებას.

შუახვევის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ ვალდებულება, რომელიც მოსარჩელის სასარგებლოდ წარმოეშვა დღევანდის თემის საკრებულოს აჭარის უმაღლესი სასამართლოს 1999 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით, სრულად არის შესრულებული და აღნიშნულს არც მოსარჩელე უარყოფს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და მე-1000 მუხლებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება იმ პირს, ვისი ბრალითაც იქნა მიყენებული ზიანი. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნულ საქმეში დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელე ა. ფ-მ ზიანი მიადგა დღევანდის კოლმეურნეობისა და შუახვევის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის ბრალით, ხოლო «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტი არის 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების სამართალმემკვიდრე.

კასატორი მიიჩნევდა, რომ არც დღევანდის კოლმეურნეობა და არც შუახვევის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია არ იყვნენ თვითმმართველი ერთეულები, ამიტომ არც შუახვევის მუნიციპალიტეტი არის მათი სამართალმემკვიდრე.

ა. ფ-მის საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ შუახვევის რაიონის სახალხო სასამართლოს 1971 წლის 3 აგვისტოს, 1978 წლის 16 მაისის, 1980 წლის 29 აპრილის, 1984 წლის 17 აპრილის, 1988 წლის 14 მარტის, 1990 წლის 23 იანვრის, შუახვევის რაიონის სასამართლოს 1994 წლის 30 მაისის, აჭარის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 1999 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებების, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 1999 წლის 22 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე მოპასუხეებისგან – დღევანდის საკოლმეურნეობათაშორისო ჰესის, ხოლო შემდგომში შუახვევის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოსა და დღევანდის კოლმეურნეობისაგან დასახიზრებით მიყენებული ზიანისათვის ყოველთვიურ დახმარებას, მკურნალობისა და პროთეზირებისათვის გაწეულ ხარჯებს მთლიანად.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოებმა დაარღვიეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის მოთხოვნები.

ა. ფ-მის საკასაციო საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა არასწორად განმარტეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე-465-ე მუხლების შინაარსი, რადგან ამ მუხლების საფუძველზე კრედიტორი უფლებამოსილია წაუყენოს მოთხოვნა ერთერთ ან ყველა მოვალეს ერთად. ვინაიდან არ არსებობენ სხვა სოლიდარული მოვალეები, კასატორმა მოთხოვნა წაუყენა შუახვევის მუნიციპალიტეტის გამგეობას. კასატორმა მიიჩნია, რომ სასამართლოებმა არასწორად განმარტეს ასევე სამოქალაქო კოდექსის 317-ე, 408-ე და მე-1000 მუხლები და არასწორად გადაწყვიტეს სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორები საკასაციო საჩივრით ითხოვდნენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 30 სექტემბრის განჩინების გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შუახვევის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ა. ფ-მის საკასაციო საჩივრები უსაფუძველოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა იგი, სრულყოფილად გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სათანადო შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რის შედეგადაც საქმეზე არსებითად სწორი განჩინება მიიღო, საკასაციო საჩივარში მითითებულ საპროცესო დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი აწესრიგებს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს. მისი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის აწესრიგებს სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს/ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს და მოქალაქის ურთიერთობას ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, თუმცა ამავე კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულია კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის) უსაფუძველო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან, აღნიშნულთან და-

კავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 317.1. მუხლი ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად მიიჩნევს როგორც ხელშეკრულებას, ასევე, დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, წარმოშობილი ზიანი და ბოლოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის საკვლელო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 1955 წელს ა. ფ-მემ დღვანის საკოლმეურნეობათაშორისო ჰესისა და დღვანის კოლმეურნეობის ბრალით მიიღო სხეულის დაზიანება: კერძოდ, საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოს ჰესის კომპლექსზე ასვლით და მაღალი ძაბვის სინათლუხე ხელის მოკიდებით მოსარჩელეს მოსწყდა ორივე ხელი იდაყვის ქვემოთ და დაკარგა შრომის უნარი 100%, გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი, რის შემდეგაც 1963 წლიდან მოსარჩელე, სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე, ღებულობს ყოველთვიურ სარჩოსა და მკურნალობისა და პროთეზირებისათვის გაწეულ ხარჯებს.

საქმეში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს 1999 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შუახევის რაიონის სოფელ ... თემის საკრებულოსა (როგორც სოფელ ... კოლმეურნეობის რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი ... სს კოოპერაციული საწარმოს სამართალმემკვიდრეს) და შუახევის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს (როგორც შუახევის რაიონის სოფელ ... საკოლმეურნეობათაშორისო ჰესის სამართალმემკვიდრეს) სოლიდარულად დაეკისრათ ა. ფ-მის სასარგებლოდ პროტეზირებისათვის გაწეული ხარჯის – 15 008 გერმანული მარკის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარმოებათა გამო გაუქმების მოთხოვნით სასამართლოს განცხადებით მიმართა შუახევის რაიონის გამგეობამ.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 5 მარტის განჩინებით შუახევის რაიონის გამგეობის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ არ იქნა დაშვებული, რაც უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2002 წლის 6 სექტემბრის განჩინებით.

შუახევის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. ფ-მის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა ცნობილ იქნა შუახევის რაიონის ... თემის საკრებულოს უფლებამონაცვლედ.

ზემოაღნიშნულ სასამართლო გადაწყვეტილებაში ასევე დადგენილია, რომ აღარ არსებობს შუახევის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭო, რომელიც წარმოადგენდა ა. ფ-მის ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს შუახევის რაიონის დღვანის თემის საკრებულოსთან ერთად.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ა. ფ-მე პროტეზირებას საჭიროებს პერიოდულად. საქმის მასალებში წარმოდგენილი 1659/1-193 ექსპერტიზის დასკვნით ა. ფ-მის სარგებლობაში არსებული მარჯვენა ზედა კიდურის ბიოლოგიური და მარცხენა ზედა კიდურის მექანიკური პროტეზები ფუნქციონირებენ არადამაკმაყოფილებლად და საჭიროებენ შეცვლას (85-87).

ამდენად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტებით მოცემულ დავაში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ სოფელ ... თემის საკრებულო წარმოადგენს სოფელ ... კოლმეურნეობის რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი დღვანის სს კოოპერაციული საწარმოს სამართალმემკვიდრეს, რომლის სამართალმემკვიდრედ ასევე ცნობილ იქნა შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა, რის გამოც უსაფუძვლოა კასატორის-შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო პრეტენზია იმის თაობაზე, რომ იგი არ წარმოადგენს არც ... კოლმეურნეობისა და არც შუახევის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის უფლებამონაცვლეს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების საფუძველზე სადავო გარემოებას წარმოადგენს არა დელიქტური ვალდებულების არსებობა, ზიანის წარმოშობის, მისი ანაზღაურების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, არამედ სადავოა სწორედ ახალი პროთეზირებისათვის გასაწევი ხარჯის ოდენობის განსაზღვრის საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას ახალი პროტეზირების საჭიროებაზე და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე და სამოქალაქო კოდექსის 1000.1 მუხლების საფუძველზე საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით გონივრულად მიიჩნევს მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 10 121,42 ევროს შესაბამისი ექვივალენტის ეროვნული ვალუტის-ლარის, გადახდის დროისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მგზავრობის ხარჯის – 1076,66 ლარის დაკისრებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორი გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე დაადგინა არსებითად სწორი განჩინება, საკასაციო საჩივრები არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამობის შესახებ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს ა. ფ-ძისა და შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 30 სექტემბრის განჩინების გაუქმების სამართლებრივი წინაპირობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ფ-ძისა და შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 30 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.